მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული

რუსეთის ისტორია
XIX საუკუნე

(მეორე გამოცემა)

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2004

უაკ (UDC) 947.0
3263

წინამდებარე სახელმძღვანელო მოქმედი სასწავლო პროგრამის მიხედვითაა შედგენილი. მასში განხილულია რუსეთის ისტორია უძველესი დროიდან 1801 წლამდე. სახელმძღვანელო ეყრდნობა უახლეს გამოკვლევებსა და დოკუმენტური მასალების პუბლიკაციებს. მასში შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია ის მეთოდური სიახლენი, რაც რუსეთის ისტორიის სწავლებაში დამკვიდრდა ბოლო ხანებში.

განკუთვნილია სტუდენტების, ასპირანტებისა და რუსეთის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი პროფ. **დიმიტრი შველიძე**

რეცენზენტები: პროფ. **ნინო ჩიქოვანი**

დოც. **რამაზ ვაჟბედაშვილი**

რეკომენდებულია სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეთოდსაბჭოს მიერ

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004

$3\frac{0503020901}{608(06)-04}$

ISBN 99940-20-14-5

ავტორებისაგან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსეთის ისტორიის სწავლებას დიდი ტრადიცია აქვს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორ მიხეილ პოლიევექტოვის ღვაწლი, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა საგანგებოდ მოიწვია თბილისის უნივერსიტეტში. რუსეთის ისტორიის როგორც სასწავლო დისციპლინის ჩამოყალიბებასა და ამ პროფილით სპეციალისტთა მომზადების საქმეში დიდი როლი შეასრულეს მიხეილ პოლიევექტოვმა, ალექსანდრე ფირცხალაიშვილმა, გიორგი ხაჭაპურიძემ, იასონ ხუციშვილმა, იასე ცინცაძემ, აკაკი სურგულაძემ, ვალერიან მაჭარაძემ, ავთანდილ მენთეშაშვილმა და სხვებმა. ათწლეულების მანძილზე დაგროვილი გამოცდილების კვალობაზე შეიქმნა პირველი სახელმძღვანელოები. ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს საფუძველი ჩაუყარა პროფესორმა იასე ცინცაძემ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა აკაკი სურგულაძემ. მათ მიერ რამდენიმე ათეული წლის წინ შექმნილი სახელმძღვანელოებით დღესაც სარგებლობს სტუდენტობა.

კომუნისტური იდეოლოგიის კრახმა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლამ აუცილებელი გახადა რუსეთის ისტორიაში ახალი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების შექმნა. რუსეთის ისტორიის კათედრას განზრახული აქვს რუსეთის ისტორიის დისციპლინაში სახელმძღვანელო გამოსცეს სამ ტომად. პირველი ტომი მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან 1801 წლამდე, მეორე — XIX საუკუნეს, მესამე — XX საუკუნეს.

სახელმძღვანელოს გამოსაცემად მომზადებისას გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ ბუბა კუდავას, ჯაბა სამუშიასა და ილია ხელაიას.

თავი I. რუსეთი XIX საუკუნის დამდეგს

XIX საუკუნის დამდეგისათვის რუსეთის იმპერია უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა. პეტრე I-ის რეფორმების შედეგად დაწყებული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის პროცესი, ქვეყნის სამხედრო ძლიერების ზრდა განუხრელად გაგრძელდა და გაღრმავდა ეკატერინე II-ის ეპოქაში. საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის ინტერესების გაუთვალისწინებლად უკვე ვერც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ვერ გადაწყდებოდა.



რუსეთის იმპერიის გერბი

1. ტერიტორია. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. XIX საუკუნის დამდეგისათვის აღმოსავლეთ ევროპაში, ჩრდილოეთ აზიაში (ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში) და ჩრდილოეთ ამერიკაში (ალასკაზე) რუსეთის იმპერიას 16 მილიონი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია ეკავა. XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის იმპერიის ტერიტორია 18 მილიონ კვადრატულ კილომეტრამდე გაიზარდა. ტერიტორიული ზრდა განხორციელდა ამერკავკასიის, ჩრდილო კავკასიის, ფინეთის, პოლონეთის სამეფოს, ბესარაბიის, ყაზახეთის, ამურისპირეთისა და ზღვისპირეთის დაპყრობის გზით.

XIX საუკუნის დამდეგისათვის რუსეთის იმპერიის ევროპული ნაწილი იყოფოდა 41 გუბერნიად და ორ ოლქად (თავრიდის ოლქი და დონის ჯარების ოლქი). შემდგომ ხანებში გუბერნიებისა და ოლქების რიცხვი იზრდებოდა როგორც დაპყრობილი ტერიტორიის, ისე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სისტემის ცვლილების გამო. XIX საუკუნის შუა ხანებისათვის რუსეთის იმპერიის ტერიტორია 69 გუბერნიად და ოლქად იყო დაყოფილი. 1809 წელს დაპყრობილი ფინეთი დაიყო 8 გუბერნიად, 1815 წელს რუსეთის იმპერიაში შესული პოლონეთის სამეფო დაიყო 8 გუბერნიად, ხოლო 1844 წლიდან — 4 გუბერნიად. 1822 წელს ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შედეგად ციმბირი დაიყო 5 გუბერნიად და ერთ ოლქად; ხოლო 1849-1858 წლებში შორეულ აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა 5 ოლქი; 1844 წელს ამიერკავკასია დაიყო 4 გუბერნიად, 1860 წელს კი ჩრდილო კავკასიაში დამატებით შეიქმნა 2 ოლქი.

გუბერნიები და ოლქები იყოფოდა მაზრებად (უკრაინაში, ბელორუსიასა და პოლონეთის სამეფოში მაზრის მსგავს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს პოვეტი ეწოდებოდა). გუბერნიაში მაზრების რაოდენობა ერთნაირი არ იყო, ხუთიდან თხუთმეტამდე მერყეობდა. რუსეთის იმპერიის ზოგიერთ მხარეში რამდენიმე გუბერნია ერთ საგენერალგუბერნატოროში ან სამეფისნაცვლოში იყო გაერთიანებული. საგენერალგუბერნატოროში გაერთიანებული იყო ლიტვის ტერიტორიაზე არსებული სამი გუბერნია (ცენტრით ვილნოში), უკრაინაში მდინარე დნეპრის მარჯვენა ნაპირის სამი გუბერნია (ცენტრით კიევში). ამიერკავკასიის გუბერნიები შეადგენდნენ კავკასიის სამეფისნაცვლოს (ცენტრით თბილისში). მთელი დასავლეთ ციმბირი გაერთიანებული იყო დასავლეთ ციმბირის საგენერალგუბერნატოროში, ხოლო აღმოსავლეთ ციმბირი — აღმოსავლეთ ციმბირის საგენერალგუბერნატოროში. რუსეთის იმპერატორი 1809 წლიდან ატარებდა ფინეთის დიდი მთავრის ტიტულს, ხოლო 1815 წლიდან — პოლონეთის მეფის ტიტულს.

2. მოსახლეობა. XIX საუკუნის დამდეგიდან განვლილი ხუთი ათწლეულის განმავლობაში რუსეთის იმპერიის მოსახლეობა 37 მილიონიდან 69 მილიონამდე გაიზარდა. მოსახლეობა იზრდებოდა როგორც ბუნებრივი მატების, ისე დაპყრობილი ქვეყნებისა და ტერიტორიების მოსახლეობის ხარჯზე.

პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის მიხედვით XIX საუკუნის დამდეგისათვის რუსეთის იმპერიის მოსახლეობა სამ ნაწილად იყოფოდა: პრივილეგირებულ, ნახევრადპრივილეგირებულ და არაპრივილეგირებულ ფენად. პრივილეგირებულ ფენას განეკუთვნებოდნენ: მემამულეები (თავადაზნაურობა), სამღვდელოება, საპატიო მოქალაქეები და ვაჭრები. ნახევრადპრივილეგირებულნი იყვნენ: დაბალი აზნაურები და კაზაკები. არაპრივილეგირებულებს შეადგენდნენ გლეხები და მეშჩანები. გლეხობა რუსეთში ძირითადად ოთხ კატეგორიად იყოფოდა: სახელმწიფო (სახაზინო), საუფლისწულო (სამეფო ოჯახის წევრების), საბატონო (მემამულეთა) და საეკლესიო (სამონასტრო).

3. ეკონომიკა. XIX საუკუნის დამდეგისათვის რუსეთი აგრარული ქვეყანა იყო. ქვეყნის მოსახლეობის 90%-ს გლეხობა შეადგენდა, ხოლო სოფლის მეურნეობა ეკონომიკის ძირითად დარგს წარმოადგენდა. რუსეთის სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი იყო ყველა ის ნიშან-თვისება, რაც ტრადიციულად ჰქონდა ფეოდალურ-ბატონყმურ მეურნეობას (ყმის იძულებითი შრომა, ნაკლები მატერიალური დაინტერესება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განვითარების დაბალი დონე, შრომის ნაყოფიერების უმნიშვნელო ზრდა და ა.შ.). მიუხედავად ამისა, რუსეთის სოფლის მეურნეობის პროდუქცია საკმარისი იყო იმისათვის, რომ გამოეკვება უზარმაზარი ქვეყნის მრავალმილიონიანი მოსახლეობა, ხოლო პროდუქციის ნაწილი საგარეო ბაზარზეც გაეტანა. სოფლის მეურნეობის დარგთაგან, ტრადიციულად, წამყვანი ადგილი ეკავა ხორბლის მოყვანას. შემდეგ მოდიოდა მესაქონლეობა. მოწეული პროდუქტი ძირითადად ადგილზე მოიხმარებოდა. ეს განპირობებული იყო მეურნეობის ნატურალური ხასიათით. მაგრამ ამ პერიოდისათვის უკვე შეიმჩნეოდა ნატურალური მეურნეობის ნგრევა. ამასთან ერთად, სულ უფრო მატულობდა სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭ-



მოსკოვი. კრემლი

რობა. ვაჭრობა წარმოებდა როგორც სოფელსა და ქალაქს შორის, ისე რუსეთის ცალკეულ რეგიონებს შორის. ვაჭრობის გაფართოებას ხელს უშლიდა რუსეთში არსებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემა (ბატონყმობა) და საქალაქო ცხოვრების განვითარების დაბალი დონე. უფრო წარმატებით და სტაბილურად ვითარდებოდა საგარეო ვაჭრობა. რუსეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტით ბევრი ქვეყანა იყო დაინტერესებული. XIX საუკუნის დამდეგისათვის, ისე როგორც მთლიანად XIX საუკუნის პირველ ნახევარში, რუსეთში წამყვანი ადგილი ეკავა წვრილ წარმოებას, რომელიც ძირითადად წვრილი გლეხური შინამრეწველობით იყო წარმოდგენილი. წვრილი, კუსტარული გლეხური შინამრეწველობა განსაკუთრებით განვითარებული იყო რუსეთის ცენტრალურ რაიონებში. შინამრეწველობის ეს ფორმა შეიძლებოდა გამხდარიყო მსხვილი კაპიტალისტური წარმოების საფუძველი, მაგრამ რუსეთში ამის საშუალებას არ იძლეოდა ბატონყმობის არსებობა. მსხვილი კაპიტალისტური წარმოება რუსეთში მხოლოდ მსხვილი სახელმწიფო მანუფაქტურების შექმნის გზით ვითარდებოდა. როგორც წვრილი გლეხური შინამრეწველობა, ისე მსხვილი სახელმწიფო მანუფაქტურა თავისუფალი მუშის დაქირავებულ შრომას არ ემყარებოდა. თავისუფალი მუშის დაქირავებული შრომის გამოყენების გარეშე კი წარმოების სერიოზული აღმავლობა წარმოუდგენელი იყო.

XIX საუკუნის დამდეგისათვის რუსეთში წვრილი გლეხური შინამრეწველობისა და მსხვილი სახელმწიფო მანუფაქტურების გვერდით თანდათან ფართოვდებოდა მსხვილი საფაბრიკო წარმოება, რომელიც ხელით შრომას აღარ ემყარებოდა. საფაბრიკო წარმოების საფუძველს წარმოადგენდა ტექნიკის დიდი მიღწევის — მანქანური შრომის გამოყენება. ფაბრიკაში იძულებითი შრომის გამოყენება აღარ შეიძლებოდა. ახალი ტექნიკის ათვისება და მოხმარება მხოლოდ თავისუფალი მუშის დაქირავებული შრომის გამოყენების შემთხვევაში იყო შესაძლებელი. რუსეთში კი ასეთი მუშახელი ძალზე მცირე რაოდენობით არსებობდა.

მანუფაქტურიდან საფაბრიკო წარმოებაზე გადასვლა სამრეწველო გადატრიალების მაუწყებელი იყო. რუსეთში სამრეწველო გადატრიალება XIX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოსა და 40-იანი წლების დამდეგიდან დაიწყო და ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის პირობებში ეს პროცესი ძალიან დიდხანს გაგრძელდა და მხოლოდ XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულსა და 80-იანი წლების დამდეგს დასრულდა. სამრეწველო აღმავლობის შესაბამისი ნელი ტემპებითვე ყალიბდებოდა რუსეთში ახალი სოციალური ფენები — ბურჟუაზია და მუშათა კლასი.

რუსეთის ეკონომიკის შემდგომი განვითარება დამოკიდებული იყო პოლიტიკური რეჟიმის უნარზე — დროულად მოეხდინა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის გარდაქმნა და ამ გზით ხელი შეეწყო ბურჟუაზიულ ურთიერთობათა დამკვიდრებისათვის.

თავი II. რუსეთის საშინაო პოლიტიკა 1801-1812 წლებში

XIX საუკუნის დამდეგი რუსეთში აღინიშნა მეტად მნიშვნელოვანი რეფორმებით, რამაც სახელმწიფოებრივი ცხოვრების ბევრი სფერო მოიცვა. ეს რეფორმები უკავშირდება იმპერატორ ალექსანდრე I-ის სახელს.

1. სასახლის გადატრიალება. იმპერატორი პავლე I (1796-1801), როგორც მონარქი, როგორც სახელმწიფო მოღვაწე და როგორც პიროვნება, სრულიად შეუფერებელი აღმოჩნდა რუსეთის ტახტზე. უზარმაზარი სახელმწიფოს მართვა იმგვარი მეთოდებით, როგორსაც პავლე I ნერგავდა, დამღუპველი იყო. დაუსაბუთებელი ღონისძიებანი ქვეყნის შიგნით, გაუმართლებელი საგარეო პოლიტიკა ძვირად უჯდებოდა რუსეთს. ამას კარგად გრძნობდა რუსეთის იმპერიის უმაღლესი პოლიტიკური ელიტა და უმაღლესი ოფიცრობა. 1801 წლის 11-12 მარტს ღამით განხორციელდა სახელმწიფო გადატრიალება. პავლე I მოკლეს. რუსეთის იმპერატორი გახდა პავლე I-ის უფროსი ვაჟი, ოცდასამი წლის ალექსანდრე I (1801-1825).

ალექსანდრე I-ს მიღებული ჰქონდა შესანიშნავი განათლება, იყო სამხედრო საქმის დიდი მცოდნე, დაჯილდოებული იყო დიპლომატიური ნიჭით, მაგრამ იგი თანამედროვეებისთვისაც კი ბოლომდე შეუცნობელ პიროვნებად დარჩა. ერთ-ერთი თანამედროვე ალექსანდრე I-ის შესახებ წერდა, რომ ის იყო „სფინქსი, რომელიც ვერ ამოიცნეს კუბოს ფიცრამდე". ალექსანდრე I დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის სახელმწიფო მმართველობა საჭიროებდა გარდაქმნებს. რუსეთის პოლიტიკურმა ელიტამ და უმაღლესმა ოფიცრობამ ალექსანდრე I მიიჩნია ისეთ იმპერატორად, რომელსაც კარგად ესმოდა პავლე I-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკის დამღუპველი შედეგები. რუსეთის თავადაზნაურობა თვლიდა, რომ ალექსანდრე I სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფეროში იმ პრინციპებით იხელმძღვანელებდა, რომლებიც შემუშავდა პეტრე I-ისა და ეკატერინე II-ის მმართველობის წლებში. ყოველივე ეს ალექსანდრე I-ს დიდ უპირატესობას აძლევდა თავისი მოღვაწეობის დასაწყისშივე.



ალექსანდრე I

რუსეთის იმპერატორის ტახტზე ასელისთანავე ალექსანდრე I შეუდგა რეფორმების გატარებას, რომელიც სახელმწიფო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შეეხო.

2. ფარული კომიტეტი. ალექსანდრე I-ის მოღვაწეობის დასაწყისისათვის სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანოების ნორმალური ფუნქციონირება დარღვეული იყო, დაკნინებული იყო **სენატის** როლი, დიდი გაუგებრობა გამეფებულიყო კანონშემოქმედებაში, ყვაოდა ხაზინის ქურდობა და მექრთამეობა. ყოველივე ეს სახელმწიფო მმართველობის სერიოზულ გარდაქმნას მოითხოვდა. პეტერბურგის თავადაზნაურობაში, რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენდა რუსეთის საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასა და უმაღლესი ხელისუფლების პოლიტიკაზე, სახელმწიფო რეფორმებთან დაკავშირებით სამი ძირითადი მიმდინარეობა გამოიკვეთა. **პირველი მიმდინარეობა** მიიჩნევდა, რომ ოდნავადაც არ უნდა შებღალულიყო თვითმპყრობელობის პრინციპები. ეს იმას ნიშნავდა, რომ რუსეთში არ არსებობდა აუცილებლობა სერიოზული რეფორმების გატარებისა. ამ ჯგუფს თავდაპირველად ალექსანდრე I-ის რეფორმატორული მოღვაწეობისათვის ხელი არ შეუშლია, რადგან ჯერ კიდევ ყველას კარგად ახსოვდა პავლე I-ის მოღვაწეობის დამღუპველი შედეგები. **მეორე მიმდინარეობას** განეკუთვნებოდნენ სენატის მოღვაწენი ანუ

რუსეთის იმპერიის უმაღლესი და ცენტრალური მმართველობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში



„მოხუცები“. ამ მიმდინარეობას ძირითადად ეკატერინე II-ის დროინდელი სახელმწიფო მოღვაწეები შეადგენდნენ. მათი აზრით, სენატს უნდა დაბრუნებოდა ძველი დიდება და ავტორიტეტი, რადგან ყველაზე სრულად სწორედ სენატი გამოხატავდა რუსეთის თავადაზნაურობის ინტერესებს. მესამე მიმდინარეობა აერთიანებდა ფართო სახელმწიფო რეფორმების მომხრეებს. საზოგადოების ეს ნაწილი მთელ იმედებს ალექსანდრე I-ზე ამყარებდა.

ალექსანდრე I ცდილობდა, სახელმწიფო რეფორმების განხორციელებისას თავადაზნაურობის სამივე მიმდინარეობა გამოეყენებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში იმპერატორი თავიდან ვერ აიცილებდა კონფრონტაციას. 1801 წელს ალექსანდრე I-მა შექმნა **მუდმივი კომიტეტი.** მუდმივი კომიტეტი წარმოადგენდა იმპერატორთან სათათბირო ორგანოს, რომელსაც უნდა განეხილა მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეები. მუდმივი კომიტეტი იყო კონსერვატიული ძალების საყრდენი და მას სახელმწიფო ცხოვრების არც ერთ სფეროში მნიშვნელოვანი როლი არ შეუსრულებია. მთელ რეფორმატორულ მოღვაწეობას წარმართავდა ფარული კომიტეტი, რომელიც ალექსანდრე I-მა 1801 წელს თავისი ახალგაზრდა თანამოაზრეებისაგან შექმნა. ფარული კომიტეტი არასდროს გამხდარა ხელისუფლების ოფიციალური ორგანო. იგი იმპერატორის მეგობრების ინტიმურ წრეს წარმოადგენდა. ფარულ კომიტეტში შედიოდნენ: თავადი პავლე სტროგანოვი, პოლონელი თავადი ადამ ჩარტორისკი, ალექსანდრე I-ის ბიძაშვილი ნიკოლოზ ნოვოსილცევი და გრაფი ვიქტორ კოჩუბეი. ფარულმა კომიტეტმა შეძლო მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა XIX საუკუნის დამდეგს სახელმწიფო რეფორმების მომზადებასა და გატარებაში.

XIX საუკუნის დამდეგის რეფორმები ძირითადად სამი მიმართულებით განვითარდა: **ადმინისტრაციული მმართველობის სისტემა, გლეხთა საკითხი და განათლება.**

3. ადმინისტრაციული მმართველობის სისტემის რეფორმა. რეფორმების მომზადების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რუსეთის ცენტრალური მმართველობის რეფორმას. ალექსანდრე I და ფარული კომიტეტი თვლიდნენ, რომ პეტრე I-ის ეპოქაში შექმნილი ცენტრალური ადმინისტრაციის სისტემა მოძველდა. პირველ რიგში, ეს ეხებოდა სენატს. სენატის რეფორმასთან დაკავშირებით, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ **მუდმივი კომიტეტისა და ფარული კომიტეტის** წევრები. მუდმივი კომიტეტისა და სენატის მოღვაწეთა ცდას — სენატისათვის მიენიჭებინათ განუსაზღვრელი უფლებები, რათა მას გარკვეულწილად დამოუკიდებლად ემოქმედა, — შედეგი არ მოჰყოლია. 1802 წელს გატარებული სენატის რეფორმის მიხედვით, სენატი ითვლებოდა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ. **სენატში თავმოყრილი იყო უმაღლესი ადმინისტრაციული, სასამართლო და მაკონტროლებელი ხელისუფლება.** სენატს თვალყური უნდა ედევნებინა და არ დაეშვა წინააღმდეგობები და შეუსაბამობები კანონებში. მინისტრები ანგარიშვალდებულნი იყვნენ სენატის წინაშე. რეფორმის ძალით, სენატი მთლიანად დამოკიდებული იყო იმპერატორზე. ამასთან ერთად, ალექსანდრე I სხვადასხვა გზით ცდილობდა სენატისათვის მინიჭებული უფლებები პრაქტიკულად მინიმუმამდე შეეზღუდა. მაგალითად, რეალურად განუხორციელებელი დარჩა მინისტრების პასუხისმგებლობა სენატის წინაშე. სენატი ვერ აკონტროლებდა მინისტრებს, რადგან ისინი პირდაპირ იმპერატორს ემორჩილებოდნენ.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფარული კომიტეტის მიერ შემუშავებულ **ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების** რეფორმას. ეს რეფორმაც 1802 წელს გატარდა. პეტრე I-ის დროს შექმნილი დარგობრივი **კოლეგიები** გაუქმდა და მათ ნაცვლად შემოღებული იქნა **სამინისტროები.** სულ შეიქმნა რვა სამინისტრო: **სამხედრო, საზღვაო, საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა, ფინანსთა, სახალხო განათლების, იუსტიციისა** და **კომერციის.** 1811 წელს რვა სამინისტროს დაემატა კიდევ სამი: **პოლიციის, გზათა** და **სახელმწიფო კონტროლის.** სამინისტროს სათავეში იდგა **მინისტრი** — უწყების ერთპიროვნული ხელმძღვანელი მთელი იმპერიის მასშტაბით. სამინისტრო იყო ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების მთავარი რგოლი. მინისტრი ინიშნებოდა იმპერატორის მიერ და პასუხისმგებელი იყო იმპერატორის წინაშე.

4. გლეხთა საკითხი. გლეხთა ომი ემელიანე პუგაჩოვის წინამძღოლობით, ასევე საფრანგეთის დიდი რევოლუცია ალექსანდრე I-ს ცხადად მიანიშნებდა იმაზე, რომ აუცილებელი იყო რეფორმის გატარება გლეხთა საკითხის მოგვარების მიზნით. **მუდმივი კომიტეტის** წევრებმა თავიდანვე ერთხმად უარყვეს გლეხთა საკითხის მოსაგვარებლად ყოვლისმომცველი

რეფორმის გატარებისა და გლეხთა განთავისუფლების იდეა. ფარული კომიტეტის წევრებიც მიიჩნევდნენ, რომ გლეხთა განთავისუფლება დაღუპვით ემუქრებოდა სახელმწიფოს. ამ პრობლემის გადასაჭრელად მომზადდა რამდენიმე კანონპროექტი. ერთ-ერთი მათგანი ითვალისწინებდა უმიწოდ გლეხთა გაყიდვის აკრძალვას. ეს კანონპროექტები, მართალია, არ წყვეტდა გლეხთა საკითხს, თუმცა მას გარკვეული მნიშვნელობა უთუოდ ჰქონდა. საბოლოოდ, ალექსანდრე I-მა მაინც შეძლო რამდენადმე პროგრესული რეფორმის გატარება. 1801 წელს ვაჭრებს, მეშჩანებს და სახელმწიფო გლეხებს უფლება მიეცათ შეესყიდათ დაუსახლებელი მიწები და დაქირავებული შრომის გამოყენებით დაემუშავებინათ იგი. ფაქტობრივად, ამით დაკანონდებოდა რუსეთში კაპიტალისტური წესით სოფლის მეურნეობის (მიწის დამუშავების) წარმართვა.

1801 წელს აიკრძალა „სანკტ-პეტერბურგის უწყებებში" გლეხთა უმიწოდ გაყიდვისა და გლეხთა ოჯახის წევრების ცალ-ცალკე გაყიდვის შესახებ განცხადებების გამოქვეყნება. ამ აკრძალვას მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. განცხადებებში სიტყვა „გაყიდვა" იცვლებოდა სიტყვებით „მიცემა მსახურებისათვის", რაც იმას ნიშნავდა, რომ გლეხების ყიდვა-გაყიდვა მაინც გრძელდებოდა.

ალექსანდრე I შეეცადა გაეუმჯობესებინა სახელმწიფო გლეხების მდგომარეობა. შეიზღუდა სახელმწიფო გლეხების კერძო პირთათვის მიყიდვა, რათა არ მომხდარიყო მათი შემდგომი დაყმევება. ამ ღონისძიებასაც არ მოჰყოლია სახელმწიფო გლეხთა მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ამიერიდან კერძო პირებს შეეძლოთ გარკვეული ხნით იჯარით მიეღოთ მიწები, რომლებიც სახელმწიფო გლეხებით იყო დასახლებული.

ყველაზე პროგრესული ღონისძიება გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ალექსანდრე I-მა 1803 წელს გაატარა. მემამულეებს უფლება მიეცათ, გამოსასყიდის გადახდის შემთხვევაში, გლეხები მიწიანად გაეთავისუფლებინათ. გლეხის გათავისუფლება მხოლოდ და მხოლოდ მემამულის სურვილზე იყო დამოკიდებული, რის გამოც ამ მოვლენამ საყოველთაო ხასიათი ვერ მიიღო. 1803 წლიდან ოცდახუთი წლის განმავლობაში მთელ რუსეთში თავისუფლება მიიღო, ანუ როგორც იმხანად უწოდებდნენ, „თავისუფალ მიწათმოქმედთა" კატეგორიაში გადავიდა 47.000 ყმა გლეხი. მიუხედავად ამისა, „თავისუფალ მიწათმოქმედთა" ფენის შექმნა უდავოდ პროგრესული მოვლენა იყო.

5. განათლება. ალექსანდრე I-მა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა განათლების სისტემის გაუმჯობესების მიზნით. პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა მთელი რუსეთის მასშტაბით **განათლების ერთიანი სისტემის** შექმნის გადაწყვეტილებას. ერთ სისტემაში გაერთიანდა ყველა სასწავლო დაწესებულება — ერთკლასიანი სამრევლო სკოლიდან უნივერსიტეტამდე. მნიშვნელოვნად გაიზარდა განათლების სისტემის დაფინანსება. 1803 წლიდან რუსეთის იმპერიაში არსებული სასწავლო დაწესებულებები ოთხ საფეხურად დაიყო. **პირველ საფეხურს** განეკუთვნებოდა ეკლესიებთან არსებული ერთკლასიანი სამრევლო სკოლები; **მეორე საფეხურს** — ორკლასიანი სამაზრო სკოლები; **მესამე საფეხურს** — საგუბერნიო გიმნაზიები; **მეოთხე საფეხურს** — უნივერსიტეტები.

განათლების სისტემის რეფორმასთან ერთად, XIX საუკუნის დამდეგს რუსეთში გაიხსნა ხუთი ახალი უნივერსიტეტი: კერძოდ, უკვე არსებული **მოსკოვის** უნივერსიტეტის გარდა, უნივერსიტეტები გაიხსნა **დერპტში, ვილნოში, ყაზანში, ხარკოვში, მოგვიანებით პეტერბურგის** პედაგოგიური ინსტიტუტი გადაკეთდა უნივერსიტეტად.

განათლების სისტემის რეფორმის ძალით, მთელი რუსეთის იმპერია დაიყო ხუთ **სასწავლო ოლქად**. სასწავლო ოლქის სათავეში იდგა **მზრუნველი**, რომელსაც ევალებოდა ოლქში არსებული სასწავლო დაწესებულებების მუშაობის წარმართვა როგორც ადმინისტრაციული, ისე სასწავლო-მეთოდური თვალსაზრისით.

ალექსანდრე I-ის რეფორმატორული მოღვაწეობა შეეხო **ცენზურას**. 1804 წელს დამტკიცებული საცენზურო წესდების ძალით, რუსეთში შემოიღეს ისეთი საცენზურო სისტემა, რომელიც ყველაზე ლიბერალური იყო მთელი XIX საუკუნის მანძილზე. ამან ხელი შეუწყო ახალი ჟურნალებისა და ალმანახების გამოცემას. ალექსანდრე I-ის ინიციატივით რუსულად ითარგმნა შარლ მონტესკიეს, ადამ სმიტისა და სხვა ცნობილი მოაზროვნეების ნაწერები.

1801 წლიდან ალექსანდრე I ატარებდა ლიბერალურ პოლიტიკას არამართლმადიდებელი რელიგიური კონფესიების მიმართ. 1803 წელს გაუქმდა შეზღუდვა მასონური ლოჟების დაარსებასა და მოღვაწეობაზე.

1803 წლისათვის პავლე I-ის მოღვაწეობის შედეგად შექმნილი თავადაზნაურთა ოპოზიცია დაშოშმინდა. ალექსანდრე I-ის მოქნილმა პოლიტიკამ შედეგი გამოიღო. ეკატერინე II-ის დროინდელმა ყველაზე ავტორიტეტულმა მოღვაწეებმა მინისტრის ან მინისტრის ამხანაგის (მოადგილის) თანამდებობები მიიღეს, იმპერატორის ახალგაზრდა თანამოაზრეებიც — მინისტრები ან მინისტრის ამხანაგები (მოადგილეები) გახდნენ. ასეთი პოლიტიკით ალექსანდრე I-მა ორივე მხარე დააკმაყოფილა. 1803 წლიდან ფარული კომიტეტის სხდომები აღარ ჩატარებულა, თუმცა რეფორმები კვლავ გრძელდებოდა.

6. რეფორმების ახალი ეტაპი (1807-1811). ალექსანდრე I-ის რეფორმები დროებით შეაფერხა 1804 წელს დაწყებულმა რუსეთ-ირანის და ასევე 1806 წელს — რუსეთ-თურქეთის ომმა. რეფორმების გატარებაზე განსაკუთრებული უარყოფითი გავლენა იქონია რუსეთის ომებმა საფრანგეთთან (1805 წელს და 1806-1807 წლებში). ტილზიტის ზავის (1807 წ.) შემდეგ რეფორმები კვლავ განახლდა.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეფორმას წარმოადგენდა **პოლიციის სამინისტროს** დაარსება. ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამდეგს ალექსანდრე I-მა გააუქმა **საიდუმლო ექსპედიცია.** 1807 წელს შეიქმნა **საყოველთაო უშიშროების დაცვის კომიტეტი.** 1810 წელს კი შეიქმნა **პოლიციის სამინისტრო.** პოლიციის სამინისტროს უფლება მიეცა ფარული მეთვალყურეობა დაეწესებინა ყველა იმ პიროვნებაზე (წოდებისა და თანამდებობრივი მდგომარეობის განურჩევლად), რომელიც თავისი მოღვაწეობით საფრთხეს უქმნიდა საიმპერატორო ტახტს.

იმპერიის ადმინისტრაციული და სამხედრო მმართველობის გაუმჯობესებასა და მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეთა უკეთ შერჩევის მიზნით, 1809 წელს ალექსანდრე I-მა გაატარა მეტად მნიშვნელოვანი რეფორმა. იმპერატორის კარისკაცობა არ იძლეოდა ჩინის მიღების უფლებას. ჩინის მიღებისათვის აუცილებელი იყო **სამოქალაქო ან სამხედრო სამსახურის** მთელი იერარქიის **გავლა.** ამასთან, იმპერატორის კარისკაცი, რომელიც არ იმყოფებოდა სამოქალაქო სამსახურში, კარგავდა კარისკაცის წოდებას. მერვე და უფრო მაღალი კლასის ჩინის მისაღებად აუცილებელი იყო უნივერსიტეტის დიპლომი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩინის მიღების კანდიდატს უნდა ჩაებარებინა გამოცდები გიმნაზიის სასწავლო პროგრამის ფარგლებში. ამ რეფორმას რუსეთის იმპერიის უმაღლესი არისტოკრატიის გულისწყრომა მოჰყვა, მაგრამ ალექსანდრე I-ს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. იმპერიის უმაღლეს თანამდებობებზე მოკალათებული იყვნენ სათანადო განათლებისა და გამოცდილების არმქონე ადამიანები.

XIX საუკუნის დამდეგს გატარებული რეფორმების შემდეგ, მოგვიანებით, ალექსანდრე I-მა კიდევ ერთხელ სცადა, სახელმწიფო მმართველობის გაუმჯობესების გზით, იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების განმტკიცება. ამ შემთხვევაში იმპერატორის თანამოაზრეები იყვნენ **ალექსი არაკჩეევი** (რუსეთში გადახვეწილი ქართველი თავადის არაყიშვილის შთამომავალი) და **მიხეილ სპერანსკი.** ეს ორი მოღვაწე თავისი შეხედულებებითა და მოღვაწეობის სტილით დიამეტრალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. თავისი მკაცრი ხასიათით ცნობილი ალექსი არაკჩეევი გაუნათლებელი ადამიანი იყო, მაგრამ მას ჰქონდა დიდი პრაქტიკული ნიჭი და ადმინისტრაციული მოღვაწეობის უნარი. მიხეილ სპერანსკი იყო გამორჩეული ნიჭისა და ბრწყინვალე განათლების მქონე პიროვნება. ამასთან, მას პრაქტიკული მოღვაწეობის დიდი შესაძლებლობებიც ჰქონდა. მიხეილ სპერანსკი შესანიშნავად ერკვეოდა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მმართველობის მექანიზმში და კარგად ჰქონდა გააზრებული ხელისუფლების წინაშე მდგარი პრობლემების სირთულე. ალექსი არაკჩეევსა და მიხეილ სპერანსკის ორი რამ საერთო ჰქონდათ. პირველი, არც ერთი მათგანი არ ეკუთვნოდა ძირძველ თავადაზნაურულ არისტოკრატიას და, ამდენად, თავიანთ სამსახურებრივ კარიერას მხოლოდ იმპერატორის წყალობად მიიჩნევდნენ; მეორე, ორივეს სწამდა, რომ რუსეთის მომავალი მხოლოდ თვითმპყრობელობის განმტკიცებაზე იყო დამოკიდებული. ალექსი არაკჩეევი უსიტყვოდ ასრულებდა იმპერატორის ყოველგვარ ბრძანებას, ხოლო მიხეილ სპერანსკი ცდილობდა იმპერატორის მეშვეობით განეხორციელებინა ფართო გარდაქმნები.

ალექსი არაკჩეევი ალექსანდრე I-მა ტილზიტის ზავის (1807 წ.) დადების შემდეგ რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრად დანიშნა და დაავალა საფრანგეთთან ომებში განცდილი მარცხის შედეგად არმიაში დაცემული ბრძოლისუნარიანობის აღდგენა. ახალმა მინისტრმა დიდი მონდომებით განახორციელა გაწვევა სამხედრო სამსახურში, რის შედეგა-

დაც მნიშვნელოვნად გაიზარდა რუსეთის არმია. არმიაში, განსაკუთრებით ოფიცერთა კორპუსში, ამაღლდა დისციპლინა. განხორციელდა არტილერიის რეორგანიზაცია და გაუმჯობესდა არმიის სურსათითა და საბრძოლო აღჭურვილობით მომარაგება. იმპერატორისაგან განუსაზღვრელი ძალაუფლებით აღჭურვილი ალექსი არაკჩეევი შეუპოვრად, თანმიმდევრულად და დიდი სიმკაცრით ახორციელებდა არმიაში „წესრიგის დამყარების" კურსს. სამხედრო მინისტრის თავგამოდებამ თავისი დადებითი შედეგები მოიტანა. ალექსი არაკჩეევის მოღვაწეობის შედეგად რუსეთის არმია რიცხობრივად გაიზარდა, გახდა უფრო ორგანიზებული და ბრძოლისუნარიანი.

მიხეილ სპერანსკის რეფორმატორული მოღვაწეობა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამდეგს დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროში. 1807 წლიდან ალექსანდრე I-ის ინიციატივით იწყება მიხეილ სპერანსკის მოღვაწეობის ახალი ეტაპი. იგი ხდება სახელმწიფო მმართველობის დარგში იმპერატორის მთავარი მრჩეველი. მიხეილ სპერანსკის დიდი ნიჭი და შესაძლებლობები იმთავითვე ამოიცნო ნაპოლეონმა. ალექსანდრე I-ს ერფურტში, ნაპოლეონთან შეხვედრის დროს თან ახლდა მ. სპერანსკი, რომელსაც საუბრები ჰქონდა ნაპოლეონთან და მის საგარეო საქმეთა მინისტრ ტალეირანთან. ნაპოლეონის ერთ-ერთი თანმხლები პირის მოგონების მიხედვით, მიხეილ სპერანსკისთან საუბრებით აღფრთოვანებულ ნაპოლეონს უთქვამს ალექსანდრე I-თვის: „ეს როგორი ადამიანი გყავთ! მე ნებისმიერ სამეფოს გავცვლიდი მასში!"

მიხეილ სპერანსკის დაევალა, მოემზადებინა რუსეთის იმპერიაში საყოველთაო გარდაქმნების პროექტი. 1809 წელს პროექტი უკვე მზად იყო. მას ეწოდებოდა „სახელმწიფო გარდაქმნების გეგმა" ანუ „სახელმწიფო კანონების ძეგლისდების შესავალი".

მიხეილ სპერანსკის პროექტის მიხედვით, რუსეთის იმპერიის სათავეში უნდა მდგარიყო განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვილი მონარქი. უნდა შექმნილიყო სახელმწიფო საბჭო — სათათბირო ორგანო, რომლის წევრებსაც იმპერატორი დანიშნავდა. სახელმწიფო საბჭოში უნდა განხილულიყო უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად უნდა წარედგინათ იმპერატორისათვის. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სახელმწიფო საბჭო კოორდინაციას გაუწევდა ხელისუფლების მთელ მოღვაწეობას იმპერიის მასშტაბით. პროექტი ითვალისწინებდა ასევე რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსა და ადგილობრივი სათათბიროების შექმნას. სათათბირო ოთხი დონისა უნდა ყოფილიყო: თემის სათათბირო, ოლქის სათათბირო, გუბერნიის სათათბირო და რუსეთის სათათბირო. ეს იქნებოდა არჩევითი ორგანო. თემის სათათბიროს ირჩევდა ხმის უფლების მქონე მოსახლეობა და სახელმწიფო გლეხების მამასახლისები (500 გლეხზე მოდიოდა ერთი მამასახლისი). თემის სათათბირო, რომელიც ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს წყვეტდა, თავისი რიგებიდან სამი წლის ვადით ირჩევდა დეპუტატებს ოლქის სათათბიროსათვის. ოლქის სათათბირო თავისთავად წყვეტდა საკითხებს ოლქის მასშტაბით და თავისი რიგებიდან ირჩევდა დეპუტატებს გუბერნიის სათათბიროსათვის. გუბერნიის სათათბიროები დეპუტატებს ირჩევდნენ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსათვის. რუსეთის სახელმწიფო სათათბირო უნდა ყოფილიყო უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. მას უნდა განეხილა კანონპროექტები და მოწონების შემთხვევაში გადაეცა ისინი სახელმწიფო საბჭოსათვის. მხოლოდ სახელმწიფო საბჭოში განხილული და მოწონებული კანონპროექტი წარედგინებოდა იმპერატორს, რომელიც, თავისი შეხედულებისამებრ კანონპროექტს ან დაამტკიცებდა, ან უარყოფდა.

მიხეილ სპერანსკის პროექტის მიხედვით, არჩევითობას უნდა დაქვემდებარებოდა ადგილობრივი სასამართლო. თემის, ოლქისა და გუბერნიის სასამართლოები არჩევითი უნდა ყოფილიყო, ხოლო უმაღლესი სასამართლო ინსტიტუტის — სენატის წევრები იმპერატორს უნდა დანიშნა გუბერნიის სათათბიროებში არჩეული დეპუტატებისაგან. სენატის წევრები უნდა დანიშნულიყვნენ არა რაიმე განსაზღვრული ვადით, არამედ უვადოდ, ე.ი. სამუდამოდ (სიკვდილამდე).

მიხეილ სპერანსკის მიერ შემუშავებული საარჩევნო სისტემა ემყარებოდა არა წოდებრივ (ფეოდალურ) პრინციპს, არამედ ქონებრივ ცენზს (უძრავი და მოძრავი ქონების რაოდენობას). რუსეთის იმპერიის მოსახლეობას მ. სპერანსკი ყოფდა სამ წოდებად: მემამულეებად, საშუალო წოდებად (ვაჭრები, მეშჩანები, სახელმწიფო გლეხები) და მშრომელ ხალხად (ყმა გლეხები, მუშები, მსახურები). პოლიტიკური უფლებები ენიჭებოდა მხოლოდ პირველ და მეორე წოდებას. აქტიური და პასიური სა-

არჩევნო უფლებისათვის აუცილებელი იყო გარკვეული ქონებრივი ცენზი. ყმა გლეხებსა და მსახურებს არც ქონებრივი ცენზი აძლევდა საარჩევნო უფლებას. მიხეილ სპერანსკის პროექტს უდავოდ ჰქონდა დიდი პროგრესული მნიშვნელობა. მისი განხორციელება რუსეთში პარლამენტარიზმის დამკვიდრებასა და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებას შეუწყობდა ხელს. სწორედ ამიტომ, მიხეილ სპერანსკის პროექტს განხორციელება არ ეწერა — თვითმპყრობელობის შეზღუდვა რუსეთში ნაადრევი იყო.

ალექსანდრე I-მა მიხეილ სპერანსკის პროექტიდან მხოლოდ ცალკეული ნაწილები განახორციელა. 1810 წელს შექმნა სახელმწიფო საბჭო. ხანგრძლივი განხილვის შემდეგ უარყვეს სენატის რეფორმის პროექტი. თვით სახელმწიფო საბჭოც ვერ იქცა ისეთ ავტორიტეტულ ორგანოდ, როგორც ეს მიხეილ სპერანსკის ჰქონდა ჩაფიქრებული.

1811 წელს თვით მ. სპერანსკი მიხვდა, რომ მის პროექტს განხორციელება არ ეწერა. მან თავად სთხოვა იმპერატორს, გაეთავისუფლებინა ყველა საქმისაგან, რათა საშუალება ჰქონოდა მთელი დრო რუსეთის იმპერიის კანონმდებლობის მოდიფიკაციისათვის დაეთმო.

რეფორმატორული საქმიანობის შეფერხება და მიხეილ სპერანსკის მარცხი კონსერვატიულმა ძალებმა თავის გამარჯვებად მიიჩნიეს.

ამის გამოხატულება იყო ცნობილი მწერლის, ისტორიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწის — ნიკოლოზ კარამზინის წერილები „ძველი და ახალი რუსეთის შესახებ" (1811 წ.) ნიკოლოზ კარამზინი მიუღებლად მიიჩნევდა XIX საუკუნის დამდეგის რეფორმებს. მართალია, იგი გმობდა ტირანიასა და დესპოტიზმს, მომხრე იყო განათლებისა და ჰუმანურობისა, მაგრამ დამღუპველად მიაჩნდა თვითმპყრობელობის შეზღუდვის ნებისმიერი ცდა. ნიკოლოზ კარამზინის აზრით, რუსეთს რეფორმები და კონსტიტუცია კი არ ესაჭიროებოდა, არამედ — ორმოცდაათი კარგი გუბერნატორი.

ნიკოლოზ კარამზინი გამოხატავდა რუსეთის თავადაზნაურობის განწყობილებას. ალექსანდრე I-მა ანგარიში გაუწია თავადაზნაურობის სურვილს. 1812 წლის დამდეგს მიხეილ სპერანსკი ჩამოაცილეს სახელმწიფო საქმეებს და გადასახლებაში გაგზავნეს. რუსეთში რეფორმების ხანა დასრულდა.

XIX საუკუნის დამდეგის რეფორმები დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო რუსეთის ისტორიაში. ალექსანდრე I-მა კარგად აუღო ალღო შექმნილ ვითარებას და კონსერვატორულ და რეფორმების მომხრე ძალებს შორის ლავირებით გაატარა ისეთი რეფორმები, რომელთაც კეთილისმყოფელი გავლენა იქონიეს რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ წინსვლაზე.

თავი III. რუსეთის საგარეო პოლიტიკა 1801-1812 წლებში

XIX საუკუნის დამდეგისათვის რუსეთის იმპერიას საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ძლიერი არმია და სამხედრო ფლოტი, კარგად ორგანიზებული დიპლომატიური სამსახური, გამოცდილი დიპლომატიური კორპუსი რუსეთს საშუალებას აძლევდა აქტიურად დაეცვა თავისი ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე. XIX საუკუნის დამდეგისათვის რუსეთის იმპერიას დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა ევროპის ბევრ სახელმწიფოსთან, თურქეთთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერიის დიპლომატიურ სამსახურში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. 1802 წელს შემოიღეს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა. საგარეო საქმეთა მინისტრს დაექვემდებარა საგარეო საქმეთა კოლეგია. 1801 წლიდან საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხები იხილებოდა მუდმივი კომიტეტისა და ფარული კომიტეტის სხდომებზე, ხოლო 1810 წლიდან — სახელმწიფო საბჭოს სხდომებზე.

რუსეთის იმპერიის პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი იყო თავადი ალექსანდრე ვორონცოვი. შემდეგ მინისტრის თანამდებობა ეკავა ნიკოლოზ რუმიანცევს, ა.ი. ბუდბერგს, ადამ ჩარტორისკის. XIX საუკუნის დამდეგისათვის ოფიციალურ დიპლომატიურ მიმოწერაში საბოლოოდ გაბატონდა ფრანგული ენა.

1. **საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი.** XIX საუკუნის დამდეგის საერთაშორისო ვითარებას განსაზღვრავდა საფრანგეთის სულ უფრო მზარდი აგრესიული პოლიტიკა. ამ ეპოქის საერთაშორისო დაძაბულობის უმთავრესი მიზეზი კი იყო ინგლისისა და საფრანგეთის ბრძოლა პოლიტიკური და ეკონომიკური ჰეგემონიისათვის.

ალექსანდრე I-ის საგარეო-პოლიტიკური კურსი თავდაპირველად იმაში გამოიხატებოდა, რომ ინგლის-საფრანგეთის დაპირისპირებაში ნეიტრალიტეტი დაეცვა. მაგრამ ნაპოლეონის აგრესიულმა მოქმედებამ რუსეთი იძულებული გახადა დაპირისპირებოდა საფრანგეთს. საფრანგეთთან დაპირისპირება თავისთავად ნიშნავდა რუსეთის დაახლოებას ინგლისთან, ავსტრიასა და პრუსიასთან. ამრიგად, ევროპაში საფრანგეთის აგრესიის აღკვეთა რუსეთის საგარეო პოლიტიკის მთავარ მიმართულებად იქცა.

XIX საუკუნის დამდეგისათვის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა დაძაბა აღმოსავლეთის საკითხმა. თურქეთის დასუსტებამ ევროპის ბევრ ქვეყანას აღუძრა სურვილი ხმელთაშუა ზღვასა და მახლობელ აღმოსავლეთში მოეპოვებინა უპირატესობა. გამონაკლისს არც რუსეთი და საფრანგეთი შეადგენდნენ. რუსეთისა და საფრანგეთის ინტერესები ბალკანეთის ნახევარკუნძულზეც ეჯახებოდა ერთმანეთს. ბალკანეთზე თურქეთის პოზიციების შესუსტება ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა რუსეთს, რადგან თურქეთის მიერ დაპყრობილი სლავები რუსეთს მოკავშირედ თვლიდნენ. ბალკანეთზე რუსეთის პოზიციების განმტკიცებას კი საფრანგეთი ვერ დაუშვებდა. ამრიგად, ხმელთაშუა ზღვასა და მახლობელ აღმოსავლეთში გაბატონებისაკენ საფრანგეთის მისწრაფების შეზღუდვა რუსეთის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა.

2. **რუსეთის მონაწილეობა საფრანგეთის წინააღმდეგ ომებში.** ნაპოლეონის მიერ შვეიცარიისა და გენუის დაპყრობამ შეაშფოთა ალექსანდრე I. რუსეთს განსაკუთრებით აღელვებდა საფრანგეთის გააქტიურება ხმელთაშუა ზღვაზე, ალბანეთში, იონიის კუნძულებზე და, რაც მთავარია, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე. კონსტანტინოპოლის (სტამბოლის) საფრანგეთის ხელში გადასვლა რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის დიდი მარცხი იქნებოდა. რუსეთი ცდილობდა მახლობელ აღმოსავლეთში ძალთა განლაგება თავის სასარგებლოდ შეეცვალა. რუსეთის გააქტიურებამ ნაპოლეონის დაუფარავი უკმაყოფილება გამოიწვია. რუსეთისა და საფრანგეთის ურთიერთობა საბოლოოდ წახდა მას შემდეგ, რაც ნაპოლეონმა ბურბონთა დინასტიის ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელი ენგიენის (საფრანგეთი) ჰერცოგი სიკვდილით დასაჯა. ევროპაში დაიწყო ანტიფრანგული კოალიციის ჩამოყალიბება. ეს იყო რიგით მესამე ანტიფრანგული კოალიცია. 1805 წელს ხელმოწერილ იქნა რუსეთ-ინგლისის სამოკავშირეო კონვენცია, რომელსაც იმავე წელს ავსტრიაც შეუერთდა. ანტიფრანგული კოალიციის წევრი იყო აგრეთვე შვეცია. მესამე ანტიფრანგული კოალიციის მიზანი იყო საფრანგეთის ჩაყენება ძველ საზღვრებში, ანუ მისი განდევნა გერმანიიდან, იტალიიდან, შვეიცარიიდან და ჰოლანდიიდან. ანტიფრანგული კოალიცია უნდა გამოსულიყო ნაპოლეონის

მიერ დაპყრობილი ქვეყნების დამოუკიდებლობისა და ლეგიტიმიზმის გარანტად.

1805 წელს საფრანგეთსა და ანტიფრანგულ კოალიციას შორის ომი დაიწყო. საფრანგეთის არმია, რომელიც ლა-მანშის სანაპიროზე ბულონში იყო დაბანაკებული და ინგლისის დასაპყრობად ემზადებოდა, ავსტრიის წინააღმდეგ დაიძრა. ავსტრიის არმია დამარცხდა და იძულებული გახდა ვენა დაეტოვებინა. ნაპოლეონისაგან დევნილ ავსტრიის არმიას ოლმიუუცთან (ჩეხეთი) შეუერთდა რუსეთის არმია. რუსეთის არმიის მთავარსარდალი **მიხეილ კუტუზოვი** წინააღმდეგი იყო გენერალური ბრძოლის გამართვისა, მაგრამ მისი მოსაზრება არ გაიზიარეს. 1805 წლის 20 ნოემბერს სოფელ **აუსტერლიცთან** რუსეთისა და ავსტრიის არმიები დამარცხდნენ საფრანგეთის არმიასთან ბრძოლაში. **მესამე ანტიფრანგული კოალიცია** დაიშალა. ავსტრიამ სეპარატული ზავი დადო საფრანგეთთან. მთელი სამხრეთ გერმანია საფრანგეთის მიერ იქნა ოკუპირებული.

აუსტერლიცის ბრძოლის შემდეგ რუსეთის დიპლომატია შეუდგა ახალი საგარეო-პოლიტიკური კურსის შემუშავებას. ხანგრძლივი განსჯის შედეგად გადაწყდა, ერთდროულად ეწარმოებინათ მოლაპარაკება ლონდონთან — საფრანგეთის წინააღმდეგ ახალი კოალიციის შექმნის მიზნით და პარიზში — საფრანგეთთან ზავის დადების მიზნით. მალე გაირკვა, რომ ნაპოლეონი არ აპირებდა ხელი აეღო თავის დაპყრობით გეგმებზე, ისევე როგორც არ აპირებდა რუსეთთან შეთანხმებას და გავლენის სფეროების გაყოფას. სწორედ ამიტომ, ალექსანდრე I-მა გადაწყვიტა საფრანგეთის წინააღმდეგ ომის გაგრძელება. 1806 წელს შეიქმნა **ანტიფრანგული კოალიცია**. ეს იყო რიგით **მეოთხე ანტიფრანგული კოალიცია**, რომელშიც შედიოდნენ: ინგლისი, რუსეთი, შვეცია და პრუსია. საფრანგეთის მიერ გერმანიის ტერიტორიის ოკუპაციით შეშფოთებულმა პრუსიამ პირველმა დაიწყო საომარი მოქმედება საფრანგეთის წინააღმდეგ. მაგრამ სულ მალე მან დიდი მარცხი იწვნია და ფრანგებმა ბერლინი დაიკავეს. პრუსიის დამარცხების შემდეგ საფრანგეთის არმიის წინააღმდეგ ომს მხოლოდ რუსეთი აწარმოებდა.

რუსეთისა და საფრანგეთის არმიები 1807 წელს აღმოსავლეთ პრუსიაში ებრძოდნენ ერთმანეთს. 1807 წლის ივნისში **ფრიდლანდთან** რუსეთის არმიამ მარცხი განიცადა. ამ მარცხმა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო რუსეთი. 1804 წლიდან რუსეთი ომს აწარმოებდა ირანთან, ხოლო 1806 წლიდან — თურქეთთან. ომებს საფრანგეთის, ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ დიდი რაოდენობით ფინანსები სჭირდებოდა, საჭირო იყო არმიის შეკსება და ხელახალი შეიარაღება, რაც ასევე ფინანსებთან იყო დაკავშირებული. ყოველივე ამას ემატებოდა ინგლის-რუსეთის ურთიერთობის დაძაბვა, რაც უპერსპექტივოს ხდიდა ომის წარმოებას საფრანგეთის წინააღმდეგ. ყოველივე ამან ალექსანდრე I აიძულა, ნაპოლეონთან დაზავებაზე ეფიქრა.

3. ტილზიტის ზავი. 1807 წლის ივნისში რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I და საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ I ერთმანეთს შეხვდნენ მდინარე ნემანზე მდებარე დაბა **ტილზიტში**. 25 ივნისს მათ ხელი მოაწერეს ზავს. ტილზიტის ზავით, რუსეთს ტერიტორია არ დაუკარგავს. რუსეთმა ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში თავისუფალი მოქმედების უფლება მიიღო, სამაგიეროდ, ძალზე შესუსტდა რუსეთის პოზიციები ცენტრალურ ევროპაში. მნიშვნელოვნად შემცირდა პრუსიის ტერიტორია, რის გამოც იგი ველარ იქცეოდა საფრანგეთის წინააღმდეგ მებრძოლ სერიოზულ ძალად. გერმანიისა და პოლონეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ფაქტობრივად საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ აღმოჩნდა. შემდეგში, რუსეთთან ომის დროს ეს ტერიტორია ნაპოლეონმა პლაცდარმად გამოიყენა. რუსეთი იძულებული გახდა ეცნო საფრანგეთის სუვერენიტეტი იონიის კუნძულებზე და დათანხმებოდა მოლდოვადან და ვალახეთიდან ჯარების გამოყვანას. ამრიგად, ტილზიტის ზავით, ძალზე სუსტებოდა რუსეთის პოზიციები ცენტრალურ ევროპაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და ხმელთაშუა ზღვაზე.

რუსეთის იმპერიისათვის განსაკუთრებით მძიმე იყო ტილზიტის ზავის ის მუხლი, რომელიც **კონტინენტურ ბლოკადასთან** შეერთებას ითვალისწინებდა. ამიერიდან რუსეთს ინგლისთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა უნდა გაეწყვიტა. ინგლისთან ვაჭრობის შეწყვეტა დიდ დარტყმას მიაყენებდა რუსეთის ეკონომიკას, სერიოზულად დაუზარალებდა თავადაზნაურობასა და ვაჭრებს.

ტილზიტის ზავის პირობები ძალზე მძიმე იყო რუსეთისათვის. ცხადია, რუსეთი ზავის პირობებს დიდხანს არ დაიცავდა და შეეცდებოდა მის გადასინჯვას. სამაგიეროდ, ტილზიტის ზავი საპატიო და ხელსაყრელი იყო ნა-

პოლეონისათვის, თუმცა საფრანგეთის იმპერატორი საბოლოო მიზანს მიღწეულად არ თვლიდა და, ამდენად, ზავს ისიც დროებით შესვენებად მიიჩნევდა.

4. რუსეთ-შვეციის 1808-1809 წლების ომი. ალექსანდრე I-მა ფინეთის დაპყრობის მიზნით, კარგად გამოიყენა ტილზიტის ზავი. მას შემდეგ, რაც შვეციის მეფემ გუსტავ IV ადოლფმა უარი განაცხადა ინგლისთან ურთიერთობის გაწყვეტაზე და არ შეუერთდა კონტინენტურ ბლოკადას, რუსეთის ჯარები 1808 წელს ფინეთში შეიჭრნენ. დაიწყო რუსეთ-შვეციის ომი. 1808 წელსვე რუსებმა დაიკავეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე და შვედეთის არმიას ჩრდილოეთისაკენ დაახევინეს. მალე რუსეთის ჯარებმა დაიკავეს ფინეთის დედაქალაქი აბო და მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი **სვეაბორგი.** 1809 წელს რუსეთის არმიის ორი კორპუსი, გენერლების **პეტრე ბაგრატიონისა და მიხეილ ბარკლაი-დე-ტოლის** სარდლობით, შვეციის ტერიტორიაზე შეიჭრა. მეფე გუსტავ IV ადოლფი ტახტიდან გადააყენეს. 1809 წლის აგვისტოში **ფრიდრიხსჰამსში** რუსეთსა და შვეციას შორის დაიდო ზავი. ზავის პირობების თანახმად, ფინეთი გადავიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. შვეციას კავშირი უნდა გაეწყვიტა ინგლისთან და შეერთებოდა კონტინენტურ ბლოკადას.

ფინეთის დაპყრობის შემდეგ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეიქმნა **ფინეთის დიდი სამთავრო.** ფინეთის დიდი მთავრის ტიტული რუსეთის იმპერატორმა მიიღო. ფინეთს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში უნდა ეარსება როგორც **ავტონომიურ სამთავროს.** ფინეთის დიდ სამთავროს ჰქონდა თავისი საკანონმდებლო ორგანო — **სეიმი,** რომლის კომპეტენციას განეკუთვნებოდა ადგილობრივი მნიშვნელობის კანონების მიღება. ფინეთს ჰქონდა თავისი **საბაჟო.** სამთავროს შემოსავალი რუსეთის იმპერიის ბიუჯეტში კი არ ირიცხებოდა, არამედ საკუთრივ ფინეთში მოიხმარებოდა (XIX საუკუნის შუა ხანებში ფინეთში შემოიღეს დამოუკიდებელი ფულადი სისტემა). ფინეთი გათავისუფლებული იყო არმიის შენახვის ხარჯებისაგან, ხოლო ფინელები — არმიაში სამსახურისაგან. 1811 წელს ფინეთს შეუერთეს ვიბორგის გუბერნია. ადმინისტრაციული თვალსაზრისით, ფინეთის ტერიტორიას გენერალ-გუბერნატორი განაგებდა.

5. რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა 1808-1811 წლებში. ტილზიტის ზავი არ იყო მტკიცე. რუსული არისტოკრატიის დიდი ნაწილი ზავს პატრიოტული გრძნობების შელახვად მიიჩნევდა. ინგლისთან პურითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის შეწყვეტამ დიდად დააზარალა თავადაზნაურობა და ვაჭრები. კონტინენტურმა ბლოკადამ საერთოდ დიდი ზიანი მიაყენა რუსეთის ეკონომიკას. დაზარალებულნი არც მალავდნენ თავიანთ უკმაყოფილებას.

ტილზიტის ზავით არც ნაპოლეონი იყო კმაყოფილი — საფრანგეთისათვის ხელსაყრელი ზავის მიუხედავად, საბოლოო მიზანი მაინც მიუღწეველი დარჩა. ნაპოლეონს არ სურდა რუსეთისათვის ევროპაში გაელენის სფეროების დათმობა, ამიტომ მან ალექსანდრე I-ს შესთავაზა თურქეთის ტერიტორიის გადანაწილება. მოლაპარაკება თურქეთის გადანაწილებასთან დაკავშირებით უშედეგოდ დამთავრდა. ამ მოლაპარაკებას ორივე მხარე დროის მოგების მიზნით აწარმოებდა. საფრანგეთისა და რუსეთის იმპერატორები ახალი ომისათვის ემზადებოდნენ.

1808 წელს ნაპოლეონი და ალექსანდრე I ერთმანეთს შეხვდნენ ერფურტში (გერმანია). ამ დროისათვის ნაპოლეონს მთელი თავისი ძალები ევროპის დაპყრობილი ქვეყნების შენარჩუნებისათვის ჰყავდა მობილიზებული და ამდენად რუსეთთან ომი მისთვის სასურველი არ იყო. ყოველივე ამას კარგად გრძნობდა ალექსანდრე I და ცდილობდა, ტილზიტის ზავის პირობები როგორმე შეემსუბუქებინა. რუსეთის იმპერატორმა მიზანს მიაღწია. ერფურტის შეთანხმებით, საფრანგეთმა ცნო რუსეთის ინტერესები **ფინეთში, მოლდოვასა და ვალახეთში.** ნაპოლეონმა ვერ დაითანხმა ალექსანდრე I, აქტიურად დახმარებოდა საფრანგეთს ინგლისისა და ავსტრიის წინააღმდეგ ომში.

ერფურტის შეხვედრის შემდეგ რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა სულ უფრო იძაბებოდა. რუსეთი უკმაყოფილო იყო იმით, რომ ნაპოლეონმა გააფართოვა პოლონეთის ტერიტორიაზე მის მიერ შექმნილი **ვარშავის საჰერცოგოს** საზღვრები და თითქმის მთლიანად დაიკავა გერმანიის ტერიტორია. რუსეთი უკმაყოფილო იყო საფრანგეთის დიპლომატიის გააქტიურებით თურქეთში. ყოველივე ამას თან ერთვოდა კონტინენტური ბლოკადით მიღებული ზარალი. მარტო 1809 წელს ინგლისთან ვაჭრობის შეწყვეტის შედეგად რუსეთმა 157

მილიონი მანეთი იზარალა. ამ უზარმაზარ დანაკარგს ვერ ანაზღაურებდა ვაჭრობა საფრანგეთთან. ასეთ ვითარებაში რუსეთმა გამოსავალი ე.წ. ნეიტრალურ ვაჭრობაში პოვა. რუსეთმა დაიწყო ამერიკული, ბერძნული და სხვა სავაჭრო გემების გამოყენება საქონლის გადაზიდვის მიზნით. ამ გზით რუსეთში ინგლისიდან დიდი რაოდენობით შემოდიოდა კონტრაბანდული საქონელი. ამავე გზით ინგლისი რუსეთიდან იღებდა მისთვის აუცილებელ საქონელს. რუსეთის ხელისუფლება კონტრაბანდულ ვაჭრობას თითქოს ვერ ამჩნევდა და ზომებს არ იღებდა მის აღსაკვეთად. ნაპოლეონმა რამდენჯერმე მოითხოვა ნეიტრალური ვაჭრობის აკრძალვა, მაგრამ რუსეთისაგან თანხმობა ვერ მიიღო.

1810 წლისათვის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა უკიდურესად გამწვავდა. ორ ქვეყანას შორის დამოკიდებულება კიდევ უფრო დაძაბა ნაპოლეონის მიერ ჩრდილოეთ გერმანიის დაპყრობამ. ჩრდილოეთ გერმანიის ტერიტორიის დაპყრობასთან ერთად, ფრანგებმა დაიპყრეს ოლდენბურგის საჰერცოგო, რომელიც რუსეთის იმპერატორთა მემკვიდრეობით სამფლობელოს წარმოადგენდა და მისი დამოუკიდებლობა აღიარებული იყო ტილზიტის ხელშეკრულებით.

1811 წლიდან როგორც რუსეთი, ისე საფრანგეთი ომისათვის მზადებას შეუდგნენ.

6. აღმოსავლეთის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში. რუსეთის იმპერიის საერთაშორისო მდგომარეობას ართულებდა არა მარტო საფრანგეთ-რუსეთის, არამედ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებაც.

წინააღმდეგობრივად განვითარდა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა. 1799 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც მიმართული იყო საფრანგეთის წინააღმდეგ. ხელშეკრულების ძალით, თურქეთი რუსეთს უფლებას აძლევდა სამხედრო ფლოტი შავი ზღვის სრუტეების გავლით ხმელთაშუა ზღვაში შეეყვანა. რუსეთის სამხედრო ესკადრა ადმირალ თევდორე უშაკოვის სარდლობით იტალიის სანაპიროებთან იმყოფებოდა და 1799-1800 წლებში აქტიურად იბრძოდა იტალიაში მყოფი საფრანგეთის ჯარების წინააღმდეგ. ალექსანდრე I-მა გააგრძელა რუსეთ-თურქეთის დაახლოების პოლიტიკა. 1805 წელს დაიდო რუსეთ-თურქეთის ახალი ხელშეკრულება, რომლის ძალითაც რუსეთის სამხედრო ფლოტს უფლება რჩებოდა, შავი ზღვის სრუტეები გამოეყენებინა. რუსეთმა კარგად ისარგებლა ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებით და ხმელთაშუა ზღვაში საფრანგეთის წინააღმდეგ აქტიურად აამოქმედა სამხედრო ფლოტი.

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა კვლავ დაძაბა ბალკანეთის საქმეებში რუსეთის ჩარევამ. 1804 წელს დაიწყო სერბების აჯანყება. აჯანყების ხელმძღვანელებმა დახმარებისათვის რუსეთს მიმართეს. რუსეთი პირველ ხანებში ერიდებოდა თურქეთთან ურთიერთობის გართულებას, მაგრამ შემდგომ რუსეთის პოზიცია შეიცვალა. 1805 წელს თურქეთის დამსჯელ ჯარებსა და აჯანყებულ სერბებს შორის ცხარე ბრძოლების დროს რუსეთის სამხედრო ფლოტის გემებიდან აჯანყებულმა სერბებმა ქვემეხები და საბრძოლო საჭურველი მიიღეს. რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა აშკარად გაუარესდა.

აუსტერლიცის ბრძოლის (1805 წ.) შემდეგ თურქეთს მერყეობა დაეტყო. ცხადი იყო, რომ თურქეთის სულთანი ნაპოლეონთან კავშირისაკენ იხრებოდა. 1806 წლის დამდეგიდან თურქეთის ხელისუფლების ანტირუსული განწყობილება სულ უფრო ძლიერდებოდა, რაც იმით დამთავრდა, რომ თურქეთმა რუსეთისათვის შავი ზღვის სრუტეები დახურა და პროვოკაციული მოქმედება დაიწყო მოლდოვასა და ვალახეთში. რუსეთ-თურქეთს შორის დაძაბულობა 1806 წლის დეკემბერში ომში გადაიზარდა.

უსიამოვნებანი რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში ალექსანდრე I-ს აიძულებდა ეზრუნა თურქეთთან ომის დროულად დამთავრებაზე. 1811 წელს დუნაის არმიის სარდლად დაინიშნა გენერალი მიხეილ კუტუზოვი. დუნაის არმიაში იმყოფებოდა გენერალი პეტრე ბაგრატიონიც. 1811 წელს მიხეილ კუტუზოვმა თურქეთის არმია რამდენჯერმე სასტიკად დაამარცხა. თურქეთი იძულებული გახდა საზავო მოლაპარაკებას დასთანხმებოდა. 1812 წლის მაისში ბუქარესტში ხელმოწერილი ზავის თანახმად, რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა ბესარაბია. რუსეთ-თურქეთის საზღვარი მდინარე პრუტზე უნდა გასულიყო. მოლდოვა და ვალახეთი თურქეთს დარჩა იმ პირობით, რომ მათ ავტონომია უნდა მიეღოთ. ამიერკავკასიაში რუსეთმა მხოლოდ სოხუმის შენარჩუნება შეძლო, ფოთი და ახალციხე კი თურქეთს დაუბრუნდა.

ბუქარესტის ზავი რუსეთისათვის უაღრესად ხელსაყრელ დროს დაიდო. უშუალოდ საფრანგეთთან ომის წინა ხანებში რუსეთმა მოახერხა

ურთიერთობის მოგვარება თურქეთთან. დუნაის-პირეთსა და კავკასიაში განლაგებული არმიის ნაწილი შემდგომ საფრანგეთის წინააღმდეგ ომში გამოიყენეს.

1801-1811 წლების დაძაბული საერთაშორისო ურთიერთობები ვერ განიმუხტა. ამის უმთავრესი მიზეზი რუსეთ-საფრანგეთის დაპირისპირება იყო. ეს დაპირისპირება მხოლოდ 1812 წლის სამამულო ომმა გადაჭრა.

თავი IV. 1812 წლის სამამულო ომი

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობამ რამდენიმე ეტაპი განვლო. ორ იმპერიას შორის ომებს (მესამე და მეოთხე ანტიფრანგული კოალიცია) ცვლიდა საზავო მოლაპარაკებები (ტილზიტისა და ერფურტის ხელშეკრულებები), მაგრამ წინააღმდეგობები კი არ კლებულობდა, პირიქით, მატულობდა. ევროპის გავლენის სფეროებად დაყოფას, როგორც გაირკვა, არ შეიძლებოდა მშვიდობა ჩამოეგდო ორ ქვეყანას შორის. გავლენის სფეროების საზღვრები მყარი არ იყო და ხშირად ორივე მხარის უკმაყოფილებას იწვევდა. ნაკისრ ვალდებულებებს არც საფრანგეთი და არც რუსეთი არ ასრულებდა. კონტინენტური ბლოკადის პირობების დაცვა რეალურად არც ერთ მხარეს არ შეეძლო — ორივე თავის სასარგებლოდ არღვევდა მას. სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რომ ევროპის კონტინენტზე ჰეგემონიის საკითხი საფრანგეთსა და რუსეთს შორის ომს უნდა გადაეწყვიტა. იმთავითვე ისიც ცხადი იყო, რომ ამ ომში თავიანთ ინტერესებს დაიცავდნენ ინგლისი და ევროპის სხვა ქვეყნები და ერები.

1. მზადება ომისათვის. ავსტრიის ტერიტორიის (გალიციის) ხარჯზე ვარშავის საჰერცოგოს გაზრდა და ოლდენბურგის საჰერცოგოს დაპყრობა უკვე იმის მაუწყებელი იყო, რომ ნაპოლეონი რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას მოლაპარაკების გზით აღარ აპირებდა. რუსეთიც აშკარად არღვევდა ტილზიტის ზავის ერთ-ერთ უმთავრეს მოთხოვნას — **კონტინენტური ბლოკადის** პირობას, რაც მდგომარეობას უმსუბუქებდა ინგლისს. საფრანგეთიცა და რუსეთიც ომისათვის ემზადებოდნენ.

ნაპოლეონმა 1811-1812 წლებში უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები გაატარა არმიის გაძლიერების მიზნით. დამატებითი მობილიზაციის შედეგად საფრანგეთის არმიას შეემატა 250.000 კაცი. ნაპოლეონი ფართოდ იყენებდა მის მიერ დაპყრობილი ქვეყნების ადამიანთა რესურსებს. 1812 წლისათვის, რუსეთთან ომის წინ, საფრანგეთის არმია 1.200.000 ჯარისკაცსა და ოფიცერს ითვლიდა.

რუსეთთან ომის ნაპოლეონისეული გეგმა ითვალისწინებდა, **ხანმოკლე შეტევითი ომის შედეგად, რუსეთის არმიის განადგურებას საზღვარზე გამართულ გენერალურ ბრძოლაში.** რუსეთის დაპყრობას საფრანგეთის იმპერატორი ერთი თვის განმავლობაში ვარაუდობდა. მთელი 1811 წელი ნაპოლეონმა მოანდომა საფრანგეთის არმიის რუსეთის იმპერიის დასავლეთ საზღვრებთან გადასროლას.

ომისათვის ემზადებოდა რუსეთიც. 1810 წელს სამხედრო სამინისტრომ, სამხედრო მინისტრის გენერალ მიხეილ ბარკლაი-დე-ტოლის ხელმძღვანელობით — შეიმუშავა რუსეთის არმიის ხელახალი შეიარაღების, ქვეყნის დასავლეთი საზღვრების გამაგრების, მდინარეებზე — **დასავლეთ დვინაზე, ბერეზინასა და დნეპრზე** თავდაცვითი ზღუდეების შექმნის გეგმა. გეგმის მთლიანად რეალიზება ფინანსური სიძნელეების გამო შეუძლებელი გახდა. მხოლოდ მდინარეების — **ნემანის, დასავლეთ დვინისა და ბერეზინას** გასწვრივ შეიქმნა თავდაცვითი ზღუდეები და ისიც, ნაწილობრივ და ნაჩქარევად. თავდაცვითი ზღუდეები იმდენად ნაჩქარევად და უხარისხოდ აშენდა, რომ საფრანგეთის არმიას დიდად არ გასძნელებია მათი გადალახვა. 1810-1812 წლებში შედარებით უფრო ხარისხიანად განხორციელდა რუსეთის არმიის ხელახალი შეიარაღება. დიდი სიძნელეები წარმოიშვა ახალი გაწვევის ხარჯზე არმიის გაზრდის საქმეში. რუსეთში მოქმედი სარეკრუტო სისტემა, რომელიც გლეხობიდან ოცდახუთწლიან სამსახურში გაწვევას ითვალისწინებდა, რეზერვისტთა ხარჯზე არმიის მნიშვნელოვნად გაზრდის საშუალებას არ იძლეოდა. სწორედ ამიტომ, დამატებითი სარეკრუტო გაწვევის შემდეგაც კი, რუსეთის არმია 600.000 ჯარისკაცსა და ოფიცერს ითვლიდა. ქვეყნის დასავლეთ საზღვარზე სამხედრო სამინისტრომ მხოლოდ 210-220 ათასი ჯარისკაცისა და ოფიცრის გადაყვანა მოახერხა, რაც სრულიადაც არ იყო საკმარისი.

1812 წლის 12 თებერვალს საფრანგეთმა სამოკავშირეო ხელშეკრულება დადო პრუსიასთან, რომლის ძალითაც პრუსიას საფრანგეთის არმიისათვის დამატებით 20.000 კაცი უნდა მიეცა. 1812 წლის 2 მარტს მსგავსი ხელშეკრულება დაიდო საფრანგეთსა და ავსტრიას შორის. ავსტრია ვალდებულებას იღებდა საფრანგეთის დასახმარებლად გამოეყვანა 30.000 კაცი. დროს ფუჭად არც რუსეთი კარგავდა. 1812 წლის 24 მარტს რუსეთმა ხელშეკრულება დადო შვეციასთან, რომლის ძალითაც ხელშეკრულების დამდები მხარეები აღიარებდნენ სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ნაპოლეონი შვეციას რუსეთთან წინააღმდეგ ომში

ველარ მიიმხრობდა. თურქეთის დამარცხებისა და 1812 წლის მაისში ბუქარესტის ზავის დადების შემდეგ, რუსეთს საშუალება მიეცა დუნაის არმია ქვეყნის დასავლეთ რაიონებში გადაეყვანა, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა საზღვრის დაცვის საქმეს.

1812 წლის ივნისისათვის ნაპოლეონი მზად იყო რუსეთთან ომის დაწყებისათვის. რუსეთის დასავლეთ საზღვარზე იდგა ბრძოლებში გამობრძმედილი და კარგად შეიარაღებული საფრანგეთის 600-ათასიანი არმია, რომელსაც სათავეში ედგა კაცობრიობის ისტორიაში ერთერთი უდიდესი მხედართმთავარი ნაპოლეონ ბონაპარტი.

2. ძალთა თანაფარდობა. მოწინააღმდეგეთა სამხედრო-სტრატეგიული გეგმები. რუსეთის არმია ომის დასაწყისისათვის მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა საფრანგეთის არმიას. მილიონ ორასათასიანი არმიიდან რუსეთის დასავლეთ საზღვრებთან ნაპოლეონს დაჯგუფებული ჰყავდა 600 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, რუსეთს კი 600-ათასიანი არმიიდან ქვეყნის დასავლეთ რაიონებში მხოლოდ 210-220 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი განლაგებინა. რუსეთის არმიას სტრატეგიული თვალსაზრისით, არახელსაყრელი პოზიცია ეკავა: არმია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გაჭიმული იყო დიდ სივრცეზე – 600 კილომეტრზე, მაშინ როდესაც, საფრანგეთის არმია დაჯგუფებული იყო 300-კილომეტრიან ზოლზე. რუსეთის პირველი არმია (120 ათასი კაცი) გენერალ მიხეილ ბარკლაი-დე-ტოლის სარდლობით იმყოფებოდა როსიენასა და ლიდის რაიონებში და პეტერბურგის მიმართულებით იცავდა 180-კილომეტრიან თავდაცვით ზღუდეს. მეორე არმია (50 ათასი კაცი) გენერალ პეტრე ბაგრატიონის სარდლობით განლაგებული იყო 50-კილომეტრიან თავდაცვით ზღუდეზე მდინარეებს – ნემანსა და დასავლეთ ბუგს შორის და იცავდა მოსკოვის მიმართულებას. პირველ და მეორე არმიას შორის 100-კილომეტრიანი ზოლი დაუცველი იყო. მესამე არმია (45 ათასი კაცი) გენერალ ალექსანდრე ტორმასოვის სარდლობით, ვოლინში (უკრაინა) იდგა და კიევის მიმართულებას იცავდა. მესამე არმიას მეორისაგან ტყეებითა და ჭაობებით დაფარული 200-კილომეტრიანი სივრცე აშორებდა. ქვეყნის დასავლეთ საზღვრებზე არმიის განლაგების გეგმის შემუშავება 1810 წელს დაიწყო. გეგმაზე მუშაობდნენ ალექსანდრე I, სამხედრო მინისტრი გენერალი მიხეილ ბარკლაი-დე-ტოლი და გენერალი ფულე. გეგმის არსი შემდეგში მდგომარეობდა: საფრანგეთის არმიის შემოტევის შემთხვევაში, პირველ არმიას უნდა დაეხია მდინარე დვინისაკენ, ქალაქ დრისის მიდამოებში განლაგებული გამაგრებული ბანაკის მიმართულებით. დრისის რაიონში უნდა გამართულიყო გენერალური ბრძოლა. მეორე არმიას, გეგმის მიხედვით, საფრანგეთის არმიის ფლანგსა და ზურგში უნდა ემოქმედა.

ნაპოლეონის სამხედრო-სტრატეგიული გეგმა რუსეთის არმიების არახელსაყრელი განლაგებიდან გამომდინარეობდა. საფრანგეთის არმიას რუსეთის პირველ და მეორე არმიებს შორის არსებულ, დაუცველად დატოვებულ ზოლზე უნდა შეეტია, გენერალ მიხეილ ბარკლაი-დე-ტოლისა და გენერალ პეტრე ბაგრატიონისათვის არ მიეცა პირველი და მეორე არმიების გაერთიანების საშუალება, ორივე არმია საზღვართან რაც შეიძლება ახლოს, ცალ-ცალკე მოექცია ალყაში და გაენადგურებინა გენერალ ალექსანდრე ტორმასოვის მესამე არმიის მოსვლამდე.

1812 წლის ივნისისათვის რუსეთის არმია, მართალია, რიცხობრივი თვალსაზრისით ჩამოუვარდებოდა საფრანგეთის არმიას, მაგრამ კარგად იყო გამობრძმედილი ბოლო ათწლეულში მომხდარ ომებში. ჯარისკაცებსა და ოფიცრებს ჰქონდათ დიდი საბრძოლო გამოცდილება, არმიაში მაღალი პატრიოტული შეგნება სუფევდა. რუსეთის არმიას ჰყავდა ბრწყინვალე გენერალიტეტი: მიხეილ კუტუზოვი, პეტრე ბაგრატიონი, ნიკოლოზ რაევსკი, მიხეილ ბარკლაი-დე-ტოლი, ალექსი ერმოლოვი, მიხეილ პლატოვი, მიხეილ მილორადოვიჩი, ალექსანდრე ტორმასოვი, დიმიტრი დოხტუროვი, პეტრე ვიტგენშტეინი და სხვები.

3. ომის დასაწყისი. 1812 წლის 12 ივნისს ღამით საფრანგეთის არმიამ დაიწყო მდინარე ნემანის გადალახვა. 12 ივნისს დილით ადრე ფრანგებმა დაიკავეს ქალაქი როენო. ოფიციალურად საფრანგეთს რუსეთისათვის ომი არ გამოუცხადებია. თუმცა 11 ივნისს საფრანგეთის ელჩმა პეტერბურგში ლორისტონმა რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროს აცნობა, რომ იგი წყვეტდა თავისი მისიის შესრულებას.

რუსეთის არმია ბრძოლაში არ ჩაბმულა, ისე დაიწყო უკან დახევა. ფრანგებმა ამით ისარგებლეს და სწრაფად წაიწიეს წინ. ნაპოლეონი, წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად, ვარაუდობდა რუსეთის პირველი და მე-

მიხეილ ბარკლაი-დე-ტოლი

ორე არმიების ცალ-ცალკე განადგურებას. ომის პირველსავე დღეს თავის გამარჯვებაში დარწმუნებული ნაპოლეონი აცხადებდა: „ახლა ბაგრატიონი და ბარკლაი-დე-ტოლი ერთმანეთს ველარ ნახავენ“.

რუსეთის პირველმა არმიამ, გეგმის თანახმად, გენერალ მიხეილ ბარკლაი-დე-ტოლის სარდლობით ქალაქი ვილნო დატოვა და დრისის ბანაკისაკენ დაიწყო უკან დახევა. მ. ბარკლაი-დე-ტოლი დარწმუნებული არ იყო დრისის რაიონში თავდაცვითი ბრძოლების გამართვის მიზანშეწონილობაში, ამიტომ წინასწარ შემუშავებული გეგმა შეცვალა და პოლოცკისა და ვიტებსკის გავლით მეორე არმიასთან შესაერთებლად გაემართა. მეორე არმია გენერალ პ. ბაგრატიონის სარდლობით სლუცკისა და ბობრუისკის მიმართულებით იხევდა უკან. კავშირი პირველ და მეორე არმიებს შორის ვერ მყარდებოდა. ასეთ ვითარებაში საფრანგეთის არმია მარშალ დავუს სარდლობით შეეცადა ალყაში მოექცია მეორე არმია. ნაპოლეონი ამ ჩანაფიქრის რეალიზებაზე დიდ იმედებს ამყარებდა. პეტრე ბაგრატიონმა დავუს ჩანაფიქრი ამოიცნო, ბრწყინვალე მანევრი განახორციელა, ნოვი ბიხოვის რაიონში მდინარე დნეპრი გადალახა და ფრანგებს ხელიდან დაუსხლტა. ამის შემდეგ პ. ბაგრატიონი მსტისლავლისაკენ გაემართა, საიდანაც სმოლენსკის მიმართულებით განაგრძო უკანდახევა. მ. ბარკლაი-დე-ტოლი, რომელმაც არაფერი იცოდა პ. ბაგრატიონის ტაქტიკური ჩანაფიქრის შესახებ, ფრანგებთან გენერალურ ბრძოლაში არ ებმებოდა, იგი ვიტებსკისაკენ იხევდა უკან. ვიტებსკში მ. ბარკლაი-დე-ტოლმა შეიტყო, რომ მეორე არმიას სმოლენსკისაკენ დაეხია. სმოლენსკისაკენ გაემართა პირველი არმიაც. ვიტებსკში ნაპოლეონი ორი კვირა შეჩერდა. რუსეთის პირველი და მეორე არმიების დიდი დანაკარგების გარეშე სმოლენსკისაკენ უკან დახევა იმის მომასწავებელი იყო, რომ ჩაშალა ნაპოლეონის უმთავრესი ჩანაფიქრი — საზღვართან ახლოს გაერთიანებამდე ალყაში მოექცია და ცალ-ცალკე გაენადგურებინა პირველი და მეორე არმიები. ფრანგების შეტევის ტემპი შენელდა, რადგან აღალი ჩამორჩა მოქმედ არმიას. საფრანგეთის არმია მოსწყდა ზურგის კომუნიკაციებს, რის გამოც ფერხდებოდა მომარაგება. ნაპოლეონი იძულებული გახდა ყველა ქალაქში გარნიზონები დაეტოვებინა.

1812 წლის 22 ივლისს რუსეთის პირველი და მეორე არმიები სმოლენსკთან შეერთდნენ. ეს იყო რუსეთის სარდლობის დიდი გამარჯვე-

პეტრე ბაგრატიონი

ბა და ნაპოლეონის სერიოზული მარცხი. 1812 წლის ივლისის ბოლოს საფრანგეთის არმია სმოლენსკს სამხრეთიდან მიუახლოვდა. ფრანგებს გზა გადაულობა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა გენერალ დიმიტრი ნეველროვსკის კორპუსმა. სმოლენსკის დაცვისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინეს გენერლების ნიკოლოზ რაევსკისა და დიმიტრი დოხტუროვის კორპუსებმა. მძიმე თავდაცვითი ბრძოლების შემდეგ რუსებმა 1812 წლის 6 აგვისტოს ღამით ცეცხლში გახვეული და დანგრეული სმოლენსკი დატოვეს.

სმოლენსკთან ნაპოლეონმა ვერ შეძლო უკვე გაერთიანებული რუსეთის პირველი და მეორე არმიების განადგურება. სმოლენსკში შესულმა ნაპოლეონმა განაცხადა: „1812 წლის კამპანია დასრულებულია". სმოლენსკის ბრძოლის შემდეგ ნაპოლეონის წინაშე დადგა ომის პერსპექტივის საკითხი. მარშალი მიურატი ნაპოლეონს ურჩევდა, შეეწყვიტა მოსკოვზე ლაშქრობა. სმოლენსკიდანვე ნაპოლეონმა სცადა, ალექსანდრე I-თან ზავზე მოლაპარაკება დაეწყო. საფრანგეთის იმპერატორის წინადადება ალექსანდრე I-მა უპასუხოდ დატოვა.

სმოლენსკთან შეერთების მომენტისათვის რუსეთის პირველი და მეორე არმიები დაახლოებით 120 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს ითვლიდა. ამ დროისათვის კი საფრანგეთის არმია დაახლოებით 200 ათასი კაცისაგან შედგებოდა. ძალთა ასეთი თანაფარდობის პირობებში გენერალთა ერთი ნაწილი პ. ბაგრატიონის მეთაურობით ახალი გენერალური ბრძოლის გამართვის მომხრე იყო. მ. ბარკლაი-დე-ტოლმა გამოიყენა თავისი თანამდებობრივი უპირატესობა (იგი სამხედრო მინისტრიც იყო) და უკან დახევის ბრძანება გასცა. გენერალი პეტრე ბაგრატიონი ამგვარი ტაქტიკით საჯაროდ გამოთქვამდა თავის უკმაყოფილებას.

მიხეილ ბარკლაი-დე-ტოლის ჩანაფიქრი სმოლენსკის ბრძოლამდეც და სმოლენსკის ბრძოლის შემდეგაც — საფრანგეთის არმიასთან გენერალური ბრძოლისათვის თავის არიდება და რუსეთის სიღრმეში უკან დახევა — განპირობებული იყო იმით, რომ ნაპოლეონს არ მისცემოდა საშუალება რუსეთის არმიების ერთბაშად განადგურებისა ომის საწყის ეტაპზეც. მ. ბარკლაი-დე-ტოლი არ იყო დიდი მხედართმთავარი, იგი ჭკვიანი, ფრთხილი, მამაცი და მრავლისმნახველი გენერალი იყო. მან ზუსტად ამოიცნო, თუ რას ესწრაფოდა ნაპოლეონი და თავისი ტაქტიკაც სწორედ ამაზე ააგო: რუსეთის არმიების უკან დახევით იგი ხელს უშლიდა ნაპოლეონს, განეხორციელებინა თავისი სტრატეგიული ჩანაფიქრი. მიხეილ ბარკლაი-დე-ტოლს ჰქონდა კიდევ ერთი დიდი ღირსება: მას ეჭვი არასოდეს შეჰპარვია რუსეთის არმიის, რუსი ჯარისკაცებისა და ოფიცრების, გენერალიტეტის უდიდეს საბრძოლო შესაძლებლობებში, თავგანწირვის უნარსა და სიმამაცეში, მაგრამ ამავე დროს მ. ბარკლაი-დე-ტოლი შესანიშნავად ხედავდა იმ უდიდეს განსხვავებას, რომელიც მასსა და ნაპოლეონს შორის არსებობდა. სმოლენსკიდან უკან დახევის შემდეგ მ. ბარკლაი-დე-ტოლის ავტორიტეტი შეირყა როგორც გენერალიტეტში, ისე ოფიცრებსა და ჯარისკაცებში. მისი ავტორიტეტი დაეცა ალექსანდრე I-ის თვალშიც. ომმა სამამულო, ეროვნული ხასიათი მიიღო. ასეთ ვითარებაში რუსეთის არმიის მთავარსარდალი უნდა ყოფილიყო ისეთი პიროვნება, რომელიც საერთო-სახალხო აღიარებითა და სიყვარულით სარგებლობდა. ასეთი იყო გენერალი მიხეილ კუტუზოვი. ალექსანდრე I-ს არ უყვარდა მიხეილ კუტუზოვი, მაგრამ სხვა გამოსავალი იმპერატორს არ ჰქონდა. 1812 წლის 8 აგვისტოს ალექსანდრე I-მა სამოცდაშვიდი წლის მიხეილ კუტუზოვი რუსეთის არმიის მთავარსარდლად დანიშნა. მთავარსარდლის დანიშვნას დიდი სიხარულითა და მოწონებით შეხვდა გენერალიტეტი, მთელი არმია და რუსი ერი.

4. ბოროდინოს ბრძოლა. რუსეთის არმიის მთავარსარდლად დანიშნული მიხეილ კუტუზოვი არმიის შტაბში გამოცხადდა 1812 წლის 17 აგვისტოს. შტაბი იმხანად სმოლენსკიდან მოსკოვისაკენ მიმავალ გზაზე, დაბა ცარევო-ზაიმიშჩეში იმყოფებოდა. ცარევო-ზაიმიშჩეში მ. ბარკლაი-დე-ტოლი იმიტომ შეჩერდა, რომ აქ აპირებდა მოსკოვისაკენ მიმავალი საფრანგეთის არმიისათვის გენერალური ბრძოლის გამართვას. უნდა აღინიშნოს, რომ მ. კუტუზოვი დასავლეთის საზღვრებიდან ქვეყნის სიღრმეში უკან დახევის ტაქტიკას სავსებით სწორად მიიჩნევდა, მაგრამ მისი დანიშვნა მთავარსარდლად ისეთ ვითარებაში მოხდა, როდესაც უკან დახევის ტაქტიკა საიმპერატორო კარზე, რუსეთის საზოგადოებრივ ელიტაში, გენერალიტეტში ძალზე არაპოპულარული იყო. ამის გამო მ. კუტუზოვი აშკარად ვერ დაუჭერდა მხარს ამგვარი ტაქტიკის უცვლელად გაგრძელებას. რუსეთის არმიის შტაბში მისვლისთანავე მ. კუტუზოვმა განაცხადა, რომ იგი მომხრეა გენერალური ბრძოლის გამართვისა, მაგ-

რამ ცარევო-ზაიმიშჩეს მიდამოები ამისათვის ტაქტიკური თვალსაზრისით არახელსაყრელად ეჩვენა. მ. კუტუზოვმა გენერალური ბრძოლის ადგილად შეარჩია მოსკოვიდან 120 კილომეტრის დაშორებით მდებარე სოფელ ბოროდინოს მიდამოები. რუსეთის არმიამ დაბა ცარევო-ზაიმიშჩედან სოფელ ბოროდინოსაკენ დაიწყო უკან დახევა. ამ ტაქტიკურ სვლას ცუდად არ უმოქმედია გენერალიტეტისა და, საერთოდ, არმიის საბრძოლო სულისკვეთებაზე, რადგან მთავარსარდალს გენერალური ბრძოლის გამართვის შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა.

ბოროდინოს მიდამოები მიხეილ კუტუზოვს შემთხვევით არ შეურჩევია. ბოროდინო ისეთ ადგილას მდებარეობდა, რომ იქ გამაგრებულ რუსეთის არმიას შეეძლო მოსკოვისაკენ მიმავალი ორი მთავარი გზის — **სმოლენსკის ძველი და ახალი გზების** — ერთდროულად გადაკეტვა, რადგან ორივე ეს გზა ქალაქ მოჟაისკთან უერთდებოდა ერთმანეთს. დაბალი ბორცვებით დაფარული ბოროდინოს ველი დასერილი იყო პატარა ხრამებითა და მდინარეებით. მარჯვენა მხარეს მას ჩაუდიოდა მდინარე კოლოჩა. ბოროდინოს ველზე მდებარე ბორცვებზე შეიძლებოდა გამაგრებული პუნქტების მოწყობა და არტილერიის განლაგება, ხოლო გორაკები და ხრამები საშუალებას იძლეოდა, მტრის თვალისაგან ჯარის ნაწილები დაემალათ. მთლიანობაში აღებული ბოროდინოს ველი თავისი გორაკებით, ხრამებითა და პატარა მდინარეებით ნაპოლეონს არ მისცემდა დიდი სამხედრო შენაერთებით ფართომასშტაბიანი მანევრირების საშუალებას. ბოროდინოს ველის მარჯვენა ფრთა, მდინარე კოლოჩას ციცაბო ნაპირების გამო, თითქმის მიუდგომელი იყო, ველის ცენტრალური ნაწილი ძალზე მოსახერხებელი იყო თავდაცვითი ზღუდის მოსაწყობად. თავდაცვისათვის შედარებით სუსტ ადგილს წარმოადგენდა მარცხენა ფრთა, რომელიც შედარებით ღია და ბუნებრივი ზღუდით დაუცველი იყო.

მიხეილ კუტუზოვი ვარაუდობდა, რომ ბოროდინოსთან გენერალური ბრძოლის დაწყებამდე რუსეთის არმია შეიკუმშებოდა 100-120 ათასი რეზერვისტითა და მოლაშქრით. ამ ძალებით, მთავარსარდლის აზრით, საკმარისი შესაძლებელი იყო საფრანგეთის არმიის წინსვლის შეჩერება, ხოლო მესამე არმიის ძალებით შევსების შემდეგ კონტრშეტევაზე გადასვლაც მოხერხდებოდა. მაგრამ სამხედრო სამინისტრომ და მოსკოვის გენერალ-გუბერნატორმა მ. კუტუზოვი შეცდომაში შეიყვანეს. ბოროდინოს ბრძოლის დაწყების წინ, 100-120 ათასი კაცის ნაცვლად, რუსეთის არმიამ მიიღო მხოლოდ 35 ათასკაციანი შევსება. მ. კუტუზოვი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ გენერალური ბრძოლის გადადებაზე უკვე ლაპარაკიც კი აღარ შეიძლებოდა.

ბოროდინოს ველზე რუსეთის არმია მიხეილ კუტუზოვმა ასე განალაგა: **მარჯვენა ფლანგზე**, მდინარე კოლოჩას გასწვრივ განლაგებული იყო პირველი არმია გენერალ მიხეილ ბარკლაი-დე-ტოლის სარდლობით. აქ თავმოყრილი იყო მთელი ძალების 70%, რადგან სწორედ პირველი არმია იცავდა **მოსკოვისაკენ** მიმავალ გზას. **მარცხენა ფლანგზე** სოფელ უტიცთან პოზიცია ეკავა მეორე არმიას გენერალ პეტრე ბაგრატიონის სარდლობით. მარცხენა ფლანგი ბუნებრივი ზღუდეებით არ იყო დაცული, ამიტომაც აქ, სოფელ სემიონოვკის სამხრეთ-დასავლეთით, ააგეს გამაგრებული ზღუდე (ფლეშები). **ცენტრში**, ამაღლებულ ადგილას (ბორცვზე), რომელიც ზემოდან გადაჰყურებდა მთელ არემარეს, გამაგრებული იყო გენერალ ნიკოლოზ რაევსკის კორპუსი და საარტილერიო ბატარეა. მთელი პოზიციის წინ, უფრო ზუსტად კი მარცხენა ფლანგის წინ, სოფელ შევარდინოსთან ააგეს საგანგებოდ გამაგრებული პუნქტი — **შევარდინოს რედუტი**, რომელსაც მოწინავე სიმაგრის დანიშნულება ჰქონდა.

მიხეილ კუტუზოვმა კარგად იცოდა, რომ გენერალური ბრძოლის ბედს ხშირად რეზერვები წყვეტდა. სწორედ ამიტომ რუსეთის არმიის ზურგში იდგა ძლიერი ქვეითი, საკავალერიო და საარტილერიო რეზერვი.

ნაპოლეონს ბოროდინოსთან საბრძოლო მზადყოფნაში ჰყავდა 130-135 ათასი კაცი და 587 ქვემეხი, **მიხეილ კუტუზოვს** — 120 ათასი კაცი და 600 ქვემეხი. ამრიგად, რუსთა და ფრანგთა ძალები თითქმის თანაბარი იყო.

1812 წლის 24 აგვისტოს საფრანგეთის არმიამ შეუტია **შევარდინოს რედუტს**. რუსებს მტერი აქ რამდენიმე საათით მაინც უნდა შეეჩერებინათ, რათა დაესრულებინათ მარცხენა ფლანგზე, სოფელ სემიონოვკასთან გამაგრებული ზღუდის (ფლეშების) მშენებლობა. ამასთან ერთად, შევარდინოს რედუტი ხელს უშლიდა ნაპოლეონს ჯარების გადაჯგუფებასა და მანევრირებაში, რომლის მიზანი იყო გასვლა **სმოლენსკის ახალ გზაზე** და პეტრე ბაგრატიონის

ბოროდინოს ბრძოლა

მეორე არმიისათვის მარცხენა ფლანგიდან შემოვლა. შევარდინოს რედუტზე 10 ათასზე ოდნავ მეტ რუსს 35 ათასი ფრანგი ებრძოდა. მას შემდეგ, რაც შევარდინოს რედუტის დამცველებს ფრანგებმა ზურგიდან შემოვლის საფრთხე შეუქმნეს, რედუტის დამცველებმა ღამით პოზიციები დატოვეს და უკან დაიხიეს. შევარდინოს რედუტის დამცველთა გმირულმა ბრძოლამ შესაძლებელი გახადა სემიონოვკის გამაგრებული ზღუდის (ფლეშების) მომზადება. ამავე დროს, ნაპოლეონს არ მიეცა ჯარების გადაჯგუფების საშუალება.

ბოროდინოს ბრძოლა დაიწყო 1812 წლის 26 აგვისტოს გამთენიისას და თორმეტ საათს გრძელდებოდა.

ნაპოლეონმა გადაწყვიტა, ძირითადი დარტყმა რუსების მარცხენა ფლანგის მიმართულებით განახორციელებინა, სადაც პოზიციები გენერალ პეტრე ბაგრატიონის სარდლობით ეკავა მეორე არმიას. ფრანგები ვარაუდობდნენ, რომ ბუნებრივი ზღუდის არარსებობა მათ გაუადვილებდათ ბაგრატიონის (სემიონოვკის) ფლეშების დაუფლებას. პეტრე ბაგრატიონის წინააღმდეგ ნაპოლეონმა ბრძოლაში ჩაბა თავისი საუკეთესო სარდლები: ნეი, დავუ, მიურატი, უდინო. მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის მიზნით, ნაპოლეონმა სოფელ ბოროდინოსთან მოჩვენებითი შეტევა დაიწყო რუსების პოზიციების მარჯვენა ფლანგზე გენერალ მ. ბარკლაი-დე-ტოლის პირველი არმიის წინააღმდეგ. მიხეილ კუტუზოვმა ადვილად ამოიცნო ნაპოლეონის შეტევის მთავარი მიმართულება. მისი ბრძანებით, ბოროდინოსთან განლაგებულმა რაზმებმა დატოვეს სოფელი და მდინარე კოლოჩასკენ დაიხიეს.

ფრანგების პირველი შეტევა სემიონოვკის (ბაგრატიონის) ფლეშებზე მეორე არმიის წინააღმდეგ მოგერიებულ იქნა. მეორე შეტევისას ფრანგებმა ხელთ იგდეს ფლეშები, მაგრამ რუსების კონტრშეტევის შემდეგ კვლავ დატოვეს იგი. რუსებმაც და ფრანგებმაც დიდი ზარალი ნახეს. მეორე შეტევის შემდეგ ნაპოლეონმა მარცხენა ფლანგზე შეტევისათვის განკუთვნილი ჯარები გააძლიერა. პეტრე ბაგრატიონის მეორე არმიის წინააღმდეგ მოქმედებდა ფრანგების თითქმის მთელი არტილერია. შემდგომი შეტევების დროს ფრანგებმა ისევ იგდეს ხელთ სემიონოვკის ფლეშები, მაგრამ პეტრე ბაგრატიონმა გაბედული კონტრშეტევით კვლავ დაიბრუნა ისინი. პეტრე ბაგრატიონს რომ დახმარებოდა, მიხეილ კუტუზოვმა გენერალ მიხეილ პლატოვის კაზაკთა კორპუსსა და გენერალ თევდორე უვაროვის კორპუსს უბრძანა, მარცხენა ფლანგზე პეტრე ბაგრატიონის წინააღმდეგ მოქმედი ფრანგების ჯარების ზურგში რეიდი განახორციელებინათ. ამავე დროს, მეორე არმიის შესავსებად გაიგზავნა რეზერვში მდგარი ჯარები. პეტრე ბაგრატიონმა ისეთი ძლიერი კონტრშეტევა განახორციელა, რომ მარშალმა ნეიმ რუსების შესაჩერებლად ნაპოლეონს დამხმარე ძალა სთხოვა.

ნაპოლეონმა ძალები გადაჯგუფა და ამჯერად რუსების პოზიციის ცენტრში გენერალ ნიკოლოზ რაევსკის ბატარეას შეუტია. შეტევა

იმდენად ძლიერი იყო, რომ ფრანგებმა ბატარეა ხელთ იგდეს. ამ დაძაბულ ვითარებაში გენერალმა ალექსი ერმოლოვმა კონტრშეტევა განახორციელა და ფრანგებს უკან დაახვევინა.

ნაპოლეონმა კვლავ განაახლა პეტრე ბაგრატიონის მეორე არმიის წინააღმდეგ შეტევები. ბრძოლაში ჩაება ფრანგთა ახალი ძალები. მერვე შეტევის შედეგად ფრანგებმა ბაგრატიონის ფლეშები დაიკავეს. პეტრე ბაგრატიონმა უკანასკნელ ძალებს მოუყარა თავი და ფრანგებს კონტრშეტევით უპასუხა. სწორედ კონტრშეტევის დროს გენერალი პეტრე ბაგრატიონი მძიმედ დაიჭრა. ბოროდინოს ველზე მუხლში მიღებული ჭრილობის შემდეგ პეტრე ბაგრატიონს განგრენა განუვითარდა და გარდაიცვალა. **არსებობს მოსაზრება, რომ პეტრე ბაგრატიონს არ ჩაუტარდა სათანადო მკურნალობა და განგრენაც ამის გამო განუვითარდა.** რა იყო ამ საბედისწერო უყურადღებობის მიზეზი, ბოროდინოს ბრძოლის შემდეგ რუსეთის არმიის უკანდახევის გამო შექმნილი საერთო უწესრიგობა და ქაოსი, თუ პეტრე ბაგრატიონის სამხედრო კარიერის მოშურნეთა წინასწარგანზრახული ქმედება? — ძნელი დასადგენია. ერთი რამ ცხადია: ალექსანდრე სუვოროვის მოწაფის, გენერალ პეტრე ბაგრატიონის სახელი სულ უფრო პოპულარული ხდებოდა, რაც საფრთხეს უქმნიდა მავანისა და მავანის კარიერას. ყოველ შემთხვევაში, სერიოზულ ეჭვებს აღძრავს ის ფაქტი, რომ ბოროდინოს გმირს ელემენტარული ყურადღება არ აღირსეს და ექიმებმაც მკურნალობის დროს მრავალი მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს. მეორე არმიამ თავისი შემადგენლობის დიდი ნაწილი დაკარგა. ფლეშების დაცვა დარჩენილი ჯარით უკვე შეუძლებელი იყო. იქმნებოდა იმის საფრთხე, რომ ფრანგებს მეორე არმიისათვის ზურგიდან შემოეკლოთ. სწორედ ამიტომ გენერალმა პეტრე კონოვნიცინმა, რომელმაც პეტრე ბაგრატიონი შეცვალა, უკან დაიხია და მეორე არმია სემიონოვკის ხრამს გაღმა გადაიყვანა.

ფრანგების მიერ რუსების პოზიციის მარცხენა ფლანგის ხელში ჩაგდებამ დაცვის თვალსაზრისით მძიმე მდგომარეობა შეუქმნა გენერალ ნიკოლოზ რაევსკის ბატარეას. ფრანგები ბატარეას ცეცხლს უკვე სამი მხრიდან უშენდნენ. ნაპოლეონმა ნ. რაევსკის წინააღმდეგ 35 ათას ჯარისკაცს და 200 ქვემეხს მოუყარა თავი და საერთო შეტევის დაწყება გადაწყვიტა. მიხეილ კუტუზოვმა გენერალ მიხეილ პლატოვისა და გენერალ თეოდორე უვაროვის კორპუსების ძალებით ფრანგების მარცხენა ფლანგსა და ზურგს შეუტია. ნაპოლეონმა მარცხენა ფლანგის გადარჩენის მიზნით, საერთო შეტევის დაწყება ორი საათით გადადო. გენერალ ნიკოლოზ რაევსკის ბატარეა ფრანგებმა მხოლოდ ნაშუადღევს, ოთხ საათზე დაიკავეს. ამ წარმატებას ბრძოლის ბედის გადაწყვეტა უკვე აღარ შეეძლო.

ბოროდინოს ბრძოლა დამთავრდა. ნაპოლეონმა ვერ შეძლო რუსეთის არმიის თავდაცვის გარღვევა, ზურგში გაჭრა, ალყაში მოქცევა და განადგურება. პირიქით, ნაპოლეონი რუსების კონტრშეტევის შიშით იძულებული გახდა სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად დაკავებული მარცხენა ფრთა და ცენტრი ისევ დაეტოვებინა და იმ პოზიციაზე დაბრუნებულიყო, რომელიც ბრძოლის დაწყების წინ ეკავა. ბოროდინოს ბრძოლაში რუსებმა 43 ათასი კაცი დაკარგეს, ფრანგებმა — 53 ათასი. რუსეთის არმიამ პოზიციები შეინარჩუნა.

ბოროდინოს ბრძოლა, მორალური და პოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთის არმიის დიდი გამარჯვება იყო. მორალური და პოლიტიკური თვალსაზრისით საფრანგეთის არმიამ კი მარცხი იწვნია. სამხედრო-სტრატეგიული პოზიციიდანაც ომის ბედი ჯერ გადაწყვეტილი არ იყო. საფრანგეთისა და რუსეთის არმიების საბრძოლო შესაძლებლობებს, ნაპოლეონისა და მიხეილ კუტუზოვის მხედართმთავრულ ნიჭს წინ კიდევ ბევრი გამოცდა ელოდა.

5. მოსკოვის დატოვება. ბოროდინოს ბრძოლის შემდეგ მიხეილ კუტუზოვმა შეაფასა რუსეთის არმიის დანაკარგი, მოსალოდნელი შევსება, საბრძოლო საჭურვლისა და სურსათის რაოდენობა და მიიღო გადაწყვეტილება მოსკოვის დატოვების შესახებ. ეს გადაწყვეტილება მან 1812 წლის 1 სექტემბერს მოსკოვის ახლოს სოფელ ფილეში გამართულ თათბირზე გააცნო რუსეთის არმიის სამხედრო საბჭოს. მ. კუტუზოვს თავისი გადაწყვეტილება იმპერატორ ალექსანდრე I-თვის არ შეუთანხმებია.

მიხეილ კუტუზოვის გადაწყვეტილება შემდეგ მოსაზრებას ემყარებოდა. მოსკოვის შენარჩუნებისათვის საჭირო იყო კიდევ ერთი გენერალური ბრძოლის გამართვა. ახალი გენერალური ბრძოლისათვის კი მისი ძალები საკმარისი არ იყო. მოსკოვისათვის გამართულ გენერალურ ბრძოლაში გამარჯვებით ნაპოლეონი საბოლოოდ გაიმარჯვებდა. მიხეილ კუტუზოვს არ სურდა მოსკოვის დაცვას შესწირვოდა რუსეთის არმია. მოსკოვის დაკარგვით ომის ბედი ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი, არმიის

სამხედრო თათბირი სოფელ ფილიში

დაკარგვით კი მოსკოვისა და მთელი რუსეთის ბედი გადაწყვეტილი იქნებოდა.

მოსკოვის დატოვებამ აღაშფოთა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I. იმპერატორი მიხეილ კუტუზოვს სწერდა: „თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ პეტერბურგი თითქმის დაუცველია. პეტერბურგის ბედისათვის პასუხს აგებთ პირადად ჩემს წინაშე, მოსკოვის დატოვებისათვის კი - შეურაცხყოფილი რუსეთის წინაშე".

1812 წლის 2 სექტემბერს ნაპოლეონი მოსკოვთან მივიდა და **პოკლონნაია გორაზე** შეჩერდა. იგი ამაოდ ელოდა მოსკოველთა დეპუტაციას და ქალაქის გასაღებს. მალე მას მოახსენეს, რომ ქალაქი დაცარიელებულია! 2 სექტემბერს მოსკოვის სხვადასხვა უბანში (წითელ მოედანზე, არბატზე, ზამოსკვორეჩიეში) ხანძარმა იფეთქა. ხანძარმა თითქმის მთელი ქალაქი მოიცვა. დღესაც კი პოლემიკაა იმის თაობაზე, თუ ვინ გადაწვა მოსკოვი. არსებობს მოსაზრება, რომ ქალაქი წინასწარგანზრახვით გადაწვეს თვით რუსებმა, რათა ფრანგებს იქ ნორმალურად დასვენებისა და გამოზამთრების საშუალება არ მისცემოდათ — საცხოვრებელ სახლებთან ერთად, ცეცხლმა სურსათ-სანოვაგის საწყობებიც გაანადგურა. სხვა მოსაზრებით, მოსკოვი ფრანგმა მოროდიორებმა გადაწვეს. ამ ორი მოსაზრებიდან უფრო დამაჯერებელი პირველი უნდა იყოს. ცხადია, ნაპოლეონს ხელს არ აძლევდა მოსკოვის გადაწვა. მოსკოვი ფრანგებს სჭირდებოდათ შესვენებისათვის, რეზერვების თავმოყრისა და ძალთა მობილიზებისათვის. სწორედ ამიტომ იყო, რომ ფრანგები, პირიქით, ხანძრის ჩაქრობასა და წესრიგის აღდგენას ცდილობდნენ, თუმცა ეს ვერ შეძლეს. სწორედ ხანძრის გამო შეექმნათ ფრანგებს მოსკოვში გაუსაძლისი მდგომარეობა, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა კიდეც ომის ბედი.

6. ტარუტინოს მანევრი. მოსკოვიდან უკან დახევის შემდეგ რუსეთის არმია **რიაზანის გზაზე** გავიდა და გარკვეულ დრომდე მოსკოვიდან სამხრეთისაკენ, **რიაზანის** მიმართულებით მოძრაობდა. მოულოდნელად მიხეილ კუტუზოვმა არმია მდინარე **მოსკოვის** მარჯვენა სანაპიროზე გადაიყვანა და დასავლეთის მიმართულებით, **პოდოლსკისაკენ** დაძრა. რუსეთის არმიის არიერგარდი კი კვლავ **რიაზანის** მიმართულებას იცავდა. დასავლეთის მიმართულებით მიმავალი არმია მ. კუტუზოვმა **კალუგის გზაზე** გადაიყვანა და **ტარუტინოში** შეჩერდა. **ტარუტინოს მანევრი — რუსეთის არმიის რიაზანის გზიდან კალუგის გზაზე გადაყვანა — სამხედრო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია. ამ მანევრის წყალობით მიხეილ კუტუზოვმა ნაპოლეონს მოუსპო რუსეთის არმიის კვალში ჩადგომისა და დევნის საშუალება. ამასთან ერთად, მ. კუტუზოვმა საფრანგეთის არმიას გზა შეუკრა სამხრეთისაკენ — სამხრეთ რუსეთის სურსათის ბაზებისა და ტულის სამხედრო ქარხნებისაკენ. ტარუტინოში მყოფ მიხეილ კუტუზოვს შესაძლებლობა ეძლეოდა კავშირი**

დაემყარებინა გენერალ ალექსანდრე ტორმასოვის მესამე არმიასთან, რომელიც ომის დასაწყისიდანვე ვოლინის რაიონიდან ქვეყნის სიღრმეში იხევდა უკან. ასევე მას შეეძლო დაკავშირებოდა დუნაის არმიას, რომელიც ადმირალ პავლე ჩიჩაგოვის სარდლობით დუნაის-პირეთიდან გადაადგილების შემდეგ ასევე მოსკოვიდან სამხრეთით იმყოფებოდა.

ტარუტინოს ბანაკში რუსეთის არმიამ დაისვენა და შევსება მიიღო. მ. კუტუზოვმა პირველი და მეორე არმიები გააერთიანა და მის სარდლად გენერალი მიხეილ ბარკლაი-დე-ტოლი დანიშნა. გაერთიანდა მესამე და დუნაის არმიებიც. გაერთიანებული არმიის სარდლად ადმირალი **პავლე ჩიჩაგოვი** დაინიშნა. გენერალი **ალექსანდრე ტორმასოვი** მიხეილ კუტუზოვმა მთავარსარდლის შტაბში გადაიყვანა. ტარუტინოს ბანაკში გატარებული დროის მანძილზე რუსეთის არმიის რაოდენობა მოლაშქრეებთან ერთად 220 ათასამდე გაიზარდა. ამ რაოდენობის არმია ნაპოლეონს ამ დროისათვის უკვე აღარ ჰყავდა. მიხეილ კუტუზოვის განკარგულებაში იყო 600 ქვემეხი, მაშინ როცა ფრანგებს სულ 350 ქვემეხი ჰქონდათ. ნაპოლეონის მდგომარეობას ძალზე ართულებდა საფრანგეთის არმიის ზურგში მოქმედი პარტიზანული რაზმები.

7. რუსეთის არმიის კონტრშეტევა. მიხეილ კუტუზოვს ეჭვიც კი აღარ ეპარებოდა, რომ ნაპოლეონი მოსკოვს დატოვებდა და უკან დახევას დაიწყებდა. მ. კუტუზოვის გეგმის მიხედვით, უკანდახეული საფრანგეთის არმია ალყაში უნდა მოექციათ და გაენადგურებინათ მდინარეების: **დნეპრის, ბერეზინასა** და **დასავლეთ ბუგს** შორის.

მოსკოვში ფრანგები ისე გრძნობდნენ თავს, როგორც ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეში. ძალზე ფერხდებოდა არმიის მომარაგება, კავშირი ზურგთან მოიშალა. ნაპოლეონს მოსვენება დაუკარგა ტარუტინოში მდგარმა რუსეთის არმიამ. 1812 წლის 6 ოქტომბერს ნაპოლეონმა სცადა კონტროლი დაეწესებინა რუსეთის არმიის გადაადგილებაზე, მაგრამ მდინარე **ჩერნიშნაიაზე** რუსებმა სასტიკად დაამარცხეს ფრანგები. ფრანგებმა 5 ათასი კაცი დაკარგეს და უკან დაიხიეს. ეს იყო კონტრშეტევისათვის მომზადებული რუსეთის არმიის პირველი დიდი გამარჯვება.

მოსკოვში მყოფი ნაპოლეონი უშედეგოდ ცდილობდა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-თან ზავის თაობაზე მოლაპარაკების დაწყებას. ალექსანდრე I-ს ნაპოლეონთან დაზავება წარმოუდგენლად მიაჩნდა. ზავის დადების შეუძლებლობაში დარწმუნებულმა ნაპოლეონმა გადაწყვიტა მოსკოვი დაეტოვებინა. 1812 წლის 7 ოქტომბერს ნაპოლეონმა მოსკოვის დატოვების ბრძანება გასცა. საფრანგეთის არმია მოსკოვიდან სამხრეთისაკენ, **კალუგის გზით** ცდილობდა უკან დახევას. ნაპოლეონს იმედი ჰქონდა, რომ რუსეთის არმიას დაამარცხებდა, სამხრეთისაკენ გაიჭრებოდა და სურსათით მდიდარ რაიონებს, ასევე **ტულის** იარაღის ქარხნებს იგდებდა ხელთ.

მიხეილ კუტუზოვმა როგორც კი შეიტყო, რომ საფრანგეთის არმიამ კალუგის გზაზე დაიწყო მოძრაობა, ქალაქ **მალოიაროსლავეცის** მიმართულებით სერიოზული სამხედრო ძალა გადაისროლა. 1812 წლის 12 ოქტომბერს მალოიაროსლავეცთან გაიმართა დიდი ბრძოლა. ქალაქი რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში. რუსებმა მალოიაროსლავეცი მხოლოდ მას შემდეგ დატოვეს, რაც შექმნეს გამაგრებული ზღუდე, რომელიც ნაპოლეონს გზას უღობავდა **კალუგისაკენ**. 14 ოქტომბერს ნაპოლეონმა მიიღო გადაწყვეტილება უკვე გავერანებული **სმოლენსკის** გზით უკან დახევის შესახებ. იმთავითვე ცხადი იყო, რომ სმოლენსკის ძველ გზაზე მოძრაობა, რომელიც ჯერ კიდევ აგვისტოში თვით ფრანგების მიერ იყო გაპარტახებული, საფრანგეთის არმიისათვის დამღუპველი იქნებოდა. ნაპოლეონი აქ ვერც სურსათისა და ვერც იარაღის მარაგს ვერ შეივსებდა. ამ დროიდან ინიციატივა საბოლოოდ გადავიდა რუსეთის არმიის ხელში — ნაპოლეონი მხოლოდ რუსეთიდან გაეწევას და არმიის გადარჩენასღა ცდილობდა.

საფრანგეთის არმიის უკან დახევისას განსაკუთრებით გაძლიერდა **პარტიზანული მოძრაობა**. პირველი პარტიზანული რაზმები ჯერ კიდევ საფრანგეთის არმიის მოსკოვზე ლაშქრობის დროს შეიქმნა. ამჯერად საფრანგეთის არმიის ზურგში მოქმედ გლეხთა პარტიზანულ რაზმებს დაემატა მიხეილ კუტუზოვის მითითებით კაზაკებისა და საკავალერიო ნაწილებისაგან შექმნილი რაზმები. პარტიზანული რაზმების ხელმძღვანელობის მიზნით მოწინააღმდეგის ზურგში გაგზავნეს კადრის ოფიცრები. რეგულარული არმიის ჯარისკაცებისაგან პირველი პარტიზანული რაზმი შექმნა **დენის** დავიდოვმა. ეს რაზმი სმოლენსკისა და კალუგის გზაზე მოქმედებდა. პარტიზანული რაზმი ოფიცერ ალექსანდრე სესლავინის მეთაურობით მოსკოვის რაიონში იბრძოდა. გლეხე-

ბის მიერ შექმნილ პარტიზანულ რაზმებს მეთაურობდნენ: **გერასიმე კურინი, ერმოლაი ჩეტვერტაკოვი** და სხვები. განსაკუთრებით გაითქვა სახელი პარტიზანულმა რაზმმა, რომელსაც სათაევში გლეხის ქალი **ვასილისა კოტინა** ედგა.

მოსკოვიდან უკან დახევის შემდეგ საფრანგეთის არმიაში მოიშალა დისციპლინა, შეუძლებელი გახდა მოროდიორობის აღკვეთა. მიუხედავად ამისა, საფრანგეთის არმია ჯერ კიდევ ბრძოლისუნარიანი იყო. ნაპოლეონი ცდილობდა არმიის ნაწილი მაინც უვნებლად გაეყვანა რუსეთის საზღვრებიდან. მალოიაროსლავეცის ბრძოლის შემდეგ ნაპოლეონმა არმია **მოჟაისკისა** და **ბოროდინოს** გავლით **სმოლენსკის** მიმართულებით წაიყვანა. სმოლენსკში ნაპოლეონი მხოლოდ ორი დღე შეჩერდა, რადგან შეიქმნა იმის საფრთხე, რომ საფრანგეთის არმია სამი მხრიდან აღმოჩნდებოდა დარტყმის ქვეშ. საფრანგეთის არმიას კვალდაკვალ მიჰყვებოდა რუსეთის არმიის ძირითადი ნაწილი უშუალოდ **მიხეილ კუტუზოვის** სარდლობით. ჩრდილოეთიდან სმოლენსკის მიმართულებით მიიწევდა გენერალ **პეტრე ვიტგენშტეინის** კორპუსი, რომელიც თავის დროზე პეტერბურგის დაცვისათვის იყო განკუთვნილი. სამხრეთიდან ასევე სმოლენსკის მიმართულებით მიიწევდა ადმირალ **პავლე ჩიჩაგოვის** დუნაის არმია.

სმოლენსკის დატოვების შემდეგ, 1812 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში, არმიის არიერგარდს, რომელსაც მარშალი **ნეი** სარდლობდა, ქალაქ **ორშას** აღმოსავლეთით, სოფელ **კრასნოესთან**, გენერალმა **მიხეილ** მილორადოვიჩმა სასტიკი მარცხი აწვნია. ორი ათასზე მეტი ფრანგი ბრძოლაში დაიღუპა. ორშადან ნაპოლეონი **ბორისოვოსაკენ** გაემართა. მას განზრახული ჰქონდა მდინარე **ბერეზინა** სწორედ ბორისოვოსთან გადაელახა.

მიხეილ კუტუზოვის გეგმის თანახმად, სწორედ **ბორისოვოს** რაიონში, მდინარე ბერეზინაზე გადასვლამდე უნდა მოექციათ საფრანგეთის არმია ალყაში. მიხეილ კუტუზოვს ძირითადი ძალებით საფრანგეთის არმია უნდა აეძულებინა **ბორისოვოს** მიმართულებით დაეხია. ადმირალ პავლე ჩიჩაგოვის დუნაის არმიას კი ფრანგებისათვის უნდა დაესწრო და ბორისოვო დაეკავებინა, ხოლო პეტრე ვიტგენშტეინის კორპუსს **პოლოცკის** დაკავება ევალებოდა. **ალყაში მოხვედრის საფრთხე მაშინვე იგრძნო ნაპოლეონმა.** ნაპოლეონმა ბრწყინვალე მანევრით შეცდომაში შეიყვანა ადმირალი პავლე ჩიჩაგოვი (მდინარე ბერეზინა მან ბორისოვოს სამხრეთით კი არ გადალახა, არამედ ჩრდილოეთით — სოფელ **სტუდიანკასთან**) და ალყაში მოხვედრა თავიდან აიცილა. თუმცა საფრანგეთის არმიის დანაკარგი მაინც დიდი იყო. 1812 წლის 14-16 ნოემბერს მდინარე ბერეზინა გადალახა სულ 9-10 ათასმა კაცმა, 20 ათასზე მეტი ფრანგი ან ბრძოლაში დაიღუპა, ან ტყვედ ჩავარდა.

მდინარე ბერეზინას გადალახვის შემდეგ, 1812 წლის 6 დეკემბერს ნაპოლეონმა არმია შიატოვა და სასწრაფოდ პარიზს გაემგზავრა.

1812 წლის დეკემბერში რუსეთის იმპერიის დასავლეთის საზღვარი გადალახა ომში დაბრუნებულმა და განაწამებმა დაახლოებით 30 ათასმა კაცმა. ეს იყო ის, რაც ნაპოლეონის 600-ათასიანი არმიიდან გადარჩა.

1812 წლის სამამულო ომი რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა. საფრანგეთის არმია განადგურდა და არაორგანიზებულად დატოვა რუსეთის ტერიტორია. სამხედრო **კატასტროფა** იმდენად დიდი იყო, რომ ნაპოლეონმა **რუსეთთან** **რაიმე პირობით ზავის** დადებასაც კი ვერ მიაღწია. **საფრანგეთის** არმიის დიდი **მარცხი** **რუსეთში** **უმძიმეს** **პირობებში** **აგდებდა** **საფრანგეთს**. ევროპის **დაპყრობილი** **სახელმწიფოები** **და** **ერები**, **ცხადია**, **თავის** **სასარგებლოდ** **გამოიყენებდნენ** **ნაპოლეონის** **მარცხს**. **ანტიფრანგული** **კოალიციის** **შექმნისათვის** **ხელსაყრელი** **დრო** **დგებოდა**.

8. რუსეთის არმიის ლაშქრობა ევროპაში. ნაპოლეონთან ურთიერთობის გამოცდილებამ ალექსანდრე I დაარწმუნა, რომ სანამ საფრანგეთს ბრძოლისუნარიანი არმია ჰყავდა, რუსეთისათვის იგი საშიში იყო. რუსეთის დასავლეთ საზღვართან, კერძოდ, **პოლონეთში**, **პრუსიასა** და **ავსტრიაში** საფრანგეთის ბატონობა მომავალში გარდაუვალს გახდიდა რუსეთ-საფრანგეთის ახალ დაპირისპირებას. ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, გადაწყდა საფრანგეთის არმიის განდევნა პირველ რიგში **ვარშავის** **საჰერცოგოს** ტერიტორიიდან. როცა ალექსანდრე I ევროპაში ლაშქრობის გადაწყვეტილებას იღებდა, მან კარგად იცოდა, რომ ნაპოლეონის წინააღმდეგ რუსეთის მოკავშირედ გამოვიდოდა **პრუსია**, **ავსტრია** და **ინგლისი**.

1813 წლის 1 იანვარს რუსეთის არმიამ მდინარე **ნემანი** გადალახა და ვარშავის საჰერცოგოს ტერიტორიაზე შეიჭრა. 1813 წლის 15 თებერვალს **რუსეთსა** და **პრუსიას** შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც, ხელშეკრულების დამდები მხარეები ვალდებულებას იღებდნენ დახმარებოდნენ ერთმანეთს

დენის დავიდოვი

საფრანგეთის წინააღმდეგ ომში. რუსეთი და პრუსია ასევე შეთანხმდნენ იმაშიც, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულებას შეუერთდებოდა **ავსტრიაც**. რუსეთ-პრუსიის ხელშეკრულება იმის მაუწყებელი იყო, რომ **ანტიფრანგული კოალიცია** კვლავ ამოქმედდა.

1813 წლის თებერვლის ბოლოს რუსეთის არმია მიხეილ კუტუზოვის სარდლობით **ბერლინში** შევიდა. პრუსიის მეფე **ფრიდრიხ ვილჰელმ III** ცდილობდა არ დაეშვა პრუსიის არმიის რუსეთის არმიასთან აქტიური სამხედრო-სტრატეგიული თანამშრომლობა, რაც ეწინააღმდეგებოდა რუსეთ-პრუსიის ხელშეკრულებას. მ. კუტუზოვი ესწრაფოდა, რომ პრუსიის არმია ნაპოლეონის წინააღმდეგ ომში აქტიურად ჩაბმულიყო, მაგრამ ამ საქმის ბოლომდე მიყვანა მას არ დასცალდა. 1813 წლის აპრილში **სილეზიის** ქალაქ **ბუნცლაუში** მიხეილ კუტუზოვი გარდაიცვალა.

რუსეთის არმიის მთავარსარდლის ფუნქციები **ალექსანდრე I**-მა იკისრა. პრაქტიკულად, მთელ სამხედრო კამპანიას იმპერატორთან ერთად გენერლები **მიხეილ ბარკლაი-დე-ტოლი** და **პეტრე ვიტგენშტეინი** ხელმძღვანელობდნენ. რუსეთის არმიაში ერთმმართველობის პრინციპი დაირღვა, რამაც დაუყოვნებლივ გამოიღო უარყოფითი შედეგი.

დასავლეთ ევროპაში შეჭრილი რუსეთის არმია არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა. რუსეთის მოკავშირედ ჯერ მხოლოდ **პრუსია** გამოდიოდა და ისიც არცთუ აქტიურად. **ავსტრია** თავს იკავებდა და ცდილობდა ამოეცნო, ვის მხარეზე გადაიხრებოდა სასწორი. საერთოდ, ავსტრია და პრუსია ესწრაფოდნენ ნაპოლეონის ბატონობის დამხობას, მაგრამ ევროპაში რუსეთის პოზიციების გაძლიერება არ სურდათ.

1813 წლის გაზაფხულზე ნაპოლეონმა ახალი ბრძოლისუნარიანი არმია შექმნა. მის განკარგულებაში 200 ათასი კაცი იყო. 1813 წლის 20 აპრილს **ლუცერნთან** ნაპოლეონმა დაამარცხა რუსეთისა და პრუსიის არმიები. მოკავშირეებმა 20 ათასი კაცი დაკარგეს და მდინარე **ელბის** მარცხენა ნაპირი დატოვეს. საფრანგეთის არმია **დრეზდენსა** და **ბრესლავლში** შევიდა. 1813 წლის მაისში ავსტრიის შუამავლობით რუსეთმა და ავსტრიამ საფრანგეთთან დროებითი ზავი დადეს.

შექმნილ ვითარებაში ავსტრია მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. თუ ავსტრია საფრანგეთის მოკავშირედ გამოვიდოდა, მას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა რუსეთისა და პრუსიის

ვასილისა კოჟინა

არმიები. ბოლოს და ბოლოს ავსტრიის საიმპერატორო კარის მერყეობას წერტილი დაესვა. 1813 წლის აგვისტოში ავსტრია **ანტიფრანგულ კოალიციას** შეუერთდა. რუსეთთან დადებული ხელშეკრულებით, ავსტრიამ ივალდებულა 60-ათასიანი არმიის გამოყვანა. ავსტრიას რუსეთთან კონსულტაციების გარეშე ზავი არ უნდა დაედო საფრანგეთთან. მალე ანტიფრანგულ კოალიციას შეუერთდა შვეცია და რამდენიმე გერმანული სახელმწიფო. ამან ძალთა თანაფარდობა საფრანგეთის საზიანოდ შეცვალა. 1813 წლის 4-6 ოქტომბერს ლაიფციგთან გაიმართა უდიდესი ბრძოლა. მოკავშირეების (რუსეთი, ავსტრია, პრუსია, შვეცია) არმიას დაუპირისპირდა საფრანგეთის არმია, რომლის რიგებში, ფრანგებთან ერთად იბრძოდნენ: პოლონელები, ბელგიელები, ჰოლანდიელები და იტალიელები. ლაიფციგის ბრძოლას „ხალხთა ბრძოლა“ უწოდეს. ამ ბრძოლაში ორივე მხრიდან 500 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა.

ნაპოლეონის არმიის წინააღმდეგ ბრძოლის მთელი სიმძიმე რუსეთისა და პრუსიის არმიებმა იტვირთეს. ლაიფციგის ბრძოლა საფრანგეთის არმიის დიდი მარცხით დამთავრდა. ნაპოლეონმა თავისი არმიის ორი მესამედი დაკარგა. მიუხედავად ამისა, ნაპოლეონი ომს აგრძელებდა. ცოტა მოგვიანებით ავსტრიის მცდელობით დაწყებული მოლაპარაკება ჩაიშალა.

ლაიფციგის ბრძოლის შემდეგ ნაპოლეონს აღარ შეეძლო მოკავშირეთა არმიის წინააღმდეგ გამოსვლა. ომმა საფრანგეთის ტერიტორიაზე გადაინაცვლა. 1814 წლის 14 მარტს მოკავშირეთა არმია **პარიზში** შევიდა. **ფონტენებლოში** ნაპოლეონმა ხელი მოაწერა აქტს ტახტიდან გადადგომის შესახებ. მალე იგი კუნძულ ელბაზე გადაასახლეს. საომარი მოქმედებები ევროპაში დასრულდა.

რუსეთის არმიის ლაშქრობა ევროპაში 1813 -1814 წლებში გამარჯვებით დაგვირგვინდა. **რუსეთმა** გადამწყვეტი როლი შეასრულა საფრანგეთის არმიის განადგურებაში.

თავი V. რუსეთის საშინაო პოლიტიკა 1815-1825 წლებში

1815-1825 წლების საშინაო პოლიტიკა განსხვავდებოდა 1801-1812 წლებისაგან. ამ ეპოქის საშინაო პოლიტიკის მიმართულების განმსაზღვრელი, ცხადია, იმპერატორი ალექსანდრე I იყო, მაგრამ ამ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება მაინც იმპერატორის ფავორიტს, ყოვლისშემძლე ალექსი არაკჩეევის სახელს უკავშირდება.

1. ომის შედეგები. 1812 წლის სამამულო ომი და რუსეთის ლაშქრობა ევროპაში ძვირად დაუჯდა რუსეთს. გუბერნიები, რომლის ტერიტორიაზე ომი მიმდინარეობდა, გაძარცული, გავერანებული და გაუკაცრიელებული იყო. გადამწვარი და დანგრეული იყო მოსკოვი, სმოლენსკი და ბევრი სხვა ქალაქი. ჩაკვდა შინამრეწველობა და ვაჭრობა. დიდი ზარალი განიცადა გლეხურმა მეურნეობამ, მემამულეთა ზარალი იმდენად დიდი იყო, რომ მისი ანაზღაურება ათწლეულების განმავლობაში ვერ მოხერხდა. ომის დროს მოიშალა ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, არნახულ მასშტაბებს მიაღწია უკანონობამ, მექრთამეობამ, ხაზინის ქურდობამ. ომმა უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. 1812 წლის სამამულო ომსა და 1813-1814 წლებში ევროპაში ლაშქრობის დროს რუსეთის არმიამ 232 ათასი კაცი დაკარგა. ომის ხარჯებმა შეადგინა 200 მილიონი მანეთი, მატერიალური დანაკარგების საერთო რაოდენობამ ერთ მილიარდ მანეთს გადააჭარბა.

2. მმართველობა. 1815 წელს ალექსანდრე I-მა დაამტკიცა **პოლონეთის სამეფოს კონსტიტუცია.** კონსტიტუციის ძალით, რუსეთის იმპერატორი ხდებოდა **პოლონეთის მეფე.** პოლონეთის სამეფო რუსეთის იმპერატორების მემკვიდრეობას წარმოადგენდა, მაგრამ იმპერატორის ძალაუფლებას პოლონეთის სამეფოში კონსტიტუცია ზღუდავდა. პოლონეთის სამეფოს განაგებდა **მეფისნაცვალი,** რომელსაც რუსეთის იმპერატორი ნიშნავდა. პოლონეთის სამეფოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა არჩევითი ორგანო — **სეიმი.** სეიმი იკრიბებოდა ორ წელიწადში ერთხელ. სეიმის სესიიდან სესიამდე მუდმივად მოქმედებდა პოლონეთის სამეფოს **სახელმწიფო საბჭო.** პოლონეთის სამეფოში ყველა თანამდებობაზე მხოლოდ პოლონელები ინიშნებოდნენ, ოფიციალური აქტები მხოლოდ **პოლონურ ენაზე** ქვეყნდებოდა, სეიმიც პოლონურ ენაზე მუშაობდა. პოლონეთის სამეფოში ოფიციალურ რელიგიად კათოლიკობა იყო აღიარებული, თუმცა სხვა რელიგიურ კონფესიებსაც თავისუფლად არსებობის უფლება ჰქონდათ. პოლონეთის სამეფოს კონსტიტუციით, პოლონეთში მოქმედებდა **ყველა წოდებისათვის საერთო სასამართლო.** სასამართლო პროცესი საჯარო იყო, მოსამართლე — დამოუკიდებელი და მისი შეცვლა არ შეიძლებოდა. რუსეთის არმიის შემადგენლობაში იქმნებოდა პოლონური კორპუსი, რომლის სარდალიც პოლონეთის მეფისნაცვალი იყო. პოლონეთის სამეფოს კონსტიტუცია იცავდა პიროვნების ხელშეუხებლობას, ბეჭდვის თავისუფლებას და სხვ.

1818 წელს პოლონეთის სეიმის პირველი სესიის გახსნისას წარმოთქმულ სიტყვაში ალექსანდრე I-მა აღნიშნა, რომ „კონსტიტუციური წყობილების შემოღებას აპირებდა რუსეთის მთელ იმპერიაში. სეიმის დახურვის დღეს კი იმპერატორმა განაცხადა, რომ იგი დიდად აფასებდა სეიმის წევრების „დამოუკიდებელ შეხედულებებს", რადგან „თავისუფლად არჩეულები, თავისუფლად უნდა აზროვნებდნენ". ალექსანდრე I-ის მიერ პოლონეთის სამეფოს სეიმში წარმოთქმულ სიტყვებს დიდი იმედით შეხვდნენ რუსეთში.

ვარშავიდან დაბრუნების შემდეგ, იმავე 1818 წელს, ალექსანდრე I-მა იუსტიციის მინისტრს საიდუმლოდ დაავალა პოლონეთის სამეფოს კონსტიტუციის პრინციპების მიხედვით მოემზადებინა რუსეთის სახელმწიფო მმართველობის გარდაქმნის პროექტი. 1820 წელს პროექტი მზად იყო, რომელიც ალექსანდრე I-მა მოიწონა. **სახელმწიფო მმართველობის გარდაქმნის პროექტში გატარებული იყო პოლიტიკური თავისუფლების, წარმომადგენლობითი მმართველობისა და ფედერალიზმის იდეები.** ამასთან ერთად, არ იზღუდებოდა თვითმპყრობელური ხელისუფლება და არც მოსახლეობის სოციალურ ფენებად დაყოფა უქმდებოდა. მომზადდა იმპერატორის მანიფესტი, რომელსაც რუსეთის მოსახლეობისათვის სახელმწიფო მმართველობის მოსალოდნელი გარდაქმნის შესახებ უნდა ემცნო. ალექსანდრე I-მა მანიფესტზე ხელის მოწერისაგან თავი შეიკავა 1820 წელს ევროპაში განვითარებული რევოლუციური მოვლენების გამო.

3. გლეხთა საკითხი. 1816-1820 წლებში გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები, რომე-

ლიც მიზნად ისახავდა გლეხთა საკითხის მოგვარებას. 1816 წელს დამთავრდა საგლეხო რეფორმა ლატვიასა და ესტონეთში. გლეხობამ პირადი თავისუფლება მიიღო, თუმცა მიწა მემამულეთა საკუთრებაში დარჩა. გლეხებს უფლება ეძლეოდათ, რომ ის მიწა, რომელზეც რეფორმამდე სახლობდნენ, იჯარით აეღოთ მემამულისაგან. გლეხს პერსპექტივაში შეეძლო იჯარით აღებული მიწის მემამულისაგან გამოსყიდვა და პირად საკუთრებაში დამტკიცება. რეფორმა აწესებდა გარდამავალ პერიოდს. 1830 წლამდე მემამულეს გათავისუფლებულ გლეხზე ზოგიერთი უფლება უნარჩუნდებოდა. 1819 წელს მსგავსი საგლეხო რეფორმა გატარდა ლიტვაშიც.

1818 წელს ალექსანდრე I-მა გასცა საიდუმლო განკარგულება რუსულ გუბერნიებში (ველიკოროსიაში) მოემზადებინათ ბატონყმობის გაუქმების შესახებ პროექტი. საგლეხო რეფორმის პროექტები მოამზადეს პავლე კისელიოვმა, ნიკოლოზ მორდვინოვმა და სხვებმა. ეს პროექტები ითვალისწინებდა გლეხობის თანდათანობით გათავისუფლებას ისე, რომ მემამულეთა ეკონომიკური ინტერესები არ შელახულიყო. საინტერესო პროექტი წარმოადგინა ალექსი არაკჩეევმა. იგი ითვალისწინებდა მემამულისაგან ყმა გლეხების ხაზინის (სახელმწიფოს) მიერ თანდათანობით გამოსყიდვას. ა. არაკჩეევის აზრით, ხაზინისაგან მიღებული ფულით მემამულეები ვალებს გაისტუმრებდნენ და, რაც მთავარია, შეძლებდნენ მეურნეობის მოწყობას. გათავისუფლებული გლეხობა მიწას მიიღებდა იჯარით, რომელიც შემდეგ შეიძლებოდა გამოესყიდა მემამულისაგან. პროექტებს იქით საგლეხო რეფორმების საკითხი აღარ წასულა. ალექსანდრე I-მა საბოლოოდ თავი შეიკავა ბატონყმობის გაუქმებისაგან.

4. სამხედრო დასახლებები. ომისშემდგომი საშინაო პოლიტიკის მნიშვნელოვან მოვლენას **სამხედრო დასახლებების** შექმნა წარმოადგენდა. სამხედრო დასახლებების შექმნა განპირობებული იყო არმიის დაკომპლექტების ახალი ფორმების ძიებითა და არმიის შესანახი ხარჯების შემცირების აუცილებლობით. გადაწყდა არმიის გადაყვანა „თვითდაფინანსებაზე". ამიერიდან ჯარისკაცებს, სამხედრო წვრთნასთან ერთად, მათთვის გამოყოფილ სავარგულებში მიწათმოქმედებისათვის უნდა მოეკიდათ ხელი, რათა ამ გზით მოეპოვებინათ თავიანთი შესანახი სახსრები.

სამხედრო დასახლებების შექმნის იდეა ჯერ კიდევ პავლე I-ის დროს აღმოცენდა, თუმცა მისი რეალიზება მხოლოდ 1810 წლიდან დაიწყო. 1812 წლის სამამულო ომის დაწყების შემდეგ, სამხედრო დასახლებების ჯარისკაცები მოქმედ არმიაში გაიწვიეს. 1816 წელს სამხედრო დასახლებების შექმნა კვლავ გაგრძელდა. შეიცვალა სამხედრო დაბების შექმნის ძველი პრინციპი. **სამხედრო დასახლებებად განკუთვნილი ტერიტორიის მოსახლეობა გადაჰყავდათ სამხედრო თანრიგში და თითოეული გლეხის ოჯახზე ამაგრებდნენ ორ ჯარისკაცს (ქვეითს ან კავალერისტს).** სამხედრო დასახლებებში იხსნებოდა სკოლები, ჰოსპიტლები, სახელოსნოები. სამხედრო დასახლებებში მცხოვრები გლეხის შვილები შვიდი წლის ასაკიდან ირიცხებოდნენ სამხედრო ნაწილებში. თავდაპირველად ბავშვები მშობლებთან რჩებოდნენ და სწავლობდნენ წერა-კითხვას, ელემენტარულ არითმეტიკას. 18 წლის ასაკიდან კი ისინი გადაჰყავდათ რეგულარულ არმიაში.

სამხედრო დასახლებებში ცხოვრება სამხედრო წესების მიხედვით იყო რეგლამენტირებული. დღის სამუშაო განრიგი ისე იყო შედგენილი, რომ ძირფესვიანად ინგრეოდა სოფლის ტრადიციული გლეხური ყოფა. პირველ წლებში სამხედრო დასახლებების მცხოვრებთ კატორღული შრომა უხდებოდათ სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობისა და გზების მშენებლობაზე. ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან ერთად, მშენებლობებზე მუშაობა იმდენად მძიმე და აუტანელი იყო, რომ მან ბევრი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

1817-1818 წლებში სამხედრო დასახლებები შეიქმნა **ნოვგოროდისა** და **ხერსონის** გუბერნიებში, ასევე **უკრაინაში.** 1825 წლისათვის სამხედრო თანრიგში გადაყვანილ იქნა 374 ათასი სახელმწიფო (სახაზინო) გლეხი და უკრაინელი კაზაკი. მათ ოჯახებში ჩაასახლეს რეგულარული არმიის 131 ათასი ჯარისკაცი. იმპერატორ ნიკოლოზ I-ის დროს სამხედრო დასახლებები შეეცვლილი სახით კვლავ განაგრძობდა არსებობას და, პირიქით, იზრდებოდა კიდეც. 1857 წლისათვის ამ ტიპის დასახლებებში 800 ათასი ადამიანი ირიცხებოდა.

სამხედრო დასახლებების შექმნის იდეა **ალექსანდრე I-ს** ეკუთვნოდა, რომლის პრაქტიკულად რეალიზება იმპერატორმა **ალექსი არაკჩეევს** დაავალა. ა. არაკჩეევი თავდაპირველად სამხედრო დასახლებების შექმნის წინააღმდეგი იყო. არმიის შესანახი ხარჯებისა და

რეზერვისტების რაოდენობის გაზრდას ა. არაკჩეევი სხვა გზით აპირებდა. მისი აზრით, არმიაში სამსახურის ვადა 25 წლიდან 8 წლამდე უნდა შემცირებულიყო. რვა წლის სამსახურის შემდეგ ჯარისკაცი ჩაირიცხებოდა რეზერვში და ომის შემთხვევაში მოხდებოდა მისი გაწვევა მოქმედ არმიაში. ა. არაკჩეევის აზრი არ იქნა გაზიარებული. მას შემდეგ, რაც ალექსანდრე I-მა გადაწყვიტა სამხედრო დასახლებების შექმნა, ალექსი არაკჩეევი იმპერატორის პოლიტიკის დაუნდობელი გამტარებელი გახდა. იმპერატორისადმი უსაზღვრო მორჩილებამ, მკაცრმა, დაუნდობელმა ხასიათმა და დიდმა ორგანიზატორულმა ნიჭმა ალექსი არაკჩეევი კიდევ უფრო დაუახლოვა იმპერატორს.

ალექსი არაკჩეევი 1815-1825 წლებში დიდ როლს თამაშობდა საიმპერატორო კარზე. 1822 წლიდან იგი ფაქტობრივად პირველი მინისტრი ხდება. იმპერატორს მოხსენებას ნებისმიერ საკითხზე, მათ შორის უწმინდესი სინოდის საქმეთა შესახებაც კი, ა. არაკჩეევი წარუდგენდა. მინისტრები ა. არაკჩეევს მიართმევდნენ ხოლმე მოხსენებას, მხოლოდ ამ უკანასკნელს ჰქონდა უფლება საერთო მოხსენება წარედგინა იმპერატორისათვის. სწორედ ამის გამო ამ ეპოქას „არაკჩეევშჩინას“ უწოდებენ. ალექსი არაკჩეევს ამ წლების მთავარ „ბოროტებად“ წარმოადგენენ თანამედროვენი და ისტორიკოსებიც. **სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ალექსი არაკჩეევი არ იყო საშინაო პოლიტიკის წარმმართველი. საშინაო პოლიტიკის ხასიათს ალექსანდრე I განსაზღვრავდა, ალექსი არაკჩეევი კი მას ცხოვრებაში ატარებდა. ა. არაკჩეევის ყოვლისშემძლეობის მიუხედავად, საშინაო პოლიტიკის არათუ მთავარი მიმართულება, არამედ ყოველი დეტალი ალექსანდრე I-თან თანხმდებოდა და მისივე ნებართვით ხორციელდებოდა.**

ალექსი არაკჩეევი დიდი სისასტიკით ახშობდა სამხედრო დასახლებების გლეხობისა და კაზაკების ამბოხებებს. 1817-1818 წლებში სამხედრო დასახლებებში მცხოვრებმა გლეხებმა და კაზაკებმა ამბოხება მოაწყვეს ნოვგოროდისა და ხერსონის გუბერნიებში. ყველაზე დიდი ამბოხება მოხდა დაბა **ჩუგუევში** (ხარკოვის გუბერნია) 1819 წელს. ამბოხების ჩასახშობად რეგულარული არმიის ორი დივიზია გახდა საჭირო. ამბოხებაში მონაწილეობის ბრალდებით 2003 კაცი დააპატიმრეს. სამხედრო ტრიბუნალმა სამართალში მიცემული 363 კაცი-დან 273 კაცს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. შემდეგში სიკვდილის განაჩენი მათ „მწყობრში გატარებით“ შეუცვალეს, რომლის დროსაც 29 კაცი ცემისაგან დაიღუპა.

5. ცვლილებები საშინაო პოლიტიკაში. 1820 წლიდან ევროპაში (ესპანეთში, ნეაპოლში, პიემონტსა და სხვ.) მიმდინარე რევოლუციური მოვლენებისა და თვით რუსეთში დაწყებული სოციალური მოძრაობის გავლენით, ალექსანდრე I-ის საშინაო პოლიტიკა უფრო კონსერვატორული გახდა. 1820 წელს ალექსანდრე I-მა სიტყვა წარმოთქვა ვარშავაში პოლონეთის სამეფოს სეიმის მეორე სესიის გახსნისას. ეს სიტყვა რადიკალურად განსხვავდებოდა ორი წლის წინ წარმოთქმული სიტყვისაგან. ამჯერად იმპერატორს აღარაფერი უთქვამს რუსეთში კონსტიტუციური წყობილების შემოღებაზე. ალექსანდრე I-მა აღნიშნა, რომ „ბოროტი სული“ უკვე ბატონობდა ევროპის ნაწილზე (იმპერატორი ესპანეთის, ნეაპოლისა და პიემონტის მოვლენებს გულისხმობდა), რისგანაც ბოროტმოქმედება და უბედურება იყო მოსალოდნელი. იმავე 1820 წელს **ტროპაუში** საღვთო კავშირის კონგრესზე გამოსელისას ალექსანდრე I-მა მოუწოდა „მიელოთ სერიოზული და ქმედითი ზომები ხანძრის წინააღმდეგ, რომელმაც მთელი სამხრეთ ევროპა მოიცვა და საიდანაც ხანძარი ყველგან გავრცელდა“.

ალექსანდრე I-ის საშინაო პოლიტიკის ხასიათზე დიდი გავლენა იქონია 1820 წელს სემიონოვსკის პოლკის ამბოხებამ. ეს იყო არა ჩვეულებრივი სამხედრო ნაწილის ამბოხება, არამედ ერთ-ერთი უძველესი, პეტრე I-ის დროს შექმნილი გვარდიული პოლკის ამბოხება. სემიონოვსკის გვარდიული პოლკი ყველაზე ახლოს იდგა საიმპერატორო კართან. პოლკის შეფად თვით ალექსანდრე I ითვლებოდა. სემიონოვსკის პოლკის ამბოხება ჩაახშვეს, პოლკი დაშალეს და მისი ჯარისკაცები სხვადასხვა სამხედრო ნაწილებში გაგზავნეს. პოლკის პირველი ბატალიონი, რომელმაც ამბოხება დაიწყო, სამხედრო სასამართლოს გადასცეს. ამბოხების მონაწილეთა ნაწილი „მწყობრში გაატარეს“ და ციმბირის სამუდამო კატორღაში გაგზავნეს, ნაწილი კი ციმბირში არსებულ სხვადასხვა გარნიზონებში გაამწესეს. პოლკის ყველა ოფიცერი სხვადასხვა პოლკებში გაგზავნეს სამსახურის გასაგრძელებლად.

ალექსანდრე I-ის შიში არ გამართლდა. სემიონოვსკის პოლკში საიდუმლო რევოლუციური ორგანიზაცია არ აღმოჩნდა. მაგრამ მალე ალექსანდრე I-მა შეიტყო დეკაბრისტთა სა-

იდუმლო ორგანიზაციის — „კეთილდღეობის კავშირის“ — არსებობის შესახებ. ამჯერად იმპერატორმა თავი შეიკავა რეპრესიებისაგან. როცა ალექსანდრე I-ს დეკაბრისტთა საიდუმლო ორგანიზაციის წევრთა სია წარუდგინეს, მან განაცხადა, რომ არ სურდა გაეგო იმ „უბედურთა სახელები“. იმპერატორმა სია ცეცხლში ჩააგდო და დაუმატა: „თქვენ იცით, რომ მე ვიზიარებდი და ვახალისებდი ამ ილუზიებსა და ცდომილებებს... მე არ შემშვენის მათი დასჯა“.

1822-1823 წლებში ალექსანდრე I-ის მიერ გამოცემული ბრძანებებით, გაუქმდა XIX საუკუნის დამდეგს მიღებული ზოგიერთი პროგრესული კანონი. მემამულეებმა ისევ მიიღეს ურჩი გლეხების გადასახლების უფლება, გლეხებს აეკრძალათ არაადამიანური მოპყრობისათვის მემამულეთა წინააღმდეგ საჩივრის შეტანა და სხვ. დაიწყო უნივერსიტეტების შევიწროება, გამკაცრდა ცენზურა.

პოლიტიკური რეჟიმის გამკაცრების მაუწყებელი იყო ალექსანდრე I-ის 1822 წლის რესკრიპტი შინაგან საქმეთა მინისტრისადმი. მინისტრს ევალებოდა საიდუმლო ორგანიზაციებისა და მასონური ლოჟების აკრძალვა. სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობის პირებს უნდა დაედოთ ხელწერილი, რომ არ ეკუთვნოდნენ და არც მომავალში გახდებოდნენ რომელიმე საიდუმლო ორგანიზაციის წევრი. 1821-1823 წლებში არმიასა და გვარდიაში ამოქმედდა საიდუმლო პოლიცია. ყველა დიდ სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობის პირზე დაწესდა ფარული მეთვალყურეობა. ფარული მეთვალყურეობა იყო დაწესებული თვით გენერალ ალექსი არაკჩეევზეც კი. ეს **იყო ტოტალური დასმენების ეპოქა.** დასმენილთა სიაში მოხვდნენ პოლიციის მინისტრი ალექსანდრე ბალაშოვი, მოსკოვის მიტროპოლიტი ფილარეტი, დიდი მთავარი ნიკოლოზ პავლეს ძე (მომავალი იმპერატორი ნიკოლოზ I) და სხვები. მიუხედავად საიდუმლო პოლიციის ყოვლისშემძლეობისა, ხელისუფლებისათვის უცნობი დარჩა დეკაბრისტთა ორგანიზაციები. ალექსანდრე I-მა დეკაბრისტების შესახებ მხოლოდ 1825 წელს შეიტყო და ისიც არა საიდუმლო პოლიციისაგან. დეკაბრისტთა 45-კაციანი სია საიდუმლო პოლიციისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ 1825 წლის 4 დეკემბერს, ალექსანდრე I-ის სიკვდილის შემდეგ.

ალექსანდრე I მეფობის ბოლო წლებში ძალიან ნაღვლიანი იყო. იმპერატორს დასჩემდა განმარტოება. იგი ხშირად საუბრობდა ტახტიდან გადადგომის შესახებ. 1823 წლის 16 აგვისტოს ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა მანიფესტს რუსეთის იმპერიის ტახტზე უფლების გადაცემის შესახებ. ალექსანდრე I-ს მემკვიდრე არ ჰყავდა. მის შემდეგ იმპერატორი უნდა გამხდარიყო დიდი მთავარი **კონსტანტინე პავლეს ძე** (ალექსანდრეს მომდევნო ძმა), მაგრამ მანიფესტის მიხედვით, ტახტზე უნდა ასულიყო ალექსანდრე I-ის უმცროსი ძმა — **ნიკოლოზ პავლეს ძე.** მანიფესტი იმპერატორმა დაბეჭდილ კონვერტში ჩადო, რომელსაც საკუთარი ხელით გაუკეთა წარწერა: კონვერტი უნდა გაეხსნათ მისი სიკვდილის შემდეგ დაუყოვნებლივ, სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდნენ.

1825 წლის 1 სექტემბერს ალექსანდრე I რუსეთის სამხრეთში გაემგზავრა. 19 ნოემბერს იმპერატორი მოულოდნელად გარდაიცვალა ტაგანროგში. ალექსანდრე I-ის მოულოდნელმა გარდაცვალებამ წარმოშვა ლეგენდა, რომ იმპერატორი არ მომკვდარა, რომ იგი საიდუმლო ვითარებაში მიიმალა და დიდხანს ცხოვრობდა **„ბერ თევდორე კუზმას ძის“** სახელით. ალექსანდრე I-ის სიკვდილთან დაკავშირებული ბევრი საკითხი დღესაც აუხსნელია. ლეგენდას, მისი საიდუმლო ვითარებაში მიმალვის შესახებ, დღესაც ბევრი მომხრე ჰყავს.

1815-1825 წლების რუსეთის საშინაო პოლიტიკა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც XIX საუკუნის დამდეგის საშინაო პოლიტიკის გადასინჯვა და მისი შედეგების ლიკვიდაცია. დაძაბულმა სოციალურმა ვითარებამ ევროპასა და რუსეთში ალექსანდრე I აიძულა თავი შეეკავებინა ფართო ხასიათის რეფორმატორული მოღვაწეობისაგან.

თავი VI. რუსეთის საგარეო პოლიტიკა 1815-1825 წლებში

ნაპოლეონის მარცხმა და საფრანგეთის პირველი იმპერიის ნგრევამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია ევროპაში. „ახალი წესრიგის" დამყარებაში აქტიურად მონაწილეობდა რუსეთიც.

1. ვენის კონგრესი. 1814 წლის 18 მაისს გამარჯვებულ რუსეთს, ინგლისს, ავსტრიას, პრუსიას, ესპანეთს, პორტუგალიას, შვეციასა და, მეორე მხრივ, დამარცხებულ საფრანგეთს შორის ხელმოწერილ იქნა **პარიზის ტრაქტატი.** ამ ტრაქტატის ძალით, საფრანგეთი აღიარეს 1792 წლის საზღვრებში (ე.ი. საფრანგეთს მიეკუთვნა ის ტერიტორია, რომელიც მას ეკავა რევოლუციური ომების დაწყებამდე); **ჰოლანდიამ,** რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ანტიფრანგულ კოალიციაში, შეიერთა **ბელგიის** ტერიტორია; **გერმანულმა სახელმწიფოებმა** შექმნეს **ფედერაცია,** რომელშიც 38 სახელმწიფო გაერთიანდა; **ინგლისმა** შეინარჩუნა კუნძული **მალტა** და **იონიის** კუნძულები; **ავსტრიამ** მიიღო **ჩრდილოეთ იტალიის** ტერიტორიის ნაწილი (ვენეცია და ლომბარდია), ასევე ტერიტორია **ბალკანეთზე** (ილირიის პროვინცია). პარიზის ტრაქტატით, საფრანგეთსა და ესპანეთში აღდგა **ბურბონთა** დინასტია.

პარიზის ტრაქტატის მიხედვით, ომში გამარჯვებულ მოკავშირე სახელმწიფოებს ტრაქტატზე ხელის მოწერიდან ორი თვის განმავლობაში ვენაში უნდა მოეწვიათ **კონგრესი.** კონგრესს უნდა დაესახა გზები იმ პოლიტიკური სისტემის განმტკიცებისა და განვითარებისათვის, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა პარიზის ტრაქტატმა. მონარქთა ხელისუფლების განმტკიცება და გაძლიერება, ბრძოლა ეროვნული და რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ, საზღვრებისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა — ასეთი იყო ევროპის ქვეყნების ხელისუფალთა ნება.

ალექსანდრე I-ს კარგად ესმოდა, თუ რა უმნიშვნელოვანესი ცვლილებები განიცადა ევროპამ საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდგომ წლებში და, განსაკუთრებით, ნაპოლეონის ომების ეპოქაში. აქედან გამომდინარე, რუსეთის იმპერატორი თავდაპირველად წინააღმდეგი იყო საფრანგეთში ბურბონთა დინასტიის დაბრუნებისა, მაგრამ ბურბონთა დაბრუნებას მხარი აქტიურად დაუჭირა ინგლისმა. ცხადია, ინგლისი ბურბონთა დინასტიის აღდგენით საფრანგეთის მომავალ პოლიტიკურ სისტემაზე კი არ ზრუნავდა, არამედ, პირველ რიგში, თავისი გავლენის გაძლიერება სურდა. მადლიერი ბურბონები თავდაპირველად მაინც ინგლისს დაუჭერდნენ მხარს. **ინგლისსა და მასთან ერთად ავსტრიას გადასაჭრელი ჰქონდათ უმთავრესი საკითხი — რუსეთის პოზიციების შესუსტება ევროპაში.** ძალზე დაიძაბა ურთიერთობა ომში გამარჯვებულ ქვეყნებს (მოკავშირეებს) შორის ვენის კონგრესის მზადებისა და მისი მიმდინარეობის პერიოდში. ამის მიზეზი იყო ინგლისი, მისი მისწრაფება — როგორმე შეესუსტებინა რუსეთის პოზიციები ევროპაში.

ვენის კონგრესის წინასწარი სხდომები 1815 წლის აგვისტოდან მიმდინარეობდა. რუსეთისათვის უმთავრესი იყო **პოლონეთისა** და **საქსონიის** საკითხი. თუკი პოლონეთ-საქსონიის საკითხს თავისი გეგმის მიხედვით გადაჭრიდა, მაშინ რუსეთს საშუალება მიეცემოდა აქტიურად ჩარეულიყო ევროპის საქმეებში. ალექსანდრე I-მა რუსეთის წარმომადგენელს ვენის კონგრესზე **კარლ ნესელროდეს** მისცა მითითება, რადაც უნდა დასჯდომოდა, მიეღწია **ვარშავის საჰერცოგოს** ტერიტორიის მთლიანად რუსეთის შემადგენლობაში გადასვლისათვის. ალექსანდრე I-მა კარგად იცოდა, რომ ვარშავის საჰერცოგოს რუსეთისათვის გადაცემას წინ აღუდგებოდა ინგლისი და ავსტრია. ასეთ ვითარებაში რუსეთის დიპლომატიას უნდა მოემზრო პრუსია, რომელსაც რუსეთი საქსონიის სამეფოს ტერიტორიის ნაწილს ჰპირდებოდა. 1814 წლის 16 სექტემბერს რუსეთსა და პრუსიას შორის დაიდო საიდუმლო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც რუსეთი პრუსიას უთმობდა საქსონიას და იმავდროულად გამოჰყავდა ჯარები მისი ტერიტორიიდან. პრუსიისათვის საქსონიის გადაცემას წინ აღუდგა ავსტრია. ინგლისი დიდ დაინტერესებას არ იჩენდა საქსონიის საკითხით. **ინგლისი უმთავრეს მიზნად ისახავდა, რომ მიეღწია ბალკანეთში რუსეთის პოზიციების შესუსტებისათვის.** იმავდროულად ინგლისის დიპლომატია ცდილობდა არ დაეშვა საფრანგეთის აღორძინება. ამ მიზნით ინგლისი ცდილობდა, საფრანგეთის გარშემო შეექმნა წვრილ-წვრილი სახელმწიფოები, რომელთა უსაფრთხოების დაცვა ინგლისზე იქნებოდა დამოკიდებული. **ამრიგად, ვენის კონგრესის გახსნის დროისათვის მოკავშირე სახელმწიფოებს შორის სერიოზული წინააღმდეგობები არსებობდა.** კონგრესის გახსნამდე გა-

დაწყდა, რომ არ დაეშვათ საფრანგეთის მონაწილეობა **ტერიტორიების** გადანაწილების საკითხის განხილვაში. **საფრანგეთის** წარმომადგენელს **შეეძლო** მხოლოდ თავისი აზრი გამოეთქვა, **მაგრამ ტალეირანმა** კარგად გამოიყენა **მოკავშირეთა** ურთიერთდაპირისპირება და, ფაქტობრივად, საფრანგეთიც კონგრესის სრულუფლებიან წევრად მოგვევლინა.

ვენის კონგრესი მუშაობდა 1814 წლის სექტემბრიდან 1815 წლის ივნისის ჩათვლით. კონგრესზე დიდი დავა გამოიწვია პოლონეთის (ვარშავის საჰერცოგოს) და საქსონიის საკითხმა. ალექსანდრე I ვარშავის საჰერცოგოს რუსეთისათვის გადაცემის სამართლიანობას იმით ასაბუთებდა, რომ რუსეთმა ნაპოლეონის დამარცხებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. ინგლისი, ავსტრია და საფრანგეთი წინ აღუდგნენ რუსეთის მოთხოვნას. **მთელი პოლონეთის რუსეთისათვის გადაცემას ინგლისი ევროპისათვის მეტად საშიშ მოვლენად მიიჩნევდა.** ევროპის ქვეყნებს ასევე აშინებდათ პოლონეთის ტერიტორიის გაერთიანება, რაც, მათი აზრით, ხელს შეუწყობდა პოლონელი ერის დარაზმვას და მის ამოძრავებას თავისუფლების მოსაპოვებლად. რუსეთის იზოლირების მიზნით, ინგლისი და ავსტრია პრუსიას რუსეთის დახმარების გარეშე საქსონიის გადაცემას დაპირდნენ. პრუსიის წარმომადგენელი კონგრესზე მზად იყო მიეღო ინგლის-ავსტრიის წინადადება. ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი აღმოჩნდა რუსეთის ჯარების ყოფნა საქსონიის ტერიტორიაზე. პრუსიის ხელისუფლება მიხვდა, რომ ალექსანდრე I-ის დაპირებას უფრო რეალური შედეგი შეიძლებოდა მოეტანა. პრუსიამ მხარი დაუჭირა რუსეთს. ამის საპირისპიროდ **ინგლისმა, ავსტრიამ** და **საფრანგეთმა** 1815 წლის 3 იანვარს ხელი მოაწერეს საიდუმლო შეთანხმებას, რომელიც **რუსეთისა** და **პრუსიის** წინააღმდეგ იყო მიმართული. ვენის კონგრესის მონაწილე ქვეყნები ისევ გააერთიანა 1815 წლის მარტში **ნაპოლეონის** გაქცევამ კუნძულ **ელბიდან** და საფრანგეთში ხელისუფლების ასი დღით დაბრუნებამ. 1815 წლის 28 მაისს ხელმოწერილ იქნა **ვენის კონგრესის დასკვნითი აქტი.** პოლონეთის (ვარშავის საჰერცოგოს) უდიდესი ნაწილი ქალაქ ვარშავითურთ რუსეთს გადაეცა და მას **პოლონეთის სამეფო** ეწოდა. პრუსიამ პოლონეთის ტერიტორიიდან მიიღო ქალაქი **პოზნანი** და მისი ოლქი (ე.წ. პოზნანშჩინა). ქალაქი **კრაკოვი** გამოცხადდა თავისუფალ ქალაქად. **აღმოსავლეთ გალიცია** ავსტრიას ერგო. ამდენად, პოლონელი ერი სამი სახელმწიფოს (რუსეთს, ავსტრიასა და პრუსიას) შორის აღმოჩნდა განაწილებული. საქსონიის ნაწილი გადაეცა ავსტრიას, დარჩენილ ტერიტორიაზე საქსონიის დამოუკიდებელ სახელმწიფოს უნდა ეარსება. 38 გერმანული სახელმწიფოსა და ოთხი თავისუფალი გერმანული ქალაქიდან (ჰამბურგი, ლიუბეკი, ბრემენი, ფრანკფურტი) შეიქმნა **გერმანიის კავშირი,** რომელშიც წამყვან როლს ავსტრია ასრულებდა. **ბელგია** ჰოლანდიას შეუერთეს, ხოლო **ილირიის ოლქი** (ბალკანეთზე) ავსტრიას გადაეცა.

ვენის კონგრესის მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ მან, ასე თუ ისე, მოაგვარა ევროპის დიდ ქვეყნებს შორის არსებული წინააღმდეგობები, რამაც შესაძლებელი გახადა მშვიდობის შენარჩუნება ევროპაში თითქმის ოთხი ათეული წლის განმავლობაში.

2. **საღვთო კავშირი.** 1815 წლის მარტში **რუსეთმა, ინგლისმა, ავსტრიამ** და **პრუსიამ** ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას **ოთხთა კავშირის** შესახებ. ამ ხელშეკრულების მიზანი იყო ვენის კონგრესის გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანა, უპირველეს ყოვლისა, საფრანგეთის მიმართ. ამ დროისათვის საფრანგეთის ტერიტორია ოკუპირებული იყო გამარჯვებული მოკავშირე სახელმწიფოების არმიების მიერ. საფრანგეთს უნდა გადაეხადა უზარმაზარი კონტრიბუცია.

1815 წლის სექტემბერში **რუსეთს, ავსტრიასა** და **პრუსიას** შორის დაიდო **საღვთო კავშირი.** აქტი საღვთო კავშირის შექმნის შესახებ შეადგინა ალექსანდრე I-მა. აქტის ტექსტს რელიგიურ-მისტიკური ხასიათი ჰქონდა და ქრისტიანი მონარქების ერთმანეთისადმი დახმარების ვალდებულებას შეიცავდა. **პრაქტიკულად, საღვთო კავშირი შეიქმნა მონარქთა დინასტიებისა და ლეგიტიმიზმის პრინციპის დაცვის მიზნით.** 1820-1821 წლებში **ტროპაუსა** და **ლაიბახში** გამართულ კონგრესებზე საღვთო კავშირის იდეოლოგიურმა დანიშნულებამ ტრანსფორმაცია განიცადა და მან აშკარად **პოლიტიკური ხასიათი** შეიძინა. კერძოდ, საღვთო კავშირმა დაიწყო ჩარევა სხვა სახელმწიფოების შინაურ საქმეებში რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის მიზნით. საღვთო კავშირის წევრთაგან განსაკუთრებით აქტიურობდა რუსეთი და ავსტრია. მართალია, ინგლისს საღვთო კავშირის შექმნის აქტზე ხელი არ მოუწერია, მაგრამ იგი თანაუგრძნობდა კონსერვატორულ პოლიტიკას.

ოთხთა კავშირი, ხოლო შემდეგ **საღვთო კავშირი** შეიქმნა ევროპის ქვეყნებს შორის არსებული წინააღმდეგობების გადაჭრის მიზნით. მაგრამ მალე გაირკვა, რომ ვერც ერთმა კავშირმა დასახულ ამოცანას ვერ მიაღწია — წინააღმდეგობები ევროპის ქვეყნებს შორის სულ უფრო ღრმავდებოდა. ინგლისი და ავსტრია აშკარად ცდილობდნენ, რომ შეელახათ რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტი და შეემცირებინათ მისი სამხედრო-პოლიტიკური გავლენა. რუსეთი ცდილობდა საპირისპირო ზომების გატარებას. კერძოდ, გააქტიურდა რუსეთის ურთიერთობა საფრანგეთთან, პრუსიასთან, ესპანეთთან და სხვა სახელმწიფოებთან. ალექსანდრე I მხარს უჭერდა ბურბონებს, მაგრამ ამავე დროს ცდილობდა საფრანგეთში კონსტიტუციური წყობილების დაცვას, ეწინააღმდეგებოდა ბურბონების მიერ როიალისტური იდეოლოგიის გაძლიერებას. **ალექსანდრე I-ის საბოლოო მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ მას სურდა დამარცხებული საფრანგეთი გაეძლიერებინა და ექცია იგი ევროპაში წონასწორობის გარანტად.** აქედან გამომდინარე, რუსეთი მხარს უჭერდა საფრანგეთიდან საოკუპაციო ჯარების გამოყვანასა და მისთვის დაკისრებული კონტრიბუციის შემცირებას.

1818 წელს **აახენში** გაიმართა ოთხთა კავშირის საერთაშორისო კონგრესი, რომელშიც საფრანგეთიც მონაწილეობდა. ალექსანდრე I-ის მოთხოვნის საფუძველზე მიიღეს გადაწყვეტილება საფრანგეთის ტერიტორიიდან საოკუპაციო ჯარების გამოყვანის შესახებ. აახენში საფრანგეთი მიიღეს საღვთო კავშირის რიგებში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აახენის საერთაშორისო კონგრესის მიერ დეკლარაციის მიღებას, რომელიც აღიარებდა „საერთაშორისო სამართლის პრინციპების, სიმშვიდისა და ზნეობის დაცვას". პრაქტიკულად ეს ნიშნავდა ლეგიტიმიზმის პრინციპების დაცვასა და რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლას.

ვენის კონგრესის შემდეგ რუსეთს ნეიტრალური პოზიცია ეკავა იმ ბრძოლაში, რომელიც გერმანულ სახელმწიფოთა კავშირში პირველობისათვის ავსტრიამ და პრუსიამ წამოიწყეს. ალექსანდრე I თვლიდა, რომ ავსტრიის ან პრუსიის მიერ უპირატესობის მოპოვება დაარღვევდა წონასწორობას ევროპაში.

ვენის კონგრესის მიერ შექმნილი სისტემა, რომელიც ვენის სისტემის სახელწოდებითაა ცნობილი, წინააღმდეგობებს შეიცავდა. წინააღმდეგობები იყო ოთხთა კავშირისა და საღვთო კავშირის შიგნითაც. მიუხედავად ამისა, ევროპის დიდი ქვეყნები, ეროვნული და რევოლუციური მოძრაობის შიშით, ერთმანეთთან საერთო ენას მაინც პოულობდნენ. კონსერვატიზმი და ლეგიტიმიზმი განსაზღვრავდა იმდროინდელ საერთაშორისო ურთიერთობებს.

3. რუსეთი და ევროპის რევოლუციები. XIX საუკუნის 20-ანი წლების დამდეგისათვის რუსეთი კვლავ ინარჩუნებდა წამყვან როლს ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

1820 წელს რევოლუცია დაიწყო **ესპანეთში**, რომლის ძირითადი მოთხოვნა იყო ესპანეთის ტახტზე აღდგენილი ბურბონების ხელისუფლების რეორგანიზაცია. ესპანეთის შემდეგ რევოლუციებმა იფეთქა **იტალიასა** და **პორტუგალიაში**. ალექსანდრე I-ის დამოკიდებულება რევოლუციებისადმი ხან თავდაჭერილი იყო, ხან — აშკარად მტრული. ევროპის რევოლუციური მოვლენების გამო 1820 წელს ტროპაუში მოიწვიეს ხუთი მოკავშირე სახელმწიფოს — **რუსეთის, ავსტრიის, პრუსიის, საფრანგეთისა** და **ინგლისის** — კონგრესი. კონგრესის სხდომები გაგრძელდა ლაიბახში. 1820 წლის ნოემბერში რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ **ხელი მოაწერეს ოქმს სხვა სახელმწიფოების შინაურ საქმეებში ჩარევის უფლების** ანუ ინტერვენციის პრინციპის შესახებ. ინგლისმა და საფრანგეთმა უარი განაცხადეს, ოფიციალურად შეერთებოდნენ ამ ოქმს, თუმცა სამართლიანად ცნეს ოქმზე ხელმომწერი სახელმწიფოების უფლება, ჩარეულიყვნენ იტალიის შინაურ საქმეებში. ავსტრიის 100-ათასიანი არმია იტალიაში შეიჭრა და სისხლში ჩაახშო ნეაპოლსა და პიემონტში დაწყებული აჯანყებები.

ტროპაუსა და ლაიბახის კონგრესებზე კვლავ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს **რუსეთი** და **ინგლისი**. ინგლისი ვერ ეგუებოდა რუსეთის წამყვან როლს ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ინგლისს განსაკუთრებით აღიზიანებდა ის, რომ ნაპოლეონის განადგურების შემდეგ, ალექსანდრე I პრაქტიკულად ევროპის საქმეთა არბიტრის როლში გამოდიოდა და ტონს აძლევდა მთელ საერთაშორისო ურთიერთობებს.

1822 წელს **ვერონაში** გაიმართა „საღვთო კავშირის" უკანასკნელი კონგრესი. ამ დროისათვის **ესპანეთის** რევოლუცია აღმავლობის გზით მიდიოდა. რევოლუციები დაიწყო ლათინური ამერიკის ესპანურ კოლონიებშიც. კონგრესმა მიიღო დადგენილება ესპანეთში საფრანგეთის ინტერვენციის შესახებ. საფრანგეთის

არმიამ 1823 წლისათვის ესპანეთის რევოლუცია ჩაახშო.

საღვთო კავშირის ვერონის კონგრესზე აშკარა გახდა, რომ ალექსანდრე I და ევროპის სხვა მონარქები ანგარიშს არ უწევდნენ იმ გარემოებას, რომ ევროპის ქვეყნებში დაწყებული რევოლუციების მიზეზი ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის დამკვიდრება იყო. ევროპის მონარქები კვლავ ვენის სისტემის შენარჩუნებისათვის იღვწოდნენ.

4. აღმოსავლეთის საკითხი. ბუქარესტის ზავმა (1812 წ.) ვერ მოაგვარა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა. რუსეთისა და თურქეთის ინტერესები ბალკანეთზე კვლავ შეეჯახნენ ერთმანეთს. მართალია, 1813 წელს თურქეთმა ჩაახშო სერბების აჯანყება, მაგრამ 1815 წელს სერბეთში კვლავ იფეთქა თურქეთის წინააღმდეგ ახალმა აჯანყებამ. რუსეთმა თურქეთი აიძულა, შეესრულებინა ბუქარესტის ზავის პირობა სერბეთის ავტონომიის შესახებ. 1816 წელს თურქეთის სულთანმა ცნო სერბეთის ავტონომია.

1821 წელს **საბერძნეთში** თურქეთის წინააღმდეგ დაწყებულმა აჯანყებამ აღმოსავლეთის საკითხი ძალზე დაძაბა. ამის საპასუხოდ თურქეთმა რუსეთის სამხედრო გემებისათვის **ბოსფორისა** და **დარდანელის** სრუტეები დახურა და **დუნაის სამთავროებში** ჯარი შეიყვანა. რუსეთის დიპლომატია ცდილობდა მოეპოვებინა ევროპის ქვეყნების მხარდაჭერა და შეეჩერებინა თურქეთის დამსჯელი ექსპედიციების მოქმედება საბერძნეთში. ინგლისი და ავსტრია კი პირიქით, ბერძნების „დამშვიდების" მომხრეები იყვნენ და თურქეთის წინააღმდეგ ზომების მიღებას არ აპირებდნენ. ინგლისის პოლიტიკა მხოლოდ 1823 წლიდან იცვლება. ამ წელს ინგლისმა თურქეთის წინააღმდეგ აჯანყებული ბერძნები მებრძოლ მხარედ ცნო. ასეთ ვითარებაში რუსეთი თურქეთის შემადგენლობაში საბერძნეთის ავტონომიის მოთხოვნით გამოვიდა. ავტონომია მიუღებელი აღმოჩნდა, როგორც სრული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ბერძნებისათვის, ისე თურქეთისათვის. 1824 წელს **პეტერბურგში** გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც **რუსეთი, ინგლისი, ავსტრია, პრუსია** და **საფრანგეთი** მონაწილეობდნენ. ეს იყო ბოლო კონფერენცია, რომელზეც ალექსანდრე I საბერძნეთის საკითხში ევროპის სახელმწიფოთა შეთანხმებას შეეცადა, მაგრამ უშედეგოდ. თურქეთმაც უარყო კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოთა შუამდგომლობა საბერძნეთთან მიმართებაში. ალექსანდრე I-მა გადაწყვიტა, ამიერიდან დამოუკიდებლად მოეგვარებინა ეს პრობლემა.

1815-1825 წლებში რუსეთის დიპლომატია ცდილობდა ამერიკის კონტინენტზე შეღწევას. **1821 წელს ალექსანდრე I-მა სავსებით აშკარად განაცხადა, რომ რუსეთს პრეტენზიები ჰქონდა ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილზე.** ალექსანდრე I სპეციალური ბრძანებით, რუსეთის იმპერიის ტერიტორიად მიიჩნევდა ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის ნაწილს ბერინგის სრუტიდან ჩრდილოეთის განედის 51 გრადუსამდე. იმპერატორის ბრძანებას ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების პროტესტი მოჰყვა. 1824 წელს **რუსეთსა** და **ამერიკის შეერთებულ შტატებს** შორის დაიდო კონვენცია ვაჭრობის, ზღვაოსნობისა და ჩრდილო-დასავლეთ ამერიკაში ტერიტორიების გამიჯვნის შესახებ. მხარეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ რუსები არ დასახლდებოდნენ ჩრდილო-დასავლეთ ამერიკის ტერიტორიაზე ჩრდილოეთ განედის 54 გრადუსის სამხრეთით, ხოლო ამერიკელები — ჩრდილოეთით, ე.ი. რუსეთის კუთვნილი ტერიტორია მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა **ალასკა** რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში დარჩა. ამერიკის შეერთებული შტატების საავჭრო გემებს დარჩათ უფლება ჩრდილოეთ ამერიკაში რუსეთის ტერიტორიაზე არსებული ნავმისადგომების გამოყენებისა.

1815-1825 წლებში რუსეთის იმპერია გადამწყვეტ გავლენას ახდენდა ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. რუსეთის დიპლომატიამ ურთულეს ვითარებაში შეძლო ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების დაცვა.

თავი VII. პოლიტიკური მოძრაობის დასაწყისი რუსეთში. დეკაბრისტები

XVIII საუკუნის სასახლის კარის გადატრიალებები არ შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკურ მოძრაობად, რომელსაც მიზნად ჰქონდა რუსეთის სახელმწიფო სისტემის გარდაქმნა. სასახლის კარზე გადატრიალების ორგანიზატორი იყო სახელმწიფო მოღვაწეთა ერთი ჯგუფი, რომელიც პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობას ელტვოდა. პოლიტიკური მოძრაობა, რომლის მიზანი იყო რუსეთის იმპერიის პოლიტიკური სისტემის შეცვლა, ჩაისახა 1812 წლის სამამულო ომისა და 1813-1814 წლებში რუსეთის არმიის ევროპაში ლაშქრობის შემდგომ პერიოდში. ამ მოძრაობამ შეიმუშავა თავისი პროგრამა და 1825 წლის დეკემბერში მისი განხორციელება სცადა. ამ ეპოქის პოლიტიკური მოძრაობის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს **დეკაბრისტები** უწოდეს.

1. დეკაბრისტთა იდეური წყაროები. დეკაბრისტები რუსეთის უმაღლეს არისტოკრატიას (თავადაზნაურობას) განეკუთვნებოდნენ და, ამდენად, პოლიტიკური სისტემის შენარჩუნებით უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი. მიუხედავად ამისა, დეკაბრისტებმა გაწირეს თავიანთი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, სამსახურებრივი კარიერა, რაც მთავარია, საკუთარი სიცოცხლე და სამშობლოს განახლება გაიხადეს ცხოვრების მიზნად.

დეკაბრისტები სულიერად კეთილშობილი და უსაზღვრო პატრიოტიზმით გულანთებული ადამიანები იყვნენ. მთელი მათი პრაქტიკული მოღვაწეობა ეფუძნებოდა მაღალ ზნეობას. ცნობილი დეკაბრისტი **კონდრატე რილეევი** ამბობდა: „დიდი მიზნის მისაღწევად არ შეიძლება უზნეო საშუალებების გამოყენება“.

დეკაბრისტთა რიგებში ძირითადად რუსეთის არმიის ოფიცრობა იყო გაერთიანებული. ეს ადამიანები კარგად ხედავდნენ, თუ საით მიემართებოდა კაცობრიობა, რა აძლევდა ტონს მათი თანამედროვე მსოფლიოს განვითარებას. დეკაბრისტები დარწმუნებულები იყვნენ, რომ სწორედ იმ ეპოქაში წყდებოდა რუსეთის ბედი და მზად იყვნენ სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას შესწირვოდნენ.

დეკაბრისტთა იდეოლოგიის ჩამოყალიბებაზე სამმა მოვლენამ იქონია გადამწყვეტი გავლენა. ეს მოვლენები იყო: ა) XVIII საუკუნის ფრანგი განმანათლებლებისა და საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეები; ბ) XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დამდეგის რუსი განმანათლებლების შეხედულებები; გ) 1812 წლის სამამულო ომი.

ფრანგი განმანათლებლების (ვოლტერი, რუსო, მონტესკიე და სხვები) და საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეები **დეკაბრისტებს**, პირველ რიგში, აბსოლუტური მონარქიების მოსპობის, ახალი აზროვნების, ახალი სახელმწიფო სისტემის დამკვიდრების მიზნით აინტერესებდათ. რუსეთში არსებული პოლიტიკური სისტემის კრიტიკის თვალსაზრისით იყო მნიშვნელოვანი დეკაბრისტებისათვის **რუსი განმანათლებლების** (ალექსანდრე რადიშჩევის, ნიკოლოზ ნოვიკოვის) იდეებიც. გადამწყვეტი გავლენა დეკაბრისტთა შეხედულებების ჩამოყალიბებაზე მოახდინა **1812 წლის სამამულო ომმა და რუსეთის არმიის ლაშქრობამ ევროპაში (1813-1814 წწ.)**. დეკაბრისტები თავიანთ თავს „1812 წლის შვილებს“ უწოდებდნენ. ასზე მეტი დეკაბრისტი 1812 წლის სამამულო ომის მონაწილე იყო, ხოლო 65 მათგანი ბოროდინოს ველზე იბრძოდა. **1812 წლის ომმა არნახული ბიძგი მისცა რუსთა ეროვნული თვითშეგნების ზრდას.** სწორედ ომის შემდეგ დაფიქრდნენ დეკაბრისტები სამშობლოს ბედზე. სავსებით ბუნებრივად დაისვა საკითხი: სამშობლოს, ევროპის სახელმწიფოებისა და ხალხების მხსნელი რუსი ერი თვითონ სანამ უნდა დარჩენილიყო მონობაში?! ევროპაში ლაშქრობის დროს დეკაბრისტებმა თაკისი თვალით ნახეს საფრანგეთის რევოლუციის იდეების ხორცშესხმის შედეგად დამკვიდრებული ახალი ეკონომიკური და სოციალური სისტემა, ახალი ცხოვრების შემოქმედი თავისუფალი ხალხი. ყოველივე ამან გადამწყვეტი გავლენა იქონია დეკაბრისტთა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ შეხედულებებზე. **დეკაბრისტები დარწმუნდნენ რუსეთში მონარქიული წყობილების შეცვლისა და კონსტიტუციური წყობილების დამყარების აუცილებლობაში, ბატონყმობის მოსპობის გარდაუვალობაში.** ყოველივე ამას დეკაბრისტები თავიანთ პატრიოტულ მოვალეობად თვლიდნენ.

2. დეკაბრისტთა პირველი ორგანიზაციები. პირველი დეკაბრისტული ორგანიზაცია — **„ხსნის კავშირი“** — ჩამოყალიბდა 1816 წელს პეტერბურგში. ორგანიზაცია შექმნა 23 წლის გვარდიის პოლკოვნიკმა **ალექსანდრე მურავი-**

ოვმა. „ხსნის კავშირში“ შეეიდნენ ახალგაზრდა ოფიცრები: **ნიკიტა მურავიოვი**, ძმები **მიხეილ** და **სერგეი მურავიოვ-აპოსტოლები**, **სერგეი ტრუბეცკოი**, **ივანე იაკუშინი**. ორგანიზაცია საბოლოოდ ჩამოყალიბდა ერთი წლის შემდეგ, 1817 წელს, როცა მის რიგებში შეეიდა ახალგაზრდა ენერგიული პოლკოვნიკი **პავლე პესტელი**. პავლე პესტელის ინიციატივით შემუშავდა წესდება. ამ დროიდან ორგანიზაციას **„სამშობლოს ჭეშმარიტ და ერთგულ შვილთა საზოგადოება“** ეწოდა. ეს იყო თანამოაზრეთა 10-12-კაციანი ჯგუფი. 1817 წლისათვის საზოგადოების წევრთა რაოდენობა ოცდაათ კაცამდე გაიზარდა.

„ხსნის კავშირი“ და **„სამშობლოს ჭეშმარიტ და ერთგულ შვილთა საზოგადოება“** **მიზნად ისახავდა კონსტიტუციური წყობილების შემოღებასა და ბატონყმობის მოსპობას**. ამავე დროს ორგანიზაციის წევრებს არ გააჩნდათ გარდაქმნების კონკრეტული პროგრამა და არც ის ჰქონდათ ნათლად წარმოდგენილი, თუ როგორ უნდა მიეღწიათ დასახული მიზნისათვის. ისინი ფიქრობდნენ, ტახტზე ახალი იმპერატორის ასვლის დროს მისთვის ერთგულების ფიცი არ მიეცათ და აეძულებინათ იგი, დასთანხმებოდა კონსტიტუციური წყობილების შემოღებას. ორგანიზაციის წევრებს იმის იმედიც ჰქონდათ, რომ თავისი რეფორმატორული მოღვაწეობით ცნობილი ალექსანდრე I თვითონ უბოძებდა რუსეთს კონსტიტუციას, ისევე როგორც პოლონეთის სამეფოს უბოძა 1815 წელს. ამ შემთხვევაში ორგანიზაციას გადაწყვეტილი ჰქონდა იმპერატორისათვის ყოველმხრივი მხარდაჭერა აღმოეჩინა.

1817 წელს საიმპერატორო კარი გვარდიასთან ერთად პეტერბურგიდან მოსკოვში გაემგზავრა, რათა მონაწილეობა მიეღო სამამულო ომში გამარჯვების ხუთი წლისთავის აღსანიშნავ ზეიმში. გვარდიასთან ერთად მოსკოვში აღმოჩნდნენ „ხსნის კავშირის“ წევრი ოფიცრებიც. ალექსანდრე მურავიოვის ბინა იქცა ორგანიზაციის წევრთა შეხვედრის ადგილად. **მოსკოვში ნელ-ნელა გამოიკვეთა აზრი იმის შესახებ, რომ ყველაფერი უნდა დაწყებულიყო იმპერატორის მკვლელობით.** ივანე იაკუშინი გეგმავდა კრემლში შეღწევას და იმპერატორ ალექსანდრე I-ის მოკვლას, რის შემდეგაც იგი თავის მოკვლას აპირებდა. ხანგრძლივი კამათის შემდეგ, მეფის მოკვლის განზრახვაზე ხელი აიღეს. მოსკოვშივე გადაწყდა, დაეშალათ ფარული ორგანიზაცია და შეექმნათ ახალი, უფრო ფართო ორგანიზაცია.

3. „კეთილდღეობის კავშირი“. ახალი ფარული ორგანიზაცია — **„კეთილდღეობის კავშირი“** — 1818 წელს შეექმნა მოსკოვში. ამ ორგანიზაციამ 1821 წლამდე იარსება და დიდი წვლილი შეიტანა დეკაბრისტთა საპროგრამო და ორგანიზაციულ-ტაქტიკური საკითხების დამუშავებაში.

„კეთილდღეობის კავშირი“ დაახლოებით 200 კაცს აერთიანებდა. ორგანიზაციას ჰქონდა თავისი **წესდება** („მწვანე წიგნი“). **„მწვანე წიგნის“** პირველ ნაწილში აღნიშნული იყო, რომ ორგანიზაცია მიზნად ისახავდა განათლების გავრცელებას. „მწვანე წიგნის“ ამ ნაწილს ორგანიზაციის ყველა წევრი უნდა გასცნობოდა. ცოტა მოგვიანებით დაიწერა „მწვანე წიგნის“ მეორე ნაწილი, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო „კეთილდღეობის კავშირის“ უმთავრესი მიზანი: **კონსტიტუციური წყობილების შემოღება, მოქალაქეთა თანასწორობა კანონის წინაშე, სახელმწიფო მმართველობასა და სასამართლოში საჯარისობის დამკვიდრება, ბატონყმობის მოსპობა, არმიაში გაწვევის სარეკრუტო სისტემისა და სამხედრო დასახლებების მოსპობა**. „მწვანე წიგნის“ მეორე ნაწილს ფარული საზოგადოების ყველა წევრი არ უნდა გასცნობოდა.

„კეთილდღეობის კავშირში“ ორი მიმდინარეობა გამოიკვეთა. ორგანიზაციის ნაწილი **რადიკალურ** მოთხოვნებს აყენებდა, ნაწილი **კი ლიბერალურ** პოზიციაზე იდგა. რადიკალები „გადამწყვეტი ზომების“ გატარებას უჭერდნენ მხარს და **რესპუბლიკური წყობილების** შემოღებისაკენ მიილტვოდნენ. ლიბერალები **კონსტიტუციური მონარქიის** იდეას იცავდნენ. 1820 წელს პეტერბურგში შედგა „კეთილდღეობის კავშირის“ შეკრება. შეკრებაზე **პავლე პესტელმა** წაიკითხა მოხსენება რევოლუციური გადატრიალების შემდგომ რუსეთის მმართველობის ფორმების შესახებ. ცხარე კამათის შემდეგ შეკრების მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს **რესპუბლიკური** წყობილების შემოღებას. ამასთან ერთად, **პავლე პესტელსა** და **ნიკიტა მურავიოვს** დაევალათ ფარული ორგანიზაციის საპროგრამო დოკუმენტების შემუშავება.

1821 წელს, ორგანიზაციის შიგნით შექმნილი უთანხმოების გამო, მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე „კეთილდღეობის კავშირი“ დაშლილად გამოცხადდა. დაიწყო მზადება ახალი ორგანიზაციების შექმნისათვის.

4. დეკაბრისტთა ორგანიზაციები 1821-1825 წლებში. 1821 წელს მოსკოვში გამარ-

თულ შეკრებაზე „კეთილდღეობის კავშირის“ დაშლის გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად, გადაწყდა შექმნილიყო უფრო მკაცრად კონსპირირებული საიდუმლო ორგანიზაცია. ახალ ფარულ ორგანიზაციას უნდა ჰქონოდა ოთხი ტერიტორიული გამგეობა: **მოსკოვში, პეტერბურგში, სმოლენსკსა** და **ტულჩინოში**. ტულჩინოს გამგეობამ, რომლის სათავეში **პავლე პესტელი** იდგა, 1821 წელს დააარსა ფარული ორგანიზაცია – **„სამხრეთის საზოგადოება“**. თითქმის იმავდროულად **ნიკიტა მურავიოვის** ინიციატივით პეტერბურგში შეიქმნა **„ჩრდილოეთის საზოგადოება“**, რომელიც საბოლოოდ გაფორმდა 1822 წელს. დეკაბრისტთა სამხრეთისა და ჩრდილოეთის „საზოგადოებები“ ურთიერთკავშირში მოქმედებდნენ და თავიანთ თავს ერთი ორგანიზაციის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდნენ.

ჯერ კიდევ 1820 წლიდან დეკაბრისტთა შორის პოპულარული ხდება ე.წ. **„სამხედრო რევოლუციის“** იდეა, ანუ აჯანყების განხორციელება არმიის ძალებით, მოსახლეობის ფართო ფენების გარეშე. **არმიას სამხედრო გადატრიალება, მართალია, ხალხის სახელით უნდა განეხორციელებინა, მაგრამ გადატრიალებაში თვით ხალხი (სამოქალაქო მოსახლეობა) მონაწილეობას არ მიიღებდა.** დეკაბრისტების აზრით, ეს იქნებოდა რევოლუცია მასობრივი დაპირისპირებისა და სისხლისღვრის გარეშე და არა ისეთი, როგორიც იყო საფრანგეთის

პავლე პესტელი

დიდი რევოლუცია. დეკაბრისტები ხაზს უსვამდნენ, რომ „სამხედრო რევოლუცია იქნებოდა რაც შეიძლება სწრაფი, უსისხლო და უმტკივნეულო“, რაც თავიდან ააცილებდა რუსეთს ანარქიას მისი ყველა უარყოფითი გამოვლინებით. მოსახლეობის ფართო ფენების რევოლუციაში ჩაბმას, დეკაბრისტთა აზრით, მოაყენებდა ემილიანე **პუგაჩოვის** წინამძღოლობით გლეხთა ომისდროინდელი მოვლენების გამეორება. ახალი პუგაჩოვშჩინა კი რუსეთის სახელმწიფოს ძალზე დაასუსტებდა და შეიძლებოდა მისი რამდენიმე ნაწილად დაშლაც კი გამოეწვია. **რუსეთის სახელმწიფოს რევოლუციის მსხვერპლად გადაქცევა დეკაბრისტებს ვერ წარმოედგინათ – საშობლოს ძლიერება და კეთილდღეობა მათთვის უმთავრესი იყო.**

1821-1823 წლებში სამხრეთისა და ჩრდილოეთის საზოგადოებების წევრთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ორივე საზოგადოება რამდენიმე ტერიტორიული ორგანიზაციისაგან შედგებოდა. სამხრეთის საზოგადოებაში წინამძღოლის როლს **პავლე პესტელი** ასრულებდა, ჩრდილოეთისაში – **ნიკიტა მურავიოვი**.

5. პავლე პესტელისა და ნიკიტა მურავიოვის კონსტიტუციების პროექტები. სამხრეთის საზოგადოებაში კონსტიტუციის პროექტი დაწერა პავლე პესტელმა, ჩრდილოეთის საზოგადოებაში – ნიკიტა მურავიოვმა. ორივე ავტორი ეყრდნობოდა ევროპისა და ამერიკის ქვეყნების კონსტიტუციონალიზმის გამოცდილებას.

პავლე პესტელმა თავის მიერ შედგენილ კონსტიტუციის პროექტს **„რუსკაია პრავდა“** უწოდა. „რუსკაია პრავდას“ უმთავრესი პრინციპები იყო: ა) ბატონყმობის მოსპობა; ბ) რესპუბლიკური წყობილების დამყარება; გ) ყველა მოქალაქის თანასწორობა კანონის წინაშე.

საინტერესო იყო **პავლე** პესტელის მიერ შემოთავაზებული **აგრარული საკითხის** გადაჭრის გზა. „რუსკაია პრავდას“ მიხედვით, მიწა საზოგადოების საკუთრება იყო და მიწით სარგებლობის უფლება ყველას ჰქონდა. მიწის მთელი ფონდი იყოფოდა ორ ნაწილად – **საზოგადო საკუთრებაში** არსებულ და კერძო მფლობელობაში მყოფ მიწებად. საზოგადო საკუთრებაში არსებული მიწა უნდა გადასცემოდა **სათემო საზოგადოებას** (თემი წარმოადგენდა უდაბლეს ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეულს). სათემო საზოგადოების განკარგულებაში არსებული მიწა (სათემო მიწა) თანაბრად, გამოსასყიდის გარეშე ნაწილდებოდა თემის

წევრებზე. სათემო მიწის გაყიდვა, გაჩუქება და დაგირავება არ შეიძლებოდა, იგი სათემო საკუთრება იყო. თემის ყოველი წევრი მისი გამოყენების უვადო უფლებით სარგებლობდა. საზოგადო საკუთრებაში არსებული მიწების ფონდში უნდა შესულიყო სახელმწიფო (სახაზინო) და საეკლესიო (სამონასტრო) მიწები. გარდა ამისა, საზოგადო საკუთრებაში არსებული მიწის ფონდი უნდა შევსებულიყო მემამულეთათვის ჩამორთმეული ფართობებით. მემამულეს, რომელიც ფლობდა 10 ათას დესეტინაზე მეტ მიწას (ერთი დესეტინა დაახლოებით ერთ ჰექტარს უდრიდა), ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ჩამოერთმეოდა მიწის ნახევარი. იმ მემამულეს, რომელიც ფლობდა 5 ათასიდან 10 ათას დესეტინამდე მიწას, ჩამოერთმეოდა მიწის ნახევარი, რის სანაცვლოდაც მიიღებდა ან ფულად ანაზღაურებას, ან ისევ მიწას, ოღონდ სხვა ადგილას.

პავლე პესტელი კერძო და საზოგადო საკუთრების ერთდროულად არსებობის მომხრე იყო. მისი აზრით, მდიდრები მუდამ იარსებებდნენ, მაგრამ სიმდიდრე არ უნდა გამხდარიყო მათთვის პოლიტიკური უფლებებისა და სხვა უპირატესობების მოპოვების საფუძველი, რადგან ეს ზიანს მოუტანდა მოსახლეობის სხვა ფენებს.

პავლე პესტელის აზრით, მოსახლეობის ფენებად დაყოფა უნდა მოსპობილიყო და ყველა წოდება, შერწყმულიყო ერთ წოდებაში. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს იღებდა ყველა მამაკაცი ოცი წლის ასაკიდან. ყველა მოქალაქისათვის წესდებოდა ერთი სასამართლო სისტემა, სადაც საქმისწარმოება საჯარო იქნებოდა და ბრალდებულს დამცველის აყვანის უფლება მიენიჭებოდა.

არმიაში გაწვევის სარეკრუტო სისტემის ნაცვლად, უნდა შემოღებულ საყოველთაო სამხედრო ვალდებულება და თხუთმეტწლიანი სამხედრო სამსახური. სამხედრო დასახლებები ისპობოდა.

„რუსკაია პრავდა" აცხადებდა სიტყვის, პრესის, კრების, საქმიანობის, გადაადგილების, სინდისის, რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებას, პიროვნებისა და ქონების ხელშეუხებლობას.

„რუსკაია პრავდა" მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვასაც ითვალისწინებდა. კერძოდ, მკაცრად იკძალებოდა ყოველგვარი საიდუმლო საზოგადოება და ორგანიზაცია.

პავლე პესტელი ღრმად თავდაჯერებული რესპუბლიკელი იყო. მისი აზრით, რუსეთის



პავლე პესტელის „რუსკაია პრავდა"

რესპუბლიკაში უნდა ყოფილიყო ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება. პ. პესტელი წინაადმდეგი იყო რუსეთის რესპუბლიკის ფედერალური მოწყობისა, რადგან, მისი აზრით, ფედერალიზმი დაასუსტებდა სახელმწიფოს და გაძლიერებდა სეპარატისტულ ტენდენციებს. „რუსკაია პრავდას" მიხედვით, რუსეთში ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო უნდა ყოფილიყო სახალხო ვეჩე, რომელშიც ხუთი წლის ვადით აირჩევდნენ 500 კაცს. ყოველ წელს სახალხო ვეჩეს შემადგენლობის ერთი მეხუთედი უნდა გადაერჩიათ. უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება „რუსკაია პრავდას" მიხედვით, ეკუთვნოდა სახელმწიფო სათათბიროს, რომლის ხუთ წევრს ხუთი წლის ვადით სახალხო ვეჩე ირჩევდა თავისი წევრებისაგან. სახელმწიფო სათათბიროს ხუთი წევრიდან თავმჯდომარეობდა ერთი, კერძოდ ის, ვინც სათათბიროში თავის უკანასკნელ (მეხუთე) წელს ატარებდა. უმაღლესი მაკონტროლებელი ფუნქცია „რუსკაია პრავდას" მიხედვით, ეკისრებოდა 120 კაცისაგან შემდგარ უზენაეს კრებას, რომელშიც მუდმი-

ვად (სიკვდილამდე) ირჩევდნენ ქვეყნის ყველაზე ავტორიტეტულ და დამსახურებულ მოქალაქეებს. რუსეთის დედაქალაქი უნდა გადაეტანათ ნიჟნი ნოვგოროდში და მისთვის ვლადიმირი ეწოდებინათ.

„რუსკაია პრავდას" მიხედვით, რუსეთის ადგილობრივი მმართველობა ასე გამოიყურებოდა: **საკანონმდებლო ხელისუფლება** ადგილებზე ეკუთვნოდა **საოლქო, საოკრუგო, სამაზრო** და **სათემო** კრებებს, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება — საოლქო, საოკრუგო, სამაზრო და სათემო მმართველობებს. ადგილობრივი კრებებისა და მმართველობების ხელმძღვანელების თანამდებობა **არჩევითი** უნდა ყოფილიყო. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს (კრებებსა და მმართველობებს) ირჩევდნენ ერთი წლის ვადით.

ეროვნულ საკითხში პავლე პესტელს წინააღმდეგობრივი პოზიცია ეკავა. „რუსკაია პრავდა" ერთი მხრივ, ცნობდა „ხალხების უფლებას", კერძოდ, **ხალხების თვითგამორკვევის უფლებას** და, მეორე მხრივ, **შეურყეველად მიიჩნევდა რუსეთის სახელმწიფოს უფლებას სხვა ხალხებზე** (ერებზე). უფრო მეტიც, პავლე პესტელი რიცხვით მცირე ერების უფლებებს „განუხორციელებლად" თვლიდა და ამ ერებისათვის სასარგებლოდ მიიჩნევდა რუს ერთან შერწყმასა და რუსეთის სახელმწიფოში ცხოვრებას. პავლე პესტელისათვის **რუსეთის ყველა მცხოვრები, განურჩევლად ეროვნებისა,** იწოდებოდა **„რუსად"** და **სარგებლობდა რუსეთის მოქალაქის უფლებებით.** ამ აშკარა **ველიკოდერჟავულ** შეხედულებებთან ერთად, პავლე პესტელი გმობდა რუსეთში მცხოვრები არარუსი **და არაქრისტიანი ხალხების ძალით გარუსებასა და გაქრისტიანებას, ეროვნულ დისკრიმინაციას.**

პავლე პესტელის აზრით, „რუსკაია პრავდა", როგორც ძირითადი კანონი, დიქტატორული უფლებებით აღჭურვილ მთავრობას უნდა აემოქმედებინა ათი წლის ვადით.

„რუსკაია პრავდა" რადიკალური აზროვნების ნაყოფი იყო და მთლიანობაში, ეროვნული საკითხის გარდა, რუსული პოლიტიკური აზრის ისტორიაში დიდად პროგრესულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

ნიკიტა მურავიოვმა თავისი შეხედულებები **„კონსტიტუციის"** სახით ჩამოაყალიბა. ნიკიტა მურავიოვის პროექტი **კონსტიტუციურ მონარქიას** უჭერდა მხარს. ამასთან ერთად, იგი წინააღმდეგი იყო **მკაცრად ცენტრალიზებული ხელისუფლებისა — უნიტარიზმისა.** ნიკიტა მურავიოვის აზრით, რუსეთი უნდა დაყოფილიყო **ფედერალურ ერთეულებად.** ფედერაციულ ერთეულს ნიკიტა მურავიოვი **„სახელმწიფოს"** (**„დერჟავას"**) უწოდებს. კონსტიტუციის პროექტის პირველ ვარიანტში ასეთ „სახელმწიფოთა" რიცხვი თოთხმეტი იყო, მეორეში — ცამეტი. „სახელმწიფოებთან" ერთად, დამატებით უნდა შექმნილიყო ორი **ოლქი.** თითოეულ ფედერაციულ ერთეულს ექნებოდა თავისი **დედაქალაქი** და **ხელისუფლება.** კონსტიტუციის პროექტის ავტორის აზრით, **უნიტარიზმი** ხელს შეუწყობდა **დესპოტური** ძალაუფლების ჩამოყალიბებას, **ფედერალიზმი** კი პირიქით — მოქალაქეთა **თავისუფლების** დაცვის გარანტი იქნებოდა.

საინტერესო იყო ის პრინციპი, რომლის მიხედვით რუსეთი უნდა დაყოფილიყო ფედერაციულ ერთეულებად. დაყოფას საფუძვლად დაედებოდა **ეროვნული, სამეურნეო-ეკონომიკური** და **გეოგრაფიული** პრინციპი. გეოგრაფიული პრინციპი იმაში მდგომარეობდა, რომ ყოველ ფედერაციულ ერთეულს გასასვლელი უნდა ჰქონოდა ზღვაზე ან დიდ, სანაოსნოდ ვარგის მდინარეზე. ნიკიტა მურავიოვი შემდეგი ფედერაციული ერთეულების („სახელმწიფოების") შექმნას ითვალისწინებდა: **ბალტიის, ვოლგის-პირეთის, კამის, ობის, ლენის, დნეპრის, შავი ზღვისა** და სხვ. ფედერაციულად მოწყობილ რუსეთის სახელმწიფოში, ნიკიტა მურავიოვის აზრით, არ უნდა შესულიყო პოლონეთი — პოლონეთს უნდა მიეღო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ასეთ გამონაკლისს ნიკიტა მურავიოვი არ უშვებდა საქართველოს მიმართ. რუსეთის დედაქალაქი უნდა ყოფილიყო **ნიჟნი ნოვგოროდი,** რომლისთვისაც სახელი უნდა შეეცვალათ და ეწოდებინათ **სლავიანსკი.**

ნიკიტა მურავიოვის პროექტი ითვალისწინებდა **საკანონმდებლო, აღმასრულებელი** და **სასამართლო** ხელისუფლების მკაცრ გამიჯვნას, რაც უნდა ქცეულიყო იმის საფუძვლად, რომ ქვეყანაში დიქტატორული მმართველობა არ დამყარდებოდა.

რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო უნდა ყოფილიყო **სახალხო ვეჩე.** სახალხო ვეჩე **ორპალატიანი** იქნებოდა. ზედა პალატას ეწოდებოდა **უზენაესი სათათბირო,** ხოლო ქვედას — **ხალხის წარმომადგენელთა პალატა.** ორივე პალატის დეპუტატებს აირჩევდნენ ექვსი წლის ვადით, ყოველ ორ წელიწადში დეპუტატების ერთი მესამედი უნდა გადაერჩიათ. ზედა

პალატაში თითოეული ფედერაციული ერთეული („სახელმწიფო") აირჩევდა სამ დეპუტატს, ხოლო ფედერაციული ოლქი – ორ დეპუტატს. ქვედა პალატის არჩევნები ჩატარდებოდა საარჩევნო ოლქების მიხედვით – მამრობითი სქესის სრულწლოვანი 50 ათასი მცხოვრები აირჩევდა ერთ დეპუტატს.

ფედერაციულ ერთეულებში („სახელმწიფოებში") საკანონმდებლო ფუნქცია მიენიჭებოდა ასევე ორპალატიან ვეჩეს, რომელიც ოთხი წლის ვადით უნდა აერჩიათ. ორივე პალატის დეპუტატების ერთი მეოთხედი ყოველწლიურად უნდა გადაერჩიათ.

ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება ექნებოდა მამრობითი სქესის მოქალაქეს ოცდაერთი წლის ასაკიდან. გარდა ამისა, მას უნდა ჰქონოდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, 500 მანეთის ღირებულების უძრავი, ან 1000 მანეთის ღირებულების მოძრავი ქონება, უნდა ყოფილიყო გადასახადების პატიოსნად გადამხდელი. უფრო დიდი ცენზი დაწესდებოდა მისოვის, ვისაც სურდა ხელისუფლების ცენტრალურ ან ადგილობრივ ორგანოებში არჩევა. კერძოდ, ასარჩევ კანდიდატს უნდა ჰქონოდა 30 ათასი მანეთის ღირებულების უძრავი, ან 60 ათასი მანეთის ღირებულების მოძრავი ქონება.

ნიკიტა მურავიოვის კონსტიტუციის პროექტის მიხედვით, უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა **იმპერატორს**. იგი იყო უმაღლესი მთავარსარდალიც. იმპერატორის კომპეტენციაში შედიოდა დიპლომატიური ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან, უზენაესი სათათბიროს თანხმობით, ელჩებისა და კონსულების, აგრეთვე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა და მინისტრების დანიშვნა. ტახტზე ასვლისას იმპერატორი ფიცს დადებდა, რომ დაიცავდა კონსტიტუციას. მას სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაენიშნებოდა ხელფასი 8 მილიონიდან 10 მილიონ მანეთამდე. ამ სახსრებით უნდა შეენახა ძველი საიმპერატორო კარი. საიმპერატორო კარის მაღალი რანგის ჩინოვნიკებს არ ექნებოდათ საარჩევნო ხმა და არც თავად შეიძლებოდა ყოფილიყვნენ არჩეულნი ხელისუფლების ორგანოებში.

ფედერაციულ ერთეულებში („სახელმწიფოებში") აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა **სახელმწიფო გამგებლებს (მმართველებს)**, რომელთაც ფედერაციული ერთეულის („სახელმწიფოს") ვეჩე ნიშნავდა. მაზრებში აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა არჩეულ **ათასისთავს („ტისიაცკის")**.

ნიკიტა მურავიოვის კონსტიტუციის პროექტი ითვალისწინებდა **საჯარო სასამართლოს შემოღებას ნაფიცი მსაჯულებითა და დამცველებით (ადვოკატებით)**. სასამართლოს სხდომა მხარეების მოსმენას ითვალისწინებდა. ქვეყნის უზენაეს სასამართლო ორგანოს წარმოადგენდა **უზენაესი სამსჯავრო**, შესაბამისი სამსჯავროები უნდა შექმნილიყო ფედერაციულ ერთეულებსა („სახელმწიფოებსა") და მხარეებში. ყველაზე დაბალი სასამართლო ინსტანცია იყო **თემის სასამართლო**.

ნიკიტა მურავიოვის კონსტიტუციის პროექტის მიხედვით, მოსახლეობის წოდებრივი დაყოფა უქმდებოდა და წესდებოდა **რუსეთის მოქალაქის** ერთიანი წოდება. **ყველა მოქალაქე კანონის წინაშე თანასწორი იყო**. კანონი იცავდა პიროვნებას, სიტყვის, პრესის, კრების თავისუფლებას, მოქალაქის ქონებასა და საქმიანობის არჩევაში თავისუფლებას. მოქალაქეებს უფლება ჰქონდათ, შეექმნათ სხვადასხვა სახის გაერთიანებები და საზოგადოებები.

ნიკიტა მურავიოვის კონსტიტუციის პროექტით **ბატონყმობა უქმდებოდა**, თუმცა **მემამულური მიწათმფლობელობა** ხელუხლებელი რჩებოდა. კონსტიტუციის პროექტის პირველ ვარიანტში ნიკიტა მურავიოვი გლეხების საერთოდ უმიწოდ გათავისუფლებას ვარაუდობდა. პროექტის ბოლო ვარიანტში კი გათვალისწინებული იყო გლეხზე პირადი მეურნეობისათვის განკუთვნილი ფართობისა და დამატებით კიდევ 2 დესეტინა მიწის გადაცემა. გაცილებით მეტი რაოდენობის მიწას იღებდნენ სახელმწიფო და საუფლისწულო გლეხები, ასევე სამხედრო დასახლებებში მცხოვრები გლეხები.

პავლე პესტელის კონსტიტუციის პროექტთან შედარებით, ნიკიტა მურავიოვის კონსტიტუციის პროექტი უფრო ზომიერი იყო, ამასთან ერთად, ნიკიტა მურავიოვის პროექტი უფრო შეეფერებოდა იმდროინდელ რუსეთს.

არც პავლე პესტელისა და არც ნიკიტა მურავიოვის კონსტიტუციების პროექტები ბოლომდე დამუშავებული არ ყოფილა. მით უმეტეს, დეკაბრისტთა ჩრდილოეთისა და სამხრეთის საზოგადოებებს ერთი, ყველასათვის მისაღები, კონსტიტუციის პროექტი არ შეუმუშავებიათ.

6. გაერთიანების ცდა. 1824-1825 წლებში იყო ცდები ჩრდილოეთისა და სამხრეთის საზოგადოებების გაერთიანებისა. მიუხედავად ამისა, გაერთიანება არ მოხერხდა.

1825 წელს დეკაბრისტთა სამხრეთის საზოგადოებას შეუერთდა „შეერთებულ სლავთა საზოგადოება“, რომელიც პოლტავის გუბერნიაში ფარულად დააარსეს რუსეთის არმიის ოფიცრებმა, ძმებმა ანდრეი და პეტრე ბორისოვებმა. შეერთებულ სლავთა საზოგადოება მიზნად ისახავდა ათი სლავური სახელმწიფოს (რუსეთის, პოლონეთის, სერბიის, მორავიის და სხვ.) ერთ ფედერაციულ სახელმწიფოდ გაერთიანებას. „შეერთებულ სლავთა საზოგადოება“ რესპუბლიკური წყობილების მომხრე იყო.

1825 წელს ლიტვისა და ბელორუსიის ტერიტორიაზე შეიქმნა დეკაბრისტული ტიპის ფარული ორგანიზაცია — „სამხედრო მეგობართა საზოგადოება“, რომელიც რუსეთის არმიის ოფიცრებისგან შედგებოდა.

7. აჯანყების გეგმა. დეკაბრისტთა სამხრეთისა და ჩრდილოეთის საზოგადოებები 1825 წელს შეთანხმდნენ, რომ აჯანყება დაეწყოთ 1826 წლის ზაფხულში. აჯანყების გეგმა ასეთი იყო: **პეტერბურგში** უნდა დაწყებულიყო გვარდიისა და ფლოტის აჯანყება. იმპერატორისა და მისი ოჯახის დაპატიმრების შემდეგ, უნდა მოეწვიათ სენატის სხდომა, რომელიც განსაზღვრავდა რუსეთის მმართველობის ფორმას და გადაწყვეტდა სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს. იმავდროულად პერიფერიებში განლაგებული არმიის ნაწილებიც უნდა აჯანყებულიყვნენ. მეორე გეგმის თანახმად, აჯანყება უნდა დაწყებულიყო **პერიფერიებში**. ზაფხულში სამხრეთ რუსეთში ჯარების დათვალიერებაზე მყოფი იმპერატორი უნდა დაეპატიმრებინათ და აჯანყებული არმია **კიევისა** და **მოსკოვის** დაკავების მიზნით გამოეყენებინათ.

8. აჯანყება. 1825 წლის ივნისში ალექსანდრე I-მა მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ სამხრეთ რუსეთში განლაგებულ არმიის ნაწილებში მზადდებოდა შეთქმულება. დამსმენმა არ იცოდა, კონკრეტულად, ვინ იყო გარეული შეთქმულებაში. საქმის გამოძიება იმპერატორმა **ალექსი არაკჩეევს** დაავალა. იმხანად ა. არაკჩეევს მსახურებმა საყვარელი მოუკლეს, რამაც იგი დეპრესიაში ჩააგდო. იგი საერთოდ ჩამოსცილდა სახელმწიფო საქმეებს. 1825 წლის ნოემბერში, **ტაგანროგში** ყოფნისას ალექსანდრე I-მა ისევ მიიღო ცნობა შეთქმულების შესახებ. ამჯერად დამსმენი 45 შეთქმულის ვინაობას ასახელებდა. ამ სიაში აღმოჩნდნენ ჩრდილოეთისა და სამხრეთის საზოგადოების ხელმძღვანელები და აქტიური წევრები. 1825 წლის 10 ნოემბერს იმპერატორმა გასცა ბრძანება შეთქმულთა დაპატიმრების შესახებ. 19 ნოემბერს ალექსანდრე I-ის მოულოდნელმა გარდაცვალებამ ბრძანების შესრულება გარკვეული ხნით შეაფერხა. იმპერატორის გარდაცვალებამ ცვლილებები შეიტანა დეკაბრისტთა გეგმებშიც.

ალექსანდრე I-ის გარდაცვალების ამბავი პეტერბურგში 27 ნოემბერს გახდა ცნობილი. ჯერ კიდევ 1797 წელს პავლე I-მა დაამტკიცა მემკვიდრეობის შესახებ კანონი, რომლის მიხედვით, უმემკვიდრეოდ გარდაცვლილი ალექსანდრე I-ის შემდეგ, ტახტზე უნდა ასულიყო მისი შუათანა ძმა — დიდი მთავარი **კონსტანტინე**, რომელიც იმხანად პოლონეთის მეფისნაცვალი იყო. კონსტანტინე მორგანატული ქორწინებით იყო დაკავშირებული პოლონელი გრაფის ქალიშვილთან. ამის გამო, 1820 წელს, ალექსანდრე I-ის ბრძანებით, კონსტანტინეს მემკვიდრეებს ჩამოერთვათ რუსეთის იმპერიის ტახტის დაკავების უფლება, ხოლო 1823 წელს ალექსანდრე I-ის დაჟინებული მოთხოვნით თვით კონსტანტინემ თქვა უარი ტახტის მიმართ ყოველგვარ უფლებებზე. **აქტი კონსტანტინეს მიერ ტახტზე უარის თქმის შესახებ** და ალექსანდრე I-ის **მანიფესტი ტახტის მემკვიდრედ** მისი უმცროსი ძმის **ნიკოლოზის გამოცხადების** შესახებ საიდუმლოდ ინახებოდა. არსებული ტრადიციის მიხედვით, როგორც კი ალექსანდრე I-ის გარდაცვალების ამბავი გახდა ცნობილი, არმია, სახელმწიფო დაწესებულებების მოხელეები და მოსახლეობა კონსტანტინეს ერთგულებაზე დააფიცეს. იმის გამო, რომ არაფერი იცოდა ალექსანდრე I-ის საიდუმლოდ დაცული მანიფესტის შესახებ, ნიკოლოზმაც კონსტანტინეს ერთგულებაზე დაიფიცა. მალე ცნობილი გახდა ალექსანდრე I-ის მიერ ხელმოწერილი და აქამდე საიდუმლოდ დაცული მანიფესტის შესახებ, რომელიც კონსტანტინეს ტახტზე ასვლის უფლებას ართმევდა და ტახტის მემკვიდრედ ნიკოლოზს აცხადებდა. ასეთ ვითარებაში **კონსტანტინეს ტახტზე პრეტენზია აღარ განუცხადებია, მაგრამ ტახტზე უარის თქმა ოფიციალურად არ დაადასტურა.** კონსტანტინეს ასეთი საქციელი დღემდე აუხსნელი რჩება. საბოლოოდ შეიქმნა ვითარება, რომელმაც დიდი დაბნეულობა და გაუგებრობა წარმოშვა.

შექმნილმა ვითარებამ დააბნია დეკაბრისტებიც. 1825 წლის 10 დეკემბერს გაიგეს, რომ მოხდებოდა ხელახალი დაფიცება, ამჯერად უკვე ნიკოლოზის ერთგულებაზე. **დეკაბრისტებმა გადაწყვიტეს, აჯანყება სწორედ ნიკო-**

ლოზისადმი ერთგულების ფიცის მიცემამდე დაეწყოთ. აჯანყების ორგანიზების მიზნით, აქტიურად მოქმედებდნენ **კონდრატე რილეევი, სერგეი ტრუბეცკოი** და **ევგენი ობოლენსკი.** შემუშავდა რამდენიმე გეგმა. 13 დეკემბერს აჯანყების გეგმა დამტკიცდა. გადაწყდა, რომ 1825 წლის 14 დეკემბერს, როდესაც დანიშნული იყო ახალი იმპერატორის ნიკოლოზ I-ის ერთგულებაზე დაფიცება, სენატის მოედანზე უნდა გამოეყვანათ კონსტანტინეს ერთგულებაზე დაფიცებული გვარდიული პოლკები და აეძულებინათ სენატი, გამოეცხადებინა რუსეთში კონსტიტუციური მმართველობის შემოღება. იმავდროულად უნდა დაეკავებინათ პეტრეპავლეს ციხესიმაგრე და ზამთრის სასახლე, დაეპატიმრებინათ ნიკოლოზ I და მისი ოჯახის წევრები. „აჯანყების დიქტატორად" – აჯანყებული ჯარების სარდლად დაინიშნა გვარდიის პოლკოვნიკი **სერგეი ტრუბეცკოი,** ხოლო შტაბის უფროსად – **ევგენი ობოლენსკი.**

შემუშავებული გეგმის თანახმად, სენატს უნდა გამოექვეყნებინა **„მანიფესტი რუსი ხალხისადმი".** მანიფესტი გამოაცხადებდა ოვითმპყრობელობის დამხობას, ბატონყმობის გაუქმებას, სარეკრუტო სისტემის გაუქმებას, ჯარში სამსახურის ვადის შემცირებას, ყველა წოდების უფლებრივ გათანაბრებას, ზოგიერთი გადასახადის გაუქმებას, ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების არჩევითობას, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას, სიტყვის თავისუფლებისა და სხვ.

აჯანყების წარმატების შემთხვევაში ქვეყანაში ძალაუფლება გადაეცემოდა **დროებით რევოლუციურ მმართველობას,** რომელშიც უნდა შესულიყვნენ ყველაზე უფრო ავტორიტეტული სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეები: **მიხეილ სპერანსკი, ნიკოლოზ მორდვინოვი, ალექსი ერმოლოვი, პავლე კირილიოვი.** დეკაბრისტთა ფარული ორგანიზაციიდან მმართველობაში უნდა შესულიყო **გავრილ ბატენკოვი.** აჯანყებიდან სამი თვის შემდეგ განხრახული იყო **დიდი კრების** მოწვევა, რომელსაც დამფუძნებელი კრების ფუნქცია უნდა შეესრულებინა. დიდ კრებას უნდა მიეღო რუსეთის კონსტიტუცია.

1825 წლის 14 დეკემბერს დილიდან დეკაბრისტები თავიანთ სამხედრო ნაწილებში იყვნენ და ეწეოდნენ ნიკოლოზ I-ის ერთგულებაზე ფიცის დადების ჩასაშლელ აგიტაციას. დილის 11 საათზე სენატის მოედანზე **ალექსანდრე ბესტუჟევმა** და **დიმიტრი შჩეპინ-როსტოვსკიმ** პირველებმა მიიყვანეს მოსკოვის ლეიბ-გვარდიის პოლკის 800 ჯარისკაცი. დღის პირველ საათზე მოსკოვის ლეიბ-გვარდიის პოლკს შეუერთდნენ გვარდიელი მატროსები კაპიტან ნიკოლოზ ბესტუჟევის მეთაურობით, ხოლო ცოტა მოგვიანებით – ლეიბ-გვარდიის გრენადერთა პოლკი. სენატის მოედანზე სულ თავი მოიყარა 3 ათასმა ჯარისკაცმა და 30 ოფიცერმა. ელოდნენ სხვა სამხედრო ნაწილების მოსვლასაც. სენატის მოედანზე არ გამოცხადდა აჯანყების დიქტატორად (სარდლად) დანიშნული **სერგეი ტრუბეცკოი,** რომლის გარეშეც არ შეიძლებოდა აჯანყების დაწყება. სერგეი ტრუბეცკოი თავიდანვე შერყეობდა. როცა სენატის



პეტერბურგი. სენატის მოედანი დეკაბრისტების გამოსვლის დღეს

მოედანზე განზრახული პოლკების დიდი ნაწილი არ გამოცხადდა, იგი საბოლოოდ დარწმუნდა აჯანყების წარუმატებლობაში და სენატის მოედანზე აღარ გამოცხადდა. სერგეი ტრუბეცკოის მოქმედებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო დეკაბრისტები. აჯანყებულებს დაბნეულობა დაეტყოთ. მათ რამდენიმე საბედისწერო შეცდომა დაუშვეს: არ დაიკავეს პეტრეპავლეს ციხესიმაგრე, სენატის შენობა და ზამთრის სასახლე. ხელი ვერ შეუშალეს სენატის წევრებს ნიკოლოზ I-ის ერთგულებაზე ფიცის დადებაში. რაც მთავარია, აჯანყებულებმა ვერ შეძლეს იმ გვარდიული პოლკების მიმხრობა, რომლებიც ჯერ კიდევ მერყეობდნენ და პრაქტიკულად მხარს უჭერდნენ დეკაბრისტებს.

ნიკოლოზ I კი დროს არ კარგავდა. დაიწყო სენატის მოედნისაკენ იმპერატორის ერთგული ჯარების გადაადგილება. მანამდე საიმპერატორო ჯარმა აჯანყებულებთან მოლაპარაკება დაიწყო. ხელისუფლების მხრიდან მოლაპარაკების აწარმოებდა 1812 წლის სამამულო ომის გმირი, სახელგანოქმული გენერალი, პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორი **მიხეილ მილორადოვიჩი**. მან სიტყვით მიმართა ჯარისკაცებს და მოუწოდა ხელი აეღოთ აჯანყებაზე. დეკაბრისტმა **პეტრე კახოვსკიმ** მიხეილ მილორადოვიჩს ესროლა და დაჭრა. ეს უკანასკნელი მიღებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა. აჯანყებულებმა არ მოუსმინეს პეტერბურგის მიტროპოლიტს **სერაფიმეს** და არც კიევის მიტროპოლიტს **ევგენის**.

მოლაპარაკების მიმდინარეობის პროცესში ნიკოლოზ I-მა სენატის მოედნის გარშემო თავი მოუყარა თავის ერთგულ ჯარებს – 9 ათას ქვეით გვარდიელსა და 3 ათას კავალერისტს. აჯანყებულებმა ორჯერ მოიგერიეს კავალერისტთა შეტევა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში არც აჯანყებულები ისროდნენ მიზანში და არც კავალერისტები მოქმედებდნენ თავგამოდებით. იმპერატორის ერთგული ჯარებიც არ იჩენდნენ ინიციატივას. ორივე მხარე დაღამებას ელოდა. ნიკოლოზ I-ს კი არ სურდა დაღამებამდე დარჩენილიყო გაურკვეველ ვითარებაში. მან ბრძანება გასცა და აჯანყებულების წინააღმდეგ არტილერია გამოიყვანეს. ახლო მანძილიდან გახსნილმა ცეცხლმა გაფანტა აჯანყებულები. საღამოს ექვსი საათისათვის აჯანყებამ მარცხი განიცადა.

დეკაბრისტთა სამხრეთის საზოგადოებამ, შეიტყო თუ არა აჯანყების დამარცხების შესახებ, მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთში აჯანყების დაწყების შესახებ. სამხრეთის საზოგადოებისათვის დიდ დანაკარგს წარმოადგენდა ის, რომ 1825 წლის 13 დეკემბერს დაატიმრეს **პავლე პესტელი**, რასაც მოჰყვა საზოგადოების კიდევ რამდენიმე აქტიური წევრის დაატიმრება. სამხრეთის საზოგადოებამ აჯანყება 1825 წლის 29 დეკემბერს დაიწყო **ჩერნიგოვის გვარდიული პოლკის** ძალებით. პოლკი იმყამად კიევიდან სამხრეთ-დასავლეთით ქალაქ ვასილკოვის რაიონში იყო განლაგებული. აჯანყების სათავეში ჩაუდგა **სერგეი მურავიოვ-აპოსტოლი**. აჯანყებულები, სულ 970 ჯარისკაცი და 8 ოფიცერი, სერგეი მურავიოვ-აპოსტოლის მეთაურობით ერთი კვირის განმავლობაში მოძრაობდნენ უკრაინის ტერიტორიაზე და ცდილობდნენ სხვა პოლკების მიმხრობას. ხელისუფლებამ შეძლო აჯანყებული ჩერნიგოვის პოლკის იზოლირება. აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნილ დამსჯელ ექსპედიციას ნიკოლოზ I-ის ძმა **კონსტანტინე** ედგა სათავეში. 1826 წლის 3 იანვარს იმპერატორის ერთგულმა ჯარებმა ჩერნიგოვის პოლკი არტილერიის ცეცხლით განადგურეს. დაჭრილი სერგეი მურავიოვ-აპოსტოლი ტყვედ ჩავარდა.

9. დეკაბრისტთა დასჯა. პეტერბურგსა და

სერგეი მურავიოვ-აპოსტოლი

უკრაინაში აჯანყების ჩახშობის შემდეგ დაიწყო დეკაბრისტთა დაპატიმრებები. დაპატიმრეს 316 კაცი, რომელთა ნაწილი შემთხვევით იქნა დაპატიმრებული და მალე გაათავისუფლეს. სულ დეკაბრისტთა საქმესთან დაკავშირებით ძიებამ დაკითხა 545 კაცი. საგამომძიებლო კომისია მუშაობდა 1825 წლის 17 დეკემბრიდან 1826 წლის 17 ივნისამდე. **პეტერბურგის** გარდა, საგამომძიებლო კომისიები მუშაობდა **ბელაია ცერკოვოში, მოგილევში, ბელოსტოკში, ვარშავაში,** ასევე პეტერბურგში განლაგებულ ზოგიერთ გვარდიულ პოლკში. დამნაშავედ ცნეს 289 კაცი, რომელთაგანაც 121 ბრალდებულის საქმე გადაეცა სისხლის სამართლის უზენაეს სასამართლოს. კიდევ 52 კაცი იქნა გასამართლებული რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში გამართულ პროცესებზე. პეტერბურგში სისხლის სამართლის უზენაესმა სასამართლომ ხუთ დეკაბრისტს — **პავლე პესტელს, სერგეი მურავიოვ-აპოსტოლს, მიხეილ ბესტუჟევ-რიუმინს, კონდრატე რილეევსა** და **პეტრე კახოვსკის** — შაყის კვრა მიუსაჯა, რაც შემდეგ ჩამოხრჩობით შეუცვალა. სიკვდილით დასჯის განაჩენს ხელი არ მოაწერა სასამართლოს ერთ-ერთმა წევრმა — **ნიკოლოზ მორდვინოვმა.** დანარჩენი მსჯავრდებულები 11 თანრიგად დაჰყვეს. პირველი თანრიგის 31 მსჯავრდებულს მიუსაჯეს თავის მოკვეთა, რომელიც შემდეგ სამუდამო კატორღით შეუცვალეს. 37 კაცს მიესაჯა სხვადასხვა ვადით კატორღაში მუშაობა და სასჯელის მოხდის შემდეგ ციმბირში ჩასახლება, ხოლო 19 კაცს — ციმბირში გადასახლება. 120 კაცი სასამართლოს გარეშე, პირადად ნოკოლოზ I-ის ბრძანებით იქნა დასჯილი. პეტერბურგსა და უკრაინაში აჯანყების მონაწილე ჯარისკაცებს სხვადასხვა სახის ფიზიკური სასჯელი დაედოთ. აჯანყების მონაწილე ჯარისკაცებისაგან შეადგინეს ერთი 4-ათასკაციანი პოლკი და კავკასიაში მოქმედ არმიაში გაგზავნეს.

10. დეკაბრისტთა მოძრაობის მნიშვნელობა. დეკაბრისტთა მოძრაობამ უდიდესი გავლენა იქონია რუსულ სინამდვილეზე. **დეკაბრისტებით იწყება პოლიტიკური მოძრაობის ისტორია** რუსეთში. დეკაბრისტებმა წარმოაჩინეს რუსეთის განახლების, ფეოდალურ-ბატონყმური სახელმწიფოს ბურჟუაზიულად გადაქცევის ორიგინალური პროგრამა. **მიუხედავად იმისა, რომ დეკაბრისტები დამარცხდნენ, მათ განუზომლად დიდი როლი შეასრულეს რუსული პოლიტიკური მოძრაობის, პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში.**

თავი VIII. რუსეთის საშინაო პოლიტიკა 1825-1855 წლებში

ნიკოლოზ I

რუსეთის იმპერიის საშინაო პოლიტიკა XIX საუკუნის მეორე მეოთხედში ანუ ნიკოლოზ I-ის მეფობის პერიოდში (1825-1855) მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა დეკაბრისტების აჯანყებამ. რუსეთის ისტორიაში ჯერ არნახულმა მოვლენამ ძირეული ცვლილებები გამოიწვია ყველა სფეროში.

1. **ნიკოლოზ** I. დეკაბრისტების აჯანყებამ ძლიერი ზეგავლენა იქონია ნიკოლოზ I-ის მსოფლმხედველობაზე. ნიკოლოზ I-ს შეშფოთების მიზეზს ევროპის ქვეყნებში დაწყებული რევოლუციური მოძრაობაც აძლევდა. „რევოლუცია რუსეთს კარზე მოადგა, მაგრამ ვფიცავ, იგი ვერ შემოაღწევს რუსეთში. სანამ მე პირში სული მიდგას“ — განაცხადა დეკაბრისტების აჯანყებით აღშფოთებულმა იმპერატორმა. ნიკოლოზ I ყოველ ღონეს სძარობდა, ძირფესვიანად გამოეკვლია დეკაბრიზმის აღმოცენების მიზეზები და ამ მოძრაობის არსი. იმპერატორის მოთხოვნით, ძიების მასალებიდან ამოკრიფეს ყველაფერი, რაც დეკაბრისტების მიერ არსებული სისტემის კრიტიკას შეიცავდა. ეს მასალა ნიკოლოზ I-ს მუდამ თავის კაბინეტში ჰქონდა. ასე რომ, უკვე ტახტზე ასვლის პირველ თვეებშივე რუსეთის იმპერატორმა შესანიშნავად იცოდა იმ მომწიფებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების შესახებ, რომელიც რუსეთში არსებობდა. ამრიგად, დეკაბრისტების გამოსვლამ ნიკოლოზ I-ის საშინაო პოლიტიკის ორი ძირითადი მიმართულება განსაზღვრა: **პირველი** — ბრძოლა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ; **მეორე** — მწვავე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის მცდელობა. ნიკოლოზ I-ის საშინაო პოლიტიკის ამ ორმა მთავარმა მიმართულებამ მისი მოღვაწეობის პირველ ხანებშივე ჰპოვა პრაქტიკული გამოხატულება. ერთი მხრივ, ნიკოლოზ I-მა გამოიძია და მთელი სისასტიკით დასაჯა დეკაბრისტები და, მეორე მხრივ, ხელისუფლებას ჩაბოაცილა თავისი სისასტიკით ცნობილი ალექსანდრე I-ის დროინდელი მაღალი თანამდებობის პირები: ალექსი არაკჩეევი, დიმიტრი რუნიჩი, მიხეილ მაგნიცკი და სხვები.

ნიკოლოზ I-ს კარგი განათლება ჰქონდა მიღებული, გააჩნდა იმპერატორისათვის აუცილებელი პრაგმატული აზროვნება და დიდი ნებისყოფა. იმპერატორს საფუძვლიანი ცოდნა ჰქონდა სამხედრო-საინჟინრო საქმესა და საბრძოლო ტაქტიკაში, დიდ ინტერესს იჩენდა არქიტექტურისადმი, უყვარდა ლიტერატურა, თეატრი და მუსიკა. ნიკოლოზ I იყო უზომოდ შრომისმოყვარე, არ ახასიათებდა შუა გზაზე შეჩერება და მიზნის მისაღწევად ბოლომდე იბრძოდა. ბუნებით უშიშარი, კრიტიკულ ვითარებაშიც ინარჩუნებდა შინაგან სიმშვიდეს. გაბედულსა და მამაცს ჰქონდა ხალხზე ზემოქმედების დიდი უნარი. ყოველივე ამასთან ერთად, ნიკოლოზ I იყო ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელი. მისთვის უცხო იყო პირფერობა და შლეგიანობა, მოქმედებდა პირდაპირ, ყოველგვარი ინტრიგის გარეშე. ნიკოლოზ I-ის დროს საიმპერატორო კარი ჩაფლული იყო ფუფუნებაში, მაგრამ თვით იმპერატორი არ იყო გატაცებული პირადი კეთილდღეობით. მას ეძინა ჯარისკაცის საველე საწოლზე და ეხურა სამხედრო შინელი. იმპერატორის კაბინეტი ბრწყინვალე ზამთრის სასახლეში ძალზე მოკრძალებულად გამოიყურებოდა.

ნიკოლოზ I ყოველდღე იღებდა ცნობებს იმპერიაში არსებული მდგომარეობის შესახებ. ხშირად წარდგენილი ცნობები არ აკმაყოფილებდა და დამატებით ინფორმაციას ითხოვდა. იმპერატორს არასდროს აკვიწყდებოდა, ვის რა

მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის პირადი კანცელარიის სტრუქტურა და ფუნქციები

მმართველი I განყოფილება (შეწყალების)	მმართველი II განყოფილება (საკოდიფიკაციო)	უფროსი III განყოფილება (უმაღლესი პოლიცია)	მმართველი IV განყოფილება (დედოფალ მარიას საქმეთა მმართველობა)	მმართველი V განყოფილება (სახელმწიფო სოფლების მმართველობა)

ჟანდარმთა შეფი ჟანდარმთა ცალკე კორპუსის შტაბი 1836 - 1917 წწ.

დავალება მისცა და მკაცრად ადევნებდა თვალს მისი ყოველი ბრძანების შესრულებას. სახელმწიფო აპარატი ნიკოლოზ I-ის დროს მუშაობდა უაღრესად გამართულად და ზუსტად.

ნიკოლოზ I-ს მიაჩნდა, რომ არმიაში არსებული წესრიგი და საშემსრულებლო დისციპლინა სანიმუშო იყო სახელმწიფო აპარატისათვის. იმპერატორმა 53 გუბერნიიდან 41-ში გუბერნატორებად გენერლები დანიშნა, თითქმის ყველა მინისტრი სამხედრო პირი იყო. ნიკოლოზ I-მა უწმინდესი სინოდის სათავეშიც კი გენერალი ჩააყენა.

ნიკოლოზ I-ს ღრმად სწამდა, რომ შეეძლო ყველაფერი დაენახა და ამოეცნო, მოეხდინა ყველაფრის რეკლამენტირება და ყოველივე ეს თავის შეხედულებისამებრ გარდაქმნა.

2. 1826 წლის 6 დეკემბრის კომიტეტი. ნიკოლოზ I-მა 1826 წლის 6 დეკემბერს შექმნა **საიდუმლო კომიტეტი**, რომელსაც უნდა შეემუშავებინა სახელმწიფოში გასატარებელი გარდაქმნების პროგრამა. კომიტეტს სათავეში ედგა გამოცდილი პოლიტიკოსი და ადმინისტრატორი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე გრაფი **ვიქტორ კოჩუბეი**. ფაქტობრივად, კომიტეტის მთელ საქმიანობას წარმართავდა **მიხეილ სპერანსკი**, რომელიც ნიკოლოზ I-ის ნებით კვლავ დაუბრუნდა სახელმწიფო მოღვაწეობას. 6 დეკემბრის კომიტეტს უნდა მოემზადებინა სახელმწიფო მმართველობის გარდაქმნის პროექტი. განზრახული იყო გლეხთა საკითხის განხილვაც.

კონკრეტული შედეგი 6 დეკემბრის კომიტეტის მოღვაწეობას არ მოჰყოლია. 1832 წელს კომიტეტის მუშაობა შეწყდა.

3. სოციალური მოძრაობა 1826-1831 წლებში. 1826 წლიდან რუსეთში შეინიშნებოდა გლეხთა მღელვარების გაძლიერება. 1826 წელს გამოცემულ მანიფესტში ნიკოლოზ I მკაცრი სასჯელით ემუქრებოდა ურჩ გლეხებს. 1830-1831 წლებში სოციალური მოძრაობის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენდა **ქოლერის ბუნტები**. ქოლერის ეპიდემიასთან ბრძოლის დროს პოლიციის მიერ გამოჩენილმა თვითნებობამ აღაშფოთა გლეხები, ქალაქის მცხოვრებნი, ჯარისკაცები. ქოლერის ბუნტების დროს განსაკუთრებით დიდი გამოსვლები მოხდა **სევასტოპოლში, ტამბოვში, პეტერბურგში, ნოვგოროდის გუბერნიის** სამხედრო დასახლებებში. ეს გამოსვლები ჯარის გამოყენებით იქნა ჩახშობილი. პოლონეთის 1830-1831 წლების აჯანყების გავლენით გლეხთა დიდი გამოსვლები დაიწყო **ლიტვასა და მარჯვენა ნაპირის უკრაინაში**. ქოლერის ბუნტებს უკვალოდ არ ჩაუვლია. 1831 წელს გაუქმდა სამხედრო რეჟიმი ნოვგოროდის გუბერნიის სამხედრო დასახლებებში.

4. ადმინისტრაციული მმართველობის ცენტრალიზაცია. ნიკოლოზ I მმართველობის ცენტრალიზაციას განიხილავდა როგორც თვითმპყრობელობის განმტკიცების აუცილებელ პირობას. **მმართველობის ცენტრალიზაცია კი იმპერატორის პირადი ძალაუფლების გაზრდით დაიწყო.** ნიკოლოზ I ხშირად უმნიშვნელოვანეს საკითხებს შესაბამისი უწყებისა და სამინისტროს გვერდის აცლით წყვეტდა. გარდა ამისა, პრაქტიკაში დაინერგა ათასგვარი საიდუმლო კომიტეტისა თუ კომისიის შექმნა, რომელსაც კონკრეტული დავალება ეძლეოდა. საიდუმლო კომიტეტები და კომისიები პირადად იმპერატორს ექვემდებარებოდა. მათი საქმიანობის კონტროლი არ ხდებოდა. ამავე დროს ძალზე შეიზღუდა ოფიციალური სახელმწიფო ორგანოების — **სენატისა** და **სახელმწიფო საბჭოს** — ფუნქციები. დიდი მნიშვნელობა შეიძინა **იმპერატორის პირადმა კანცელარიამ**. იმპერატორის პირადი კანცელარია პავლე I-ის დროს შეიქმნა. იგი მოქმედებდა ალექსანდრე I-ის დროსაც. იმხანად იმპერატორის კანცელარიას მხოლოდ შემოსული თხოვნების განხილვა ევალებოდა. ნიკოლოზ I-მა გაზარდა კანცელარიის შტატი, დაყო იგი განყოფილებებად და, რაც მთავარია, შეუცვალა ფუნქცია. ფაქტობრივად, **იმპერატორის პირადი კანცელარია იქცა იმპერიაში მმართველობის უმაღლეს ორგანოდ.** იგი ექვსი განყოფილებისაგან შედგებოდა, რომელთაგან ყოვლისშემძლედ იქცა **მესამე განყოფილება** (შეიქმნა 1826 წელს). იმპერატორის კანცელარიის მესამე განყოფილება იყოფოდა **ექსპედიციებად** და **საიდუმლო ნაწილებად.** 1827 წელს მესამე განყოფილებასთან შეიქმნა **ჟანდარმთა კორპუსი.** მთელი რუსეთი დაიყო **ჟანდარმერიის ოლქებად.** თითოეულ ოლქში რამდენიმე გუბერნია იყო გაერთიანებული. ჟანდარმთა კორპუსის დანიშნულებას შეადგენდა მოსახლეობის „კეთილგანწყობის" შესწავლა და ხელისუფლებისათვის არასაიმედო ადამიანებზე ფარული მეთვალყურეობა. მესამე განყოფილებას იმპერატორი უნდა ჩაეყენებინა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების საქმის კურსში. მასალების შეკრების მიზნით, მესამე განყოფილებას ჰქონდა აგენტების ფართო ქსელი როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. საბოლოოდ მესამე განყოფილებაში თავს იყრიდა უზარმაზარი რაოდენობის დასმენები და სხვა-

დასხვა ხასიათის ინფორმაციები, რომლის ანალიზის საფუძველზე, მესამე განყოფილების უფროსს მოხსენება უნდა წარედგინა იმპერატორისათვის. ნიკოლოზ I ყოველთვის დიდი ყურადღებით ეცნობოდა მესამე განყოფილების უფროსის მოხსენებებს. მესამე განყოფილების სათავეში იმპერატორის ფავორიტი გენერალი ალექსანდრე ბენკენდორფი იდგა. ა. ბენკენდორფი დაინიშნა ჟანდარმთა კორპუსის შეფადაც.

5. **კანონთა კოდიფიკაცია.** ნიკოლოზ I მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო მმართველობასა და სასამართლოში უკანონობისა და უსამართლობის საფუძველს კანონმდებლობაში არსებული ნაკლოვანებები ქმნიდა. მეფობის პირველ ხანებშივე ნიკოლოზ I-მა გადაწყვიტა რუსეთის იმპერიის კანონების კოდიფიკაცია მოეხდინა. კანონების კოდიფიკაცია ჯერ კიდევ ალექსანდრე I-ის მეფობის წლებში დაიწყო. ამ საქმეს მიხეილ სპერანსკი ედგა სათავეში. მიხეილ სპერანსკიმ ნიკოლოზ I-ის დროსაც გააგრძელა საქმიანობა. ხანგრძლივი და მომქანცველი მუშაობის შედეგად გამოსაცემად მომზადდა „რუსეთის იმპერიის კანონების სრული კრებული". 1828-1830 წლებში ამ გამოცემის 45 ტომი დაიბეჭდა, რის საფუძველზეც 1832 წელს თხუთმეტ ტომად გამოიცა „რუსეთის იმპერიის კანონთა კრებული". ნიკოლოზ I-ის მეფობის წლებში კანონთა კოდიფიკაციამ მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი სახელმწიფო მმართველობისა და სასამართლო სისტემის მუშაობის გაუმჯობესებას.

6. **განათლება და ცენზურა.** ნიკოლოზ I თვლიდა, რომ დეკაბრისტთა აჯანყება „აღზრდის ყალბი სისტემის დამღუპველი შედეგი იყო". ავიდა თუ არა ტახტზე, ნიკოლოზ I-მა სახალხო განათლების მინისტრს დაავალა სასწავლო დაწესებულებების წესდებათა გადასინჯვა. იმპერატორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სასკოლო განათლების ახალი პრინციპების შემუშავებას და იმ საგნების განსაზღვრას, რომელიც სკოლაში უნდა ესწავლებინათ. ხელისუფლების დაინტერესების ობიექტი გახდა მოსწავლეთა სოციალური შემადგენლობა. 1827 წელს გიმნაზიებსა და უნივერსიტეტებში აიკრძალა გლეხების შვილების მიღება. 1828 წელს მიღებული წესდებით, დაწყებითი და საშუალო განათლება სამ კატეგორიად დაიყო: 1) დაბალი სოციალური ფენებისათვის დაწესდა ერთკლასიანი სამრეველო სასწავლებლები (სკოლები) ელემენტარული განათლების მისაცემად; 2) ვაჭრებისა და მეშჩანების შვილებისათვის დაწესდა სამკლასიანი სასწავლებლები (სკოლები) დაწყებითი განათლების მიღების მიზნით; 3) მემამულეთა და მოხელეთა შვილებისათვის — შვიდკლასიანი გიმნაზიები, რომლებიც მოსწავლეებს ამზადებდა უნივერსიტეტებისათვის.

ნიკოლოზ I-ის პოლიტიკას განათლების დარგში დიდი თავგამოდებით ატარებდა სერგეი უვაროვი. ერთ-ერთი თანამედროვე მას ასე ახასიათებდა: „ჭკვიანი და ეშმაკი ხოლოპი". მართლაც, სერგეი უვაროვი იყო ალღიანი სახელმწიფო მოხელე, კარგად გრძნობდა ვითარებას და, რაც მთავარია, შეეძლო ნიკოლოზ I-ის ყველა ბრძანების ზედმიწევნით ზუსტად და დროულად შესრულება.

ნიკოლოზ I-ის პოლიტიკა განათლების დარგში შემდეგ მიზნებს ისახავდა: 1) რუსეთის განათლების სისტემის ევროპულ დონეზე აყვანა ისე, რომ განათლება მაინც რუსულ საწყისებზე ყოფილიყო დაფუძნებული; 2) აღზრდის უცხოურ პრინციპებთან შედარებით, უპირატესობა უნდა მინიჭებოდა რუსულს. აღზრდისა და განათლების პროცესში რუსული სულის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად 1833 წელს მიღებული დადგენილება, რომელიც კერძო პანსიონებისა და სასწავლო დაწესებულებების გახსნის უფლებას მხოლოდ რუსეთის ქვეშევრდომებს აძლევდა.

ნიკოლოზ I-მა 1835 წლის უნივერსიტეტების წესდებით, მნიშვნელოვნად შეზღუდა უნივერსიტეტების ავტონომია. მართალია, უნივერსიტეტების საბჭოებს შეუნარჩუნდათ რექტორთა და პროფესორთა არჩევის უფლება, მაგრამ სახალხო განათლების მინისტრს შეეძლო არჩეული პირები არ დაემტკიცებინა თანამდებობებზე და პირადი შეხედულებით, არჩევნების გარეშე დაენიშნა სხვები. უნივერსიტეტის საბჭოს მიერ არჩეული რექტორი საბოლოოდ თანამდებობაზე უნდა დაემტკიცებინა იმპერატორს.

1835 წლის წესდებით, უნივერსიტეტები ფაქტობრივად იქცნენ მხოლოდ სასწავლო დაწესებულებებად, მეცნიერულ კვლევა-ძიებას ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა. 1835 წლის წესდება დადებით მომენტებსაც შეიცავდა. აღდგა ფილოსოფიის სწავლება, რომელიც წინათ აკრძალული იყო, სწავლების ხანგრძლივობა სამი წლიდან ოთხ წლამდე გაიზარდა, კათედრები უპირატესად სამამულო კადრებით კომპლექტდებოდა და სხვ.

ნიკოლოზ I-ის მეფობის წლებში ყურადღება მიექცა სპეციალური უმაღლესი სასწავლებლე-

ბის გახსნას. პეტერბურგში გაიხსნა ტექნოლოგიური ინსტიტუტი, სამშენებლო სასწავლებელი, სამართალმცოდნეობის სასწავლებელი და სხვ.

სახალხო განათლების სისტემაში შედიოდა **ცენზურის მთავარი სამმართველო**. ნიკოლოზ I-ის ინიციატივით ცენზურის უფლებები გაიზარდა, გამკაცრდა კონტროლი საზღვარგარეთიდან შემოტანილ ლიტერატურაზე. მიუხედავად ცენზურის გამკაცრებისა, სწორედ ნიკოლოზ I-ის მეფობის წლებში დაიბეჭდა ნიკოლოზ გოგოლის „რევიზორი" და „მკვდარი სულები", ალექსანდრე გერცენისა და ბესარიონ ბელინსკის ფილოსოფიური ტრაქტატები და კრიტიკული წერილები.

7. სოციალური პოლიტიკა. ნიკოლოზ I-ის სოციალური პოლიტიკა ძირითადად ორ მიზანს ისახავდა: **პირველი** — თვითმპყრობელობის უმთავრესი დასაყრდენის — თავადაზნაურობის გაძლიერება; **მეორე** — ახლად ჩასახული ბურჟუაზიის წახალისება და მხარდაჭერა.

თავადაზნაურობის გაძლიერებას ისახავდა 1845 წლის კანონი, რომელიც თავადაზნაურობის მამულების დანაწილების წინააღმდეგ იყო მიმართული. მემამულეს, რომელიც 1000 სულ ყმაზე მეტს ფლობდა, უფლება ჰქონდა მთელი ქონება უფროსი შვილისათვის გადაეცა და სხვა შვილებს შორის არ გაენაწილებინა. კანონს სავალდებულო ხასიათი არ ჰქონია, ამიტომ თავადაზნაურობას ამ კანონით მასობრივად არ უსარგებლია. 1845 წელსვე გამოცემული მეორე კანონით, ნიკოლოზ I-მა გაართულა სხვა სოციალური ფენებიდან თავადაზნაურთა წოდებაში გადასვლა.

თავადაზნაურთა ინტერესების დაცვის მისწრაფებით იყო განპირობებული ის, რომ ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები მხოლოდ თავადაზნაურობის წარმომადგენლობით კომპლექტდებოდა. ნიკოლოზ I-მა აამაღლა გუბერნიებისა და მაზრების **თავადაზნაურთა საკრებულოების** როლი. 1831 წლის კანონით, გაიზარდა საკრებულოში მოხვედრისათვის აუცილებელი ქონებრივი ცენზი. ამიერიდან თავადაზნაურთა საკრებულოში შეიძლებოდა მოხვედრილიყო მხოლოდ შთამომავლობითი წოდების მქონე პირი, რომელსაც შეუსრულდა 21 წელი და ფლობდა არანაკლებ 100 სულ ყმასა და 3 ათას დესეტინა მიწას. 1831 წლის კანონით, თავადაზნაურთა საკრებულოებმა უფლება მიიღეს ეშუამდგომლათ ხელისუფლების წინაშე როგორც საკუთრივ თავადაზნაურობის საჭიროებათა შესახებ, ისე ადგილობრივი მმართველობის საკითხების ირგვლივაც. ამასთან ერთად, თავადაზნაურთა საკრებულოებს მკაცრად ეკრძალებოდათ პოლიტიკური ხასიათის საქმეთა შესახებ მსჯელობა.

8. გლეხთა საკითხი. მარცალია, ნიკოლოზ I-ის მეფობის წლებში გლეხთა დიდი აჯანყებები არ მომხდარა, მაგრამ გლეხთა მღელვარებები და გამოსვლები წლითიწლობით იზრდებოდა. 1826-1835 წლებში აღინიშნა გლეხთა 342 მღელვარება, 1846-1855 წლებში ეს ციფრი 572-მდე გაიზარდა. ცხადია, ამის შესახებ კარგად იცოდა ნიკოლოზ I-მა. იმპერატორმა ისიც შეეგნიერად უწყოდა, რომ გლეხთა მღელვარების მიზეზი იყო ბატონყმობა, სამხედრო დასახლებები, სარეკრუტო სისტემა და ა.შ.

ნიკოლოზ I უარყოფითად იყო განწყობილი ბატონყმობისადმი, კარგად ხედავდა ბატონყმობის დამღუპველ გავლენას ქვეყნის განვითარებაზე. ამავე დროს, **იმპერატორი ბატონყმობას განიხილავდა როგორც სოციალურად საშიშ** მოვლენას. ნიკოლოზ I მიიჩნევდა, რომ ბატონყმობის გაუქმება აუცილებელი იყო, მაგრამ თვლიდა, რომ რეფორმის დაწყება XIX საუკუნის 30-40-იანი წლების რუსეთში არ შეიძლებოდა. 1842 წელს სახელმწიფო საბჭოში გამოსვლისას იმპერატორმა განაცხადა: „ეჭვი არაა, რომ ბატონყმობა დღევანდელი მდგომარეობით ბოროტებაა, რომელსაც ყველა კარგად გრძნობს, მაგრამ ამჟამად მისი ხელის ხლება კიდევ უფრო დამღუპველი იქნება და ამიტომ ყოველი აზრი ყმა გლეხებისადმი თავისუფლების ბოძების შესახებ, იქნება სახელმწიფოში სიმშვიდის დანაშაულებრივი ხელყოფა". **ნიკოლოზ I ხედავდა, რომ ბატონყმობის გაუქმება ანუ ყმა გლეხებზე თავადაზნაურობის უფლების მოსპობა ცუდად იმოქმედებდა თვითმპყრობელობის სიძლიერეზე — თავადაზნაურობა ვეღარ შეასრულებდა თვითმპყრობელობის საყრდენის ფუნქციას**. თავადაზნაურობის ერთგულებას კი იმპერატორი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. 1848 წელს ნიკოლოზ I-ს დედაქალაქის თავადაზნაურობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე უთქვამს: „ბატონებო! მე პოლიცია არა მყავს, მე არ მიყვარს პოლიცია, ჩემი პოლიცია თქვენ ხართ".

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ნიკოლოზ I-მა უარი თქვა ბატონყმობის გაუქმებაზე და სოციალური დაძაბულობის თავიდან აცილებას ამ სისტემის ყველაზე უფრო აუტანელი გამოვლინებების მოსპობით შეეცადა.

ნიკოლოზ I-ის მეფობის წლებში გლეხთა საკითხის მოგვარების მიზნით, ასზე მეტი კანონი გამოიცა. 1827 წელს მემამულეებს აეკრძალათ გლეხების უმიწოდ გაყიდვა ან მიწის გაყიდვა გლეხების გარეშე. 1827 წელს გამოცემული მეორე კანონით აიკრძალა ქარხნებისათვის ყმა გლეხების გადაცემა. 1833 წელს აიკრძალა გლეხებით საჯარო ვაჭრობა, გლეხის ოჯახის წევრების ცალ-ცალკე გაყიდვა და გლეხებით სხვადასხვა ვალის გასტუმრება. 1841 წელს უმამულო თავადაზნაურობას აეკრძალა უმიწოდ გლეხების ყიდვა. გლეხთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გამოიცა სხვა კანონებიც. 1828 წელს თავადაზნაურობას აეკრძალა პირადი შეხედულებისამებრ გლეხის ციმბირში გადასახლება. 1844 წელს მემამულეს უფლება მიეცა, ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში, შინაყმა ხელშეკრულების საფუძველზე გაეთავისუფლებინა.

ნიკოლოზ I-მა, გლეხთა საკითხის გადაჭრის მიზნით, შექმნა რამდენიმე საიდუმლო კომიტეტი. 1835 წელს შეიქმნა **საიდუმლო კომიტეტი**, რომლის მიზანს შეადგენდა, სხვადასხვა კატეგორიის გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სახსრების გამონახვა. 1839 წელს იმპერატორმა შექმნა კიდევ ერთი **საიდუმლო კომიტეტი**, რომელსაც გლეხთა საკითხის გადასაჭრელად საერთო ღონისძიებები უნდა შეეშუშავებინა. ამ კომიტეტს სათაყვანო ედგა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, გრაფი **პავლე კისელიოვი**. პ. კისელიოვი იმთავითვე ცნობილი იყო როგორც ბატონყმობის გაუქმების მომხრე. იგი მიიჩნევდა, რომ მემამულეებისა და ყმა გლეხების ურთიერთობის მოგვარება შესაძლებელი იყო სახელმწიფო რეგლამენტაციის გზით. **პავლე კისელიოვის აზრით, მემამულური მიწისმფლობელობა უნდა შენარჩუნებულიყო, მაგრამ გლეხობა ბატონყმური დამოკიდებულებისაგან უნდა გათავისუფლებულიყო.** გათავისუფლებული გლეხისათვის მემამულეს საკუთარი სურვილის მიხედვით, შეეძლო ფულადი გამოსასყიდის საფასურად მიეცა ის მიწა (ნაგელი), რომელზეც გლეხი სახლობდა, თუ მემამულეს ფულადი გამოსასყიდი არ სურდა, მაშინ გათავისუფლებული გლეხი მიწას მიიღებდა, მაგრამ მემამულის მიმართ ექნებოდა მკაცრად რეგლამენტირებული (არაბატონყმური) ვალდებულებები.

პავლე კისელიოვის კომიტეტის მუშაობის შედეგი იყო 1842 წლის კანონი, რომელიც მემამულური მიწისმფლობელობის შეუვალობის პრინციპიდან გამომდინარეობდა. **კანონის ძალით, მემამულის თანხმობის შემთხვევაში, გლეხი თავისუფლდებოდა ბატონისაგან, მაგრამ მიწას მიიღებდა არა საკუთრების, არამედ სარგებლობის უფლებით.** მიწით სარგებლობისათვის გლეხს მემამულის მიმართ უნდა შეესრულებინა რიგი ვალდებულებებისა, რომელიც საკმაოდ მძიმე იყო. სამაგიეროდ, მემამულეს უფლება არ ჰქონდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ, თვითნებურად გაეზარდა ან დაემძიმებინა გლეხის ვალდებულებანი.

მნიშვნელოვანი იყო 1848 წლის კანონი. გლეხობას ამ კანონის გამოცემამდე უფლება ჰქონდა საკუთარი ფულით მიწა შეეძინა მხოლოდ მემამულის სახელზე, ამიერიდან **გლეხს შეეძლო მიწა პირადად შეეს**ყიდა. სხვადასხვა მიზეზების გამო, კანონით მინიჭებული უფლების პრაქტიკულად გამოყენება გლეხებს უძნელდებოდათ, მაგრამ იურიდიული თვალსაზრისით, გლეხი შეიძლებოდა მიწისმფლობელი გამხდარიყო.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო **სახელმწიფოს (ხაზინის)** საკუთრებაში არსებულ სოფლებში 1837-1841 წლებში გატარებული რეფორმა. ეს რეფორმაც პავლე კისელიოვის ხელმძღვანელობით მომზადდა. რეფორმის ძალით, სახელმწიფოს (ხაზინის) კუთვნილი სოფლების მართვის მიზნით, დაწესდა ოთხსაფეხურიანი მმართველობა: 1) საგუბერნო მმართველობა; 2) საოკრუგო მმართველობა; 3) სათემო მმართველობა; 4) სასოფლო მმართველობა. ყოველ გუბერნიაში შეიქმნა **სახელმწიფო ქონების პალატა**. ოკრუგებში შემოიღეს **ოკრუგის უფროსის** თანამდებობა. თემებსა და სოფლებში შეიქმნა **არჩევითი** თვითმმართველობები. **სახელმწიფო სოფლებში შენარჩუნებულ იქნა მიწის სათემო საკუთრების სისტემა.** მცირემიწიან სახელმწიფო გლეხებს სახელმწიფო რეზერვებიდან მიეცათ მიწები. მეურნეობის გამართვის მიზნით, ხაზინა გლეხებს აძლევდა კრედიტს. მოწესრიგდა სახელმწიფო გლეხებიდან გადასახადების ამოღების სისტემა.

სახაზინო სოფლებში გატარებულმა რეფორმამ, მიუხედავად იმისა, რომ გაზარდა ჩინოვნიკური აპარატი, ხელი შეუწყო საწარმოო ძალთა განვითარებას.

9. პოლიტიკური რეჟიმის გამკაცრება. დასავლეთ ევროპაში 1848-1849 წლებში მიმდინარე რევოლუციებმა, განსაკუთრებით ავსტრიის იმპერიაში განვითარებულმა მოვლენებმა, ნიკოლოზ I აიძულა სათანადო ზომები მიეღო.

1848 წლიდან დაიწყო ცენზურის გამკაცრება, გაძლიერდა ხელისუფლებისათვის არაკეთილსაიმედო ადამიანებზე ფარული მეთვალყურეობა.

გატარდა ღონისძიებები, რომელთა მიზანი იყო დასავლეთ ევროპასთან კავშირის შეზღუდვა. დასავლეთ ევროპაში დროებით მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეებს, სამშობლოში დაბრუნებაზე უარის თქმის შემთხვევაში, შეიძლებოდა დაეკარგათ რუსეთის ქვეშევრდომობა.

გაუქმდა უნივერსიტეტების ავტონომია, შემცირდა სტუდენტთა მიღება, გაიზარდა სწავლის ქირა, გაძლიერდა ფარული მეთვალყურეობა სტუდენტებსა და პროფესორებზე. გავრცელდა ხმები, რომ უნივერსიტეტები საერთოდ დაიხურებოდა.

პოლიტიკური რეჟიმის გამკაცრება დროებითი მოვლენა იყო და მას არ შეეძლო გატარებული რეფორმების შედეგების ლიკვიდაცია.

ნიკოლოზ I-ის საშინაო პოლიტიკა 1825-1855 წლებში არ ყოფილა მიმართული ალექსანდრე I-ის რეფორმატორული პოლიტიკის გადასინჯვისა, ან რეფორმების შედეგების ლიკვიდაციისაკენ. პირიქით, ნიკოლოზ I სხვა ფორმებით, სხვა მეთოდებით განუხრელად აგრძელებდა რეფორმების კურსს, რომელიც ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს — რუსეთის სახელმწიფოს გაძლიერებას.

თავი IX. რუსეთის საგარეო პოლიტიკა 1825-1856 წლებში

XIX საუკუნის მეორე მეოთხედის რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკა მრავალმხრივაა საინტერესო. ესაა რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ზრდისა და ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში რუსეთის აქტიური მონაწილეობის პერიოდი. ამავე დროს, ესაა ჟამი რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის დიდი მარცხისა. საერთოდ კი, შეიძლება ითქვას, რომ ძლიერი სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალით, ევროპისა და აზიის კონტინენტებზე თავისი ინტერესების დაცვის დაუოკებელი მისწრაფებით, ომებითა და დიპლომატიური ბრძოლით რუსეთი დიდ გავლენას ახდენდა საერთაშორისო ურთიერთობებზე.

1. საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. რუსეთის საგარეო პოლიტიკა განსაზღვრული იყო გეოპოლიტიკური მიზანსწრაფვით — გაფართოებულიყო იმპერიის საზღვრები.

რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკა ვენის სისტემიდან გამომდინარეობდა. ვენის სისტემამ რუსეთს მისთვის ხელსაყრელი დასავლეთის საზღვრების შეუვალობის გარანტი მისცა. ნიკოლოზ I სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი მონაპოვრის დაცვას ცდილობდა. **რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიზანს დასავლეთის საზღვრების გადასინჯვა კი არ შეადგენდა, არამედ პოლონეთის, ბალტიისპირეთისა და ფინეთის შემომტკიცება.** ნიკოლოზ I, როცა ევროპაში რევოლუციურ მოძრაობას ებრძოდა, პირველ რიგში, იმპერიის დასავლეთის საზღვრების უსაფრთხოების დაცვაზე ფიქრობდა. სტაბილურობა ევროპაში რუსეთის დასავლეთის საზღვრების დაცვის გარანტი იყო.

რუსეთი ცდილობდა მშვიდობიანი ურთიერთობა შეენარჩუნებინა ჩრდილოეთ ევროპის სახელმწიფოებთან. აქ რუსეთის მთავარი პარტნიორი შვეცია იყო. შვეცია მხარს უჭერდა რუსეთის საგარეო პოლიტიკას. ეს მხარდაჭერა იმდენად აშკარა იყო, რომ შვეციის მეფემ ნიკოლოზ I-ს რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომში სამხედრო დახმარებაც კი აღუთქვა.

რუსეთის იმპერიის **ევროპულ პოლიტიკას** მტკიცე საფუძველი შეუქმნა ნაპოლეონის დამარცხებაში რუსეთის გადამწყვეტმა როლმა და ნაპოლეონის მარცხის შემდეგ შექმნილმა ვენის სისტემამ. იმავეს ვერ ვიტყვით რუსეთის აღმოსავლურ პოლიტიკაზე. **დასუსტებული თურქეთის ხარჯზე აღმოსავლეთში პოზიციების განმტკიცებისათვის რუსეთის ბრძოლას არ ჰქონდა მტკიცე საფუძველი. ევროპისაგან განსხვავებით, მცირე აზიაში, შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში გამავალ სრუტეებზე, ბალკანეთში, ხმელთაშუა ზღვაზე რუსეთის პოზიციები გაცილებით სუსტი იყო.** ნაპოლეონზე გამარჯვების შემდეგ ევროპაში რუსეთის არმიის შესვლას ევროპის ქვეყნები (ინგლისი, ავსტრია, პრუსია) წინ ვერ აღუდგნენ, რადგან საფრანგეთის ძველ საზღვრებში ჩაყენება მათ ინტერესებშიც შედიოდა. ხოლო ძლიერი რუსული არმიის ყოფნა ევროპაში რუსეთისათვის მეტად ხელსაყრელი, ვენის სისტემის შექმნისთვის გადამწყვეტი პირობა იყო. **სულ სხვა ვითარება იყო აღმოსავლეთში. აქ რუსეთის სამხედრო ძალა ევროპის ქვეყნებს არ სჭირდებოდათ და არც დაუშვებდნენ, რომ რუსეთს, სამხედრო ძალაზე დაყრდნობით, თავისი პოზიციები განემტკიცებინა დასუსტებული თურქეთის ხარჯზე.** ევროპის სახელმწიფოთა ანტირუსულ პოლიტიკას საფუძველს უმაგრებდა თურქეთის, ირანისა და ჩრდილო კავკასიის მაჰმადიანი მოსახლეობის ბრძოლა რუსეთის გეოპოლიტიკური მისწრაფებების წინააღმდეგ.

XIX საუკუნის მეორე მეოთხედში რუსეთის საგარეო პოლიტიკაში გამოიკვეთა **შუა აზიისა და შორეული აღმოსავლეთისადმი ინტერესი.** ორენბურგის გამაგრებული ხაზი რუსეთს გამოყოფდა ყაზახეთისაგან. ჯერ კიდევ ალექსანდრე I-ის მეფობის წლებში აქტიურად დაიწყო ყაზახეთის შესწავლა ამ მხარეში შედწევის მიზნით. ნიკოლოზ I-მა კი შუა აზიის დაპყრობაზე აიღო გეზი. 1839 წელს რუსეთის არმიამ **ხივის სახანოზე** დაიწყო შეტევა, მაგრამ ინგლისის სასტიკი წინააღმდეგობის გამო, შუა აზიის დაპყრობის საკითხი კარგა ხნით გადაიდო.

XIX საუკუნის შუა ხანებში გადაწყდა აქტიური პოლიტიკის გატარება **შორეულ აღმოსავლეთში, კერძოდ, ამურისპირეთში.** რუსეთის გააქტიურების მიზეზი იყო ევროპის ქვეყნების სწრაფვა **ჩინეთში** განმტკიცებისაკენ. თუ ევროპის ქვეყნები ჩინეთში მტკიცედ მოიკიდებდნენ ფეხს, ცხადია, ამურისპირეთისა და შორეული აღმოსავლეთის სხვა ტერიტორიებზეც განაცხადებდნენ პრეტენზიას. ამ თვალსაზრისით, რუსეთ-ჩინეთის **აიღუნის** ხელშეკრულება (1858 წ.) რუსეთის წარმატების მაუწყებელი იყო.

2. ნიკოლოზ I — დიპლომატი. საერთოდ, ნიკოლოზ I აგრძელებდა ალექსანდრე I-ის საგარეო-პოლიტიკურ კურსს. ამავე დროს, ნიკოლოზ I-ს ჰქონდა განსხვავებული შეხედულებანი და საგარეო პოლიტიკის პრობლემების გადაჭრის მეთოდები. **ნიკოლოზ I წინააღმდეგი იყო დიდი საერთაშორისო კონგრესების მოწვევისა, იგი უპირატესობას ანიჭებდა ორმხრივ დიპლომატიურ ურთიერთობებსა და ხელშეკრულებებს.** აქედან გამომდინარე, მას აღარ უცდია საღვთო კავშირის მეშვეობით თავისი საგარეო-პოლიტიკური გეგმების რეალიზება.

ნიკოლოზ I-ის უმთავრესი საგარეო-პოლიტიკური იდეა ევროპაში რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. სწორედ ამიტომ, 1830 წლის საფრანგეთის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გამოირიცხა რუსეთ-საფრანგეთის კავშირი. რუსეთის მოკავშირეებად შეიძლებოდა გამოსულიყვნენ **ავსტრია** და **პრუსია**, სადაც მონარქთა ხელისუფლება ჯერჯერობით ურყევი იყო.

ნიკოლოზ I თავის მოღვაწეობის დასაწყისში მერყეობდა აღმოსავლეთის საკითხში. მას საბოლოოდ არ ჰქონდა გადაწყვეტილი, მხარი დაეჭირა დასუსტებული თურქეთის ტერიტორიის ხელშეუხებლობისათვის, თუ მისი დანაწილებისათვის. ნიკოლოზ I-ს იმთავითვე გადაწყვეტილი ჰქონდა ერთი რამ: **თურქეთის დანაწილების შემთხვევაშიც, რუსეთი მხარს არ დაუჭერდა საერთოსლავური კონფედერაციის შექმნის იდეას. იმპერატორი ნიკოლოზ I თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი იყო და მას პირველ რიგში, რუსეთის სახელმწიფოს კეთილდღეობა ამოძრავებდა.** ბალკანეთის სლავების გამათავისუფლებელ ბრძოლას თურქეთის წინააღმდეგ ნიკოლოზ I იმდენად უჭერდა მხარს, რამდენადაც ეს ბრძოლა მისი სამშობლოს ინტერესებს გამოხატავდა.

ნიკოლოზ I მეფობის პირველ ხანებში (1825-1848 წწ.) წარმოჩნდა როგორც **შორსმჭვრეტელი და პრაგმატიკოსი პოლიტიკოსი, მოქნილი დიპლომატი.** მას პრინციპული საერთაშორისო საკითხების გადაჭრისათვის ბრძოლის დიდი ნიჭი ჰქონდა. მეფობის მეორე პერიოდში (1848-1849 წლების რევოლუციების ჩახშობის შემდეგ), იმპერატორი ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა პოლიტიკური რეალობის შეფასებას და თვლიდა, რომ ევროპის ქვეყნები (ინგლისი, ავსტრია) მისი მოკავშირეები იყვნენ. ნიკოლოზ I გადაჭარბებით აფასებდა რუსეთის არმიის შესაძლებლობებს და მხედველობიდან გამორჩა ის სამხედრო-ტექნიკური ძვრები, რაც ევროპის ქვეყნებში უკანასკნელ ათწლეულში მოხდა.

ნიკოლოზ I საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხების განსაზღვრას **საიდუმლო კომიტეტებში** არჩევდა, რომლის წევრებსა და თავმჯდომარეს პირადად ნიშნავდა. **სახელმწიფო საბჭო** და **საგარეო საქმეთა სამინისტრო** ამ პროცესში ნაკლებად ერეოდა. იმპერატორმა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა შეუნარჩუნა ალექსანდრე I-ის დროინდელ მინისტრს გრაფ **კარლ ნესელროდეს**. საგარეო-პოლიტიკური კურსის შემუშავებაში კარლ ნესელროდესთან ერთად ნიკოლოზ I ანგარიშს უწევდა სამხედრო მინისტრს გენერალ **ალექსანდრე ჩერნიშევს**, ფინანსთა მინისტრს **ერმოლაი კანკრინს**, ჟანდარმთა კორპუსის შეფს გენერალ **ალექსანდრე ორლოვს**, ადმირალ **ალექსანდრე მენშიკოვს**, გენერალ **ნიკოლოზ მურავიოვს**, გენერალ **ივანე პასკევიჩს**.

საერთოდ კი, ნიკოლოზ I-ის მეფობის წლებში დიპლომატიური სამსახური გამართულად მოქმედებდა, თუმცა იკვეთებოდა მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებები. მოიკოჭლებდა ზოგიერთ ქვეყანაში მყოფი დიპლომატების (ელჩების, კონსულების) პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა. ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის პროცესში ისინი ანგარიშს უწევდნენ არა იმდენად ფაქტებს, არამედ იმპერატორის სურვილსა და მისწრაფებებს. ასეთმა მიდგომამ დიდი ზიანი მოუტანა რუსეთის სახელმწიფოს.

3. აღმოსავლეთის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში 1825-1853 წლებში. XIX საუკუნის მეორე მეოთხედში რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას **თურქეთთან** ურთიერთობა წარმოადგენდა. თურქეთთან ურთიერთობას განსაკუთრებით ამწვავებდა საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე მიმდინარე **საბერძნეთის აჯანყება.** ნიკოლოზ I-ის მეფობის დასაწყისისათვის ბერძენი პატრიოტები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. თურქეთის ჯარებისაგან ბერძნები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ. სიცოცხლის ბოლო თვეების მანძილზე ალექსანდრე I-მა ვერ შეძლო ბალკანეთის პრობლემის გადაჭრა.

ნიკოლოზ I აქტიურად შეუდგა ბალკანეთის საკითხის მოგვარებას. 1826 წელს, დაძაბული მოლაპარაკებების შემდეგ, ხელი მოწერა **რუსეთ-ინგლისის პეტერბურგის ოქმს.** ოქმის მიხედვით, საბერძნეთს თურქეთის შემადგენლო-

ბაში უნდა მიეღო ავტონომია, ხოლო საბერძნეთის მოსახლეობას — ვაჭრობისა და საკუთრების დაცვის გარანტია, ასევე, თურქებიდან პირად საკუთრებაში მიწების შესყიდვის უფლება. პეტერბურგის ოქმი ითვალისწინებდა ინგლისისა და რუსეთის შეიარაღებულ ჩარევას ბერძენთა დახმარების მიზნით. ნიკოლოზ I-ის პირველ დიდ დიპლომატიურ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ **რუსეთმა მიიღო თურქეთის შინაურ საქმეებში ცალმხრივი (ინგლისის გარეშე) ჩარევის უფლება ბერძენთა დაცვის მიზნით.** ინგლისის მთავრობა, პეტერბურგის ოქმის მიუხედავად, ყოველნაირად ცდილობდა არ დაეშვა, რომ რუსეთს მიღწეული უპირატესობა გამოეყენებინა. ნიკოლოზ I კი სწორედ პეტერბურგის ოქმით მიღებული უპირატესობის რაც შეიძლება ფართოდ რეალიზებას ცდილობდა. 1826 წელს დაიდო **რუსეთ-თურქეთის აკერმანის კონვენცია.** აკერმანის კონვენციის ძალით, თურქეთი ვალდებული იყო დაეცვა ბუქარესტის ზავის (1812 წ.) პირობები — **დუნაის სამთავროების** (მოლდოვას, ვალახეთის) საგანგებო პრივილეგიები და **სერბეთის** შინაური თვითმმართველობა. რუსეთთან მოვაჭრე ქვეყნებმა, რომელთაც შავ ზღვაზე გასასვლელი არ ჰქონდათ, **ბოსფორისა** და **დარდანელის** სრუტეების ვაჭრობის მიზნით გამოყენების უფლება მიიღეს.

აკერმანის კონვენციამ ევროპის ქვეყნებს აქტიური პოლიტიკისაკენ უბიძგა. 1827 წელს რუსეთმა, ინგლისმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს **ლონდონის კონვენციას.** კონვენცია აღიარებდა თურქეთის შემადგენლობაში საბერძნეთის ავტონომიას და ითვალისწინებდა თურქეთის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებას. რუსეთს უფლება ჰქონდა ბერძნების დაცვის მიზნით, ცალმხრივადაც (ინგლისისა და საფრანგეთის გარეშე) ჩარეულიყო თურქეთის საშინაო საქმეებში, ოღონდ ეს მოქმედება უნდა შეეთანხმებინა ლონდონის კონვენციაზე ხელმომწერ სახელმწიფოებთან.

თურქეთმა არ ცნო ლონდონის კონვენცია და მისი არმია აგრძელებდა შეტევას აჯანყებული ბერძნების წინააღმდეგ. ამის საპასუხოდ, 1827 წელს რუსეთ-ინგლის-საფრანგეთის სამხედრო ესკადრამ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსთან გაანადგურა თურქეთ-ეგვიპტის ფლოტი. თურქეთის ფლოტის განადგურებამ გამოიწვია ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკის შეცვლა. **აღმოსავლეთში რუსეთის პოზიციების განმტკიცების პერსპექტივით შეშინებულმა ინგლისმა და საფრანგეთმა მიიღეს გადაწყვეტილება თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ.** ამით იმედმოცემულმა თურქეთმა რუსეთის სავაჭრო გემებისათვის დახურა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები. რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა სულ უფრო იძაბებოდა, რაც საბოლოოდ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტით დამთავრდა. რუსეთის ელჩმა სტამბოლი დატოვა. 1828 წლის 26 აპრილს რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს.

რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომი ისე დაიწყო, რომ არც რუსეთი და არც თურქეთი ომისათვის სერიოზულად არ მომზადებულა. რუსეთის **დუნაის არმიას** ხანგრძლივი ომის წარმოებისათვის საჭირო სურსათი, ტანსაცმელი და საბრძოლო საჭურველი არ გააჩნდა. მიუხედავად ამისა, რუსეთის არმია საბრძოლო თვისებებითა და საომარი განწყობილებით გაცილებით მაღლა იდგა თურქეთის არმიაზე — რუს ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, რუსეთის გენერალიტეტს თურქები ტოლს ვერ დაუდებდნენ.

ომი ორ ფრონტზე დაიწყო — ბალკანეთსა და კავკასიაში. რუსეთის სარდლობის აზრით, ომის ბედი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე უნდა გადაწყვეტილიყო. რუსი სამხედროებისა და პოლიტიკოსების აზრით, როგორც კი რუსეთის არმია მდინარე დუნაის გადალახავდა, თურქეთი იძულებული გახდებოდა ზავი ეთხოვა. ეს პროგნოზი არ გამართლდა. რუსეთის 100-ათასიანმა არმიამ **პეტრე ვიტგენშტეინის** სარდლობით გადალახა მდინარე **პრუტი** და **მოლდოვას** სამთავროს ტერიტორიაზე შევიდა. შემდეგ რუსებმა დაიკავეს **იასი** და **ბუქარესტი.** თურქეთის არმიის წინააღმდეგობა სულ უფრო იზრდებოდა. 1829 წლის გაზაფხულისათვის რუსეთის არმიამ ხელთ იგდო ძლიერი ციხესიმაგრეები — **შუმლა** და **სილისტრია.**

ომში აქტიურად ჩაება რუსეთის სამხედრო ფლოტი. ბალტიის ესკადრამ დარდანელის სრუტის ბლოკირება მოახდინა, ხოლო შავი ზღვის სამხედრო ფლოტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ბულგარეთის სანაპიროზე ქალაქ **ვარნის** აღებისათვის ბრძოლებში. შავი ზღვის სამხედრო ფლოტმა შებოჭა თურქეთის სამხედრო ფლოტის მოქმედება შავ ზღვაზე.

1829 წლის ზაფხულში რუსეთის არმიამ გადალახა **ბალკანეთის მთები** და 1829 წლის 8 აგვისტოს უბრძოლველად შევიდა **ადრიანოპოლში.** ბალკანეთის ნახევარკუნძულზე განლა-

გებული თურქეთის არმია მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ბრძოლისუნარიანი გამოდგა რუსეთის **კავკასიის არმიაც**. კავკასიის ფრონტზე მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატებები: 1828 წლის ივლისში რუსებმა აიღეს **ანაპა** — თურქთა მნიშვნელოვანი სიმაგრე ჩრდილო-დასავლეთ შავი ზღვისპირეთში და **ყარსი**; 1828 წლის ზაფხულში რუსეთის არმიამ დაიკავა **ყარსის, ახალციხისა** და **ბაიაზეთის** საფაშოების ტერიტორიები.

ბალკანეთისა და კავკასიის ფრონტებზე რუსეთის არმიის წარმატებებმა აიძულა **ავსტრია**, საერთაშორისო კონგრესის მოწვევის ინიციატივით გამოსულიყო. სულთანი შიშობდა, რომ სანამ ევროპის ქვეყნები რაიმეს მოიმოქმედებდნენ, რუსეთის არმია **სტამბოლს** დაიკავებდა. ამიტომ თურქეთი საზავო მოლაპარაკებას დასთანხმდა. ზავი ხელს აძლევდა რუსეთსაც. 1829 წლის 2 სექტემბერს **ადრიანოპოლში** რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება. ადრიანოპოლის ზავით, რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა მდინარე **დუნაის** დელტა (შესართავი), შავი ზღვის სანაპირო **ფოთიდან ანაპამდე, ახალციხე** და **ახალქალაქი** (სამხრეთ საქართველოს ნაწილი), **ერევანი** (აღმოსავლეთ სომხეთითურთ). თურქეთი უარს ამბობდა კავკასიაში თავის ყოფილ სამფლობელოებზე. ადრიანოპოლის ზავით, საბერძნეთმა თურქეთის შემადგენლობაში მიიღო ფართო ავტონომია, დადასტურდა სერბეთის, დუნაის სამთავროების (მოლდოვასა და ვალახეთის) ავტონომია. ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები სავაჭრო ხომალდებისათვის ღიად ცხადდებოდა. თურქეთს რუსეთის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა კონტრიბუცია.

4. რუსეთი და საერთაშორისო ურთიერთობები მახლობელ აღმოსავლეთში XIX საუკუნის 30-40-იან წლებში. ადრიანოპოლის ზავის შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესი ადგილი **შავი ზღვის სრუტეების (ბოსფორისა და დარდანელის) საერთაშორისო-სამართლებლივი რეჟიმის პრობლემას** ეკავა. რუსეთის იმპერიისათვის ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების პრობლემა იდგა როგორც **გეოპოლიტიკური**, ისე **ეკონომიკური** თვალსაზრისით. რუსეთის სამხედრო ფლოტის შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში დაუბრკოლებლად გასვლა აუცილებელი იყო უმნიშვნელოვანეს რეგიონებში სხვა ქვეყნების (თურქეთის, ინგლისის, საფრანგეთის) წინააღმდეგ აქტიური პოლიტიკისა და სამხედრო მოქმედებების წარმოებისათვის. სრუტეები რუსეთს ესაჭიროებოდა საერთაშორისო ვაჭრობისათვის.

ადრიანოპოლის ზავის შემდგომ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების საკითხი ნიკოლოზ I-მა განსახილველად **აღმოსავლეთის საკითხთა განსაკუთრებულ კომიტეტს** გადასცა. კომიტეტის რეკომენდაციით, კურსი აიღეს თურქეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციისაკენ. რუსეთმა დუნაის სამთავროებიდან ვადაზე ადრე გამოიყვანა ჯარები. იმავდროულად ნიკოლოზ I-მა თურქეთს აპატია ადრიანოპოლის ზავით დადგენილი კონტრიბუციის ნაწილი. თურქეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის ბოლომდე გატარება შეუძლებელი გახადა 1832 წელს დაწყებულმა **თურქეთ-ეგვიპტის** კონფლიქტმა. თავისი სეპარატისტული მისწრაფებებით ცნობილ ეგვიპტის ფაშას — **მუჰამედ ალის** ჯარებმა სასტიკად დაამარცხა თურქეთის სულთნის ჯარები. ეგვიპტე თურქეთის შემადგენლობიდან გასვლისათვის იბრძოდა. თურქეთის სახელმწიფო დაშლის საშიშროების წინაშე დადგა. სულთანი იძულებული გახდა, ევროპის ქვეყნებისათვის ეთხოვა დახმარება. ცხადია, რუსეთი ვერ დაუშვებდა თურქეთში ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციების განმტკიცებას.

დიდი სახელმწიფოები (რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია) მზარს უჭერდნენ „სტატუს ქვოს" შენარჩუნებას, ანუ თურქეთის ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. ამავე დროს, ისინი ცდილობდნენ თურქეთში პოლიტიკური და ეკონომიკური უპირატესობების მოპოვებას. სწორედ ეს ძაბავდა საერთაშორისო ურთიერთობებს. ეგვიპტის ფაშას წინააღმდეგ თურქეთის სულთნისათვის დახმარების აღმოჩენას საფრანგეთი არ ჩქარობდა. საფრანგეთს მჭიდრო კავშირი ჰქონდა **მუჰამედ ალისთან**, რის გამოც საფრანგეთი თურქეთს პასუხს უგვიანებდა. ინგლისის მთავრობამ, დაძაბული შინაპოლიტიკური ვითარების გამო, მიზანშეუწონლად ჩათვალა თურქეთის საშინაო საქმეებში ჩარევა. ინგლისისა და საფრანგეთის ასეთმა პოზიციამ ნიკოლოზ I-ს საშუალება მისცა, თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა თურქეთ-ეგვიპტის კონფლიქტი. ნიკოლოზ I-მა ეგვიპტის ფაშასთან ულტიმატუმით სასწრაფოდ გაგზავნა გენერალი **ნიკოლოზ მურავიოვი** და მუჰამედ ალის სტამბოლზე ლაშქრობის შეწყვეტა მოსთხოვა. იმავდროულად, **ბოსფორის სრუტეში** თურქეთის დედაქალაქის დაცვის

მიზნით, რუსეთის 30-ათასიანი არმია შევიდა. სტამბოლთან რუსეთის არმიის გამოჩენამ შეაშფოთა ინგლისი და საფრანგეთი. სწორედ მათი ინიციატივით, 1833 წელს შესაძლებელი გახდა თურქეთ-ეგვიპტის ურთიერთობის მოგვარება. ნიკოლოზ I-ს ისღა დარჩენოდა, რომ სტამბოლის დაცვის მიზნით გაგზავნილი ჯარები უკანვე გამოეწვია. იმპერატორმა კარგად გამოიყენა რუსეთის ჯარების ყოფნა სტამბოლთან და 1833 წლის 26 იენისს თურქეთის სულთანს თავს მოახვია ხელშეკრულება, რომელიც დაბა **უნკიარ-ისკელესში** (სტამბოლის ახლოს) დაიდო. უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულება რვა წლის ვადით იდებოდა და დიდ უპირატესობებს ანიჭებდა რუსეთს. იგი ადასტურებდა ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებას (1829 წ.). **რუსეთი ვალდებულებას იღებდა, ეგვიპტესთან კონფლიქტის შემთხვევაში, არმიითა და სამხედრო ფლოტით** დახმარებოდა **თურქეთს.** ხელშეკრულების საიდუმლო მუხლით, სულთანი ვალდებულებას იღებდა, რუსეთის მოთხოვნით, ევროპის სახელმწიფოების სამხედრო გემებისათვის დაეხურა ხმელთაშუა ზღვიდან შავ ზღვაზე გასასვლელი — ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები.

უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულებამ დროებით შეასუსტა ევროპის სახელმწიფოთა პოზიციები მახლობელ აღმოსავლეთში.

ინგლისი, საფრანგეთი და ავსტრია ყოველ ღონეს ხმარობდნენ უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულების გაუქმებისათვის. ამ შემთხვევაში ნიკოლოზ I-მა დიდი სიმტკიცე გამოიჩინა და მუქარით აღსავსე ნოტებით უარყო ევროპის ქვეყნების პრეტენზიები. **იმავდროულად, ნიკოლოზ I-მა ავსტრიასთან დაახლოების კურსი** აიღო, **რათა ინგლისსა და საფრანგეთთან ავსტრიის დაპირისპირებით** დაესუსტებინა ანტირუსული კოალიცია. 1833 წელს **მიუნჰენგრეცში** (ჩეხეთი) დაიდო რუსეთ-ავსტრიის კონვენცია. **მიუნჰენგრეცის კონვენცია** აღიარებდა თურქეთის ტერიტორიულ მთლიანობას. ამავე დროს, რუსეთსა და ავსტრიას თურქეთში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლების დაწყების შემთხვევაში ერთობლივად უნდა ემოქმედათ. რუსეთის დიპლომატიის დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ავსტრიამ დეიურე ცნო უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულება.

უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულება და მიუნჰენგრეცის კონვენცია რუსეთის დიპლომატიის დიდი გამარჯვების მაუწყებელი იყო. ამავე დროს, მიუნჰენგრეცის კონვენცია ევროპის ქვეყნების ბოლო დათმობას წარმოადგენდა.

XIX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან საერთაშორისო ურთიერთობებში გამოიკვეთა წინააღმდეგობათა ორი კვანძი. **პირველი** — რუსეთისა და ევროპის ქვეყნების (ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრიის) წინააღმდეგობა შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში გამავალი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე და **მეორე** — ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგობა ხმელთაშუა ზღვაზე, ეგვიპტეში სირიასა და ლიბანში. ავსტრია, მიუნჰენგრეცის კონვენციის მიუხედავად, რუსეთის მოწინააღმდეგედ გამოდიოდა ბალკანეთში. მახლობელ აღმოსავლეთში რუსეთის მთავარი მეტოქე ინგლისი იყო.

ინგლისი ყოველ ღონეს ხმარობდა უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულებითა და მიუნჰენგრეცის კონვენციით შელახული უფლებების აღდგენისათვის. 1839 წელს დაიწყო თურქეთ-ეგვიპტის მეორე კონფლიქტი. ამჯერადაც თურქეთის არმიამ სასტიკი მარცხი იწვნია. თურქეთის მარცხმა ისევ დაძაბა საერთაშორისო ურთიერთობები — ინგლისი და ავსტრია თურქეთის სულთანს უჭერდნენ მხარს, ხოლო საფრანგეთი ეგვიპტის ფაშას — მუჰამედ ალის.

ნიკოლოზ I-მა სწორად განჭვრიტა, რომ XIX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულისათვის შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში აღმოსავლეთის საკითხის წარმატებით გადასაჭრელად აუცილებელი იყო ძლიერი მოკავშირე. ეს სავსებით სწორი გადაწყვეტილება იყო. მაგრამ ნიკოლოზ I შეცდა მოკავშირის შერჩევაში: რუსეთის მოკავშირედ მან ინგლისი დასახა, რუსეთის იმპერატორის არჩევანი ორმა მიზეზმა განაპირობა: **პირველი** — ნიკოლოზ I-ს 1830 წლის რევოლუციის შემდეგ არ უნდოდა კავშირი ჰქონოდა საფრანგეთთან და ამ ქვეყანას განიხილავდა როგორც შეურიგებელ მეტოქეს; **მეორე** — ინგლისი და საფრანგეთი მუდმივ მეტოქეობას უწევდნენ რუსეთს ხმელთაშუა ზღვის აუზსა და მახლობელ აღმოსავლეთში. განსაკუთრებით ძლიერი იყო მათი დაპირისპირება ეგვიპტესა და სირიაში. **ნიკოლოზ I-ის აზრით, საფრანგეთთან დაპირისპირება ინგლისს რუსეთთან კავშირისაკენ უბიძგებდა.** ნოკოლოზ I-ის მცდარი გადაწყვეტილება მნიშვნელოვანწილად განაპირობა ინგლისში რუსეთის ელჩისა და საგარეო საქმეთა მინისტრის **კარლ ნესელროდეს** მცდარმა ინფორმაციამ. უნდა აღინიშნოს, რომ კარლ ნესელროდე უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულებას თვლიდა მახლობელ აღმოსავლეთში საერთაშორისო

ურთიერთობების დაძაბვის მთავარ მიზეზად. იგი მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო ამ ხელშეკრულების შეცვლა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების შესახებ მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებით.

ინგლისმა შესანიშნავად ისარგებლა სირიასა და ლიბანში საფრანგეთის პოზიციების შესუსტებით და ასევე თურქეთის სულთნის კარზე ანტირუსული განწყობილებების გაძლიერებით. 1840-1841 წლებში ლონდონში დაიდო ორი კონვენცია. **ლონდონის პირველი კონვენცია** (1840 წ.), რომელსაც ხელი მოაწერეს ინგლისმა, რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ, მიმართული იყო საფრანგეთისა და ეგვიპტის წინააღმდეგ. კონვენციაზე ხელის მომწერი ქვეყნები თურქეთის ტერიტორიული მთლიანობის გარანტად გამოდიოდნენ და არ აღიარებდნენ ეგვიპტის გამოყოფას თურქეთისაგან. ლონდონის პირველი კონვენცია ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს რუსეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების სამხედრო გემებისათვის დახურულად აცხადებდა. ეს რუსეთისათვის დიდი მარცხის მომასწავებელი იყო. მალე რუსეთმა კიდევ უფრო დიდი მარცხი იწვნია. ლონდონის პირველი კონვენციის თანახმად, ეგვიპტის ფაშას მუჰამედ ალის წინააღმდეგ გაიგზავნა ინგლის-ავსტრიის სამხედრო ექსპედიცია. რუსეთმა ამ ექსპედიციაში მონაწილეობის უფლება ვერ მიიღო. ექსპედიციამ ლაბავარი ჩასცა მუჰამედ ალის დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებას და სერიოზულად შეარყია საფრანგეთის პოზიციები მახლობელ აღმოსავლეთში. ექსპედიციის შემდეგ ინგლისი დამკვიდრდა სირიასა და ლიბანში. **ნიკოლოზ I-მა კვლავ დაუშვა შეცდომა. მან სწორად ვერ შეაფასა ლონდონის პირველი კონვენციისა და განსაკუთრებით კი ინგლის-ავსტრიის სამხედრო ექსპედიციის უარყოფითი შედეგები.** ნიკოლოზ I თვლიდა, რომ მან შეძლო საფრანგეთის იზოლირება.

1841 წელს, თურქეთ-ეგვიპტის კრიზისის მოგვარებისა და მუჰამედ ალის საბოლოოდ დამორჩილების შემდეგ, უკვე საფრანგეთის მონაწილეობით, ხელი მოაწერეს **ლონდონის მეორე კონვენციას.** კონვენციის ძალით, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე მყარდებოდა საერთაშორისო კონტროლი. მშვიდობიანობის პერიოდში სრუტეები დახურული უნდა ყოფილიყო ევროპის ყველა სახელმწიფოს სამხედრო გემებისათვის.

ლონდონის მეორე კონვენციამ ფაქტობრივად გაუქმა უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულება. რუსეთს უკვე აღარ შეეძლო თურქეთთან მოლაპარაკების გზით თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების საკითხი. **რუსეთის სამხედრო ფლოტი შავ ზღვაში ჩაკეტილი აღმოჩნდა.** დაუცველი რჩებოდა რუსეთის სამხრეთის საზღვრები, რადგან ომის შემთხვევაში, თურქეთს უფლება ჰქონდა უცხო ქვეყნების სამხედრო გემები გაეტარებინა სრუტეებში. ლონდონის მეორე კონვენციამ დიდი ხნით მოუსპო რუსეთს შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში სამხედრო ფლოტის გაყვანის შესაძლებლობა. ასეთ მძიმე მდგომარეობაში იყო რუსეთი **ყირიმის ომისა** (1853-1856 წწ.) და **პირველი მსოფლიო ომის** (1914-1918 წწ.) პერიოდში.

მახლობელ აღმოსავლეთში რუსეთის პოზიციების აღდგენა, ნიკოლოზ I-ის აზრით, მხოლოდ თურქეთის იმპერიის დაშლის შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი. რუსეთის იმპერატორის ჩანაფიქრით, თურქეთის დაშლის შემთხვევაში, ინგლისის დესანტს უნდა დაეკავებინა დარდანელის სრუტე, ხოლო რუსეთის დესანტს — ბოსფორის სრუტე. 1844 წელს ლონდონში ნიკოლოზ I-ის ვიზიტის დროს ცხადი გახდა, რომ ინგლისი ამ გეგმას არ იზიარებდა. 1846 წლიდან დაიწყო რუსეთ-ინგლისის ურთიერთობის დაძაბვა. ამავე დროს მახლობელი აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიებისას ერთმანეთს დაუახლოვდა ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციები. პირველად ისტორიაში ინგლის-საფრანგეთის კავშირს **„გულითადი კავშირი“** ეწოდა. ცხადი იყო, რომ ინგლის-საფრანგეთის კავშირი რუსეთისათვის დამღუპველი აღმოჩნდებოდა.

XIX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებიდან, განსაკუთრებით კი 40-იანი წლების დამდეგიდან, შესუსტდა რუსეთის გავლენა ბალკანეთზე. ბერძნებმა, სერბებმა, მოლდოველებმა და ვალახებმა მიუღებლად მიიჩნიეს **რუსეთის უხეში ჩარევა მათ შინაურ საქმეებში, ასევე რუსეთის მხრიდან ამ ხალხების მიმართ ყველა სფეროში დაწესებული ტოტალური კონტროლი.** ბალკანეთის ხალხების ტრადიციულმა პრორუსულმა ორიენტაციამ ცვლილება განიცადა. **გამწვავდა რუსეთ-სერბიის, რუსეთ-საბერძნეთის, რუსეთ-მოლდოვას, რუსეთ-ვალახეთის** ურთიერთობები. ბულგარეთი რუსეთისათვის დახურულ ზონად იქცა, იქ თურქეთის სრული ბატონობა დამყარდა. მხოლოდ **ჩერნოგორია** ინარჩუნებდა რუსეთთან ტრადიციულ დამოკიდებულებას, რაც, ცხადია, არ ეშალა ბალკანეთზე გავლენის შესანარჩუნებლად.

ამრიგად, XIX საუკუნის 20-30-იან წლებში რუსეთის მიერ მახლობელ აღმოსავლეთში მოპოვებული წარმატებები მომდევნო ხანებში დაიკარგა. რუსეთის გავლენა მახლობელ აღმოსავლეთში მნიშვნელოვნად შესუსტდა.

5. რუსეთი და ევროპა XIX საუკუნის 30-40-იან წლებში. XIX საუკუნის 30-იანი წლების დამდეგიდან რუსეთის იმპერიის ევროპულ პოლიტიკაში უმნიშვნელოვანესი ცვლილებები მოხდა. 1830-1831 წლებში ევროპას რევოლუციის ტალღამ გადაუარა. ამ მოვლენებიდან განზე ვერც რუსეთი დარჩა. 1830-1831 წლებში პოლონეთში რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ დიდი აჯანყება მიმდინარეობდა. მართალია, პოლონეთის აჯანყებას ნიკოლოზ I რუსეთის შინაურ საქმედ თვლიდა, მაგრამ ამ აჯანყებამ სერიოზული გავლენა იქონია რუსეთის ევროპულ პოლიტიკაზე.

1830 წლის პარიზის აჯანყების შემდეგ, ხელისუფლების სათავეში მოვიდა საფრანგეთის ბურჟუაზიისათვის სასურველი ლუი ფილიპე ორლეანელი. ნიკოლოზ I ლუი ფილიპე ორლეანელს უზურპატორად და „ცრუ მონარქად" თვლიდა და საფრანგეთში ინტერვენციაზეც კი ფიქრობდა. მაგრამ ლუი ფილიპეს ტახტზე ასვლასთან ერთად, საფრანგეთის რევოლუციაც დამთავრდა. ნიკოლოზ I-მა, ისევე როგორც ევროპის სხვა მონარქებმაც, საფრანგეთში შეჭრის აუცილებლობა ვეღარ დაინახეს. რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა ნელ-ნელა მოწესრიგდა. მიუხედავად ამისა, ევროპაში ვითარება უკიდურესად დაძაბული რჩებოდა. 1830 წელს დაიწყო რევოლუცია **ბელგიაში**, რასაც ბელგიის ნიდერლანდების (ჰოლანდიის) სამეფოდან გამოყოფა მოჰყვა. ბელგიის რევოლუციამ ნიკოლოზ I-ის მკვეთრი რეაქცია გამოიწვია, რადგან შეიქმნა იმის წინაპირობა, რომ საფრანგეთი ბელგიის შინაურ საქმეებში ჩაერეოდა. ლეგიტიმიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ნიკოლოზ I ევროპის მონარქებს ბელგიის წინააღმდეგ ინტერვენციისაკენ მოუწოდებდა (ნიკოლოზ I-ის და ანა ნიდერლანდების ტახტის მემკვიდრის მეუღლე იყო). ნიკოლოზ I ფიქრობდა, რომ ბელგიის რევოლუციას ინგლისი და პრუსია ჩაახშობდა, რუსეთის მხრიდან კი მხოლოდ მორალური მხარდაჭერის აღმოჩენა იქნებოდა საკმარისი. ნიკოლოზ I შეცდა. ინგლისმა და საფრანგეთმა ბელგიის დამოუკიდებლობა ცნეს. 1830 წელს **პოლონეთში** დაწყებულმა აჯანყებამ ნიკოლოზ I-ს საბოლოოდ გადააფიქრებინა ბელგიის წინააღმდეგ ინტერვენცია. პოლონეთის აჯანყებამ რუსეთს საშუალება არ მისცა აქტიურად ჩარეულიყო არა მარტო ბელგიის საკითხის გადაწყვეტაში, არამედ 1831 წელს **იტალიაში** დაწყებულ რევოლუციურ გამოსვლებში, რომელიც ავსტრიის წინააღმდეგ იყო მიმართული. ევროპაში ინტერვენციისათვის განკუთვნილი არმია პოლონეთში გაიგზავნა.

ევროპის რევოლუციების დასრულებისა და პოლონეთის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ნიკოლოზ I-მა კურსი აიღო **ავსტრიასა** და **პრუსიასთან** დაახლოებაზე. 1831 წელს რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის მიერ ხელმოწერილ იქნა **ბერლინის კონვენცია**. სამი ქვეყნის მონარქები შეთანხმდნენ ბელგია-ნიდერლანდების საკითხში. მიიღეს გადაწყვეტილება ნიდერლანდების მონარქისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. 1833 წელს ხელმოწერილი **მიუნჰენგრეცის კონვენციით**, რუსეთი და ავსტრია შეთანხმდნენ ადრე დადგენილი პოლონეთის საზღვრების ხელშეუხებლობის საკითხში, ხოლო პოლონეთის აჯანყების შემთხვევაში, მათ ერთობლივად უნდა ემოქმედათ. 1833 წელს **ბერლინში** რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ ხელი მოაწერეს კონვენციას, რომლის ძალითაც, „შინაური არეულობის" შემთხვევაში, ეს ქვეყნები სამხედრო ძალით უნდა დახმარებოდნენ ერთმანეთს. **მიუნჰენგრეცისა** და **ბერლინის კონვენციები** (1833 წ.) აღრმავებდა რუსეთის დაპირისპირებას ინგლისთან და საფრანგეთთან, რაც თავისთავად იწვევდა ამ უკანასკნელთა ურთიერთდაახლოებას.

1848 წელს ევროპას კვლავ გადაუარა რევოლუციების ტალღამ. ამ წელს **საფრანგეთში** დაწყებულმა რევოლუციამ გამოძახილი ჰპოვა **გერმანულ სახელმწიფოებში**. რევოლუცია დაიწყო ავსტრიის შემადგენლობაში **მყოფ უნგრეთში**. თვით **ვენაში** ბურბონთა აბსოლუტური მონარქიის წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა. გამოსვლები დაიწყო ავსტრიის იმპერიის სხვა მხარეებშიც (გალიციაში, ხორვატიაში და ა.შ.). რევოლუციური გამოსვლები აღინიშნა **იტალიასა** და **დუნაის სამთავროებში** (ვალახეთი, მოლდოვა). 1848 წლის რევოლუციები ევროპაში ნიკოლოზ I-თვის მოულოდნელი არ ყოფილა. მოულოდნელი რუსეთის იმპერატორისათვის რევოლუციის მასშტაბები იყო. საფრანგეთში მონარქიის დამხობამ და რესპუბლიკის დამყარებამ ნიკოლოზ I-ის რისხვა გამოიწვია. ერთ-ერთ ბალზე იმპერატორს ოფიცრებისადმი ასე მიუმართავს: „ბატონებო! შეკაზმეთ ცხენე-

ბი, საფრანგეთში რესპუბლიკაა!" **ავსტრიაში დაწყებულმა რევოლუციამ და ინგლისის ტრადიციულმა ნეიტრალურმა პოლიტიკამ ნიკოლოზ I აიძულა ხელი აეღო საფრანგეთის მიმართ ინტერვენციაზე.** საფრანგეთში ხელისუფლების სათავეში გენერალ ე. კავენიაკის მოსვლამ რუსეთის პოზიცია შეცვალა, ხოლო 1849 წელს რუსეთმა ოფიციალურად ცნო საფრანგეთის მეორე რესპუბლიკა. სამაგიეროდ, რუსეთმა არმიის გამოყენებით ჩაახშო 1848 წლის რევოლუცია მოლდოვასა და ვალახეთში.

ნიკოლოზ I, ცხადია, გულგრილად ვერ შეხვდებოდა **უნგრეთში** დაწყებულ რევოლუციას და აჯანყებას ვენაში. ავსტრიის იმპერატორი **ფრანც იოსები** დაჟინებით სთხოვდა დახმარებას რუსეთის იმპერატორს. ნიკოლოზ I-ს აღიზიანებდა ის, რომ ავსტრიის იმპერიის ტერიტორიაზე ყალიბდებოდა პოლონელ რევოლუციონერთა რაზმები. 1849 წლის მაისის დამლეგს რუსეთის 140-ათასიანი არმია გენერალ **ივანე პასკევიჩის** სარდლობით უნგრეთში შეეჭრა. რუსეთის არმიას შეუერთდა ავსტრიის ჯარები. ორთვიანი ბრძოლების შემდეგ, უნგრეთის აჯანყება სისხლში ჩაახშვეს.

უნგრეთში ინტერვენციამ, ცხადია, გააძლიერა რუსეთის პოზიციები ევროპაში. ამავე დროს, ევროპის საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში იზრდებოდა ნეგატიური დამოკიდებულება ევროპის საქმეებში რუსეთის ჩარევის მიმართ. მზადდებოდა რუსეთის საერთაშორისო იზოლაცია, რომელსაც ნიკოლოზ I-მა და რუსეთის დიპლომატიამ დროულად ვერ აუღო ალღო.

6. ყირიმის ომი (1853-1856 წწ.). ყირიმის ომი განსაკუთრებული მოვლენა იყო რუსეთისა და ევროპის ისტორიაში. ომმა მნიშვნელოვანი გაელენა მოახდინა საერთაშორისო ურთიერთობებზე და განსაზღვრა ახალი პოლიტიკური სისტემა ევროპაში.

ყირიმის ომში მონაწილეობდნენ: **რუსეთი, თურქეთი, ინგლისი, საფრანგეთი** და **სარდინიის სამეფო.** ომის მონაწილე ყველა ქვეყანას თავისი გეგმები ჰქონდა.

ახალი კონფლიქტი მახლობელ აღმოსავლეთში ჩამოყალიბებას იწყებს XIX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოდან და 50-იანი წლების დამდეგიდან. **კონფლიქტი მწიფდებოდა, ერთი მხრივ, რუსეთსა და თურქეთს შორის და, მეორე მხრივ, რუსეთსა და ინგლის-საფრანგეთს შორის.** რუსეთის წინააღმდეგ ინგლის-საფრანგეთის ბლოკი ფაქტობრივად 1849-1850 წლებში ჩამოყალიბდა, თუმცა ფორმალურად იგი 1854 წლის მარტში გაფორმდა.

ყირიმის ომს წინ უსწრებდა **ლოკალური კონფლიქტები** მახლობელ აღმოსავლეთში. პირველად კონფლიქტური ვითარება შექმნა 1849 წელს თურქეთის მიერ რუსეთისათვის პოლონელ რევოლუციონერთა გადაცემის საკითხმა. თურქეთის მთავრობამ არათუ გადასცა პოლონელი რევოლუციონერები რუსეთს, არამედ დემონსტრაციულად ჩარიცხა ისინი თურქეთის არმიაში. ინგლისი და საფრანგეთი ამ კონფლიქტში თურქეთის მხარეზე დადგნენ. ინგლის-საფრანგეთის გაერთიანებული სამხედრო ესკადრა **სირიისა** და **ლიბანის** სანაპიროებისაკენ გაემართა, ხოლო ინგლისის სამხედრო ხომალდები **დარდანელის** სრუტეში შეეიდნენ. ამით უხეშად დაირღვა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე საერთაშორისო **კონტროლი,** რაც **ლონდონის კონვენციით** (1841 წ.) იყო გათვალისწინებული. ინგლისი და საფრანგეთი ჩაერივნენ რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებაში დუნაის სამთავროების შესახებ. 1850 წელს რუსეთს მონაწილეობა არ მიაღებინეს ინგლის-საბერძნეთის მოლაპარაკებაში, რომელიც **იონიის კუნძულებს** ეხებოდა. შუამავლის როლი ამ მოლაპარაკებების დროს საფრანგეთმა იკისრა. რუსეთი, როშლის სამხედრო ფლოტი ჩაკეტილი იყო შავ ზღვაში, ქმედით დახმარებას ვერ აღმოუჩენდა საბერძნეთს. **ხმელთაშუა ზღვის აუზში ინგლისმა და საფრანგეთმა მოქმედების სრული თავისუფლება მიიღეს.** რუსეთის პოზიციები მახლობელ აღმოსაელეთში და ბალკანეთზე უკიდურესად შესუსტდა.

ყირიმის ომის წინ კონფლიქტური ვითარება შექმნა საფრანგეთისა და რუსეთის დავამ თურქეთის შემადგენლობაში მყოფ **პალესტინაში** კათოლიკე და მართლმადიდებელი სამღვდელოების უფლებების შესახებ. საქმე ეხებოდა **ქრისტეს საფლავისა და სხვა წმინდა ადგილების** ფლობის უფლებას. 1850-1852 წლებში ეს დაპირისპირება გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. **დავა წმინდა ადგილებზე უფლების შესახებ სულაც არ იყო პოლიტიკოსთა გამოგონილი, მას საფრანგეთისა და რუსეთის მორწმუნე მოსახლეობაში დიდი გამოძახილი ჰქონდა.** ბოლო მომენტში თურქეთის მთავრობა აშკარად საფრანგეთის მხარეზე გადაიხარა. ნიკოლოზ I, რუსეთის მართლმადიდებელი მოსახლეობა მწვავედ განიცდიდნენ მართლმადიდებელთა უფლებების შელახვას წმინდა ადგილებზე. პალესტინის წმინდა ადგილების დაც-

ვას რუსეთის იმპერატორი თურქეთში მცხოვრები ქრისტიანი მოსახლეობის დაცვას უკავშირებდა.

ომის მონაწილე ყველა ქვეყანა სავსებით გარკვეულ მიზნებს ისახავდა. რუსეთი ესწრაფოდა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების რეჟიმის გადასინჯვას, რადგან ლონდონის კონვენცია (1841 წ.) რუსეთის ინტერესების დაცვისათვის ველარ გამოდგებოდა. რუსეთს ხელს აძლევდა ისეთი რეჟიმი, რომელიც მას საშუალებას მისცემდა სამხედრო ფლოტი შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში გაეყვანა და თავისი ინტერესები დაეცვა მახლობელ აღმოსავლეთსა და ბალკანეთზე.

თურქეთი მიზნად ისახავდა ბალკანეთის ნაწილკუნძულზე თავისი გავლენის აღდგენას, ყირიმის ნახევარკუნძულზე გაბატონებას, ასევე კავკასიაში შავი ზღვის სანაპიროსა და ამიერკავკასიაში ზოგიერთი ტერიტორიის ხელში ჩაგდებას.

ინგლისი და საფრანგეთი, პირველ რიგში, მიზნად ისახავდნენ რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტის შელახვასა და სამხედრო ძლიერების დასუსტებას, მის გადაქცევას მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ. განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდა ინგლისი. **ინგლისს სურდა შვეიცარიათვის ფინეთის დაბრუნება, პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენა, ყირიმისა და ამერკავკასიის თურქეთისათვის გადაცემა.** ყოველივე ეს უკიდურესად დაასუსტებდა რუსეთს.

საფრანგეთის ახალ იმპერატორს ლუი ბონაპარტს (ნაპოლეონ III-ს), რომელმაც 1852 წელს სახელმწიფო გადატრიალება განახორციელა, შინაური ოპოზიციის დასათრგუნავად მომგებიანი ომი ესაჭიროებოდა. გარდა ამისა, ომში გამარჯვება საფრანგეთს გზას გაუხსნიდა ახალი დაპყრობებისაკენ.

ყველა ქვეყანა ცდილობდა წინასწარ ამოეცნო ძალთა თანაფარდობა მომავალ ომში. **ნიკოლოზ I ელოდა ავსტრიის სრულ მხარდაჭერას და ინგლისის ნეიტრალიტეტს. ეს მოლოდინი არ გამართლდა. ინგლისმა სრული მხარდაჭერა აღმოუჩინა საფრანგეთს, ხოლო ორივემ ერთად — თურქეთს. ავსტრიამ რუსეთის მიმართ არაკეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტის პოლიტიკა გაატარა. ამრიგად, რუსეთი იზოლაციაში აღმოჩნდა.**

ნიკოლოზ I-მა ობიექტურად ვერც რუსეთის არმიის შესაძლებლობანი შეაფასა და ვერც ის გათვალა, რომ ფართომასშტაბიან და ხანგრძლივ ომს რუსეთის ეკონომიკა ვერ გაუძლებდა. რუსეთის არმია 1853 წლისათვის 1.123.583 კაცს ითვლიდა, მაგრამ იგი გაფანტული იყო იმპერიის უზარმაზარ ტერიტორიაზე. ჯარების ერთი რეგიონიდან მეორეში გადასროლა რკინიგზის უქონლობისა და გზების უვარგისობის გამო დიდ დროს ითხოვდა. **რუსეთის არმიის ჯარისკაცებისა და ოფიცრების საბრძოლო შემართება მაღალი იყო. არმიის მთავარსარდლობაში ბევრი იყო ნიჭიერი, გამოცდილი და მამაცი გენერალი და ადმირალი, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც თავს ვერ ართმევდნენ დაკისრებულ მოვალეობას.** სამხედრო მრეწველობა კარგად უზრუნველყოფდა არმიასა და ფლოტს შეიარაღებით, მაგრამ ომის პერიოდის გაზრდილ მოთხოვნებს ვერ უზრუნველყოფდა. რუსეთი ევროპის ქვეყნებს ჩამოუვარდებოდა ცეცხლსასროლი იარაღის (შაშხანების) საბრძოლო-ტექნიკური მონაცემებით, მოძველებული იყო რუსეთის არტილერიაც. ომის დასაწყისისათვის ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო ფლოტი ორთქლით წევაზე იყო გადასული. რუსეთის შავი ზღვის სამხედრო ფლოტის 21 ხომალდიდან კი მხოლოდ 7 მოძრაობდა ორთქლის ძრავით. რუსეთის ფლოტი რაოდენობრივი თვალსაზრისითაც ჩამოუვარდებოდა ინგლისისა და საფრანგეთის ფლოტს. ომის დაწყების წინ მარტო დარდანელის სრუტეში ინგლისის სამხედრო ესკადრა 31 გემს ითვლიდა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ **რუსეთის მდგომარეობას მარტო სამხედრო-ტექნიკური ჩამორჩენილობა და ეკონომიკის სისუსტე არ ამძიმებდა. უმთავრესი სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ მოკავშირის გარეშე დარჩენილ რუსეთს დაუპირისპირდა ძლიერი კოალიცია (თურქეთი, ინგლისი, საფრანგეთი).**

1853 წლისათვის მახლობელი აღმოსავლეთის კრიზისმა კულმინაციას მიაღწია. ჯერ კიდევ 1852 წელს, თურქეთზე ზეგავლენის გაძლიერების მიზნით, საფრანგეთმა ერთი სამხედრო ხომალდი ხმელთაშუა ზღვიდან სრუტეებში შეიყვანა. ხომალდმა ღუზა ბოსფორზე მდებარე თურქეთის სულთნის სასახლის პირდაპირ ჩაუშვა. ამის საპასუხოდ ნიკოლოზ I-მა ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა და სტამბოლში სასწრაფოდ გაგზავნა საგანგებო მისია გენერალ ალექსანდრე მენშიკოვის მეთაურობით. **ალექსანდრე მენშიკოვს კატეგორიული ფორმით უნდა მოეთხოვა სულთნისათვის თურქეთში მართლმადიდებლური ეკლესიის უფლებების ცნობა, მართლმადიდებელთა პრი-**

პავლე ნახიმოვი

ვილეგიების დადასტურება და მართლმადიდებელთა მფარველად **რუსეთის** აღიარება. აბასიან ერთად, ა. მენშიკოვს თურქეთის სულთნისათვის უნდა შეეთავაზებინა საფრანგეთის წინააღმდეგ თავდაცვითი კავშირის დადება. იმავროულად სტამბოლში იმყოფებოდნენ და სულთანზე ზეგავლენას ახდენდნენ ფრანგი და ინგლისელი დიპლომატები. ისინი თურქეთის სულთანს რუსეთის ულტიმატუმზე უარის თქმას ურჩევდნენ და დახმარებასაც აღუთქვამდნენ.

1853 წლის 17 მაისს ალექსანდრე მენშიკოვმა კიდევ უფრო დაამძიმა ულტიმატუმი — თურქეთის სულთანს საბერძნეთის ეკლესიის იმუნიტეტის გარანტია მოსთხოვა. საფრანგეთისა და ინგლისის დაპირებებით იმედმოცემულმა თურქეთის სულთანმა უარყო რუსეთის ულტიმატუმი. 1853 წლის 2 ივნისს ალექსანდრე მენშიკოვმა დემონსტრაციულად დატოვა სტამბოლი. 1853 წლის ივლისში ნიკოლოზ I-მა ჯარები დუნაის სამთავროებში (ვალახეთსა და მოლდოვაში) შეიყვანა და ბუქარესტი დაიკავა. მდინარე დუნაის მეორე ნაპირზე განლაგებული თურქეთის 130-ათასიანი არმია მზად იყო ომისათვის. დუნაის სამთავროებში რუსეთის ჯარის შესვლის საპასუხოდ 1853 წლის აგვისტოში **ინგლისმა, საფრანგეთმა, ავსტრიამ** და **პრუსიამ** რუსეთს ნოტა (ე.წ. ვენის ნოტა) გაუგზავნა. ნოტაში აღნიშნული იყო, რომ თურქეთს ევალებოდა დაეცვა რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების ის მუხლები, რომელიც თურქეთში მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებების და უპირატესობების დაცვას ეხებოდა. **ნოტის მიზანი იყო ნიკოლოზ I-ის ყურადღების მოდუნება.** იმავდროულად ინგლისის ელჩი სტამბოლში საიდუმლოდ ურჩევდა თურქეთის სულთანს რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყებას. საიდუმლო შეთანხმების შესაბამისად, თურქეთის სულთანმა **ვენის ნოტა** უარყო. 1853 წლის ოქტომბერში თურქეთმა რუსეთს დუნაის სამთავროებიდან ჯარების გაყვანა მოსთხოვა. 1853 წლის 4 ოქტომბერს თურქეთის სულთანმა **აბდულ-მეჯიდმა** საჯაროდ განაცხადა, რომ თურქეთი რუსეთთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა. 20 ოქტომბერს ნიკოლოზ I-მა ხელი მოაწერა მანიფესტს თურქეთთან ომის დაწყების შესახებ. ყირიმის ომი დაიწყო.

ყირიმის ომი (1853-1856 წწ.) ორ ეტაპად მიმდინარეობდა **პირველი ეტაპი** მოიცავს პერიოდს 1853 წლის ნოემბრიდან 1854 წლის აპრილამდე. ეს იყო საკუთრივ რუსეთის ომი თურქეთთან, რომელიც მიმდინარეობდა **დუნაის ფრონტზე, შავ ზღვასა** და **კავკასიის ფრონტზე. მეორე ეტაპი** მიმდინარეობდა 1854 წლის აპრილიდან 1855 წლის თებერვლამდე. ეს იყო რუსეთის ომი თურქეთთან, ინგლისსა და საფრანგეთთან. ამ ეტაპზე ძირითადი საომარი ოპერაციები მიმდინარეობდა **ყირიმის ნახევარკუნძულზე, დუნაის ფრონტზე** აღინიშნებოდა უმნიშვნელო სამხედრო მოქმედებები, გაცილებით ფართომასშტაბიანი ბრძოლები მიმდინარეობდა **კავკასიის ფრონტზე.** ინგლისმა და საფრანგეთმა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებები გააჩაღეს **ბალტიის ზღვაზე, თეთრ ზღვასა** და **კამჩატკაზე.**

ომის პირველ ეტაპზე, 1853 წელს, დუნაის ფრონტზე საომარი მოქმედებები არ ყოფილა ხანგრძლივი და ძირითადად **პოზიციურ** ხასიათს ატარებდა. მნიშვნელოვანი წარმატება ვერცერთმა მხარემ ვერ მოიპოვა.

ომის პირველ თვეებში მთავარი ბრძოლები ზღვაზე გაიმართა. რუსეთის ფლოტმა ვიცეადმირალ **ვლადიმირ კორნილოვისა** და **ადმირალ პავლე ნახიმოვის** სარდლობით აქტიური საბრძოლო მოქმედებები დაიწყო შავ ზღვაზე. რუსეთის ესკადრა პავლე ნახიმოვის სარდლობით შეუმჩნევლად მიუახლოვდა **სინოპის ყურე-**

ში მდგარ თურქეთის სამხედრო ფლოტს და 1853 წლის 18 ნოემბერს რამდენიმე საათში მთლიანად გაანადგურა იგი. თურქეთი დიდი საფრთხის წინაშე დადგა — საზღვაო საზღვარი მას მთლიანად დაუცველი დაურჩა. 1854 წლის იანვარში ინგლის-საფრანგეთის ესკადრა შავ ზღვაში შეიდა. **ეს ფაქტობრივად ომის გამოცხადებას ნიშნავდა.** რუსეთის ელჩებმა პარიზი და ლონდონი დატოვეს, საფრანგეთისა და ინგლისის ელჩებმა — პეტერბურგი.

1854 წლის 9 თებერვალს ნიკოლოზ I-მა ხელი მოაწერა მანიფესტს ინგლისთან და საფრანგეთთან პოლიტიკური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ. იმავდროულად ნიკოლოზ I ცდილობდა ავსტრიისა და პრუსიის მხარდაჭერას. ავსტრიას თავისი ინტერესები ჰქონდა ბალკანეთში. გარდა ამისა, ავსტრიის სამეფო კარზე ზეგავლენას ახდენდა საფრანგეთი. ყოველივე ამის გამო, ავსტრია ომში ნეიტრალური არ დარჩენილა. ნეიტრალიტეტის გამოცხადებას არ ჩქარობდა პრუსიაც.

შექმნილ ვითარებაში ნიკოლოზ I-მა თურქეთის სწრაფი განადგურება დაისახა მიზნად. 1854 წელს რუსეთის არმიამ მდინარე **დუნაი** გადალახა და ალყა შემოარტყა **სილისტრიის** ციხესიმაგრეს, რომელიც დუნაის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა. ამის საპასუხოდ 1854 წლის 15 მარტს ინგლისმა ომი გამოუცხადა რუსეთს. 16 მარტს რუსეთს ომი გამოუცხადა საფრანგეთმაც. 1854 წლის აპრილში ინგლისმა და საფრანგეთმა რუსეთის წინააღმდეგ კონვენციას მოაწერეს ხელი. დაიწყო ყირიმის ომის მეორე ეტაპი.

ინგლის-საფრანგეთის ესკადრა **პეტერბურგს** მიუახლოვდა და ბალტიის ზღვის სანაპიროს ბლოკირებას შეუდგა. ამ სამხედრო ოპერაციას უფრო სამხედრო ძალის დემონსტრაცია ჰქონდა მიზნად, ვიდრე რაიმე კონკრეტული შედეგების მიღწევა.

1854 წლის ზაფხულში რუსეთს მძიმე მდგომარეობა შეექმნა ბალკანეთზე. ინგლის-საფრანგეთის საზღვაო დესანტის მიერ ბულგარეთის ქალაქ **ვარნას** დაკავებამ და ავსტრიის ფაქტობრივად მტრულმა მოქმედებამ ნიკოლოზ I აიძულა, ჯარები გამოეყვანა დუნაის სამთავროებიდან. თურქეთის თანხმობით, დუნაის სამთავროები ავსტრიის ჯარებმა დაიკავეს. **დუნაის სამთავროებიდან ჯარების გამოყვანა იმას ნიშნავდა, რომ რუსეთმა დაკარგა ხელსაყრელი პლაცდარმი თურქეთის წინააღმდეგ შეტევის განხორციელებისათვის.**

1854 წლის აგვისტოში იყო ცდა ომის დიპლომატიური გზებით დამთავრებისა. ავსტრიამ დიდი სახელმწიფოების სახელით რუსეთს საზავო მოლაპარაკების დაწყებისათვის წინასწარი პირობები შესთავაზა, ე.წ. **„ოთხი პუნქტი“**. პირობები ასეთი იყო:

1) დუნაის სამთავროებში (ვალახეთში, მოლდოვაში) რუსეთის პროტექტორატის შეცვლა ხუთი დიდი სახელმწიფოს (რუსეთის, ავსტრიის, თურქეთის, ინგლისის, საფრანგეთის) პროტექტორატით;

2) მდინარე დუნაიზე თავისუფალი ნაოსნობის დაწესება, დუნაის შესართავზე ხუთი სახელმწიფოს კონტროლით;

3) შავი ზღვის სრუტეების შესახებ ლონდონის 1841 წლის კონვენციის გადასინჯვა „ევროპაში წონასწორობის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე“ (ეს იმას ნიშნავდა, რომ ახალი კონვენცია, პირველ რიგში, ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესებს გაითვალისწინებდა);

4) თურქეთის ქრისტიან მოსახლეობაზე რუსეთის მფარველობის შეცვლა დიდი სახელმწიფოების კოლექტიური მფარველობით.

ევროპის დიდი ქვეყნები დარწმუნებულები იყვნენ, რომ რუსეთი ამ პირობებს არ მიიღებდა. **„ოთხი პუნქტის“ მიღება იმას ნიშნავდა, რომ რუსეთი ყოველგვარ პოზიციას კარგავდა მახლობელ აღმოსავლეთში და ბალკანეთზე.** ნიკოლოზ I-მა ავსტრიის შუამავლობა არ მიიღო — „ოთხი პუნქტი“ უარყო.

ვლადიმირ კორნილოვი

„ოთხი პუნქტის“ პარალელურად ინგლისა-საფრანგეთმა საბრძოლო მოქმედებები დაიწყეს **არხანგელსკის, კამჩატკის, პეტროპავლოვსკისა** და **სოლოვეცკის** მონასტრის რაიონებში. 1854 წლის აგვისტოში პეტროპავლოვსკის მცირერიცხოვანმა გარნიზონმა წარმატებით მოიგერია ინგლის-საფრანგეთის ესკადრის იერიში.

1854 წლის ზაფხულში მოკავშირეები (თურქეთი, ინგლისი, საფრანგეთი) სამხედრო-სტრატეგიული გეგმის შეთანხმებას ცდილობდნენ. ინგლისს სურდა შავი ზღვიდან დიდი დესანტი გადაესხა **ამიერკავკასიაში** და, **თურქეთისა** და **შამილის** ჯარებთან ერთად, რუსეთი განედევნა კავკასიიდან. ინგლისის გეგმა მიუღებლად მიაჩნდა საფრანგეთს.

1854 წლის აგვისტოში მოკავშირეებმა მიიღეს გადაწყვეტილება ჯარების **ყირიმის ნახევარკუნძულზე** გადასხმისა და შავ ზღვაზე რუსეთის მთავარი სიმაგრის — **სევასტოპოლის** დაკავების შესახებ. 1854 წლის სექტემბრის დამდეგს მოკავშირეთა 70-ათასიანმა არმიამ **ევპატორიის** რაიონში ყირიმის ნახევარკუნძულზე გადასხდომა დაიწყო. ყირიმში რუსეთის ჯარების მთავარსარდალმა გენერალმა **ალექსანდრე მენშიკოვმა** სევასტოპოლისაკენ დაძრულ მოკავშირეებს პირველი ბრძოლა მდინარე **ალმაზე** გაუმართა. რუსებმა მარცხი განიცადეს. ალექსანდრე მენშიკოვმა უხეში სტრატეგიული შეცდომა დაუშვა. მდინარე ალმაზე ბრძოლის შემდეგ, მან **სევასტოპოლისაკენ** კი არ დაიხია, არამედ ყირიმის ნახევარკუნძულის სიღრმეში — **ბახჩისარაისაკენ**. ამ შეცდომის წყალობით, სევასტოპოლი ბედის ანაბარად დარჩა. მხოლოდ **ვლადიმირ კორნილოვისა** და **პაელე ნახიმოვის** მიერ გატარებული სასწრაფო ღონისძიებების შედეგად გახდა შესაძლებელი სევასტოპოლის მომზადება თავდაცვისათვის.

სევასტოპოლს საკმაოდ ძლიერი თავდაცვითი ნაგებობანი იფარავდა ზღვის მხრიდან. სამაგიეროდ, ქალაქი სუსტად იყო გამაგრებული ხმელეთიდან. სულ მოკლე დროში სევასტოპოლის გარშემო შეიქმნა ძლიერი საინჟინრო ნაგებობანი. ქალაქი მძიმე თავდაცვითი ბრძოლებისათვის მოემზადა. სევასტოპოლის თავდაცვითი სისტემის შექმნაში დიდი წვლილი შეიტანეს ადმირალებმა **ვლადიმირ კორნილოვმა, პაელე ნახიმოვმა** და **ვლადიმირ ისტომინმა**, ასევე სამხედრო ინჟინერმა **ედუარდ ტოტლებენმა**.

სევასტოპოლის უბეში იმხანად წყლის დონე დაბალი იყო, რაც შეუძლებელს ხდიდა ინგლისისა და საფრანგეთის ორთქლის ძრავით მოძუშავე გემების უბეში შესვლას და ქალაქის ახლოდან დაბომბვას. პაელე ნახიმოვმა უსაფრთხოების დამატებითი ზომები მიიღო. რამდენიმე მოძველებული სამხედრო გემი სევასტოპოლის უბეში ყველაზე ღრმა ადგილებში ჩაძირა, რათა თავიდან აეცილებინა მოწინააღმდეგის სამხედრო ფლოტის ქალაქთან მიახლოება. ჩაძირული გემების არტილერია სევასტოპოლის თავდაცვით ნაგებობებზე გადაიტანეს.

სევასტოპოლის სასწრაფოდ მომზადებამ თავდაცვისათვის მოკავშირეები აიძულა გადაედოთ ქალაქზე დაუყოვნებლივი შეტევა. ყირიმის ნახევარკუნძულზე დამატებით გადაისროლეს ინგლისის, საფრანგეთისა და სარდინიის სამეფოს ჯარები. მოკავშირეებმა სევასტოპოლზე შეტევისათვის თავი მოუყარეს 170 ათასზე მეტ კაცს. 1854 წლის 5 ოქტომბერს განხორციელდა პირველი შტურმი ქალაქზე. 1854 წლის 5 ნოემბერს ქალაქის დაბომბვისას დაიღუპა ადმირალი **ვლადიმირ კორნილოვი**. მისი დაღუპვის შემდეგ სევასტოპოლის დაცვას ადმირალი **პაელე ნახიმოვი** ხელმძღვანელობდა. სევასტოპოლის დაცვა თერთმეტი თვის განმავლობაში გრძელდებოდა. მოკავშირეებმა ვერ შეძლეს **მალახოვის ყორღანის** დაკავება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქის დაცვისათვის. მალახოვის ყორღანი ქალაქს ზემოდან დაჰყურებდა და იქ განლაგებული არტილერია დიდ ზიანს აყენებდა შეტევაზე გადმოსულ მოწინააღმდეგეს. სევასტოპოლის დაცვაში აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის მოსახლეობა. **ლევ ტოლსტოი** საგანგებოდ ჩავიდა სევასტოპოლში და საკუთარი თვალით ნახა ქალაქის დამცველთა გმირობა.

სევასტოპოლთან დაჯგუფებული მოკავშირეების ძალების მიზიდვის მიზნით, ყირიმში მყოფმა რუსეთის ჯარების მთავარსარდალმა გენერალმა **ალექსანდრე მენშიკოვმა** 1854 წლის ოქტომბერში **ბალაკლავასთან** და **ინკერმანთან**, ხოლო 1855 წლის თებერვალში **ევპატორიასთან** სცადა შეტევის განხორციელება, მაგრამ უშედეგოდ. 1855 წლის აგვისტოში ახალმა მთავარსარდალმა გენერალმა **მიხეილ გორჩაკოვმა** **შავ მდინარესთან** შეუტია მოწინააღმდეგეს. რუსები ამჯერადაც დამარცხდნენ. ბალაკლავასთან, ინკერმანთან, ევპატორიასა და შავ მდინარესთან გამართული ბრძოლების წარუმატებლობა მნიშვნელოვანწილად მთავარსარდლების — ალექსანდრე მენშიკოვისა და მიხეილ გორჩაკოვის უუნარობამ განაპირობა.

ყირიმში ბრძოლების პარალელურად, **ევნაში** მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, რომლის მი-

ზანი ომის დიპლომატიური გზით დასრულება იყო. მოკავშირეთა პირობები რუსეთისათვის ამჯერადაც მიუღებელი აღმოჩნდა.

1855 წლის აგვისტოს ბოლოს მოკავშირეებმა ძლიერი შეტევა წამოიწყეს სევასტოპოლის დაკავების მიზნით. ქალაქს განუწყვეტლივ ბომბავდა 807 ქვემეხი. 27 აგვისტოს მოწინააღმდეგემ **მალახოვის ყორღანი** დაიკავა, რის გამოც ქალაქის დაცვა შეუძლებელი გახდა. თერთმეტთვიანი თავდაცვითი ბრძოლების შემდეგ, სევასტოპოლი მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს. მოწინააღმდეგემ სევასტოპოლის ბოლო შტურმის დროს (27 აგვისტოს) დაახლოებით 20 ათასი კაცი დაკარგა.

სევასტოპოლის დაცემა იყო რუსეთის დიდი მარცხის მომასწავებელი. ომის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, თუმცა საბრძოლო მოქმედებები ჯერ კიდევ გრძელდებოდა.

ყირიმისაგან განსხვავებით, რუსეთის არმიამ მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვა **კავკასიის ფრონტზე**. 1853 წლის ნოემბერში რუსეთის ჯარებმა და ქართველთა სახალხო ლაშქარმა გენერალ **ივანე ანდრონიკაშვილის** სარდლობით, თურქები სასტიკად დაამარცხეს **ბაშკადიკლართან**. ამის მიუხედავად, 1854 წლის ზაფხულში, თურქები **აჭარის** მხრიდან **გურიაში** შეიჭრნენ და აპირებდნენ ქვეყნის სიღრმეში წინსვლას. 1854 წლის ივნისში რუსეთის ჯარებმა და ქართველთა სახალხო ლაშქარმა გენერალ **ივანე ანდრონიკაშვილის** სარდლობით, მდინარე **ჩოლოქზე** თურქები კვლავ სასტიკად დაამარცხეს. 1854 წელს ქართულმა სახალხო ლაშქარმა და რუსთა რაზმებმა უკუაქციეს კახეთში შემოჭრილი **შამილის** ჯარები. 1855 წელს თურქებმა კარგად გაამაგრეს **ყარსის** ციხე-სიმაგრე, ხოლო იმავე წლის შემოდგომაზე **ომერ-ფაშას** საერთო სარდლობით ჯარები გადმოსხეს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე. ომერ-ფაშამ დაამარცხა **აფხაზეთში** მყოფი რუსთა ჯარები, **ენგური** გადალახა და **სამეგრელო** დაიკავა. თურქების შეჩერება მხოლოდ მდინარე **ცხენისწყალზე** გახდა შესაძლებელი. კავკასიის ჯარების მთავარსარდალმა — გენერალმა **ნიკოლოზ მურავიოვმა** თბილისიდან მდინარე **მტკვრის** ხეობით **ყარსს** შეუტია და 1855 წლის ნოემბერში ძლიერი ციხე-სიმაგრე აიღო კიდეც. ყარსის დაკარგვით შეშფოთებულმა **ომერ-ფაშამ** ზღვის სანაპიროსაკენ დაიხია. ყარსის აღებამ მნიშვნელოვნად შეამსუბუქა რუსეთის მძიმე მდგომარეობა.

ინგლისი 1856 წელს ამერკავკასიაში ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების დაწყებას აპირებდა, რათა რუსეთი გაეძევებინა **კავკასიიდან** და ხელთ ეგდო **კასპიის ზღვის** სანაპიროები. ამ გეგმის წინააღმდეგ გამოვიდა საფრანგეთი, რომელიც ომს დამთავრებულად თვლიდა. ომის დასასრულს მიელტვოდა თურქეთიც, რომლის არმია სერიოზულად დაზარალდა და ქვეყნის ეკონომიკამაც მძიმე დარტყმა განიცადა.

ომის დამთავრება გარკვეულწილად დააჩქარა 1855 წლის 18 თებერვალს ნიკოლოზ I-ის გარდაცვალებამ. ახალმა იმპერატორმა **ალექსანდრე II-მ** განაახლა ვენაში ადრე დაწყებული მოლაპარაკებები. **ვენის** მოლაპარაკებებზე რუსეთი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ავსტრიის მიერ ადრე წამოყენებულ **„ოთხ პუნქტს“** კიდევ დაემატა ახალი მოთხოვნები. ამ მოთხოვნების მიუღებლობის შემთხვევაში, ავსტრია დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტით იმუქრებოდა. რუსეთს ომის გაგრძელება აღარ შეეძლო. ალექსანდრე II-მ ავსტრიის მოთხოვნები მიიღო და საზავო მოლაპარაკებას დათანხმდა.

საზავო მოლაპარაკება **პარიზში** მიმდინარეობდა 1856 წლის თებერვალ-მარტში. მასში მონაწილეობდნენ: **რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია, თურქეთი, სარდინია** და **პრუსია**. საზავო ხელშეკრულებას (ტრაქტატს) ხელი მოეწერა 1856 წლის 18 მარტს. **პარიზის საზავო ხელშეკრულება ძალზე მძიმე იყო რუსეთისათვის.** შავ ზღვაზე გასასვლელის მქონე ყველა ქვეყანას აეკრძალა ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლა, სანაპირო ზოლში სიმაგრეებისა და არსენალების მშენებლობა. არსებული ფლოტი უნდა განადგურებულიყო, სიმაგრეები და არსენალები უნდა დანგრეულიყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ **რუსეთს სამხრეთის საზღვრები დაუცველი რჩებოდა**. ამავე დროს, თურქეთს სამხედრო ფლოტი შეიძლებოდა ჰყოლოდა **მარმარილოს ზღვასა** და **ხმელთაშუა ზღვაში**, რაც, ახალი ომის შემთხვევაში, თურქეთს დიდ უპირატესობას აძლევდა. რუსეთმა დაკარგა **ბესარაბიის** ტერიტორია, რომელიც **მოლდოვას** სამთავროს შეუერთეს და ფაქტობრივად თურქეთის მფლობელობაში აღმოჩნდა. რუსეთს ჩამოერთვა **დუნაის სამთავროებისა** (ვალახეთისა და მოლდოვას) და სერბიის ერთპიროვნული მფარველობის უფლება. **რუსეთმა მიაღწია იმას, რომ ვალახეთი, მოლდოვა და სერბია ავსტრიას არ გადაეცა**. თურქეთის პრეტენზი-

ები რუსეთ-თურქეთის საზღვრის შეცვლისა და ამიერკავკასიის ზოგიერთ რაიონში მისი მფლობელობის აღდგენის შესახებ არ დააკმაყოფილეს. სევასტოპოლის სანაცვლოდ, რუსებს უნდა დაეტოვებინათ ყარსი.

პარიზის საზავო ხელშეკრულებას (ტრაქტატს) თან ერთვოდა **კონვენცია ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების** შესახებ. მშვიდობიანობის დროს სრუტეები უცხოეთის სამხედრო გემებისათვის დახურულად ცხადდებოდა. ამას რუსეთისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ყირიმის ომში დამარცხებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო რუსეთის იმპერია. ომის შედეგებმა გარდუვალად მოითხოვა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების მოდერნიზაცია.

თავი X. რუსეთი და კავკასია 1801-1864 წლებში

კავკასია, გეოგრაფიული თვალსაზრისით, მოიცავს ტერიტორიას შავი ზღვიდან და აზოვის ზღვიდან კასპიის ზღვამდე. იგი იყოფა **ამიერკავკასიად** (სამხრეთ კავკასიად) და **ჩრდილო კავკასიად**. საზღვარი მათ შორის გადის კავკასიონის მთავარ ქედზე. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ჩრდილო კავკასიას ესაზღვრებოდა **რუსეთის იმპერია**, ამიერკავკასიას (სამხრეთ კავკასიას) — **ირანი** და **თურქეთი**. ამ პერიოდისათვის კავკასიაში ცხოვრობდნენ როგორც აბორიგენი, ისე მოსული ხალხები. კავკასიის მოსახლეობა ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა ეთნიკური და რელიგიური ნიშნით, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების დონით, სახელმწიფოებრივი ცხოვრების ტრადიციით.

XV საუკუნის მეორე ნახევარში ერთიანი ქართული სახელმწიფო დაიშალა. XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა შემდეგი სამეფო-სამთავროები: **ქართლ-კახეთის სამეფო, იმერეთის სამეფო, სამეგრელოს სამთავრო, გურიის სამთავრო, აფხაზეთის სამთავრო, სვანეთის სამთავრო**. საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილი თურქესა და ირანს ჰქონდა მიტაცებული. კერძოდ, თურქეთის შემადგენლობაში იყო სამხრეთ საქართველო — **სამცხე-საათაბაგო** (ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, აწყური, ხერთვისი და სხვ.) და **სამხრეთ-დასავლეთ საქართველო — აჭარა** (ქობულეთი, ციხისძირი, ბათუმი, არტანუჯი, ართვინი, არტაანი და სხვ.). ირანის შემადგენლობაში იმყოფებოდა **სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველო — ჭარ-ბელაქანი** (**საინგილო**).

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ის ტერიტორია, რომელიც თანამედროვე აზერბაიჯანს უკავია, დაყოფილი იყო რვა **სახანოდ** (განჯის, ყარაბაღის, შაქის, შირვანის, ბაქოს, დერბენტის, თალიშის, ყუბის) და თერთმეტ კიდევ უფრო წვრილ ერთეულად. ეს სახანოები ირანის სამფლობელოს წარმოადგენდა და შაჰს ემორჩილებოდა.

დასავლეთ სომხეთი თურქეთში შედიოდა. **აღმოსავლეთ სომხეთი** ირანს ეკუთვნოდა და მის ტერიტორიაზე **ერევნისა** და **ნახიჩევანის** სახანოები არსებობდა. ჩრდილო კავკასიაში არსებული პოლიტიკური ერთეულები — **დაღესტანი, ყაბარდო, ჩეჩნეთი, ავარია** და სხვა — თავისთავად იყოფოდა მრავალ სახანოდ და თავისუფალ თემად, სადაც შემორჩენილი იყო გვარტომული ურთიერთობა და მმართველობა.

ირანისა და თურქეთის აგრესიის პირობებში კავკასიის ქრისტიანი ერები (ქართველები, სომხები) **პრორუსულ ორიენტაციას** ატარებდნენ, ჩრდილო კავკასიისა და ამიერკავკასიის (სამხრეთ კავკასიისა) მუსლიმი მოსახლეობის ნაწილი პროირანულ, ნაწილი **პროთურქულ** ორიენტაციაზე იდგა.

აღმოსავლეთში პოზიციების მოპოვების, ერთი მხრივ, **სირია-პალესტინა-ლიბანისა** და **ბოსფორ-დარდანელის** სრუტეებისაკენ და, მეორე მხრივ, **ავღანეთ-ინდოეთისაკენ** გაჭრის მისწრაფება აუცილებელს ხდიდა კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში რუსეთის გაბატონებას. **კავკასიის გეოპოლიტიკური რეგიონის დაპყრობას რუსეთს უადვილებდა ქართველი მეფე-მთავრების პრორუსული ორიენტაცია.**

რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობა სამ ეტაპად იყოფა. **პირველ ეტაპზე (1801-1813 წწ.)** დაპყრობილ იქნა საქართველო, აზერბაიჯანი და შავი ზღვის სანაპიროს ზოგიერთი ტერიტორია; **მეორე ეტაპზე (1813-1829 წწ.)** — სამხრეთ საქართველო, აღმოსავლეთ სომხეთი და შავი ზღვის სანაპიროს დიდი ნაწილი; **მესამე ეტაპზე (1830-1864)** დასრულდა კავკასიის დაპყრობა.

1. საქართველოს დაპყრობა რუსეთის მიერ. XVIII საუკუნის 80-იანი წლების დამდეგისათვის რუსეთმა ფაქტობრივად გადაწყვიტა ყირიმის სახანოს შეერთების საკითხი და მთელი ძალები მობილიზებულ იქნა შავი ზღვის აუზში გაბატონებისათვის. აშკარად გამოიკვეთა რუსეთის ინტერესები კავკასიაშიც. სამხრეთ კავკასიის დაუფლებისათვის მებრძოლ **თურქეთსა** და **ირანს** **რუსეთიც** შეემატა. ამ სამ სახელმწიფოს შორის რუსეთი აშკარად ყველაზე ძლიერი იყო. ცხადი ხდებოდა, რომ ვერც თურქეთი და ვერც ირანი მას წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ. **ერეკლე II** ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, ხედებოდა. იგი ცდილობდა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა რუსეთის სწრაფვა სამხრეთ კავკასიისაკენ. შექმნილ ვითარებაში აშკარა **პრორუსული საგარეო პოლიტიკის** გატარება გარკვეულ საშიშროებასთან იყო დაკავშირებული. მართალია, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში თურქეთიცა და ირანიც საგრძნობლად დასუსტებულები იყვნენ, მაგრამ ჯერ კიდევ შესწევდათ იმის ძალა,

რომ მძიმე და სერიოზული დარტყმა მიეყენებინათ საქართველოსათვის. მით უმეტეს, რომ თავად საქართველო უმძიმეს მდგომარეობაში იყო. მთელი საქართველოს მოსახლეობა 700-800 ათას კაცს არ აღემატებოდა. ერი ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე იდგა. ასეთ პირობებში ძლიერი მფარველის ძებნა სრულიად ბუნებრივი ჩანდა. ირანისა და თურქეთის მფარველობაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. ქართველებს ამ ქვეყნებთან ურთიერთობის მწარე და ხანგრძლივი გამოცდილება ჰქონდათ. შექმნილ ვითარებაში, როცა ევროპიდან დახმარების იმედი ამოიწურა, რჩებოდა მხოლოდ რუსეთი.

რუსეთი, თავის მხრივ, მოხარული იქნებოდა, თუ სამხრეთ კავკასიაში პლაცდარმს შეიქმნიდა და უბრძოლველად გადმოლახავდა კავკასიონის ქედს. ორმხრივი დაინტერესება აშკარა იყო, მაგრამ რუსეთს სურდა საქმე ისე წარმოეჩინა, რომ ხელშეკრულების დადების ინიციატორი ერეკლე II ყოფილიყო. ამიტომ 1782 წლის 21 დეკემბერს, რუსებისვე რჩევით, ერეკლემ ოფიციალური თხოვნით მიმართა **ეკატერინე II**-ს ქართლ-კახეთის სამეფოს **მფარველობაში** მიღების შესახებ. შემუშავდა ხელშეკრულების (ტრაქტატის) პროექტი, რომლის ტექსტი ეკატერინე II-მ და ერეკლე II-მ მოიწონეს. 1783 წლის 24 ივლისს ჩრდილოეთ კავკასიის ციხე-სიმაგრე **გეორგიევსკში** ტრაქტატს ხელი მოაწერეს: რუსეთის მხრიდან — **პავლე პოტიომკინმა**, ქართლ-კახეთის მხრიდან — **იოანე მუხრანბატონმა** და **გარსევან ჭავჭავაძემ**. ტრაქტატი შედგებოდა 13 მუხლისაგან:

1. ქართლ-კახეთის მეფე აცხადებდა, რომ ის და მისი მემკვიდრეები არ ცნობენ არც ერთი სხვა სახელმწიფოს უზენაესობასა და მფარველობას, რუსეთის გარდა;

2. რუსეთის იმპერატორი და მისი მემკვიდრეები ერეკლეს აღუთქვამდნენ სამუდამო მფარველობას;

3. ქართლ-კახეთის ტახტზე ასული ახალი მეფე დაუყოვნებლივ აცნობებდა ამის შესახებ რუსეთის იმპერატორს და მისგან მიიღებდა სამეფო ნიშნებს;

4. ერეკლესა და მის მემკვიდრეებს უცხო ქვეყნებთან მიმოწერა უნდა შეეთანხმებინათ რუსეთთან;

5. ერეკლეს ეყოლებოდა თავისი წარმომადგენელი რუსეთში, ისევე როგორც რუსეთს — ქართლ-კახეთში;

6. ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში რუსეთი არ ჩაერეოდა;

7. ერეკლე, საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარებოდა რუსეთს ჯარით. ამა თუ იმ პირის დაწინაურებისას ერეკლეს უნდა გაეთვალისწინებინა მისი დამსახურებაც რუსეთის წინაშე;

8. კათოლიკოსი ხდებოდა რუსეთის სინოდის წევრი და რუსეთის ეპისკოპოსებს შორის მერვე ადგილს იჭერდა;

9. ქართველი თავადები და აზნაურები უთანაბრდებოდნენ რუსეთის თავადაზნაურობას;

10. ქართველებს უფლება ეძლეოდათ გადასახლებულიყვნენ რუსეთში. გათავისუფლებული ქართველი ტყვეები თავის შეხედულებისამებრ შეიძლება დარჩენილიყვნენ რუსეთში ან დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში;

11. ქართველი ვაჭრები რუსეთში ისარგებლებდნენ ისეთივე უფლებებით, როგორც რუსები და, პირიქით;

12. ხელშეკრულება იდებოდა სამუდამოდ;

13. ხელშეკრულების რატიფიკაცია უნდა მომხდარიყო 6 თვეში.

ამასთან გაფორმდა ოთხი **სეპარატული** (**საიდუმლო**) მუხლი:

1. ერეკლეს უნდა დაემყარებინა ნორმალური, მშვიდობიანი ურთიერთობა სოლომონ I-თან. მეფეებს ერთმანეთს შორის უთანხმოების შემთხვევაში უნდა მიემართათ რუსეთისათვის;

2. რუსეთს საქართველოში უნდა გამოეგზავნა ორი ბატალიონი და 4 ზარბაზანი;

3. ომის შემთხვევაში „კავკასიის ხაზის" სარდალს უნდა მიეღო ყველა ღონისძიება, რომ დაეცვა ქართლ-კახეთი მტრისაგან;

4. რუსეთი ეცდებოდა დაებრუნებინა ქართლ-კახეთისათვის მტრისაგან მიტაცებული ქართული მიწები.

1784 წლის 24 იანვარს ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელს ხელი მოაწერა ერეკლე II-მ. ეს ნიშნავდა ტრაქტატის რატიფიკაციას. იგივე აქტი მოახდინა ეკატერინე II-მაც.

ერეკლე II იმედოვნებდა, რომ რუსეთის დახმარებით სამეფო ხელისუფლებას განამტკიცებდა, ლეკთა თარეშს აღკვეთდა, ირანისა და თურქეთისგან საიმედოდ იქნებოდა დაცული და ბოლოს და ბოლოს, საქართველოს გააერთიანებდა. მაგრამ ერეკლე ცდებოდა. **რუსეთს, ისევე როგორც საქართველოს დაპყრობის მსურველ ყველა სახელმწიფოს, არ სჭირდებოდა ერთიანი და ძლიერი საქართველო.** რუსეთისათვის ხელსაყრელი იყო სუსტი ქვეყანა, რომელსაც მის იქით გზა აღარ ექნებოდა.

გეორგიევსკის ტრაქტატის დადებას ქართლ-კახეთის მეზობელი მაჰმადიანური სახანოები

თავიდანვე შიშით შეხვდნენ. მალე ეს შიში აგრესიით შეიცვალა. ტრაქტატის დადებამ ყველას დაანახა, რომ ერეკლე რუსეთის მოკავშირე გახდა. სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გამოჩენა ხელს არ აძლევდა არა მარტო თურქეთსა და ირანს, არამედ ევროპის დიდ სახელმწიფოებს — ინგლისსა და საფრანგეთს.

რუსეთს რომ პატიოსნად შეესრულებინა თავისი ვალდებულებები, შეიძლება საშიშროება ნაკლები ყოფილიყო, მაგრამ იგი ამას არ აპირებდა. **ივანე ჯავახიშვილი** წერდა: „1783 წლის ხელშეკრულებას საქართველოსთვის სარგებლობა არა მოუტანია რა, ზიანი კი — აუარებელი. პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესების მაგიერ საშინლად გაუარესდა. ხმა ამ ხელშეკრულებასა და რუსეთის სახელმწიფოს მფარველობას დიდი ჰქონდა, საქმით კი ძალიან მცირედი იყო ის დახმარება, რომელიც რუსეთის მხრით საქართველოს აღმოეჩინა".

ერეკლეს განუდგნენ ძველი მოკავშირეებიც კი (მაგალითად, შუშის ხანი). რუსეთის ორი ბატალიონი და 4 ზარბაზანი კი საკმარისი არ იყო იმ ძალების მოსაგერიებლად, რომლებიც საქართველოს დაემუქრნენ.

გეორგიევსკის ტრაქტატის დადება იყო უდიდესი დიპლომატიური მარცხი, მისი შედეგები დამღუპველი აღმოჩნდა არა მარტო ქართლ-კახეთის, არამედ მთელი საქართველოსთვისაც.

პირველი სერიოზული დარტყმა, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფომ გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ მიიღო, **ომარ-ხანის** შემოსევა იყო. 1785 წელს ომარ-ხანის წინააღმდეგ რუსეთმა რეალური დახმარება არ აღმოუჩინა ერეკლე II-ს. ქართლ-კახეთის მეფემ ომარ-ხანს, ფაქტობრივად, ხარკის გადახდა აღუთქვა და ამ გზით ცადა ქვეყნის უსაფრთხოების მოპოვება.

ერეკლე II მიხვდა, რომ რუსეთის იმედად ყოფნა არ შეიძლებოდა და საკუთარი ძალებით მოინდომა ვითარების გამოსწორება. 1786 წელს მან ელჩი გაგზავნა ეგვიპტეში, სადაც ძალაუფლება იმ დროს ქართველი **მამელუქი ბეგების** ხელში იყო. მამელუქებმა სიხარულით მიიღეს ერეკლეს ელჩი, მაგრამ რეალური დახმარება ვერ აღმოუჩინეს ქართლ-კახეთს. 1786 წელს ერეკლემ სამშვიდობო ხელშეკრულება დადო **ახალციხის ფაშასთან**. ქართლ-კახეთის მეფის წარგზავნილი დიდი პატივით მიიღო **აღა-ამმად-ხანმაც**. თუმცა ცხადი იყო, რომ რაც უფრო ძლიერდებოდა იგი, მით უფრო აგრესიული ხდებოდა მისი დამოკიდებულება ქართლ-კახეთისადმი. 1786 წლის დეკემბერში **საგარეჯოში** გაიმართა თათბირი, რომელზეც სცადეს საგარეო ორიენტაციის გადასინჯვა, მაგრამ საგარეო კურსის შეცვლა არ მოხდა. პრორუსული ორიენტაციის შეცვლა მკვეთრად გაამწვავებდა ურთიერთობას რუსეთთან და არც თურქეთი და ირანი ენდობოდნენ უკვე ერეკლეს.

1787 წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. იმავე წელს რუსეთმა ქართლ-კახეთიდან ჯარი გაიყვანა. ჯარის გაყვანა რუსეთმა იმით ახსნა, რომ თითქოს ეს საშუალებას მისცემდა ქართლ-კახეთს მოეგვარებინა ურთიერთობა მეზობლებთან.

1789 წელს **დავით არჩილის ძესა** და **დავით გიორგის ძეს** შორის მიმდინარე ბრძოლისაგან დაღლილი და თავმობეზრებული იმერეთის სამეფოს წარმომადგენლები (დოსითეოს ქუთათელი, ექვთიმე გენათელი, ზურაბ წერეთელი, სეხნია წულუკიძე და სხვ.) თბილისში ჩამოვიდნენ და ერეკლეს **იმერეთის** შეერთება შესთავაზეს. მეფემ დარბაზი მოიწვია ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის გადასაწყვეტად. დარბაზის უმეტესობა (გიორგი ბატონიშვილი, დავით ორბელიანი, ჭაბუა ორბელიანი, ანტონ ყათალიკოსი) იმერეთის შეერთების მომხრე იყო. მოწინააღმდეგეები ძირითადად დარეჯან დედოფლის ირგვლივ იყვნენ შემოკრებილნი. ორდღიანი განხილვის შემდეგ ერეკლემ განაცხადა, რომ იგი ვერ შემოიერთებდა იმერეთის სამეფოს და ვერ წაართმევდა ტახტს თავის შვილიშვილს. გასათვალისწინებელია, რომ იმერეთი თურქეთის გავლენის სფერო იყო და მისი შემოერთება გაამწვავებდა ერეკლე II-ის ურთიერთობას თურქეთთან. მეფის გადაწყვეტილებაზე, შესაძლოა, დარეჯანმაც იმოქმედა. 1789 წელს იმერეთში **დავით არჩილის ძე** გაამეფეს, რომელიც სოლომონ I-ის პატივსაცემად სოლომონ II-დ იწოდა.

1790 წელს **სოლომონ ლიონიძის** ძალისხმევით, დაიდო „ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართა". მას ხელი მოაწერეს **ერეკლე II-მ, სოლომონ II-მ, გიორგი დადიანმა** და **სვიმონ გურიელმა**. ამ ხელშეკრულებით, მეფე-მთავრები აღიარებდნენ ერეკლეს უპირატესობას და მასვე ანდობდნენ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას, თუმცა არ უერთდებოდნენ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს.

მეფობის ბოლო წლებში ერეკლე II-ზე, როგორც ჩანს, გარკვეულწილად დარეჯან დედო-

ფალი ახდენდა გავლენას. მისი მთავარი საფიქრალი იყო არ დაეშვა ტახტზე გიორგი ბატონიშვილის, მისი გერის ასვლა, რათა ერთ-ერთი თავისი შვილი გაემეფებინა. სწორედ დარეჯანის ზეგავლენით უნდა მიეღო ერეკლეს ორი მნიშვნელოვანი, მაგრამ სრულიად გაუმართლებელი, კანონი. 1791 წელს ტახტის მემკვიდრეობის შესახებ მიღებული კანონის მიხედვით, მეფობა უნდა გადასულიყო **ძმიდან ძმაზე**. კანონი უფლებას აძლევდა ერეკლეს ყველა ვაჟს მეფობა მოეთხოვა. ეს კი სამეფოში მუდმივი არეულობის მიზეზი იქნებოდა. 1792 წელს მეფემ **საუფლისწულოები** გამოუყო თავის ვაჟებს. ასეთი საუფლისწულო კი ექვსი იყო. **ამით ფაქტობრივად დაიშალა ქართლ-კახეთის სამეფოს ერთიანობა, რადგან ბატონიშვილები საუფლისწულოებში ჩაიკეტნენ და აღარავის ემორჩილებოდნენ.**

ქართლ-კახეთს კი რეალური საფრთხე ემუქრებოდა **აღა-მაჰმად-ხანის** მხრიდან. აღა-მაჰმად-ხანი ერეკლესაგან რუსეთთან ურთიერთობის უკვე სრულ გაწყვეტას მოითხოვდა. ის, რომ აღა-მაჰმად-ხანი ქართლ-კახეთის წინააღმდეგ გამოილაშქრებდა, ყველამ იცოდა. ერეკლე დახმარებას სთხოვდა რუსეთს. რუსეთი მას აიმედებდა, მაგრამ ჯარს არ აგზავნიდა. რუსეთი რომ ქართლ-კახეთს არ დაეხმარებოდა, ეს აღა-მაჰმად-ხანმაც იცოდა. 1795 წლის სექტემბერში **აღა-მაჰმად-ხან ყაჯარი** თბილისისაკენ დაიძრა. 10 სექტემბერს **სოღანლუღთან** ბრძოლაში ირანელები დამარცხდნენ. აღა-მაჰმად-ხანი გაბრუნებასაც კი აპირებდა, მაგრამ მას მოღალატეებმა შეატყობინეს, რომ ერეკლეს მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდა. 11 სექტემბერს 5 ათასმა ქართველმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა 35 ათას ირანელს კრწანისის ველზე. ეს ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ბრძოლა იყო ქართველი ერის ისტორიაში. რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა. ქართველები დამარცხდნენ. 75 წლის ერეკლე ბრძოლის ველიდან ძალით გაიყვანეს შვილიშვილებმა. აღსანიშნავია, რომ ბატონიშვილების ნაწილმა ბრძოლაში მონაწილეობა არ მიიღო. მათ ფაქტობრივად უღალატეს მამასაც და სამშობლოსაც. ქართლ-კახეთის ბედი გადაწყდა. დამარცხებულ ერეკლეს რუსეთთან ურთიერთობაზე უარის თქმა არაფრით აღარ შეეძლო.

აღა-მაჰმად-ხანმა თბილისი აიღო და საშინლად ააოხრა. მარცხმა მძიმედ იმოქმედა ერეკლე II-ზე. აღა-მაჰმად-ხანის წასვლის შემდეგ მეფე თბილისში აღარ დაბრუნებულა. იგი თელავში გადავიდა, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1798 წლის 11 იანვარს. ერეკლე II სვეტიცხოველში დაკრძალეს.

ერეკლე II-ს გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტი მისმა ძემ **გიორგი XII**-მ დაიკავა. გიორგი გამეფებისას უკვე ავადმყოფი იყო. გიორგის მამის სიცოცხლეშივე რთული ურთიერთობა ჰქონდა თავის ნახევარძმებთან. ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ კი ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო დაიძაბა. ბატონიშვილები საუფლისწულოებში ჩაიკეტნენ და მეფეს არ ემორჩილებოდნენ. გიორგი XII-მ სცადა მათი დამორჩილება, მაგრამ ვერ მოახერხა. ქართველი თავადები და აზნაურები, ძირითადად, ორ ჯგუფად დაიყვნენ. ერთნი მხარს უჭერდნენ გიორგი XII-ის ძეს **დავითს**, მეორენი კი — ერეკლე II-ის ძეს **იულონს**. აღსანიშნავია, რომ ფეოდალთა მცირე ჯგუფი რუსეთთან უშუალოდ შეერთების მომხრე იყო. მათ საპირისპიროდ ფეოდალთა ასევე მეტად მცირე ჯგუფი თვლიდა, რომ ქართლ-კახეთს დიდ სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობების გამოყენებითა და მათ შორის მანევრირებით უნდა შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა.

1799 წლის ნოემბერში ქართლ-კახეთში რუსეთის ჯარის ერთი პოლკი შემოვიდა **გენერალ ლაზარევის** მეთაურობით. ამ ჯარს ჩამოჰყვა რუსეთის ოფიციალური წარმომადგენელი გიორგი XII-ის კარზე — **კოვალენსკი**. 1800 წლის ნოემბერში ქართველებმა რუსეთის ჯარის მონაწილეობით ნიახურას ველზე **ომარხანი** დაამარცხეს.

გიორგი XII-ის მთავარი საზრუნავი ის იყო, რომ ტახტი მის შთამომავლობას დარჩენოდა და მეფობა არ გადასულიყო მის ძმებზე. რუსეთი, რომელიც შესანიშნავად იყო ინფორმირებული ქართლ-კახეთის სამეფო კარზე მიმდინარე მოვლენების შესახებ, კარგად იყენებდა ერეკლეს შვილებს შორის არსებულ დაპირისპირებას. რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა დააკმაყოფილა გიორგი XII-ის თხოვნა და ტახტის მემკვიდრედ მისი ძე **დავითი** დაამტკიცა. ამ ამბავმა გიორგის ძმების აღშფოთება გამოიწვია.

გიორგი XII-მ ვიწრო წრესთან თათბირის შემდეგ გადაწყვეტილება მიიღო შეეცვალა ტრაქტატის გარკვეული მუხლები. კერძოდ, უფლება მიეცა რუსეთისათვის ჩარეულიყო ქართლ-კახეთის სამეფოს საშინაო საქმეებში. ამის სანაცვლოდ, მეფე გიორგი XII რუსეთი-

საგან გარანტიას ითხოვდა, რომ მეფობა მის შთამომავლობას დარჩებოდა. ეს გადაწყვეტილება თავად დავით გიორგის ძისათვისაც კი არ იყო ცნობილი.

გიორგი XII-ის მცდელობას უკვე აღარც ჰქონდა მნიშვნელობა, რუსეთის საიმპერატორო კარზე ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. 1800 წლის 18 დეკემბერს პავლე I-მა ხელი მოაწერა მანიფესტს, რომლის მიხედვითაც ქართლ-კახეთის სამეფო უქმდებოდა და აღმოსავლეთ საქართველო უშუალოდ რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა. ათი დღის შემდეგ, 1800 წლის 28 დეკემბერს გიორგი XII გარდაიცვალა. ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე სვეტიცხოველში დაკრძალეს.

გიორგი XII-ის გარდაცვალებისთანავე გენერალმა ლაზარევმა შეკრებილ თავადებს განუცხადა, რომ ქვეყნის შემდგომ ბედს რუსეთის იმპერატორი გადაწყვეტდა. მომავალი მეფის საკითხს გენერალი საერთოდ არ შეხებია. ლაზარევის სიტყვას მისი თარჯიმანი თარგმნიდა, მაგრამ იქვე მდგარმა სოლომონ ლიონიძემ თავადებს განუცხადა: გენერალი დავით გიორგის ძეს მეფობას ულოცავსო. ამის გამო სოლომონ ლიონიძემ მკაცრი შენიშვნა მიიღო, რომ არ ჩარეულიყო იმ საქმეში, რაც მას არ ეხებოდა. შეკრების დამთავრების შემდეგ სოლომონ ლიონიძე დააპატიმრეს. მან გაქცევა მოახერხა და თავი იმერეთს შეაფარა.

ამასობაში, 1801 წლის 18 იანვარს რუსეთში პავლე I-ის მანიფესტი გამოქვეყნდა.

ქართლ-კახეთის სამეფოს დროებით გამგებლად დავით გიორგის ძე დაინიშნა. 1801 წლის 11 მარტს შეთქმულებმა მოკლეს რუსეთის იმპერატორი პავლე I (შეთქმულთა ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო რუსეთის არმიის მომავალი გენერალი ვლადიმერ იაშვილი). ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა კავკასიის ხაზის უფროსს გენერალ კნორინგს დაავალა, გაერკვია ვითარება ქართლ-კახეთის სამეფოში. კნორინგი ჩამოვიდა თბილისში, გადააყენა დავით გიორგის ძე და ქვეყნის მმართველად გენერალი ლაზარევი დანიშნა. კნორინგმა „შეისწავლა" ვითარება ქართლ-კახეთში და თავისი დასკვნა რუსეთის სახელმწიფო საბჭოს გააცნო. კნორინგის აზრით, ქართლ-კახეთს დამოუკიდებლად არსებობა არ შეეძლო. სახელმწიფო საბჭოში ეს აზრი არ გაიზიარა მხოლოდ ორმა კაცმა, გრაფმა კოჩუბეიმ და გრაფმა ვორონცოვმა.

ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. ეს მანიფესტი მხოლოდ 1802 წლის 12 აპრილს წაუკითხეს სიონის ტაძრის ეზოში შეკრებილ ალყაშემორტყმულ ქართველებს.

რუსეთმა ფაქტობრივად უბრძოლველად მოახერხა ის, რასაც ბრძოლით ვერ ახერხებდნენ თურქეთი და ირანი. მან თითქმის ყოველგვარი გართულების გარეშე გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება როგორც ქვეყნის შინაგანი სისუსტის, ასევე არაბელსაყრელი საერთაშორისო ვითარების შედეგი იყო.

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობით დაიწყო კავკასიაში რუსეთის ერცელი იმპერიული გეგმების განხორციელება. მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ საქართველოს დაეუფლა, დასავლეთ საქართველოს ბედიც გადაწყვეტილი იყო. იმერეთის სამეფოს, სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროების დაპყრობა მხოლოდ დროის საკითხი იყო.

დასავლეთ საქართველოში XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დამდეგს მეტად მძიმე პოლიტიკური ვითარება წარმოიშვა. წარუმატებლად დამთავრდა სოლომონ I-ისა და სოლომონ II-ის ბრძოლა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისა და იმერეთის სამეფოს ერთ მთლიან პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბებისათვის. სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროები პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მიესწრაფოდნენ და შეუპოვრად ებრძოდნენ იმერეთის მეფეს. გარდა ამისა, დასავლეთ საქართველოს სამთავროები განუწყვეტლივ ებრძოდნენ ერთმანეთს სადავო ტერიტორიების გამო.

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობის დროს სოლომონ II-ს სამეგრელოს მთავართან ომი ჰქონდა გაჩაღებული. რუსეთის საიმპერატორო კარი ყოველმხრივ აქეზებდა სამეგრელოს მთავარს გრიგოლ დადიანს. გრიგოლ დადიანი მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. სამთავროს შიგნით არეულობა ძლიერდებოდა. მთავარი შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს რუსეთის იმპერიის მფარველობაში ხედავდა. სამეგრელოს სამთავროს ქვეშევრდომობაში მიღებით რუსეთს სურდა, რომ იმერეთის მეფე სოლომონ II კიდევ უფრო დაეუძლურებინა, რათა თავისი ნება-სურვილი ეკარნახა მისთვის. სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა 1803 წელს რუსეთის იმპერატორის

ერთგულების ფიცი დადო. სამეგრელო რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შევიდა. რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესულ სამეგრელოს მთავარს სამთავროს მემკვიდრეობითი მფლობელობა უმტკიცდებოდა. მაგრამ მთავრის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეს მთავრის ტიტული რუსეთის იმპერატორის ნებართვით ეძლეოდა. მთავრის უფლებებში რჩებოდა სამთავროს შინაური მმართველობა და სამართალი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსებმა მთავარს სიკვდილით დასჯის უფლება ჩამოართვეს. **რუსეთის ხელისუფლების მიერ სამეგრელოს სამთავროში გაგზავნილ მოხელეს მთავარი უყოყმანოდ უნდა დამორჩილებოდა.** სამეგრელოს სამთავროში მუდმივად უნდა მდგარიყო რუსთა ჯარი, რომელიც მთავარს უნდა უზრუნველეყო ბინით და სურსათით. რუს მოხელეებს სამთავროს შინაურ საქმეებში ჩარევის უფლებაც კი ეძლეოდათ. **ავტონომიური თვითმმართველობის ასეთი ფორმა იყო გარდამავალი საფეხური სამეგრელოს სამთავროს სრული ლიკვიდაციისაკენ.**

რუსეთის საიმპერატორო კარმა თავისი ავტორიტეტით, ფულით თუ სხვა საშუალებებით სამეგრელოს მთავარს გადამდგარი თავადები დაუმორჩილა და იმერეთის მეფის სოლომონ II-ის წინააღმდეგ დიდ ძალად აქცია. ასეთი პოლიტიკური კურსი დასავლეთ საქართველოში რუსეთის იმპერიის გავლენის გაფართოებას ემსახურებოდა, რამაც თავისი ნაყოფი გამოიღო. სამეგრელოს მთავარი თავს არ ზოგავდა რუსეთის გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ სოლომონ II რუსეთს აღარ ენდობოდა. იმერეთის მეფე აშკარად ეხმარებოდა **იულონ ერეკლეს ძეს** ტახტისათვის ბრძოლაში. ეს ძალზე აღიზიანებდა რუსეთს. რუსეთის ჯარები საგანგებოდ იცავდნენ იმერეთიდან ქართლში გადასასვლელ გზებს. სოლომონ II-ის მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ სამეგრელოს სამთავროს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ რუსეთის ჯარი იმერეთის სამეფოს დასავლეთიდანაც მოადგა.

ამასობაში საქართველოს მთავარმართებლად დანიშნულმა გენერალმა **პავლე ციციანოვმა** იმპერატორ ალექსანდრე I-საგან მიიღო ბრძანება იმერეთის სამეფოში ჯარების შეყვანის შესახებ. სოლომონ II-ის წინააღმდეგ გალაშქრებამდე პავლე ციციანოვი ცდილობდა, რომ იმერეთის ცნობილი თავადების მოსყიდვით გავლენა მოეხდინა სოლომონ II-ზე და იგი ნებაყოფილობით დამორჩილებაზე დაეთანხმებინა. სოლომონ II-მ შექმნილ ვითარებაში ომს თავი აარიდა. 1804 წელს იმერეთის მეფე **სოლომონ II** და მთავარმართებელი **პავლე ციციანოვი** ერთმანეთს შეხვდნენ სოფელ **ელაზნაურში** (ხარაგაულის რაიონში). მოლაპარაკებამ უშედეგოდ ჩაიარა. მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ რუსეთის ჯარი შეუდგა იმერეთის ტერიტორიის დაკავებას და მოსახლეობის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცებას. სოლომონ II იძულებული გახდა მიეღო რუსეთის ქვეშევრდომობა. **1804 წელს** იმერეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დაიდო **ელაზნაურის ტრაქტატი.** ტრაქტატის პირობების თანახმად, იმერეთის მეფე სოლომონ II რუსეთის იმპერატორის სამუდამო **ქვეშევრდომი** ხდებოდა. იმერეთის მეფობა სოლომონ II-ს საშვილიშვილოდ უმტკიცდებოდა. იმერეთის მეფეს ტახტზე ასვლა რუსეთის იმპერატორის სიგელით უნდა მინიჭებოდა. **ქვეყნის ადმინისტრაციული მმართველობა და სამართალი იმერეთის მეფის ხელთ რჩებოდა, თუმცა სისხლის სამართლის საქმეებში მეფეს რუსული კანონებით უნდა ეხელმძღვანელა.** იმერეთის სამეფოში რუსეთის ჯარი უნდა შესულიყო, რომელიც იმერეთის მეფეს უნდა შეენახა.

იმერეთის სამეფოსა და სამეგრელოს სამთავროს ქვეშევრდომობაში მიღება რუსეთის დიდი წარმატების მაუწყებელი იყო. იმერეთისა და სამეგრელოს საკითხის მოგვარებამ გადაწყვიტა გურიის სამთავროს ბედიც. მართალია, გურიის მთავარი **მამია გურიელი** რუსეთთან ცალკე ტრაქტატის დადებას ითხოვდა, მაგრამ რუსეთმა სოლომონ II-ის დაჟინებული მოთხოვნით გურიის სამთავრო იმერეთის სამეფოს შემადგენელ ნაწილად ცნო და იმერეთის ქვეშევრდომობაში მიღებასთან ერთად 1804 წელს გურიაც რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღებულად გამოაცხადა. გურიის მთავარს ეს ხელს არ აძლევდა. მოგვიანებით, **1810 წელს,** მამია გურიელმა დამოუკიდებლად გააფორმა ხელშეკრულება რუსეთთან. გურიის სამთავრო იმპერიის **ქვეშევრდომობაში** შევიდა დაახლოებით იმავე პირობებით, რა პირობებიც სამეგრელოს სამთავროსთან დაიდო.

იმერეთის მეფის სოლომონ II-ის ანტირუსულ განწყობილებას იმპერიული ხელისუფლება დიდხანს ვერ მოითმენდა. ამიტომაც მთავარმართებელი **ტორმასოვი** აგრძელებდა სოლომონ II-ის შევიწროებას. სოლომონ II-ისა

და ალექსანდრე ტორმასოვის ურთიერთობა უკიდურესად გამწვავდა. ამასობაში რუსეთის საიმპერატორო კარმა იმერეთის სამეფოს საკითხი გადაწყვიტა. 1809 წელს რუსეთის ჯარი იმერეთის სამეფოში შევიდა და ქუთაისი დაიკავა. სოლომონ II-მ ქალაქი დატოვა და ბრძოლისათვის დაიწყო მზადება. **1810 წელს** მთავარმართებელმა ტორმასოვმა ქუთაისში იმერეთის სამეფო ხელისუფლების გაუქმება საჯაროდ გამოაცხადა. რუსთა ჯარები გაემართნენ **ჯარიცხისაკენ**, სადაც გამაგრებული იყო იმერეთის მეფე. მთავარმართებელმა იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ სალაშქროდ მოუწოდა გურიისა და სამეგრელოს მთავრებს, რომლებიც მაშინვე ჩაებნენ ბრძოლაში სოლომონ II-ის წინააღმდეგ. ერთი თვე ებრძოდნენ იმერლები რუსეთის ჯარებს. ბოლოს რუსებმა სოლომონ II მოტყუების გზით შეიპყრეს და თბილისში ჩამოიყვანეს. 1810 წელსვე სოლომონ II-მ მოახერხა თბილისიდან გაქცევა და ახალციხის საფაშოში გადასვლა. ამავე წელს იგი იმერეთში დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას. იმერეთის ძალები რუსეთის ძალებთან შედარებით სუსტი იყო. დაუცხრომელი მეფე და მისი მომხრენი დამარცხდნენ და თურქეთში გადაიხვეწნენ. იმერეთის სამეფოს საკითხი საბოლოოდ გადაწყდა, იგი რუსეთის სამფლობელოდ იქცა.

ახალციხეში მყოფ სოლომონ II-ს მთავარმართებელმა ტორმასოვმა დესპანები გაუგზავნა და წინადადება მისცა დაბრუნებულიყო თბილისში, სადაც მას რუსეთის იმპერატორისაგან შეწყალება და სათანადო პატივისცემა ელოდა. **იმერეთის მეფემ შეწყალება არ მიიღო.** ახალციხის საფაშოდან იგი საქართველოში აღარ დაბრუნებულა. 1815 წელს სოლომონ II ტრაპიზონში გარდაიცვალა. 1990 წელს მრავალტანჯული მეფის ნეშტი გადმოასვენეს და გელათის ტაძარში დაკრძალეს.

XIX საუკუნის დამდეგისათვის თურქეთს მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული აფხაზეთში. სოხუმში თურქეთის ჯარი იდგა. აფხაზეთის მთავარი იყო გამაჰმადიანებული **ქელეშ-ბეგ შერვაშიძე.** ქელეშ-ბეგი რეალისტურად აზროვნებდა. მას შემდეგ, რაც რუსეთმა მნიშვნელოვნად განიმტკიცა პოზიციები დასავლეთ საქართველოში, ქელეშ-ბეგმა აშკარა თურქულ ორიენტაციაზე უარი თქვა. ცხადია, მრისხანე მეზობელი არ აპატიებდა თურქული ორიენტაციის უარყოფას. განსაკუთრებით გამაღიზიანებლად იმოქმედა იმან, რომ ქელეშ-ბეგმა უმცროს შვილს, **საფარ-ბეგს**, უფლება მისცა მაჰმადიანობა უარეყო და ქრისტიანულად მონათლულიყო. **საფარ-ბეგ (იგივე გიორგი) შერვაშიძე არ მალავდა თავის რუსულ ორიენტაციას.** ამის საპასუხოდ თურქეთმა ქელეშ-ბეგ შერვაშიძეს აუმხედრა უფროსი შვილი **ასლან-ბეგი,** რომელიც ცნობილი იყო, როგორც თურქული ორიენტაციის თავგამოდებული დამცველი. აფხაზეთში ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების შემდეგ (1806 წ.). 1808 წელს თურქებისაგან წაქეზებულმა ასლან-ბეგმა მამა, ქელეშ-ბეგი მოაკვლევინა და თავი აფხაზეთის მთავრად გამოაცხადა. საფარ-ბეგი (გიორგი) სამეგრელოში გაიქცა და რუსეთს დახმარება სთხოვა. **1810 წელს რუსეთის იმპერატორმა საფარ-ბეგ (გიორგი) შერვაშიძე აფხაზეთის მთავრად ცნო და ქვეშევრდომობაში მიიღო.** ამავე 1810 წელს რუსეთის ჯარმა სოხუმი აიღო. აფხაზეთის მთავრად საფარ-ბეგ (გიორგი) შერვაშიძე გამოცხადდა. შერვაშიძეთა საგვარეულოში, ისევე როგორც აფხაზეთის მოსახლეობაში, პროთურქული და პრორუსული ძალების მწვავე დაპირისპირება 1810 წლის შემდეგაც გრძელდებოდა.

XVIII საუკუნისათვის **უბატონო (თავისუფალმა) სვანეთმა** სრულ დამოუკიდებლობას მიაღწია. განსხვავებული ვითარება იყო **საბატონო (სადადეშქელიანო) სვანეთში.** XIX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულისათვის მთავრის საგვარეულოში ხელისუფლებისათვის ბრძოლა ძალზე გამწვავდა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ **ციოყ და თათარხან დადეშქელიანები.** ამავე დროს, აფხაზეთისა და ყაბარდოს გავლენით, დადეშქელიანების საგვარეულოს ზოგიერთმა წარმომადგენელმა მაჰმადიანობა მიიღო. მაჰმადიანები იყვნენ ციოყიცა და თათარხანიც. დადეშქელიანების საგვარეულოში განხეთქილება კარგად გამოიყენა რუსეთმა. რუსი მოხელეები ციოყსაც და თათარხანსაც რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლას ურჩევდნენ. 1832 წელს თათარხან დადეშქელიანმა რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღება ითხოვა. იმგვარადვე მოიქცა ციოყ დადეშქელიანიც. **1833 წელს როგორც თათარხანი, ისე ციოყი რუსეთმა ქვეშევრდომობაში მიიღო.** რუსეთს ხელს არ აძლევდა დადეშქელიანების საგვარეულოში დაპირისპირების მოსპობა. სწორედ ამიტომ სვანეთის მთავრად რუსეთმა ან ციოყი ან თათარხანი კი არ ცნო, არამედ ორივე ერთად. რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ ციოყიცა და თათარხანიც ქრისტიანულად მო-

ინათლნენ. ციოყმა ნათლობის სახელად მიიღო ნიკოლოზი, ხოლო თათარხანმა — მიხეილი.

სვანეთის სამთაეროს ქვეშევრდომობაში მიღების შემდეგ რუსეთს გარკვეულ დრომდე დადემქელიანთა ხელისუფლება არ შეუზღუდავს. სვანეთში არც რუსეთის ჯარი შესულა.

2. კავკასია რუსეთ-ირანის 1804-1813 წლებისა და რუსეთ-თურქეთის 1806-1812 წლების ომების პერიოდში. ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობამ რუსეთს საშუალება მისცა მოემზადებინა ამიერკავკასიის სხვა ტერიტორიების დაპყრობა. 1802 წლის ბოლოს საქართველოს მთავარსარდალმა გენერალმა **პავლე ციციანოვმა** მოლაპარაკება დაიწყო **ბაქოს, დერბენტის, ყუბის,** თალიშის, **განჯის** ხანებთან და **დაღესტნის** მმართველებთან. ყველა მათგანმა დაადასტურა „მტკიცე, უეჭველი და მუდმივი მშვიდობა რუსეთის მფარველობით". ასეთი ფორმულირება სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ეს სახანოები რუსეთის მფლობელობაში გადადიოდა. შემდგომში ხანების ნაწილი იცავდა 1802 წელს დადებულ პირობას, ნაწილი კი ირანზე დაყრდნობით ეწინააღმდეგებოდა რუსეთის დამკვიდრებას. 1802 წელს **ყუბისა** და **თალიშის** ხანები რუსეთის **ქვეშევრდომები** გახდნენ. **განჯის ხანმა** უარი განაცხადა რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებაზე. ამის საპასუხოდ 1804 წელს პავლე ციციანოვმა **განჯის სახანოს** ტერიტორია დაიპყრო. ცხადია, რუსეთის მოქმედებამ თურქეთისა და ირანის უკმაყოფილება გამოიწვია. ამ ქვეყნებს აქტიურად უჭერდა მხარს ინგლისი, რომელიც ასევე შეშფოთებული იყო რუსეთის დამკვიდრებით ამიერკავკასიაში.

1804 წლის ივნისში ინგლისის მხარდაჭერით იმედმოცემულმა ირანის შაჰმა **ფეთხალიმ** რუსეთთან ომი დაიწყო. ირანის ჯარები აღმოსავლეთ სომხეთის გავლით ცდილობდნენ **თბილისისაკენ** გაჭრას. რუსეთს ამიერკავკასიაში იმხანად დიდი სამხედრო ძალა არ ჰყავდა. მიუხედავად ამისა, **პავლე ციციანოვმა** თავდაცვას შეტევა არჩია და **ერევნის** მიმართულებით გაილაშქრა. რუსებმა **ეჩმიაძინთან** ირანის ჯარები დაამარცხეს და ერევანს შემოარტყეს ალყა. პავლე ციციანოვის მდგომარეობას ართულებდა 1804 წლის ზაფხულში ქართლის მთიანეთში (არაგვის ხეობაში) დაწყებული დიდი ანტირუსული აჯანყება. არაგვის ხეობაზე გამავალი სამხედრო გზით ჯარების გადაყვანა და მომარაგება გაძნელდა. აჯანყების გაფართოების შიშით პავლე ციციანოვმა ერევანს ალყა მოხსნა და უკან დაიხია. ქართლის მთიანეთის აჯანყების ჩახშობისა და სამხედრო გზაზე წესრიგის აღდგენის შემდეგ 1805 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში პავლე ციციანოვმა კვლავ შეუტია **ერევანს,** მაგრამ ამჯერადაც უშედეგოდ. სამაგიეროდ, რუსეთის ჯარებმა უკუაგდეს ირანის ტახტის მემკვიდრის **აბასმირზას** შეტევა, რომელიც თბილისის დაკავებას ისახავდა მიზნად. იმავდროულად გააქტიურდა რუსეთის საბრძოლო მოქმედებები ჩრდილოეთ აზერბაიჯანში. 1805 წელს რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა **ყარაბაღის, შაქისა** და **შირვანის** სახანოები. 1806 წელს რუსეთის ჯარებმა **ბაქო** და **დერბენტი** აიღეს. 1806 წელს ბაქოში ქალაქის სიმბოლური გასაღების გადაცემის ცერემონიალის დროს ღალატით მოკლეს გენერალი პავლე ციციანოვი. მთავარსარდლად გენერალი **ივანე გუდოვიჩი** დაინიშნა.

1806 წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. ამიერკავკასიაში განლაგებულ რუსეთის ჯარებს უკვე ორ ფრონტზე (ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ) უხდებოდა ბრძოლა. ამას თან ერთვოდა რუსეთის არმიის მარცხი აუსტერლიცთან (1805 წლის ნოემბერი), რამაც ძალზე გაართულა სამხედრო-პოლიტიკური ვითარება ევროპაში. რუსეთის ჯარების ნაწილი (დუნაის არმია) ბალკანეთის ნახევარკუნძულზე თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად იყო გამიზნული. რუსეთის ევროპული ნაწილიდან ამიერკავკასიაში დიდი რაოდენობით ჯარების გადმოსროლა შეუძლებელი იყო. ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიაში განლაგებულ რუსეთის არმიას დიდ დახმარებას უწევდა ქართველებისა და სომხების სახალხო ლაშქარი.

რუსეთ-თურქეთის ომის **პირველ ეტაპზე (1806-1807 წწ.)** თურქეთის სარდლობა **ყარსიდან თბილისის** მიმართულებით აპირებდა გაჭრას. 1807 წლის ივნისში გენერალ ივანე გუდოვიჩის სარდლობით რუსეთის ჯარებმა მდინარე არფაჩაიზე თურქები დაამარცხა და აიძულა შეტევა შეეწყვიტათ. თურქეთის დამარცხების შემდეგ 1808 წლის ოქტომბერში გენერალმა ივანე გუდოვიჩმა ირანელების წინააღმდეგ გაილაშქრა და ერევნის აღება სცადა, მაგრამ წარუმატებლად. ერევანთან განცდილი მარცხის შემდეგ ივანე გუდოვიჩის ნაცვლად კავკასიის მთავარსარდლად (მთავარმართებლად) გენერალი **ალექსანდრე ტორმასოვი** დაინიშნა.

ომის მეორე ეტაპზე (1809 წლის ნოემბერი — 1810 წლის ივლისი) რუსეთის ჯარებმა აიღეს ფოთი, სოხუმი და ანაპა.

ომის მესამე ეტაპზე (1810 წლის აგვისტო – 1812 წლის ივნისი) ინგლისის შუამავლობით ირანის შაჰი და თურქეთის სულთანი შეთანხმდნენ რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებაზე. ინგლისის მთავრობამ თურქეთსა და ირანს დიდი დახმარება აღმოუჩინა შეიარაღებისა და საბრძოლო აღჭურვილობის სახით. ირან-თურქეთის გაერთიანებულ ჯარს საქართველოდან უნდა განედევნა რუსები. მაგრამ რუსეთის სარდლობამ დაასწრო. 1810 წლის სექტემბერში კავკასიის ახალმა მთავარსარდალმა გენერალმა **პაულუჩიმ** ირანელთა და თურქთა გაერთიანებული ჯარები სასტიკად დაამარცხა **ახალქალაქთან**. 1811 წელს რუსებმა **ახალქალაქი** აიღეს.

ირანმა ძალების მობილიზაცია მოახდინა და 1812 წელს **აბას-მირზას** სარდლობით **ყარაბაღში** შეიჭრა. რუსეთის ჯარებმა მდინარე არაქსზე **ასლანდუზის** ახლოს ირანელები დაამარცხეს. ამ ბრძოლის შემდეგ რუსეთისა და ირანის ჯარებს შორის მნიშვნელოვანი ბრძოლები აღარ მომხდარა.

რუსეთ-თურქეთის 1806-1812 წლების ომი 1812 წლის მაისში **ბუქარესტის** ზავით დამთავრდა. ბუქარესტის ზავი შეეხო ამიერკავკასიასაც. თურქეთმა ცნო **ქართლ-კახეთის სამეფოს, იმერეთის, გურიის, აფხაზეთის, სამეგრელოს სამთავროების გადასვლა რუსეთის მფლობელობაში**. რუსეთს გადაეცა **სოხუმი** და **რედუტ-კალე**. სანაცვლოდ თურქეთს დაუბრუნდა ომის დროს რუსეთის ჯარების მიერ დაკავებული **ანაპა, ფოთი** და **ახალქალაქი**.

რუსეთის მიერ ნაპოლეონის არმიის განადგურებით შეშინებული ირანი იძულებული გახდა ზავი დაედო რუსეთთან. ზავი 1813 წლის 12 ოქტომბერს **დიდო გიულისტანში**. გიულისტანის ზავით, რუსეთის მფლობელობაში გადავიდა **ყარაბაღის, განჯის, შაქის, შირვანის, დერბენტის, თალიშის, ყუბის, ბაქოს** სახანოები და **დაღესტანი**. კასპიის ზღვაზე რუსეთის გარდა არც ერთ სახელმწიფოს არ ჰქონდა სამხედრო ფლოტის ყოლის უფლება.

ამრიგად, რუსეთ-ირანის 1804-1813 წლებისა და რუსეთ-თურქეთის 1806-1812 წლების ომებში გამარჯვებამ რუსეთს საშუალება მისცა მტკიცედ დამკვიდრებულიყო ამიერკავკასიაში.

3. კავკასია რუსეთ-ირანის 1826-1828 წლებისა და რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომების პერიოდში. ვენის კონგრესის შემდეგ რუსეთის იმპერიის ინტერესები ევროპაში მტკიცედ იყო დაცული. სამაგიეროდ, ძალზე გართულდა ვითარება **კავკასიაში**. ინგლისის წაქეზებით თურქეთმა და ირანმა დაიწყო ბუქარესტისა და გიულისტანის ზავის პირობების გადასინჯვისათვის ბრძოლა. 1816 წელს ირანმა დააყენა რუსეთთან ახალი ხელშეკრულების დადების საკითხი. ირანს მხარი დაუჭირა ინგლისმაც. 1817 წელს ირანში მოლაპარაკების მიზნით გაიგზავნა კავკასიის მთავარმართველი გენერალი **ალექსი ერმოლოვი**. მოლაპარაკების დროს გაირკვა, რომ ირანი ითხოვდა 1804 წლის საზღვრების აღდგენას. იმავდროულად ცნობილი გახდა, რომ თურქეთი არ ცნობდა იმ საზღვრებს, რომელიც კავკასიაში ბუქარესტის ზავით დადგინდა. რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები კიდევ უფრო გამწვავდა XIX საუკუნის 20-იან წლებში. ამ პერიოდში რუსეთს დიდი სირთულეები შეექმნა ჩრდილო კავკასიაშიც. უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის 20-იან წლებში რუსეთის არმია გაცილებით ძლიერი იყო ირანისა და თურქეთის არმიებთან შედარებით და თუ ირანმა და თურქეთმა მაინც წამოიწყეს რუსეთთან ომი, ეს ინგლისის დიპლომატიის დამსახურება იყო.

1828 წლის ზაფხულში ირანმა რუსეთის წინააღმდეგ ომი დაიწყო. ირანის ჯარებმა **აბას-მირზას** სარდლობით მდინარე **არაქსი** გადალახეს და **შუშის** ციხეს შემოარტყეს ალყა. მალე აბას-მირზამ შუშის ციხე ალყაშემორტყმული დატოვა და თვითონ ძირითადი ძალებით **განჯას** შეუტია. ირანელებმა განჯა აიღეს, რითაც სერიოზული საფრთხე შეექმნა თბილისს. რუსეთის ჯარების მარცხში ნიკოლოზ I-მა **ალექსი ერმოლოვი** დაადანაშაულა და თანამდებობიდან გაათავისუფლა. კავკასიის მთავარმართებლად და კავკასიის ჯარების სარდლად დაინიშნა გენერალი **ივანე პასკევიჩი**. 1826 წლის 13 სექტემბერს რუსეთის ჯარმა ივანე პასკევიჩის სარდლობით **განჯასთან** სასტიკად დაამარცხა ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი ირანის ჯარი. აბას-მირზამ სასწრაფოდ უკან დაიხია. 1827 წლის გაზაფხულზე რუსებმა **დაიკავეს ეჩმიაძინი, ნახიჩევანი** და ალყა შემოარტყეს ერევანს. 1827 წლის ოქტომბერში ივანე პასკევიჩმა **ერევანი** აიღო. ომმა სამხრეთ აზერბაიჯანში გადაინაცვლა. მალე რუსეთის ჯარებმა **თავრიზი** დაიკავეს. ირანის მარცხი აშკარა იყო. მიუხედავად ამისა, საზავო მოლაპარაკება დიდხანს გაჭიანურდა. 1828 წლის 10 თებერვალს **თურქმანჩაიში** რუსეთსა და ირანს შორის ზავი დაიდო. ზავის პირობების

შემუშავებაში მონაწილეობდა **ალექსანდრე გრიბოედოვი**. თურქმანჩაის ზავით, რუსეთის მფლობელობაში გადავიდა **ერევნისა** და **ნახიჩევანის** სახანოები. გულისტანის ზავით მინიჭებული უპირატესობა (კასპიის ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლის უფლება მხოლოდ რუსეთს ჰქონდა) ამჟერადაც შენარჩუნებულ იქნა. ირანს რუსეთისათვის უნდა გადაეხადა 20 მილიონი მანეთი კონტრიბუცია.

რუსეთ-ირანის ურთიერთობა თურქმანჩაის ზავის შემდეგაც დაძაბული იყო. 1829 წლის იანვარში თეირანში მოკლეს რუსეთის ელჩი **ალექსანდრე გრიბოედოვი**. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს ორივე ქვეყნის დიპლომატებმა ურთიერთობის ნორმალიზაცია.

ბუქარესტის ზავის პირობების სისტემატური დარღვევისათვის 1828 წლის 26 აპრილს რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბალკანეთზე რუსეთის არმიამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. გამარჯვება მოიპოვეს კავკასიის ფრონტზეც. 1828 წელს რუსეთის ჯარებმა ქართველთა სახალხო ლაშქრის დახმარებით აიღეს ანაპა, ყარსი, ფოთი, ახალციხე, არდაგანი, ბაიაზეთი, 1829 წელს — ერზრუმი.

რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომი დამთავრდა ადრიანოპოლის ზავით, რომელიც 1829 წლის 2 სექტემბერს დაიდო, კავკასიაში რუსეთის მფლობელობაში გადავიდა ანაპა, **ფოთი, ახალციხე** და **ახალქალაქი**. თურქეთმა საბოლოოდ ცნო საქართველოსა და აღმოსავლეთ სომხეთის გადასვლა რუსეთის მფლობელობაში. რუსეთმა მიიღო შავი ზღვის სანაპირო მდინარე **ყუბანის** შესართავიდან მდინარე რიონის შესართავამდე (ფოთის სიმაგრის ჩათვლით). თურქეთს დაუბრუნდა ომის დროს რუსეთის ჯარების მიერ დაკავებული **ყარსი, ბაიაზეთი, ერზრუმი.**

ამრიგად, 1826-1828 წლების რუსეთ-ირანისა და 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომებში გამარჯვებით, თურქმანჩაისა და ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებების ძალით, რუსეთმა ფაქტობრივადაც და იურიდიულად დაკანონა თავისი ბატონობა ამიერკავკასიაში, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასა და შავი ზღვის სანაპიროზე.

დაპყრობილ ამიერკავკასიაში რუსეთმა რამდენჯერმე შეცვალა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. 1846-1849 წლებში მთელი ამიერკავკასია, ცენტრალური რუსეთის მსგავსად, **გუბერნიებად** დაიყო. სულ შეიქმნა შემდეგი გუბერნიები: **თბილისის, ქუთაისის, შემახიის, დერბენტისა** და **ერევნის**. კავკასიაში რუსეთის უმაღლესი მოხელე იყო **კავკასიის მთავარსარდალი (მთავარმართებელი)**. 1844 წელს **კავკასიამ სამეფისნაცვლოს** სტატუსი მიიღო. პირველ მეფისნაცვლად მიხეილ ვორონცოვი დაინიშნა.

4. ჩრდილო კავკასიის დაპყრობა რუსეთის მიერ (1830-1864 წწ.). რუსეთმა ამიერკავკასია ისე დაიპყრო, რომ ჩრდილო კავკასია მის მფლობელობაში არ გადასულა. სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით რუსეთის მდგომარეობა ჩრდილო კავკასიაში მძიმე იყო. **ყაბარდო** აშკარად იბრძოდა რუსეთის წინააღმდეგ, **დაღესტნის** თავისუფალი თემების დიდი ნაწილი საერთოდ არ ცნობდა რუსეთის უზენაესობას, **ავარიის** სახანოს გაურკვეველი პოზიცია ეკავა, **ჩეჩნეთიდან, დაღესტნიდან** და **ჩერქეზეთიდან** რუსეთის ტერიტორიას მუდმივად ესხმოდნენ თავს კარგად ორგანიზებული რაზმები. **თავდასხმების მიზანი იყო ჩრდილო კავკასიის ბარში რუსეთის მიერ მიტაცებული ნაყოფიერი მიწების უკან დაბრუნება.** ამ ტერიტორიის გარეშე კავკასიის მთის მოსახლეობას არსებობა ძალზე უჭირდა — საძოვრების გარეშე მთაში პირუტყვის გამოკვება შეუძლებელი იყო. მოსახლეობა სიღატაკისა და შიმშილისათვის იყო განწირული. რუსეთი ჩრდილო კავკასიის მთის მოსახლეობისათვის წართმეულ ტერიტორიას სპეციალური გამაგრებით, ე.წ. **კავკასიის ხაზით** იცავდა, სადაც სერიოზული სამხედრო ძალა იყო თავმოყრილი.

1812 წლის სამამული ომში გამარჯვების შემდეგ რუსეთის პოლიტიკა ჩრდილო კავკასიაში გააქტიურდა. 1816 წელს კავკასიის მთავარმართებლად და კავკასიის ჯარების მთავარსარდლად დაინიშნა სამამულო ომის გმირი, სახელგანთქმული გენერალი **ალექსი ერმოლოვი.**

კავკასიის ბარში ალექსი ერმოლოვმა ჩეჩნების თავდასხმების შესაჩერებლად გადაწყვიტა მდინარე **სუნჯაზე** კორდონი (გამაგრებული ხაზი) მოეწყო, ხოლო **დაღესტნელთა** თავდასხმების შეზღუდვის მიზნით, კავკასიის ხაზი კიდევ უფრო სამხრეთით, დაღესტნის მთების მიმართულებით გადაეწია.

1817 წელს ალექსი ერმოლოვმა დაიწყო **ჩეჩნეთისა** და **დაღესტნის** სილრმეში გეგმაზომიერი წინსვლა. რუსები ჩეხდნენ ტყეებს, გაჰყავდათ გზები და აგებდნენ სიმაგრეებს. 1817-1819 წლებში აგებულ იქნა ორი უმნიშვნელოვანესი სიმაგრე — **გროზნაია** და **ვნეზაპნაია**. ამ სი-

მაგრეების საშუალებით რუსეთის ჯარები კონტროლს უწევდნენ მდინარე სუნჯას ხეობას. საქართველოს სამხედრო გზის დაცვის მიზნით მოზდოკის სიმაგრიდან დარიალის ხეობამდე შეიქმნა გამაგრებული ხაზი. ალექსი ერმოლოვის ღონისძიებებმა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ჩეჩნეთი, დაღესტანი და ავარია. ა. ერმოლოვი დამორჩილებული მოსახლეობისაგან მძევლებს ითხოვდა, რათა რუსთა ჯარების წინსვლის შემდეგ მოსახლეობას კვლავ დაუმორჩილებლობა არ გამოეცხადებინა, არ გაგრძელებულიყო თავდასხმები რუსთა სიმაგრეებსა და ჯარის ცალკეულ რაზმებზე.

გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ალექსი ერმოლოვმა ვერ შეძლო ჩრდილო კავკასიის მთიელთა დამორჩილება. XIX საუკუნის 20-იან წლებში რუსებმა რამდენიმე სამხედრო ექსპედიცია მოაწყვეს ჩეჩნეთში, ინგუშეთში, ყაბარდოსა და ყუბანისპირეთში. ამ ექსპედიციების დროს დაუნდობლად ჟლეტდნენ მოსახლეობას, წვავდნენ აულებს, ასადგურებდნენ ნათესებსა და ბაღებს. დამსჯელ ექსპედიციებს სასურველი შედეგი არ მოჰქონდა — ჩეჩნეთში, დაღესტანში, ყაბარდოსა და სხვაგან რუსეთის ბატონობას ვერ ურიგდებოდნენ. ჩრდილო კავკასიაში ძლიერი ანტირუსული მოძრაობა იწყებოდა. ანტირუსული მოძრაობის ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ გამოვლინებას წარმოადგენდა 1825 წელს მიმდინარე დიდი აჯანყება ბეიბულათ თაიმაზოვის წინამძღოლობით.

რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკითა და მისი სასტიკი გამოვლინებებით გატანჯულმა მოსახლეობამ ისლამის იდეებით იწყო გაერთიანება. საფუძველი ეყრებოდა მიურიდიზმს. მიურიდიზმის ფუძემდებლები იყვნენ დაღესტნის მუსლიმთა სულიერი მოძღვარი მუჰამედი და ყაზი-მოლა. თავად ყაზი-მოლას მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია დაღესტნის შეიხმა ჯემალ-ედინმა. ყაზი-მოლას გარდა ჯემალ-ედინის მიმდევარი იყო შამილი. ყაზი-მოლამ და შამილმა თავიანთი მასწავლებლების — მუჰამედისა და ჯემალ-ედინის მოძღვრება — მიურიდიზმი — გააფართოვეს და რელიგიურ-დოგმატური სფეროდან სამართლებრივ-პოლიტიკურ სფეროში გადაიტანეს და ომის პირობებს შეუსაბამეს. მიურიდიზმის ასეთ ტრანსფორმაციას, ჯემალ-ედინისაგან განსხვავებით, მხარს უჭერდა მუჰამედი.

მიურიდიზმი რელიგიურ-პოლიტიკური მოძღვრება იყო. იგი თავის მიმდევრებს — მიურიდებს — მოუწოდებდა სულიერი სრულყოფისაკენ. მიურიდიზმისათვის დამახასიათებელი იყო ფანატიზმი — იდეისათვის თავგანწირვა.

მიურიდიზმი აცხადებდა ჰაზავათს (ჯიჰადს) — საღვთო ომს „ურწმუნოთა" წინააღმდეგ. საღვთო ომი უნდა გაგრძელებულიყო „ურწმუნოთა" სრულ განადგურებამდე, ან მათ გამუსლიმებამდე. ჰაზავათი იქცა ძლიერ იდეოლოგიურ იარაღად რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ.

1828 წელს დაღესტნის მუსლიმთა სულიერმა მოძღვარმა მუჰამედმა დაღესტნისა და ჩეჩნეთის პირველ იმამად (პოლიტიკურ და რელიგიურ წინამძღოლად) ყაზი-მოლა (1828-1832) გამოაცხადა. 1828 წელს ყაზი-მოლამ დაღესტნის შიდა რაიონებში ილაშქრა. იმავე წელს იგი მდინარე სუნჯას გასწვრივ აგებულ გამაგრებულ ხაზს დაესხა თავს, რათა ხელთ ეგდო სიმაგრე ვნეზაპნაია. 1829 წელს ავარიაში (ხუნძახში) ყაზი-მოლას ლაშქრობა მარცხით დამთავრდა. ყაზი-მოლა რუსებთან ბრძოლის პარალელურად ცდილობდა ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში ერთიანი სახელმწიფოს — იმამატის — შექმნას. თავის მხრივ რუსები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ყაზი-მოლასათვის დაეპირისპირებინათ ჩეჩნეთის, დაღესტნისა და ავარიის ხელისუფალნი.

შამილი

1830 წლიდან იმამმა ყაზი-მოლამ რუსეთის წინააღმდეგ **საღვთო ომი (ჯიჰადი)** გამოაცხადა. ნიკოლოზ I-მა გადაწყვიტა ჩანასახშივე გაენადგურებინა ეს მოძრაობა. ამ მიზანს ემსახურებოდა **ალექსი ერმოლოვის** შემდგომ, კავკასიის მთავარმართველად დანიშნული გენერლის **ივანე პასკევიჩის** მოღვაწეობა. 1830 წელს ივანე პასკევიჩმა პროკლამაციით მიმართა „დაღესტნისა და კავკასიის მთების" მოსახლეობას. მთავარმართველი იმამ ყაზი-მოლას ბრალს სდებდა მშვიდობის დარღვევაში და ომს უცხადებდა მას. ასე დაიწყო კავკასიის ომი, რომელიც 1864 წლამდე გაგრძელდა.

იმამატის წინააღმდეგ ბრძოლას პირადად **ნიკოლოზ I** ხელმძღვანელობდა. ხოლო კავკასიაში განლაგებული ჯარების (კავკასიის კორპუსის) რაოდენობის განსაზღვრა, ჯარების შეიარაღება, მომარაგება, სამხედრო მინისტრის გენერალ **ალექსანდრე ჩერნიშევის** განკარგულებით ხდებოდა. იმამატის წინააღმდეგ ბრძოლას პრაქტიკულად ხელმძღვანელობდნენ კავკასიის მთავარმართველები (1844 წლიდან მეფისნაცვლები). ომის პერიოდში კავკასიაში განლაგებული რუსეთის ჯარების რაოდენობა 60 ათასი კაციდან 100 ათას კაცამდე მერყეობდა. არტილერიის რაოდენობა 120 ქვემეხიდან 1000 ქვემეხამდე გაიზარდა.

1830 წელს, ომის დაწყებისთანავე, **ივანე პასკევიჩმა** ალყა შემოარტყა გიმრს — ყაზი-მოლას მთავარ საყრდენ პუნქტს. მაგრამ დაღესტანში, ჩეჩნეთში, ჭარ-ბელაქანში რუსების წინააღმდეგ დაწყებულმა აჯანყებებმა დამპყრობლებს ყაზი-მოლას წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელების საშუალება არ მისცა. 1831 წელს ყაზი-მოლა თავს დაესხა **ყიზლარს** და დიდი ზიანი მიაყენა რუსებს. მიურიდიზმის მიმდევართა — მიურიდების — რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. 1832 წელს კავკასიის ახალმა მთავარმართველმა გენერალმა **გ. როზენმა** ოქტომბერში გიმრი აიღო. იმამი ყაზი-მოლა ბრძოლაში დაიღუპა, მძიმედ დაიჭრა მისი უახლოესი თანამებრძოლი **შამილი.**

ყაზი-მოლას სიკვდილმა საღვთო ომი (ჯიჰადი) ვერ შეაჩერა. მიურიდების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა.

ყაზი-მოლას სიკვდილის შემდეგ იმამად არჩეული იქნა **ჰამზათ-ბეგი (1832-1834).** ჰამზათ-ბეგმა იმამატის საზღვრების გაფართოება განიზრახა. 1834 წელს ამ მიზნით მან **ავარიის სახანოში** ილაშქრა. ლაშქრობის დროს ჰამზათ-ბეგმა ავარიის ხანის ოჯახის წევრები დახოცა. 1834 წელსვე ჰამზათ-ბეგზე შური იძიეს ავარიის ხანის ოჯახის გამო, იგი შეთქმულებმა მოკლეს.

ყაზი-მოლამ და ჰამზათ-ბეგმა საღვთო ომის (ჯიჰადის) დაწყებასა და მიურიდიზმის იდეების დანერგვასთან ერთად დაიწყეს დაღესტანსა და ჩეჩნეთში ოდითგანვე არსებული **ადათების** ნაცვლად **შარიათის** კანონების დამკვიდრება. შარიათის კანონების დამკვიდრებამ ხელი შეუწყო იმამატის განმტკიცებას.

1834 წელს დაღესტნის იმამი გახდა **შამილი (1834-1859).** ამ დროისათვის იგი უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა. შამილი ყაზი-მოლას სიკვდილის შემდეგაც გახდებოდა იმამი, მაგრამ მძიმედ დაჭრილმა განკურნებას დიდი დრო მოანდომა.

1834 წლიდან კავკასიის ომი ახალ ფაზაში შევიდა. **საღვთო ომს (ჯიჰადს) უკვე წინამძღოლის ნიჭით უხვად დაჯილდოებული, დიდი პატრიოტი და უმამაცესი ადამიანი შამილი ედგა სათავეში.** შამილს ფართო განათლება ჰქონდა მიღებული, იცოდა არაბული ენა, შესწავლილი ჰქონდა ფილოსოფია და სამართალი. შამილი ღრმად რელიგიური ადამიანი იყო, მტკიცედ იცავდა ისლამის ნორმებს. მას რუსებთან ბრძოლის დიდი გამოცდილება გააჩნდა. შემთხვევითი არ არის, რომ შამილის შესახებ ბევრი ლეგენდა შეიქმნა.

შამილმა იდეოლოგიურ და პოლიტიკური თვალსაზრისით ყაზი-მოლას დაწყებული საქმე გააგრძელა. იგი ყველაფერს აკეთებდა იმამის ხელისუფლების გასაძლიერებლად. შამილმა შეძლო ძლიერი თეოკრატიული სახელმწიფოს შექმნა.

იმამატის ტერიტორია მოიცავდა **ჩეჩნეთის სამხრეთსა და დაღესტნის ჩრდილო ნაწილს.** იმამატი დაყოფილი იყო **ოლქებად,** რომელთა სათავეში ნაიბები იდგნენ. იმამატის ცენტრალური სამხედრო-ადმინისტრაციული აპარატი დაახლოებით 400 **მიურიდისაგან** შედგებოდა. ესენი იყვნენ შამილის უერთგულესი და ამავე დროს უმამაცესი ადამიანები. შამილის დაქვემდებარებაში მყოფი შეიარაღებული ძალა 10 ათასიდან 20 ათასამდე კაცს ითვლიდა. შამილის რეზიდენცია დაღესტნის აულ **აბულგოში** იყო.

შამილი დაეუფლა ადმინისტრაციულ, სამხედრო და სასულიერო ხელისუფლებას. იგი იმამატს ფაქტობრივად ერთპიროვნულად განაგებდა და მხოლოდ უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაწყვეტად ეთათბირებოდა ნაიბებს.

1834 წელს შამილის პირველი შეტაკება მოხდა რუსებთან. 1834-1837 წლებში დიდი

მასშტაბის ბრძოლები არ მომხდარა. ამან შამილს საშუალება მისცა თავი მოეყარა სერიოზული სამხედრო ძალისათვის.

შამილი ხედავდა, რომ მხოლოდ იმამატის ძალებით რუსეთს ვერ გაუმკლავდებოდა, საჭირო იყო მოკავშირეების შეძენა. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, იგი თურქეთის სულთნის ერთგულების დეკლარირებასაც ახდენდა, იმავდროულად დახმარებას სთხოვდა ინგლისის მთავრობას. რეალური დახმარება შამილმა ვერც თურქეთიდან და ვერც ინგლისიდან ვერ მიიღო.

1837 წელს ნიკოლოზ I-მა კავკასიაში იმოგზაურა. იმპერატორმა დიდი უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ შამილის წინააღმდეგ ბრძოლას შედეგი არ ჰქონდა. ამის შემდეგ კავკასიის მთავარმართველმა საბრძოლო მოქმედებები გააქტიურა. 1839 წელს დიდი მსხვერპლის ფასად რუსეთის ჯარმა აული **ახულგო** აიღო. დაჭრილი შამილი მიურიდების რაზმთან ერთად ჩეჩნეთში გადავიდა.

XIX საუკუნის 40-იანი წლები შამილის დიდი წარმატებების პერიოდია. მან რამდენჯერმე სასტიკად დაამარცხა რუსეთის ჯარები, დროებით ხელში ჩაიგდო შავი ზღვის სანაპიროს გამაგრებული ხაზის ერთი მონაკვეთი, დაიკავა **ავარია** და კვლავ აღადგინა თავისი ხელისუფლება **დაღესტანში**. 1842 წელს იჩქერიის ტყეში შამილმა გაანადგურა რუსთა დიდი რაზმი. 1845 წელს კავკასიის მეფისნაცვალი **მიხეილ ვორონცოვი** აულ **დარგოს** რაიონში პირადად ხელმძღვანელობდა დამსჯელ ექსპედიციას. რუსებმა დიდი ზარალი ნახეს და უკან დაიხიეს. ამ წარმატების შემდეგ, 1846 წელს, შამილი **ოსეთსა** და **ყაბარდოში** შეიჭრა, აპირებდა **ჩერქეზეთზეც** გაევრცელებინა თავისი ძალაუფლება. გარკვეული წარმატებების მიუხედავად, იმამატის საზღვრებში ოსეთის, ყაბარდოსა და ჩერქეზეთის მოქცევა შამილმა ველარ შეძლო.

1846 წლიდან მიხეილ ვორონცოვმა ცალკეული დამსჯელი ექსპედიციების გაგზავნის ტაქტიკაზე ხელი აიღო და ჩრდილო კავკასიის რაიონების თანმიმდევრობით დაკავებას შეუდგა. იმამატის საზღვრების გარშემო რკალი თანდათან ვიწროვდებოდა. შექმნილ მძიმე ვითარებაში ავარიის ნაიბმა **ჰაჯი-მურატმა** შამილს უღალატა. კიდევ რამდენიმე ნაიბმა რუსებთან საიდუმლო მოლაპარაკებები გამართა. 1853 წლისათვის რუსებმა შამილის რაზმებს მთიანი დაღესტნის ტერიტორია დაატოვებინეს. ყირიმის ომის დროს (1853-1856 წწ.) შამილის ძალები იმდენად დასუსტებული იყო, რომ 1854 წელს მან მხოლოდ კახეთის რამდენიმე რაიონის დარბევა შეძლო.

ყირიმის ომის შემდეგ შამილის მდგომარეობა უიმედო გახდა. ახალმა მეფისნაცვალმა გენერალმა **ალექსანდრე ბარიატინსკიმ** ჩრდილო კავკასიის დაპყრობის მიზნით ენერგიული მოქმედება დაიწყო. ჩეჩნეთში აულ **ვედენოსათვის** გამართული სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ შამილის რაზმებმა ჩეჩნეთი დატოვეს და ისევ დაღესტანში დაბრუნდნენ. შამილი აულ ღუნიბში გამაგრდა. 1859 წლის აგვისტოში სასტიკი ბრძოლების შემდეგ რუსეთის ჯარმა **ღუნიბი** აიღო. შამილი ტყვედ იქნა აყვანილი. იმამატმა არსებობა შეწყვიტა.

შამილის დამარცხებამ ძირფესვიანად შეცვალა ვითარება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაშიც. **მუჰამედ-ემინმა**, რომელიც 1848 წლიდან შამილის დავალებით სათავეში ედგა ჩერქეზების ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ, 1859 წლის ნოემბერში თავი დამარცხებულად ცნო და რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცა. 1863-1864 წლებში რუსეთის ჯარმა მთელი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ტერიტორია დაიკავა. 1864 წლის მაისში რუსებმა ბრძოლებით დაიკავეს ჩერქეზთა ერთ-ერთი ტომის **უბიხების** სიმაგრე **კბადუ**. კავკასიის დაპყრობისათვის წარმოებული ომები დამთავრდა.

ამრიგად, 1801 წლიდან 1864 წლამდე რუსეთის იმპერიამ მთელი კავკასია დაიპყრო.

თავი XI. იდეური მიმდინარეობანი რუსეთში XIX საუკუნის მეორე მეოთხედში

დეკაბრისტების აჯანყებამ და სასამართლო პროცესმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მოაზროვნე რუსეთზე. რუსული არისტოკრატია, უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოხელეები, თვით იმპერატორი აშკარად განიცდიდნენ რუსეთის ისტორიაში ამ არნახული მოვლენის ზეგავლენას.

1. რუსეთის საზოგადოება დეკაბრისტების აჯანყების შემდეგ. რუსეთის საზოგადოება დეკაბრისტების აჯანყების შემდეგ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. **ალექსანდრე გერცენი** წერდა: „განვითარება შეწყდა, ყოველივე მოწინავე ენერგიულად ამოიკვეთა ცხოვრებიდან". მოაზროვნე ადამიანების დიდ ნაწილს პესიმიზმი დაეუფლა. ამის დამადასტურებელი იყო **პეტრე ჩაადაევის** „ფილოსოფიური წერილები", რომელიც 1829-1831 წლებში იწერებოდა. რუსეთის არმიის ოფიცერი პეტრე ჩაადაევი ალექსანდრე პუშკინისა და ალექსანდრე გრიბოედოვის მეგობარი იყო. იგი 1819 წელს დეკაბრისტთა ორგანიზაციაშიც კი შეედა, მაგრამ იქ დიდხანს არ დარჩენილა. 1821 წელს პ. ჩაადაევმა არმიაში სამსახურს თავი დაანება და ევროპის ქვეყნებში მოგზაურობას მიჰყო ხელი. თავისი „ფილოსოფიური წერილები" მან 1836 წელს გამოაქვეყნა. ეს იყო რუსეთის წარსულის, აწმყოსა და მომავლის გააზრების ცდა. პეტრე ჩაადაევის აზრით, რუსეთისათვის მთელი ისტორიული პროცესი უნაყოფო გამოდგა, **რუსებმა კაცობრიობას ვერაფერი მისცეს და ვერც თავად ვერაფერი შეიძინეს კაცობრიობისაგან, თავად ვერაფერი შექმნეს და სხვის მიერ შექმნილისაგან გადმოიღეს მხოლოდ გარეგნული მხარე და უაზრო ფუფუნება.** პეტრე ჩაადაევი შეეცადა აეხსნა რუსეთის ჩამორჩენის მიზეზები. იგი მიიჩნევდა, რომ რუსეთის ასეთი მდგომარეობა განაპირობა იმან, რომ აღმოსავლეთიდან მომავალი ველური ურდოები დასავლეთ ევროპაში შეღწევამდე რუსეთის ტერიტორიაზე გაივლიდნენ და დამღუპველ გავლენას ახდენდნენ ქვეყანაზე. პ. ჩაადაევს სწამდა, რომ ქვეყნის ყველა უბედურების მიზეზი ის იყო, რომ რუსეთი ვერ მიემხრო ვერც დასავლეთს, ვერც აღმოსავლეთს, რის გამოც მას არ გააჩნდა დიდი ტრადიციები და ძლიერი რელიგიური საფუძველი.

ნიკოლოზ I აღაშფოთა პეტრე ჩაადაევის „ფილოსოფიურმა წერილებმა". გარკვეული მოსაზრებით, იმპერატორმა არ ისურვა პ. ჩაადაევის დასჯა. „ფილოსოფიური წერილების" ავტორი შეშლილად გამოცხადდა. მოგვიანებით (1837 წ.) პეტრე ჩაადაევმა დაწერა „შეშლილის აპოლოგია", რომელშიც აღიარა თავისი შეხედულებების ცალმხრივობა და ტენდენციურობა.

დეკაბრისტების აჯანყების შემდგომ პერიოდში (XIX საუკუნის 30-იან წლებში) პესიმისტურ განწყობილებასთან ერთად რუსეთის საზოგადოებაში შეინიშნება გარკვეული გამოცოცხლება. ეს გამოიხატა საიდუმლო წრეებისა და ორგანიზაციების შექმნაში, ხელისუფლების საწინააღმდეგო ლიტერატურული და პუბლიცისტური ნაწარმოებების გავრცელებაში. 1827 წელს მოსკოვის უნივერსიტეტში აღმოჩენილ იქნა ძმების **პეტრე, მიხეილ** და **ვასილი კრიტსკების** საიდუმლო წრე. 1831 წელს პროკურორმა გასცა მოსკოვში შექმნილი **ნიკოლოზ სუნგუროვის** წრე, რომელშიც ოცდაექვსი კაცი იყო გაერთიანებული. 1830 წელს მოსკოვის უნივერსიტეტში საიდუმლო წრე ჩამოაყალიბა **ბესარიონ ბელინსკიმ.** 1834 წელს

ნიკოლოზ ოგარიოვი

მოსკოვში პოლიციამ მიაგნო საიდუმლო წრის კვალს, რომლის დამაარსებლები იყვნენ **ალექსანდრე გერცენი** და **ნიკოლოზ ოგარიოვი**. XIX საუკუნის 30-იან წლებში საიდუმლო წრეები შეიქმნა ვლადიმირში, კურსკსა და სხვა ქალაქებში.

რუსეთის ისტორიაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა **ნიკოლოზ სტანკევიჩის** ლიტერატურულ-ფილოსოფიურმა წრემ, რომელიც 1831-1837 წლებში მოქმედებდა. ამ წრის წევრები იყვნენ ცნობილი ადამიანები: **მიხეილ ბაკუნინი, ბესარიონ ბელინსკი, იური სამარინი, ტიმოთე გრანოვსკი, კონსტანტინე აქსაკოვი** და სხვები. წრის მიზანს შეადგენდა ჰუმანიზმის იდეების პროპაგანდა.

XIX საუკუნის 30-40-იანი წლების მიჯნაზე რუსეთში აშკარად გამოიკვეთა სამი იდეური მიმდინარეობა: **ოფიციალური, ლიბერალურ-ოპოზიციური** და **მემარცხენე-რადიკალური**.

2. „ოფიციალური ხალხურობის“ თეორია. „ოფიციალური ხალხურობის“ თეორიის პრინციპები 1832 წელს ჩამოაყალიბა ნიკოლოზ I-ის ერთ-ერთმა ფავორიტმა, სახალხო განათლების მინისტრმა **სერგეი უვაროვმა**. ეს პრინციპები იყო: **მართლმადიდებლობა, თვითმპყრობელობა, ხალხურობა**. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამი პრინციპიდან ორი (მართლმადიდებლობა და თვითმპყრობელობა) ჯერ კიდევ 1826 წელს ნიკოლოზ I-ის კორონაციასთან დაკავშირებით გამოცემულ მანიფესტში ფიგურირებდა. სერგეი უვაროვმა ამ ორ პრინციპს, მესამე – ხალხურობა მიუმატა.

მიხეილ ბუტაშევიჩ-პეტრაშევსკი

„ოფიციალური ხალხურობის“ თეორიის მიზანი იყო დაემტკიცებინა თვითმპყრობელურ-მონარქიული წყობილების **მუდმივობა** და **კანონიერება**. „ოფიციალური ხალხურობის“ თეორიის დასაბუთება და პროპაგანდა დაიწყეს ცნობილმა ისტორიკოსებმა, მწერლებმა და პუბლიცისტებმა. თვალსაჩინო ისტორიკოსი **მიხეილ პოგოდინი** წერდა, რომ რუსეთს განვითარების თავისი, განსაკუთრებული გზა აქვს. რუსები განსხვავდებიან დასავლეთ ევროპის ხალხებისაგან თვითმყოფადობით. ნ. პოგოდინის აზრით, „დასავლეთ ევროპაში სახელმწიფოებრიობა ჩამოყალიბდა დაპყრობების შედეგად, რამაც განსაზღვრა მთელი ისტორია – დაბალი და მაღალი წოდებების ბრძოლა“. მ. პოგოდინს მიაჩნდა, რომ რუსეთში სახელმწიფოებრიობა დაპყრობის გზით არ ჩამოყალიბებულა. რუსეთში ხელისუფლების განსაკუთრებული ფორმა (ტიპი) არსებობდა, რაც „მეფისა და ხალხის ერთიანობაში, ხალხის კეთილდღეობაზე ხელისუფლების ზრუნვაში“ გამოიხატებოდა. პროფესორი **სტეფანე შევირიოვი** წერდა, რომ რუსეთი სამი ძველთაძველი გრძნობით არის ძლიერი: 1) რელიგიური გრძნობა; 2) ერთიანობის გრძნობა; 3) ხალხურობის გრძნობა. ეს სამი გრძნობა, ს. შევირიოვის აზრით, წინ ეღობებოდა დასავლეთ ევროპიდან მომავალ ყოველგვარ „ცდუნებას“.

ფართო მასშტაბის პროპაგანდისტული ღონისძიებების მიუხედავად, „ოფიციალური ხალხურობის“ თეორია ვერ გახდა **„მეფისა და ხალხის“** შემაკავშირებელი. ბატონყმობით განპირობებული სოციალური უკმაყოფილება, რასაც ზედ დაერთო ყირიმის ომში მარცხით გამოწვეული სიძნელეები, არღვევდა ხელისუფლებისა და ხალხის „ერთიანობას“. მიუხედავად ამისა, „ოფიციალური ხალხურობის“ თეორია ალექსანდრე II-ის და ალექსანდრე III-ის მეფობის დროსაც ძალაში იყო.

3. სლავოფილები და მედასავლეთენი. სლავოფილები ლიბერალურად განწყობილი თავადაზნაურული ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ. სლავოფილებს სჯეროდათ რუსი ხალხის ეროვნული თვითმყოფადობისა,

რუსეთისათვის განვითარების დასავლეთევროპული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული გზის მიუღებლობისა. ისინი იცავდნენ **თვითმპყრობელობას, მართლმადიდებლობას** და **პატრიარქალურ ურთიერთობებს**. ამით სლავოფილები ახლოს იდგნენ „ოფიციალური ნაციონალიზმის" იდეოლოგიასთან, თუმცა თავისთავად სლავოფილობა ოპოზიციურ იდეოლოგიას წარმოადგენდა. სლავოფილები მხარს უჭერდნენ ბატონყმობის გაუქმებას, სასამართლო და ადმინისტრაციულ რეფორმებს. ისინი ძალზე უარყოფით შეფასებას აძლევდნენ ნიკოლოზ I-ის მოღვაწეობას, იმდროინდელ სახელმწიფო სისტემას დესპოტურს უწოდებდნენ, ხოლო პირადად ნიკოლოზ I-ს — „დესპოტს", „ჩამხშობსა" და „ფელდფებელს".

სლავოფილობა, როგორც იდეოლოგია, 1839 წლიდან მოეკლინა რუსეთის საზოგადოებას. ამ წელს **ალექსი ხომიაკოვმა** და **ივანე კირეევსკიმ** გამოაქვეყნეს თავისი პირველი პუბლიცისტური წერილები. წერილებში ჩამოყალიბებული იყო სლავოფილების დოქტრინა. 1845 წელს ჟურნალი „მოსკვიტიანინი", რომლის რედაქტორი ცნობილი ისტორიკოსი **მიხეილ პოგოდინი** იყო, იწყებს სლავოფილთა წერილების გამოქვეყნებას. თვით სლავოფილებს ხელისუფლებამ საკუთარი ჟურნალის გამოცემის უფლება არ მისცა.

1839-1845 წლებში ყალიბდება სლავოფილთა წრე. წრეში ბევრი ნიჭიერი და უაღრესად განათლებული ადამიანი იყო. წრის სულისჩამდგმელი იყო **ალექსი ხომიაკოვი**, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული და იშვიათი ერუდიციის მქონე ადამიანი, ბრწყინვალე პოლემისტი. წრის წევრთა შორის გამოირჩეოდნენ ძმები **ივანე** და **პეტრე კირეევსკები**, ძმები **კონსტანტინე** და **ივანე აქსაკოვები**, **იური სამარინი** და სხვები.

სლავოფილობის უმთავრესი იდეა **რუსეთის თვითმყოფადობის** აღიარებაში გამოიხატებოდა. მათი აზრით, რუსეთმა დასავლეთ ევროპისაგან სრულიად განსხვავებული გზა გაიარა და ეს გზა მომავალშიც უცვლელი უნდა დარჩენილიყო. **რუსეთში უნდა შენარჩუნებულიყო გლეხური თემი და მართლმადიდებლური ეკლესია**. სლავოფილთა ღრმა რწმენით, გლეხური თემის პრინციპები (სათემო საკუთრება მიწაზე, ტირანული ხელისუფლების არარსებობა, სათემო საქმეების დემოკრატიული გზით გადაწყვეტა და სხვ.) შეიძლებოდა **სახელმწიფო ხელისუფლების** ჩამოყალიბების პრინციპებად ქცეულიყო.

ტარას შევჩენკო

სლავოფილთა აზრით, რუსმა ხალხმა ჯერ კიდევ IX საუკუნეში „ნებაყოფლობით" ცნო მთავრის ხელისუფლება (იგულისხმება რიურიკის მოწვევა მთავრად), ამიტომ **სოციალურ და კლასობრივ კატაკლიზმებს, რაც დამახასიათებელი იყო დასავლეთ ევროპისათვის, რუსეთში ადგილი არ ჰქონია**. რუსი ხალხი პოლიტიკის მიმართ ყოველთვის გულგრილი იყო და მშვიდად ცხოვრობდა თავის სამყაროში — გლეხურ თემში. მას არასოდეს ჰქონია პრეტენზია პოლიტიკურ უფლებებსა და სახელმწიფო ხელისუფლებაზე. თავისთავად ცენტრალური ხელისუფლებაც არ ერეოდა გლეხური თემის საქმეებში და მხოლოდ დაწესებული გადასახადების აკრეფით იფარგლებოდა. სლავოფილებმა წამოაყენეს თეზისი: **„ძალაუფლების პყრობის უფლება — მეფეს, აზრის ქონების უფლება — ხალხს"**. ეს იმას ნიშნავდა, რომ თავისი ხასიათით „არასახელმწიფოებრივი" რუსი ხალხი არ უნდა ჩარეულიყო პოლიტიკაში და მონარქისათვის დაეთმო მთელი ძალაუფლება, ხოლო მონარქს უნდა გაეთვალისწინებინა ხალხის აზრი. აქედან მომდინარეობდა სლავოფილთა მოთხოვნა **საერობო კრების** მოწვევის შესახებ, რომელიც მონარქს საშუალებას მისცემდა გაეგო ხალხის აზრი.

სლავოფილები შეურაცხყოფად მიიჩნევდნენ იმას, რომ მათ ბრალს სდებდნენ რუსეთის უკ-

ან, საუკუნეთა სიღრმეში დაბრუნების მცდელობაში. სლავოფილები აღიარებდნენ, რომ აუცილებელი იყო რუსეთის წინსვლა, მაგრამ არა პეტრე I-ის გზით, ანუ დასავლეთევროპული წყობილებისა და წეს-ჩვეულების დამკვიდრების გზით, არამედ საკუთრივ რუსული, თვითმყოფადი გზით. სლავოფილები პეტრე I-ს ბრალს სდებდნენ იმაში, რომ მან რუსულ ღირებულებებთან შედარებით, უპირატესობა დასავლეთევროპულ ღირებულებებს მიანიჭა. რაც იმით დამთავრდა, რომ რუსეთმა გადაუხვია განვითარების საკუთარ გზას. ამავე დროს სლავოფილები აღნიშნავდნენ, რომ რუსეთის ევროპეიზაცია მხოლოდ საზოგადოების ზედა ფენას შეეხო, რუსი ხალხი კი დარჩა თვითმყოფად სამყაროში.

XIX საუკუნის 30-40-იანი წლების მიჯნაზე აღმოცენდა თავადაზნაურული ინტელიგენციის იდეური მიმდინარეობა — **მედასავლეთენი.** მედასავლეთენი იდეურ მიმდინარეობად სლავოფილებთან ბრძოლაში ჩამოყალიბდნენ 1841-1842 წლებში. მათ რიგებს მიეკუთვნებოდნენ: **პავლე ანენკოვი, ვასილი ბოტკინი, ბესარიონ ბელინსკი, ალექსანდრე გერცენი, ნიკოლოზ ოგარიოვი,** მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორები — **ტიმოთე გრანოვსკი, სერგეი სოლოვიოვი,** ცნობილი რუსი მწერლები — **ივანე ტურგენევი, ივანე გონჩაროვი, ნოკოლოზ ნეკრასოვი** და სხვები.

ალექსანდრე გერცენი

მედასავლეთენი აბსტრაქტებდნენ, რომ მართალია, რუსეთმა დაიგვიანა, მაგრამ იგი მაინც დაადგა განვითარების დასავლეთევროპულ გზას. ისინი წინააღმდეგნი იყვნენ მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლებისა და მხარს უჭერდნენ **კონსტიტუციურ მონარქიას,** რომლის დროსაც გარანტირებული იქნებოდა პიროვნების ხელშეუხებლობა, სიტყვისა და პრესის თავისუფლება და ა.შ. მედასავლეთენი აუცილებლად მიიჩნევდნენ ბატონყმობის გაუქმებას, უარყოფითად აფასებდნენ ნიკოლოზ I-ის მოღვაწეობას.

მედასავლეთენი აღმერიცხავდნენ პეტრე I-ს, რომლის რეფორმებითაც დაიწყო რუსეთის განახლება. მათი აზრით, **რუსეთში უნდა დაწყებულიყო რეფორმების მეორე ეტაპი, რომელიც** რუსეთს თავიდან აცილებდა იმ **სოციალურ კატაკლიზმებს (რევოლუციებს), რომელსაც ვერ გადაურჩა დასავლეთ ევროპა.**

მედასავლეთენი რუსეთის განახლების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სახელმწიფო ხელისუფლებას, როგორც ყოველგვარი პროგრესულის შემოქმედს.

4. რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობა. სლავოფილები და მედასავლეთენი **რუსულ ნიადაგზე** აღმოცენებულ იდეურ მიმდინარეობების განსახიერებას წარმოადგენდნენ. XIX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოდან რუსეთში გავრცელებას იწყებს **სოციალისტური იდეოლოგიის** სხვადასხვა ფრთა. სოციალისტური იდეოლოგიის საფუძველზე ყალიბდება **რადიკალურ-დემოკრატიული** მიმდინარეობა. რადიკალურ-დემოკრატიულ მიმდინარეობას განეკუთვნებოდა **პეტრაშევსკელთა წრე (1845-1849 წწ.).** წრის დამაარსებელი იყო **მიხეილ ბუტაშევიჩ-პეტრაშევსკი.** წრის აქტიური წევრები **იყვნენ დიმიტრი ახშარუმოვი, ნიკოლოზ სპეშნიოვი, ნიკოლოზ კაშკინი** და სხვები. წრის მუშაობაში მონაწილეობდნენ ცნობილი რუსი მწერლები **მიხეილ სალტიკოვ-შჩედრინი, თეოდორე დოსტოევსკი,** კომპოზიტორი **მიხეილ გლინკა.** პეტრაშევსკელთა წრის სხდომებს ზოგჯერ ესწრებოდნენ **ლევ ტოლსტოი** და **ბესარიონ ბელინსკი.**

თავდაპირველად პეტრაშევსკელთა წრეს **ლიტერატურულ-საგანმანათლებლო** მიმართულება ჰქონდა. 1846-1847 წლების მიჯნაზე

წრემ მიმართულება შეიცვალა და მწვავე პოლიტიკური საკითხების განხილვას შეუდგა. ამის გამო ლიბერალურად განწყობილი წევრები წრის მუშაობაში აღარ მონაწილეობდნენ. სამაგიეროდ, პეტრაშევსკელთა წრე ახალი წევრებით შეივსო (იპოლიტ დებუ, ალექსანდრე პალმი, ფელიქს-ემანუილ ტოლი, ივანე იასტრჟემბსკი და სხვ.).

პეტრაშევსკელთა წრის პროგრამა ითვალისწინებდა რესპუბლიკური წყობილების დამყარებას, ერთპალატიანი პარლამენტის შემოღებას და ყველა სამთავრობო ორგანოს არჩევითობას, ასევე დემოკრატიული უფლებების დაკანონებას.

1848-1849 წლების მიჯნაზე პეტრაშევსკელებმა რევოლუციის განხორციელებაზე დაწყეს მსჯელობა, ხოლო 1849 წლის გაზაფხულზე საიდუმლო ორგანიზაციის შექმნისა და შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებას შეუდგნენ.

1849 წლის აპრილში პეტრაშევსკელთა წრის წევრები დააპატიმრეს. სულ პასუხისგებაში მისცეს 122 კაცი. სამხედრო სასამართლომ 21 მათგანს (მათ შორის თევდორე დოსტოევსკის) დახვრეტა მიუსაჯა. ნიკოლოზ I-მა თავი შეიკავა სიკვდილით დასჯის განაჩენის დამტკიცებისაგან. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ გადაწყვიტა მოეწყო სიკვდილით დასჯის ინსცენირება. მსჯავრდებულები მოედანზე გაიყვანეს, სიკვდილით დასჯის განაჩენი წაუკითხეს, თავზე ტომრები ჩამოაცვეს, ჯარისკაცებს სროლისათვის მომზადება და დასასჯელთა მიზანში ამოღება უბრძანეს. გავიდა რამდენიმე წუთი და მხოლოდ ამის შემდეგ გააცნეს სიკვდილმისჯილებს იმპერატორის შეწყალება. მიხეილ ბუტაშევიჩ-პეტრაშევსკის, თევდორე დოსტოევსკის და წრის სხვა ხელმძღვანელებს ციმბირის კატორღა მიუსაჯეს, დანარჩენები პატიმართა ასეულებში სამსახურის მოსახდელად გაგზავნეს.

5. კირილესა და მეთოდეს საზოგადოება. 1845-1846 წლების მიჯნაზე უკრაინაში (კიევში) შეიქმნა ფარული ორგანიზაცია „**კირილესა და მეთოდეს საზოგადოება (ძმობა)**". მისი დამაარსებლები იყვნენ კიევის უნივერსიტეტის პროფესორი **ნიკოლოზ კოსტომაროვი**, სტუდენტი **ვასილი ბელოზერსკი** და **ნიკოლოზ გულაკი**. მალე საზოგადოებაში შევიდა დიდი უკრაინელი მწერალი **ტარას შევჩენკო**. „კირილესა და მეთოდეს საზოგადოება" მიზნად ისახავდა ბატონყმობის მოსპობას, წოდებათა თანასწორობის დამყარებას, სლავთა სოციალურ და ეროვნულ გათავისუფლებას და სლავი ხალხების ფედერაციის შექმნას. 1847 წელს საზოგადოების წევრები დააპატიმრეს. ყველაზე მკაცრად დაისაჯა ტარას შევჩენკო. მისი დანაშაული არა იმდენად ფარული საზოგადოების წევრობა იყო, არამედ ის, რომ ტარას შევჩენკო ლექსებს უკრაინულ ენაზე წერდა და არა რუსულად. ნიკოლოზ I-ის ბრძანებით, ტარას შევჩენკო ორენბურგში გაგზავნეს ჯარისკაცად.

6. ალექსანდრე გერცენის „რუსული სოციალიზმი". XIX საუკუნის 40-50-იანი წლების მიჯნაზე შეიქმნა „**რუსული სოციალიზმის**" თეორია, რომლის ფუძემდებელი **ალექსანდრე გერცენი** იყო.

ალექსანდრე გერცენი ევროპული სოციალიზმის მიმდევარი იყო. 1848-1849 წლების რევოლუციის დამარცხებამ მას ევროპული სოციალიზმის რწმენა დაუკარგა. ევროპისა და რუსეთის ისტორიული განვითარების პროცესების დაპირისპირებისას ალექსანდრე გერცენი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ **რუსეთში შესაძლებელი იყო, სოციალიზმი დაფუძნებოდა გლეხურ თემს**. გლეხურ თემში მიწაზე კერძო საკუთრების არარსებობამ და თემურ (ანუ საზოგადო) საკუთრებაზე დამყარებულმა სამართლებრივმა ურთიერთობებმა ალექსანდრე გერცენი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ **გლეხური თემი სოციალისტური საზოგადოების უჯრედად გამოდგებოდა**. ასე შეიქმნა **რუსული (ანუ თემური) სოციალიზმის** იდეა.

ალექსანდრე გერცენი გამოხატავდა რწმენას, რომ რუსეთი გვერდს აუვლიდა კაპიტალისტურ (ბურჟუაზიულ) ურთიერთობებს და გლეხური თემის გზით პირდაპირ სოციალიზმში შევიდოდა. ამას ხელს ისიც შეუწყობდა, რომ რუსი გლეხი ბუნებით არ იყო კერძო მესაკუთრე.

ალექსანდრე გერცენის ეს უტოპიური თეორია შემდგომში რუსმა ნაროდნიკებმა გამოიყენეს.

XIX საუკუნის მეორე მეოთხედის იდეური მიმდინარეობები რუსულ სინამდვილეში აღმოცენდა. მათ შორის არსებული განსხვავებებისა და დაპირისპირებების მიუხედავად, ყოველი მათგანი რუსეთის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული წინსვლისაკენ მიილტვოდა.

თავი XII. ბატონყმობის გაუქმება

1855 წლის 19 თებერვალს რუსეთის იმპერიის ტახტზე ავიდა ნიკოლოზ I-ის უფროსი შვილი ალექსანდრე II (1855-1881). ნიკოლოზ I-მა სიკვდილის წინ ტახტის მემკვიდრეს უთხრა: „ბევრ სამუშაოსა და საზრუნველს გიტოვებ". რუსეთის იმპერია მართლაც მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ბატონყმობამ უკიდურესად დაძაბა სოციალური კითარება ქვეყანაში, ხოლო ყირიმის ომში მარცხმა თითქმის გააქარწყლა წინა ათწლეულებში საგარეო პოლიტიკაში მოპოვებული წარმატებები. ალექსანდრე II, როგორც აღვნიშნეთ, ტახტზე ავიდა 1855 წლის 19 თებერვალს, იმავე წლის 28 აგვისტოს დაეცა სევასტოპოლი, ხოლო 1856 წლის 18 მარტს ხელმოწერილ იქნა რუსეთისათვის სამარცხვინო პარიზის ზავი. ახალ იმპერატორს ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე ბევრი რთული პრობლემა ჰქონდა გადასაჭრელი. ალექსანდრე II ამისათვის მზად იყო.

ალექსანდრე II

1. **ალექსანდრე II — რეფორმატორი.** ალექსანდრეს შესანიშნავი განათლება ჰქონდა მიღებული. მან იცოდა ხუთი უცხო ენა. ტახტის მემკვიდრის აღზრდისა და განათლების საქმე ნიკოლოზ I-მა ცნობილ პოეტს ვასილი ჟუკოვსკის მიანდო. მომავალმა იმპერატორმა საფუძვლიანად შეისწავლა **ისტორია, ეკონომიკა, სტატისტიკა, ფინანსები, დიპლომატია.** სამართალმცოდნეობას მიხეილ სპერანსკი უკითხავდა. ნიკოლოზ I მიიჩნევდა, რომ ტახტის მემკვიდრეს კარგად უნდა სცოდნოდა ქვეყანაში არსებული ვითარება. 1837 წელს მომავალმა იმპერატორმა ვასილი ჟუკოვსკისთან ერთად შემოიარა რუსეთის ევროპული ნაწილის, დასავლეთ ციმბირისა და კავკასიის 29 გუბერნია. ამ მოგზაურობისას იგი საკმაოდ საფუძვლიანად გაეცნო რუსულ სინამდვილეს. მიღებული ცოდნის გაღრმავების მიზნით 1838-1839 წლებში ალექსანდრემ დასავლეთ ევროპაშიც იმოგზაურა. XIX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოდან ნიკოლოზ I-მა ტახტის მემკვიდრეს სახელმწიფო საქმეებიც ჩააბარა. ალექსანდრე გახდა **სახელმწიფო საბჭოს, სენატისა** და **სინოდის** წევრი, იმავდროულად იგი სათავეში ედგა გლეხთა საკითხის გადაწყვეტის მიზნით შექმნილ ორ საიდუმლო კომიტეტს. ალექსანდრეს სამხედრო უწყებებში დიდი თანამდებობები ეკავა: იგი დაინიშნა ჯერ ქვეითი ჯარების სარდლად, ხოლო შემდეგ გვარდიისა და გრენადერთა კორპუსების სარდლად. როცა იმპერატორი დედაქალაქში არ იმყოფებოდა სახელმწიფო საქმეებს ალექსანდრე უძღვებოდა. ამრიგად, ტახტზე ასვლის დროისათვის ალექსანდრე II-ს, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს, საკმაოდ სერიოზული გამოცდილება ჰქონდა დაგროვილი.

ალექსანდრე II დარწმუნებული იყო, რომ შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან რუსეთი მხოლოდ რეფორმების საშუალებით გამოვიდოდა. ტახტზე ასვლისთანავე იმპერატორმა ისეთი ღონისძიებები გაატარა, რომელიც აშკარად მიანიშნებდა იმაზე, რომ ალექსანდრე II ნიკოლოზ I-ის მიერ შექმნილი სისტემის უცვლელად დატოვებას არ აპირებდა. შერბილდა ცენზურა, მეტი თავისუფლება მიიღეს უნივერსიტეტებმა, მოიხსნა შეზღუდვა საზღვარგარეთ წასვლაზე, გაიცა ახალი პერიოდული გამოცემების დაარსების ნებართვა. 1856 წელს გამოცხადდა დეკაბრისტების, პეტრაშევსკელების, 1830-1831 წლების პოლონეთის აჯანყების მონაწილეების და სხვა პოლიტიკურ გადასახლებულთა ამნისტია.

რუსეთის საზოგადოების ყველა ფენა იმედის თვალით შეჰყურებდა ალექსანდრე II-ს.

ალექსანდრე II საფუძვლიანად გაეცნო სოფლად შექმნილ მდგომარეობას ჯერ კიდევ მაშინ, როცა გლეხთა საკითხის გადასაწყვეტად შექმნილი ორი საიდუმლო კომიტეტის თავმჯდომარე იყო. ტახტზე ასვლის შემდეგ ალექსანდრე II დიდი ინტერესით ეკიდებოდა იმ პროექტების შესწავლას, რომელიც ბატონყმობის გაუქმების მომხრეებმა იმპერატორს წარუდგინეს. პირველად ბატონყმობის გაუქმების შესახებ ალექსანდრე II-მ საჯაროდ ისაუბრა 1856 წლის 30 მარტს. ამ დღეს მოსკოვის თავადაზნაურთა წარმომადგენლებთან შეხვედრაზე იმპერატორმა დაუფარავად განაცხადა, რომ მას სურდა **„გლეხებისათვის თავისუფლების მიცემა“**. იქვე იმპერატორმა აღიარა, რომ ბატონყმობის გაუქმებისათვის მზადება დაუყოვნებლივ უნდა დაწყებულიყო, რადგან ამ სისტემის შენარჩუნება დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული. ალექსანდრე II თავადაზნაურობას არწმუნებდა, რომ უმჯობესი იყო ბატონყმობა გაუქმებულიყო „ზემოდან“, ვიდრე მოხდებოდა მისი გაუქმება „ქვემოდან“.

ბატონყმობის გაუქმების გადაწყვეტილების მიღება არ იყო ადვილი. იმპერატორმა კარგად იცოდა, რომ რუსეთის თავადაზნაურობის აბსოლუტური უმრავლესობა ყოველგვარი რეფორმის წინააღმდეგი იყო. **შეიძლებოდა ბატონყმობის გაუქმებას სერიოზულად დაეძაბა შინაპოლიტიკური ვითარება რუსეთში.** თავადაზნაურული ოპოზიციის დაცხრომის მიზნით ალექსანდრე II-მ ბატონყმობის გაუქმების შესახებ პროექტების შემუშავება თვითონ თავადაზნაურებს დაავალა. ეს უკანასკნელი თავისი ინტერესების დაცვის მიზნით აქტიურად ჩაებნენ საგლეხო რეფორმის მოსამზადებელ სამუშაოებში.

2. თავადაზნაურობის პროექტები ბატონყმობის გაუქმების შესახებ. ალექსანდრე II-ის რეფორმატორულ მოღვაწეობას, კერძოდ, ბატონყმობის გაუქმებას მხარს უჭერდა თავადაზნაურობის **ლიბერალური** ნაწილი. პირველ რიგში, სწორედ ლიბერალური თავადაზნაურობის წარმომადგენლებმა წარუდგინეს იმპერატორს პროექტები ბატონყმობის გაუქმების შესახებ. სულ 1856-1859 წლებში შედგა **ასზე მეტი პროექტი.** ამ პროექტების შესწავლისას გაირკვა, რომ თავადაზნაურობის აზრი სამად გაიყო.

არაშავმიწანიადაგიანი რეგიონების თავადაზნაურობის უმთავრესმა მოთხოვნებმა ასახვა პოვა ტვერის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის **ალექსი უნკოვსკის** პროექტში. ალექსი უნკოვსკიმ ალექსანდრე II-ს თავისი პროექტი 1857 წელს წარუდგინა. პროექტის მიხედვით, **გლეხს უნდა მიეღო პირადი თავისუფლება და მიწის ნაკვეთი (ნადელი), რომლითაც ის სარგებლობდა ბატონყმობის გაუქმებამდე.** მიწის საფასური მემამულისათვის უნდა გადაეხადა გლეხს, ხოლო პირადი თავისუფლების საფასური — „ყველა წოდებას“, ანუ რუსეთის მოსახლეობას. ალექსი უნკოვსკის პროექტის მსგავსი პროექტი 1859 წელს იმპერატორს წარუდგინეს **ტვერის, იაროსლავისა** და **ხარკოვის** გუბერნიების თავადაზნაურობის წინამძღოლებმა. ამ პროექტებში, გარდა საგლეხო რეფორმისა, საუბარი იყო სასამართლო, ადმინისტრაციული და სხვა რეფორმების შესახებ.

შავმიწანიადაგიანი რეგიონების თავადაზნაურობის მოთხოვნებმა ასახვა პოვა პოლტავის გუბერნიის მსხვილი მემამულის **მიხეილ პოზენის** ორ პროექტში, რომელიც მან ალექსანდრე II-ს 1856-1857 წლებში წარუდგინა. მიხეილ პოზენის პროექტის მიხედვით, **გლეხი იღებდა პირად თავისუფლებას, მაგრამ მემამულეთა საკუთრებაში უნდა დარჩენილიყო მიწის მაქსიმალურად დიდი რაოდენობა.** გლეხს იმდენი მიწა უნდა მიეღო, რომ ოჯახის გამოკვება შეძლებოდა.

სტეპის რეგიონების თავადაზნაურობის ინტერესები გამოხატული იყო ცნობილი სლავოფილის, პროფესორ **იური სამარინის** პროექტში. ამ პროექტის მიხედვით, გლეხობას პირად თავისუფლებასთან და მიწასთან ერთად უნდა მიეღო სამოქალაქო უფლებები.

სამივე პროექტს აერთიანებდა ერთი მთავარი — **მემამულური მიწათმფლობელობის შენარჩუნება.** არც ერთი პროექტი მემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციას არ ითვალისწინებდა.

3. საგლეხო რეფორმის მომზადება. საგლეხო რეფორმის მომზადება თავიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა. 1857 წელს ალექსანდრე II-მ საგლეხო რეფორმის მოსამზადებლად შექმნა **საიდუმლო კომიტეტი,** რომელმაც რეფორმის მომზადება ძალზე გააჭიანურა. ასეთ ვითარებაში ალექსანდრე II-მ გადაწყვიტა ბატონყმობის გაუქმების პროექტები ცალკეულ გუბერნიებში მომზადებულიყო, რათა უკეთ გაეთვალისწინებინათ თავადაზნაურობის აზრი. 1857-1858 წლებში რუსეთის 45 გუბერ-

ნიაში შეიქმნა სპეციალური კომიტეტები, რომელთა მიზანი იყო საგლეხო რეფორმის მომზადება. თავადაზნაურობის მომხრობის მიზნით 1858 წელს იმოგზაურა **მოსკოვის, ვლადიმირის, ტვერის, ვოლოგდის, კოსტრომის, ნიჟნი ნოვგოროდის, სმოლენსკის** და **ვილნოს** გუბერნიებში. თავადაზნაურობასთან შეხვედრების დროს იმპერატორი აცხადებდა, რომ მას გადაწყვეტილი ჰქონდა გლეხების გათავისუფლება. ალექსანდრე II მოუწოდებდა თავადაზნაურობას მხარი დაეჭირათ საგლეხო რეფორმებისათვის.

საგლეხო რეფორმების მომზადების პერიოდში (1857-1859 წწ.) სულ უფრო იზრდებოდა გლეხთა გამოსვლების რაოდენობა, რაც გარკვეულწილად აჩქარებდა ბატონყმობის გაუქმებას.

დიდი მუშაობა მიმდინარეობდა **გლეხთა საკითხის მთავარ კომიტეტში**. 1859 წელს მთავარ კომიტეტთან შეიქმნა **სარედაქციო კომისია**, რომელსაც დაევალა საგუბერნიო კომიტეტების მიერ წარდგენილი პროექტების შესწავლა და საერთო კანონპროექტის მომზადება.

БОЖІЕЮ МИЛОСТІЮ

МЫ, АЛЕКСАНДРЪ ВТОРЫЙ,

ИМПЕРАТОРЪ И САМОДЕРЖЕЦЪ

ВСЕРОССІЙСКІЙ,

ЦАРЬ ПОЛЬСКІЙ, ВЕЛИКІЙ КНЯЗЬ ФИНЛЯНДСКІЙ,

и прочая, и прочая, и прочая.

Объявляемъ всѣмъ НАШИМЪ вѣрноподданнымъ.

Божіимъ Провидѣніемъ и гонителнымъ закономъ престолонаслѣдія были призваны на прародительскій Всероссійскій Престолъ, въ соотвѣтствіе сему призванію МЫ положили въ сердцѣ СВОЕМЪ обѣтъ обновить НАШЕЮ Царскою любовію и попеченіемъ всѣхъ НАШИХЪ вѣрноподданныхъ всякаго званія и состоянія, отъ благородно вспѣвающаго мечемъ на защиту Отечества до скромно работающаго ремесленнымъ орудіемъ, отъ проповѣдующаго высшую службу Государственную до проповѣдующаго на полѣ брани сошою или плугомъ.

Вникая въ положеніе званій и состояній въ составѣ Государства, МЫ усмотрѣли, что Государственное законодательство, дѣйствуя благоустроенно высшія и среднія сословія, отъ коихъ въ обязанности, права и преимущества, не допуская равномѣрной дѣятельности въ отношеніи къ людямъ крѣпостнымъ, такъ называемымъ потому, что они, частію старыми законами, частію обычаемъ, постоянно удерживались подъ властію помѣщиковъ, за которыхъ съ тѣмъ вмѣстѣ лежитъ обязанность устроить ихъ благосостояніе. Права помѣщиковъ были доколѣ обширны и неопредѣлены съ точностію законовъ, мѣсто которыхъ заступали преданіе, обычай и добрая воля помѣщика. Въ лучшихъ случаяхъ въ сего-

ალექსანდრე II-ის 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტი

ალექსანდრე II-მ სარედაქციო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნა **გრაფი იაკობ როსტოვცევი**. აღსანიშნავია, რომ იაკობ როსტოვცევს არც მამული ჰქონდა და არც ყმა გლეხები ჰყავდა. იგი საგლეხო რეფორმის შესახებ კანონპროექტის მომზადებისას არც ერთი დაჯგუფების გავლენის ქვეშ არ მოქცეულა. იაკობ როსტოვცევმა დიდი სამუშაო შეასრულა, მაგრამ 1860 წელს იგი გარდაიცვალა. სარედაქციო კომისიის ახალი თავმჯდომარე — იუსტიციის მინისტრი **ვიქტორ პანინი** — აშკარა კონსერვატორი იყო, მაგრამ იძულებული გახდა იაკობ როსტოვცევის მიერ დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანა.

საგლეხო რეფორმის მომზადების პერიოდში გლეხთა საკითხის მთავარი კომიტეტისა და სარედაქციო კომისიის გვერდით 1858 წელს შეიქმნა კიდევ ერთი ცენტრალური ორგანო — **შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტთან** არსებული ერობის განყოფილება.

1859 წლის აგვისტოსათვის „გლეხთა შესახებ დებულების“ პროექტი უკვე მზად იყო. განხილვის პროცესში პროექტმა გარკვეული ცვლილებები განიცადა. **სარედაქციო კომისიამ** შესწორებული პროექტი 1860 წლის ოქტომბერში **გლეხთა საკითხის მთავარ კომიტეტში წარადგინა**, სადაც მისი განხილვა 1861 წლის იანვრამდე მიმდინარეობდა. 1861 წლის 28 იანვარს პროექტი **სახელმწიფო საბჭოს** გადაეცა. სახელმწიფო საბჭოს სხდომის გახსნისას ალექსანდრე II-მ განაცხადა, რომ რეფორმის „ყოველი შემდეგი შეფერხება შეიძლება დამღუპველი გახდეს სახელმწიფოსათვის“. 1861 წლის 16 თებერვალს სახელმწიფო საბჭოში დასრულდა „**ბატონყმური დამოკიდებულებიდან გამოსული გლეხების შესახებ დებულების**“ განხილვა. 1861 წლის 19 თებერვალს ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა დებულებას. იმპერატორმა ხელი მოაწერა მეორე დოკუმენტსაც — **მანიფესტს ბატონყმობის გაუქმების შესახებ**. მანიფესტისა და დებულების გამოქვეყნებას ერთი თვე მოუნდა. პეტერბურგსა და მოსკოვში მანიფესტი და დებულება 1861 წლის 5 მარტს გამოქვეყნდა, გუბერნიებში კი 2 აპრილამდე გაგრძელდა.

4. 1861 წლის 19 თებერვლის „დებულება“. 1861 წლის 19 თებერვლის „**დებულება ბატონყმური დამოკიდებულებიდან გამოსული გლეხების შესახებ**“, თავისთავად, 17 საკანონმდებლო აქტისაგან შედგებოდა. „დებულება“

ვრცელდებოდა რუსეთის 45 გუბერნიაზე (ამერკავკასიის გუბერნიები მათ რიცხვში არ შედიოდა), სადაც 100.428 მემამულე და 22.563.000 სული გლეხი ცხოვრობდა.

1861 წლის 19 თებერვლის „დებულებით", ბატონყმობის გაუქმება ერთბაშად არ მომხდარა. **გლეხთა გათავისუფლება ხანგრძლივი პროცესი იყო, რომელიც ოც წელზე მეტ ხანს გაგრძელდა**. ალექსანდრე II-ის 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტის გამოქვეყნებისთანავე ყმა გლეხებს თავისუფლება არ მიუღიათ. „დებულებაში" აღნიშნული იყო, რომ გლეხი ორი წლის მანძილზე, ე.ი. 1863 წლის 19 თებერვლამდე, ვალდებული იყო მემამულის მიმართ კვლავ შეესრულებინა ზოგიერთი მოვალეობა. უქმდებოდა მხოლოდ ყველაზე მძიმე სამუშაო.

ბატონყმობისაგან გლეხის სრული გათავისუფლება მაშინ მოხდებოდა, როცა გლეხი მემამულისაგან მიწას გამოისყიდდა. ყმა გლეხი **პირად თავისუფლებას** ალექსანდრე II-ის 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტით დაუყოვნებლივ იღებდა, მაგრამ მიწის გამოსყიდვა იყო რთული პროცესი. „დებულებაში" განსაზღვრული არ იყო ის ვადა, თუ როდის უნდა დამთავრებულიყო მიწის გამოსყიდვა. აღნიშნული იყო მხოლოდ, რომ გლეხს მიწის გამოსყიდვა შეეძლო „დებულების" გამოქვეყნებისთანავე. გამოსყიდვა ხორციელდებოდა ან მემამულისა და გლეხის შეთანხმებით, ან მხოლოდ მემამულის სურვილით. გლეხს არ შეეძლო მიწა გამოესყიდა მხოლოდ საკუთარი სურვილით, მემამულის თანხმობის გარეშე.

ალექსანდრე II-ის 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტით, როგორც აღვნიშნეთ, ყმა გლეხი პირად თავისუფლებას იღებდა დაუყოვნებლივ. ეს იყო უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენა. **ყმა გლეხი ხდებოდა მოქალაქე**. მას შეეძლო თავისი სახელით გამოსულიყო სასამართლოში, დაედო სხვადასხვა სახის ხელშეკრულება, გაეხსნა სამრეწველო საწარმო და სავაჭრო დაწესებულება, გადასულიყო სხვა სოციალურ წოდებაში და ა.შ. ყოველივე ეს გლეხს აძლევდა ფართო გასაქანს და იმის უფლებას, რომ თავისი ნიჭი და შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოეყენებინა.

ალექსანდრე II-ის 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტი ითვალისწინებდა საბატონო გლეხებით დასახლებულ სოფლებში **„გლეხთა საზოგადოებრივი მმართველობის"** შემოღებას ცხრა თვის ვადაში. „გლეხთა საზოგადოებრივი მმართველობის" პირველ საფეხურად ითვლებოდა **სასოფლო საზოგადოება (სასოფლო თემი)**, რომელიც თავის მხრივ, ერთი ან რამდენიმე სოფლისაგან შედგებოდა. სასოფლო თემს აერთიანებდა ერთი სამეურნეო პროფილი. სასოფლო თემს განაგებდა **სასოფლო (სათემო) ყრილობა**. ყრილობაზე ხმის უფლება დამოუკიდებელი გლეხური კომლის უფროსს ჰქონდა. ყრილობა სამი წლის ვადით ირჩევდა სასოფლო თემის **მამასახლისს**, მის **თანაშემწეს** და **გადასახადის ამკრეფს**. სათემო საზოგადოებას ჰყავდა თავისი მწერალი. სასოფლო თემის ყრილობა ირჩევდა წარმომადგენლებს (დელეგატებს) **ვოლოსტის ყრილობისათვის** (რამდენიმე სასოფლო თემი, რომლის მოსახლეობის საერთო რაოდენობა მამრობითი სქესის 300 გლეხიდან 2000 გლეხამდე მერყეობდა, შეადგენდა ვოლოსტს). ვოლოსტის ყრილობაზე წარსაგზავნი წარმომადგენლების რაოდენობა განისაზღვრებოდა შემდეგი პროპორციით — ყოველ ათ დამოუკიდებელ გლეხურ კომლზე ერთი წარმომადგენელი. ვოლოსტის ყრილობა განაგებდა სათემო მიწებს, სახელმწიფო გადასახადებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ვოლოსტის ყრილობას შეეძლო თემიდან მისი წევრის გარიცხვა. ვოლოსტის ყრილობის გადაწყვეტილებას სასამართლო ძალა ჰქონდა. ყრილობა სამი წლის ვადით ირჩევდა **ვოლოსტის მამასახლისს** და მის **თანაშემწეებს**, ასევე — **ვოლოსტის სასამართლოს**. ვოლოსტის მმართველობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა **ვოლოსტის მწერალი**.

სათემო და ვოლოსტის მმართველობაში ადმინისტრაციულ-სამეურნეო ფუნქცია **მამასახლისს** ჰქონდა დაკისრებული. თემისა და ვოლოსტის მამასახლისები უსიტყვოდ უნდა დამორჩილებულიყვნენ სასამართლოს გამომძიებელსა და პოლიციას.

ვოლოსტის სასამართლო განიხილავდა გლეხთა ქონებრივ დავას, თუ დავის საგნის ღირებულება 100 მანეთს არ აღემატებოდა. სასამართლოს შეეძლო მცირე სასჯელების დადებაც (ექვს დღემდე იძულებითი შრომა, სამ მანეთამდე ფულადი ჯარიმა, შვიდ დღემდე საპატიმროში ჩასმა, გაროზგვა).

საგლეხო რეფორმის ცხოვრებაში გატარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1861 წელს შემოღებული **მომრიგებელი შუამავლების** ინსტიტუტს. მომრიგებელ შუამავალს ჰქონდა მნიშვნელოვანი ფუნქცია: მემამულესა და გლეხს

შორის ხელშეკრულების მომზადება, ხელშეკრულების შემოწმება და დადასტურება, მემამულესა და გლეხს შორის წარმოშობილი დავის განხილვა, თემისა და ვოლოსტის მამასახლისის თანამდებობაზე დამტკიცება, თემისა და ვოლოსტის მმართველობაზე კონტროლი და სხვ. მომრიგებელ შუამავლებს საგლეხო რეფორმის გატარების პროცესში უნდა დაეცვათ სახელმწიფოს ინტერესები და უზრუნველეყოთ 1861 წლის 19 თებერვლის „დებულების" ცხოვრებაში განუხრელად გატარება.

საგლეხო რეფორმის გატარების პროცესში ცენტრალური ადგილი ეკავა **მიწის საკითხს**. „დებულების" მიხედვით, მემამულის პირად საკუთრებად ცხადდებოდა მთელი მიწა (საკუთრივ მამულიცა და გლეხთა ნადელებიც), გლეხს მხოლოდ სანადელო მიწით სარგებლობის უფლება ჰქონდა. **ნადელი ანუ მიწის ის ნაკვეთი, რომლითაც გლეხი ბატონყმობის გაუქმებამდე სარგებლობდა, გლეხის პირადი საკუთრება გახდებოდა მემამულისაგან მისი გამოსყიდვის შემდეგ.**

გლეხისათვის პირად საკუთრებაში გადასაცემი ნადელის რაოდენობა განისაზღვრებოდა ადგილობრივი ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით. ამის გამო ევროპული რუსეთის მთელი ტერიტორია სამ სარტყლად გაიყო: **შავმიწანიადაგიანი, არაშავმიწანიადაგიანი** და **სტეპის**. ყოველი სარტყელი თავისთავად იყოფოდა ერთმანეთისაგან განსხვავებულ ზონებად. **შავმიწანიადაგიან** და **არაშავმიწანიადაგიან** სარტყელში დადგენილ იქნა გლეხებისათვის გადასაცემი ნადელის **„უმაღლესი"** და **„უდაბლესი"** ნორმა („უდაბლესი" ნორმა „უმაღლესის" ერთი მესამედი უნდა ყოფილიყო). **სტეპის ზონაში ერთი ნორმა იყო დადგენილი.** „დებულება" ითვალისწინებდა მემამულის სასარგებლოდ გლეხისათვის გადასაცემი ნადელის შემცირებას. კერძოდ, თუ გლეხის ნადელი ანუ ის მიწა, რომლითაც გლეხი სარგებლობდა ბატონყმობის გაუქმებამდე, აღემატებოდა დადგენილ „უმაღლეს" ნორმას, მაშინ გლეხს გამოსასყიდად გადაეცემოდა არა მთელი ნადელი, არამედ მისი ნაწილი, ე.ი. ნადელიდან რაღაც ნაწილი **ჩამოეჭრებოდა**. „დებულება" გლეხის ნადელზე მიწის მიმატებასაც ითვალისწინებდა. თუ გლეხის ნადელი, ანუ მიწა, რომელსაც გლეხი ბატონყმობის გაუქმებამდე ფლობდა, ნაკლები იყო დაწესებულ „უდაბლეს" ნორმაზე, მაშინ გლეხის ნადელისათვის იმდენი მიწა უნდა მიემატებინათ, რომ იგი დაწესებულ „უდაბლეს" ნორმას ასცილებოდა. გლეხის ნადელებიდან ჩამოჭრილი მიწების („ე.წ. ჩამონაჭრების") რაოდენობა გაცილებით მეტი იყო ნადელებისათვის მომატებულ მიწებთან შედარებით. ზოგიერთ გუბერნიაში გლეხებს ჩამოაჭრეს მთელი ნადელების 40-65%, მაშინ როცა მიუმატეს — 3-15%. **საერთო ჯამში, „უმაღლესი" და „უდაბლესი" ნორმის დადგენით მემამულეებმა ისარგებლეს — ჩამონაჭრების სახით ბევრი მიწა წაართვეს გლეხობას.** მემამულეებმა მიწა გლეხებს სხვა გზითაც წაართვეს. კერძოდ, „დებულების" ძალით, თუ მემამულის ის მიწა, რომელიც გლეხებით არ იყო დასახლებული ანუ არ იყოფოდა გლეხთა ნადელებად (ე.ი. საკუთრივ მამული), აღმოჩნდებოდა გლეხებით დასახლებული მიწის საერთო რაოდენობის ერთ მესამედზე ნაკლები, მაშინ **მემამულეს კომპენსაცია გლეხთა ნადელებიდან მიწის ჩამოჭრის ხარჯზე უნდა მიეღო.** გლეხების მდგომარეობას ამძიმებდა არამარტო ჩამონაჭერი მიწების რაოდენობა, არამედ ისიც, რომ ჩამოჭრილ მიწებში მეტწილად საუკეთესო მიწები ხვდებოდა. „დებულებით" მცირემიწიან მემამულეებს უფლება ჰქონდათ გლეხის ნადელისათვის მიწა არ მიემატებინათ იმ შემთხვევაშიც, თუ ეს ნადელი „უდაბლეს" ნორმაზეც კი ნაკლები იყო.

მიწის (ნადელის) გამოსყიდვის შემდეგ გლეხი იღებდა **„მესაკუთრე გლეხის"** თანრიგს. ამის მიუხედავად, გამოსყიდვის შემდეგ მიწა გადადიოდა არა გლეხის პირად საკუთრებაში, არამედ **იმ სასოფლო თემის** საკუთრებაში, რომელსაც გლეხი ეკუთვნოდა. მიწის სათემო საკუთრება გამორიცხავდა გლეხის მიერ მისი კუთვნილი ნადელის **გაყიდვას**. გლეხს მისი კუთვნილი ნადელი **იჯარით** შეეძლო გაეცა მხოლოდ იმავე სასოფლო თემის ფარგლებში.

1861 წლის საგლეხო რეფორმის ძალით, სულ მამრობითი სქესის **10 მილიონმა** გლეხმა მიიღო **33,7 მილიონი** დესეტინა, მემამულეებმა კი შეინარჩუნეს **2,5-ჯერ მეტი** მიწა. მამრობითი სქესის **1,3 მილიონი** გლეხი პრაქტიკულად უმიწოდ დარჩა

„დებულების" მიხედვით, მიწის გამოსყიდვის შემდეგ გლეხს თემიდანაც შეეძლო გასვლა, მაგრამ ეს პროცესი ძალზე გაძნელებული იყო. ამ შემთხვევაში გლეხს მემამულისათვის ერთი წლით ადრე უნდა გადაეხადა ღალა, გადაეხადა სახელმწიფო და სხვა სახის გადასახადები, ასევე წინა წლებიდან დარჩენელი გადასახადები. ეს კი საკმაოდ ძნელი იყო.

1861 წლის 19 თებერვლიდან, სანამ მიწას გლეხი გამოისყიდდა, **დროებით ვალდებულად** ითვლებოდა. დროებითი ვალდებულების პერიოდში გლეხი კვლავ იხდიდა ღალას, ასრულებდა ბეგარას. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ამჯერად ღალისა და ბეგარის რაოდენობა კანონით მკაცრად იყო განსაზღვრული. რეფორმებამდე არსებული ღალის რაოდენობის გაზრდა მემამულეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო, თუ გლეხს ნადელს გაუზრდიდა.

საგლეხო რეფორმის დამაგვირგვინებელ ეტაპს წარმოადგენდა გლეხის მიერ მემამულისაგან მიწის **გამოსყიდვა**. 1861 წლის 19 თებერვლის „დებულებას" არ დაუდგენია, თუ როდის უნდა დამთავრებულიყო გამოსყიდვა. ლიტვის, ბელორუსიისა და დნეპრის მარჯვენა ნაპირის უკრაინის გუბერნიებში სპეციალური ბრძანებით, მიწის გამოსყიდვა აუცილებლად უნდა დამთავრებულიყო 1863 წლამდე. დანარჩენ 36 გუბერნიაში მიწის გამოსყიდვის პროცესი ოც წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. 1881 წლისათვის მიწა კვლავ გამოსასყიდი ჰქონდა გლეხთა 15%-ს. 1881 წელს გამოვიდა კანონი, რომლის ძალითაც, 1883 წლიდან გლეხების მიერ მიწის გამოსყიდვა სავალდებულო გახდა. გამოსყიდვა საბოლოოდ 1885 წელს დასრულდა.

მიწის გამოსყიდვის პროცესში გლეხების მიერ **გადასახდელი ფასი** გაუტოლეს რეალურ, ე.ი. **საბაზრო ფასს**. მიწა ძალზე ძვირი ღირდა, გლეხთა აბსოლუტური უმრავლესობა მიწის მთელ ღირებულებას ერთბაშად ვერ გადაიხდიდა, ამიტომ გამოსყიდვის ორგანიზება თავის თავზე აიღო სახელმწიფომ (ფინანსთა სამინისტრომ). **ფინანსთა სამინისტრო მემამულეს გლეხის ნაცვლად უხდიდა ან ნაღდი ფულით, ან პროცენტიანი ფასიანი ქაღალდებით ყოველ გლეხზე მიწის საერთო ღირებულების 80%-ს. დარჩენილ 20%-ს გლეხი პირადად უხდიდა მემამულეს**. სახელმწიფოს მიერ მემამულისათვის გლეხის ნაცვლად გადახდილი მიწის ღირებულების 80% წარმოადგენდა გლეხისათვის მიცემულ **გრძელვადიან სესხს** ყოველწლიური 6%-იანი დანარიცხით. ეს სესხი გლეხობას უნდა დაეფარა 49 წლის განმავლობაში. სინამდვილეში კი, მთლიანი სესხი გლეხობამ სახელმწიფოს 1907 წლისათვისაც ვერ დაუბრუნა. 1907 წელს ხელისუფლებამ გლეხობას დარჩენილი თანხა აპატია. სულ 1862 წლიდან 1907 წლამდე გლეხობამ სახელმწიფოს საბანკო პროცენტის ჩათვლით გადაუხადა 1 **მილიარდ 540 მილიონი მანეთი**.

საგლეხო რეფორმა იყო ძალზე რთული პროცესი, რომელიც ხელისუფლების მიერ კარგად იყო ორგანიზებული. მიუხედავად ამისა, ბატონყმობის გაუქმებას არ შეიძლებოდა უმტკივნეულოდ ჩავლო. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ 1861-1862 წლებში ადგილი ჰქონდა გლეხთა სტიქიურ გამოსვლებს. თუმცა მათ ხელი ვერ შეუშალეს რეფორმების გატარებას.

საბატონო გლეხების გათავისუფლების შემდეგ გატარდა რეფორმა, რომელიც **საუფლისწულო** და **სახელმწიფო** გლეხობას შეეხო. 1863-1865 წლებში მიწის გამოსყიდვის უფლება მიიღეს **საუფლისწულო გლეხებმა**. 1866 წელს გამოვიდა კანონი სახელმწიფო გლეხების მიწათმოწყობის შესახებ, თუმცა მათ მიწის გამოსყიდვის რეალური უფლება მხოლოდ 1886 წელს მიეცათ.

საგლეხო რეფორმა გვიან გატარდა **ამიერკავკასიასა** და **ბესარაბიაში**. კერძოდ, საქართველოში საგლეხო რეფორმა დაიწყო 1864 წელს და დამთავრდა 1871 წელს. **აზერბაიჯანსა** და **სომხეთში** საგლეხო რეფორმა 1870 წელს გატარდა. ამიერკავკასიაში გლეხების მიერ მიწის გამოსყიდვა სავალდებულო გახდა მხოლოდ 1912-1913 წლებში. ბესარაბიაში საგლეხო რეფორმა დაიწყო 1868 წელს. გლეხების მიერ მიწის გამოსყიდვა აქ სავალდებულო 1888 წელს გახდა.

1861 წლის საგლეხო რეფორმა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო. რეფორმამ ხელი შეუწყო ფეოდალური ურთიერთობების მოსპობას და ბურჟუაზიული წყობილების ჩამოყალიბებას. მომდევნო პერიოდში რუსეთის იმპერიის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული წინსვლა ძირითადად ბატონყმობის გაუქმებით იყო განპირობებული.

თავი XIII. 1863-1874 წლების რეფორმები

ბატონყმობის გაუქმებამ აუცილებელი გახადა სხვა რეფორმების გატარება. კერძოდ, გატარდა ადგილობრივი მმართველობის, სასამართლო, განათლების, ცენზურის, ფინანსური, სამხედრო რეფორმები, ასევე საეკლესიო მმართველობის რეფორმა.

1. ადგილობრივი მმართველობის რეფორმა. ადგილობრივი მმართველობის რეფორმა რამდენიმე წელი მზადდებოდა. 1864 წელს ალექსანდრე I-მა დაამტკიცა „დებულება საგუბერნიო და სამაზრო საერობო დაწესებულებების შესახებ". დებულების მიხედვით, მაზრებში უნდა აერჩიათ სამაზრო ერობა, ხოლო გუბერნიებში – საგუბერნიო ერობა. არჩევნები ყოველ სამ წელიწადში ერთხელ უნდა გამართულიყო. სამაზრო და საგუბერნიო ერობის წევრებს „ხმოსნები" ეწოდებოდათ. სამაზრო ერობაში ხმოსნების რიცხვი 10-დან 96-მდე მერყეობდა, საგუბერნიო ერობაში – 15-დან 100-მდე. სამაზრო და საგუბერნიო ერობა ირჩევდა გამგეობას. სამაზრო ერობის გამგეობაში, ისევე როგორც საგუბერნიო ერობის გამგეობაში 4-დან 6 წევრამდე შეიძლებოდა ყოფილიყო არჩეული.

სამაზრო ერობის არჩევნები სამ საარჩევნო კურიაში ტარდებოდა. ამომრჩევლებიც სამ კურიად იყოფოდნენ: 1) მაზრის მიწათმოქმედთა კურია; 2) ქალაქის ამომრჩეველთა კურია; 3) სასოფლო საზოგადოებების (თემების) ამომრჩეველთა კურია. პირველ კურიაში შედიოდნენ მიწათმფლობელები, რომლებიც ფლობდნენ არანაკლებ 200 დესეტინა მიწას. პირველ კურიაში შედიოდნენ ისინიც, ვინც ფლობდა არანაკლებ 15 ათასი მანეთის ღირებულების უძრავ ქონებას, ან წლიური შემოსავალი ჰქონდა არანაკლებ 6 ათასი მანეთისა. მეორე კურიაში შედიოდნენ ვაჭრები, და ასევე ქალაქში ისეთი სამრეწველო საწარმოს მფლობელები, რომელთა წლიური შემოსავალი 6 ათას მანეთზე მეტს შეადგენდა. მეორე კურიაში შეიძლებოდა არჩევნებში მონაწილეობა მიეღო ქალაქში მცხოვრებ თავადაზნაურობასა და სამღვდელოებას, თუ ისინი ფლობდნენ დადგენილი ნორმის შესაბამის უძრავ ქონებას. მესამე კურიაში ქონებრივი ცენზი არ არსებობდა, სამაგიეროდ, აქ არჩევნები რამდენიმე საფეხურისაგან შედგებოდა. თავდაპირველად სოფლის ყრილობაზე ირჩევდნენ წარმომადგენლებს ვოლოსტის ყრილობისათვის. ვოლოსტის ყრილობა ირჩევდა ამომრჩევლებს მაზრის ყრილობისათვის, მაზრის ყრილობა კი ირჩევდა სამაზრო ერობას. მესამე კურიაში შეიძლებოდა არჩევნებში მონაწილეობა მიეღო თავადაზნაურობასა და სამღვდელოებას, თუკი ისინი სოფლად ცხოვრობდნენ, მაგრამ შესაბამისი დადგენილი ქონებრივი ცენზი არ გააჩნდათ. საგუბერნიო ერობის წევრებს სამაზრო ერობების ყრილობებზე ირჩევდნენ.

პირველი სამწლიანი ვადით (1865-1867 წწ.) სამაზრო და საგუბერნიო ერობების სოციალური შემადგენლობა ასეთი იყო. სამაზრო ერობებში თავადაზნაურობამ მიიღო ადგილების 42%, გლეხობამ – 38%, ვაჭრებმა – 10%, სამღვდელოებამ – 6,5%. საგუბერნიო ერობებში თავადაზნაურობამ მიიღო ხმების 74%, გლეხობამ – 10%, ვაჭრებმა, სამღვდელოებამ და სხვა წოდებებმა ერთად – 15%.

„დებულებით", სამაზრო და საგუბერნიო ერობის თავმჯდომარე ხდებოდა მაზრისა და გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი. რაც შეეხება სამაზრო და საგუბერნიო ერობის გამგეობის თავმჯდომარეს, მას ირჩევდა სამაზრო და საგუბერნიო ერობის ყრილობა. სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარის კანდიდატურას ამტკიცებდა გუბერნატორი, ხოლო საგუბერნიო ერობის გამგეობის თავმჯდომარეს – შინაგან საქმეთა მინისტრი.

ერობები მთელი რუსეთის იმპერიაში არ აურჩევიათ. 1864 წლის 1 იანვრის „დებულება" 78-დან მხოლოდ 34 გუბერნიაზე გავრცელდა. ერობები არ შექმნილა იმ გუბერნიებში, სადაც რუსული მოსახლეობა არ სჭარბობდა. ასეთი იყო, მაგალითად, არხანგელსკის, ასტრახანისა და ორენბურგის გუბერნიები. ასევე ციმბირის ყველა გუბერნია. 1864 წლის 1 იანვრის „დებულება" იმავე მიზეზით არ გავრცელებულა ლიტვაზე, პოლონეთზე, ბელორუსიაზე, მარჯვენა ნაპირის უკრაინაზე, კავკასიაზე, ყაზახეთსა და შუა აზიაზე.

1864 წლის 1 იანვრის „დებულება" საერთოდ არ ითვალისწინებდა სრულიად რუსეთის იმპერიის ერობის არჩევას.

ერობებს არანაირი პოლიტიკური დანიშნულება არ ჰქონია. მათი კომპეტენცია მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის სამეურნეო, კულტურულ-საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებით შემოიფარგლებოდა. კერძოდ, ერობის ფუნქციებში შედიოდა: ადგილობრივი გზების გაყვანა და მოვლა, საერობო

ფოსტის, სკოლის, საავადმყოფოს მოვლა-პატრონობა, ადგილობრივ ვაჭრობასა და მრეწველობაზე ზრუნვა, სასურსათო საქმე და სხვ.

ერობები ხელისუფლების მხრიდან მკაცრი კონტროლის პირობებში მოქმედებდნენ. გუბერნატორებს და შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება ჰქონდათ შეეჩერებინათ სამაზრო და საგუბერნიო ერობის ნებისმიერი გადაწყვეტილება. ერობის ზოგიერთი გადაწყვეტილება ძალაში შედიოდა მხოლოდ გუბერნატორისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვის შემდეგ.

სამაზრო და საგუბერნიო ერობებმა დიდი როლი შეასრულეს სამეურნეო და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გამოცოცხლებაში, საერთოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების გამოღვიძებაში.

2. საქალაქო მმართველობის რეფორმა. საერობო რეფორმის შემდეგ გატარდა **საქალაქო მმართველობის რეფორმა.** 1785 წლიდან ქალაქების თვითმმართველობა იყო **წოდებრივი,** რეფორმების შემდეგ კი ქალაქის თვითმმართველობას **ქონებრივი ცენზის** საფუძველზე ირჩევდა **ყველა წოდება.** საქალაქო თვითმმართველობის რეფორმის მზადება 1862 წლიდან დაიწყო, მაგრამ კანონპროექტი ალექსანდრე II-მ მხოლოდ 1870 წელს დაამტკიცა. კანონის მიხედვით, რუსეთის იმპერიის **509 ქალაქში** ყველა წოდებისაგან ქონებრივი ცენზის საფუძველზე, ოთხი წლის ვადით უნდა აერჩიათ **თვითმმართველობა – ქალაქის სათათბირო.** ქალაქის სათათბირო ასევე ოთხი წლის ვადით ირჩევდა მუდმივმოქმედ აღმასრულებელ ორგანოს – ქალაქის გამგეობას. **ქალაქის გამგეობა** შედგებოდა **ქალაქის თავისაგან,** ქალაქის თავის ამხანაგისა (მოადგილის) და რამდენიმე წევრისაგან. **ქალაქის თავი** იყო როგორც **ქალაქის გამგეობის,** ისე **ქალაქის სათათბიროს** თავმჯდომარე.

ქალაქის სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა 25 წლის ასაკის ყველა მამაკაცს, რომელიც ფლობდა ცენზით დადგენილ ქონებას და იხდიდა გადასახადებს. ქალაქის ამომრჩევლები ქონებისა და გადახდილი გადასახადების რაოდენობის მიხედვით, **სამ კურიად** (კლასად) იყო დაყოფილი. ქონებრივი ცენზი ძალზე მაღალი იყო, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში. იმ ქალაქებში, რომელთა მოსახლეობა 5 ათას კაცზე ნაკლები იყო, ქონებრივი ცენზის საფუძველზე, არჩევნებში საშუალოდ მხოლოდ მთელი მოსახლეობის 10% მონაწილეობდა, ხოლო იმ ქალაქებში, რომელთა მოსახლეობა 20 ათასიდან 50 ათასამდე მერყეობდა, ხმის უფლება მხოლოდ 4%-ს ჰქონდა. მოსკოვში ხმის უფლებით სარგებლობდა მოსახლეობის 3,4%, პეტერბურგში – 1,9%.

ქალაქის თვითმმართველობის კომპეტენ-



მოსკოვი. ქალაქის სათათბირო

ციაში მხოლოდ **სამეურნეო, კულტურულ-საგანმანათლებლო** და **ჯანმრთელობის დაცვის** საკითხები შედიოდა (ქალაქის კეთილმოწყობა, ადგილობრივ მრეწველობასა და ვაჭრობაზე ზრუნვა, სკოლებისა და საავადმყოფოების გახსნა და სხვ.).

ქალაქის სათათბიროს ბიუჯეტში თანხა ირიცხებოდა ქალაქის მოსახლეობაზე გაწერილი გადასახადებიდან და სხვა შემოსავლებიდან.

ქალაქის სათათბიროსა და გამგეობას იძულებითი ღონისძიებების გასატარებლად შეეძლო გამოეყენებინა **პოლიცია**. რეალურ ძალაუფლებას ქალაქებში ფლობდა **გუბერნატორი** და **პოლიცმეისტერი**, რომელთაც ემორჩილებოდა ჯარი და პოლიცია.

1870 წელს საქალაქო მმართველობის რეფორმა, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის იმპერიის მხოლოდ **509 ქალაქს** შეეხო. 1874 წლიდან საქალაქო მმართველობის რეფორმის გატარება დაიწყო **ამიერკავკასიაში**, 1875 წლიდან — **ლიტვაში, ბელორუსიასა** და **მარჯვენა ნაპირის უკრაინაში**, 1877 წლიდან — **ლატვიასა** და **ესტონეთში**.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქების სათათბიროებმა პოლიტიკური უფლებები ვერ მიიღეს, საქალაქო მმართველობის რეფორმამ გამოაცოცხლა საზოგადოებრივი ცხოვრება, მეტი გასაქანი მისცა ბურჟუაზიას, მნიშვნელოვნად გაუუმჯობესა განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარული მომსახურების საქმე, უკეთესი პირობები შექმნა საქალაქო მრეწველობისა და ვაჭრობის აღმავლობისათვის.

3. **სასამართლო რეფორმა**. სასამართლო რეფორმის მომზადება 1861 წელს დაიწყო. 1864 წელს იმპერატორმა ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა კანონპროექტს სასამართლო რეფორმის შესახებ.

ახალი სასამართლო რეფორმა შემდეგ პრინციპებს ემყარებოდა: 1) სასამართლო ხდებოდა არაწოდებრივი, ანუ ყველა წოდებისათვის უნდა შექმნილიყო ერთი სასამართლო; 2) სასამართლო დამოუკიდებელი იყო ადმინისტრაციისაგან; 3) მოსამართლეებისა და სასამართლოს გამომძიებლების გადაყენება არ შეიძლებოდა; 4) ყველა წოდება კანონის წინაშე თანაბარი იყო; 5) განაჩენის გამოტანა იყო ნაფიც მსაჯულთა პრეროგატივა; 6) სასამართლო პროცესზე ბრალდებულს იცავდა ადვოკატი.

რეფორმის ძალით, სასამართლო სამ ინსტანციად დაიყო: 1) **მომრიგებელი სასამართლო** (იქმნებოდა მაზრებსა და ქალაქებში, 500 მანეთამდე ღირებულების სამოქალაქო საქმეებისა და წვრილი სამართალდარღვევების გასარჩევად); 2) **საოლქო სასამართლო** (იქმნებოდა გუბერნიებში ნებისმიერი სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმის განხილვის უფლებით); 3) **სასამართლო პალატა** (აერთიანებდა რამდენიმე საოლქო სასამართლოს). სასამართლო პალატა შედგებოდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის დეპარტამენტებისაგან.

ნაფიცი მსაჯულების მოვალეობას შეადგენდა ბრალდებულის დამნაშავედ, ან უდანაშაულოდ ცნობა. განაჩენი მათ არ გამოჰქონდათ. განაჩენი კანონზე დაყრდნობით გამოჰქონდა სასამართლოს (სასამართლოს თავმჯდომარესა და სასამართლოს წევრებს). **საოლქო სასამართლოს** განაჩენი, თუ სასამართლო პროცესში ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობდნენ, ითვლებოდა **საბოლოოდ**. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო პროცესში ნაფიცი მსაჯულები არ მონაწილეობდნენ, **საოლქო სასამართლოს განაჩენი** შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო **სასამართლო პალატაში**. საოლქო სასამართლოსა და სასამართლო პალატის განაჩენი, თუ სასამართლო პროცესში ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობდნენ, შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო **სენატში** მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარღვეული იყო **პროცესუალური ნორმები**, ან გამოვლინდებოდა საქმესთან დაკავშირებული **ახალი გარემოებები**. სენატს უფლება ჰქონდა განაჩენი გადაესინჯა, ან, საერთოდ, გაეუქმებინა. **სენატი საქმეს არსებითად არ იხილავდა**. აუცილებლობის შემთხვევაში იგი საქმეს **ხელახლა განსახილველად** უბრუნებდა არა განაჩენის გამომტან სასამართლოს, არამედ სხვა სასამართლოს (საოლქო სასამართლოს ან სასამართლო პალატას). **თუ საქმე განაჩენის გამომტან სასამართლოს დაუბრუნდებოდა უკან, ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა შეცვლილიყო სასამართლოს შემადგენლობა (მოსამართლე და წევრები) და ნაფიცი მსაჯულები.**

საოლქო სასამართლოსა და სასამართლო პალატის თავმჯდომარეებს ამტკიცებდა **იმპერატორი**, ხოლო სამმრიგებლო სასამართლოს თავმჯდომარეს — **სენატი**. დამტკიცების შემდეგ **მომრიგებელ სასამართლოს, საოლქო სასამართლოსა** და **სასამართლო პალატის** თავმჯდომარეთა ადმინისტრაციული წესით გადაყენება, დროებით გადაყენებაც კი **არ შეიძლებოდა**. სასამართლოს თავმჯდომარის გადაყენება შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი სასამართლოს მიერ იქნებოდა **სისხლის სამარ-**

თლის პასუხისგებაში მიცემული. ამ შემთხვევაშიც თანამდებობიდან გადაყენების გადაწყვეტილება სასამართლოს უნდა გამოეტანა და არა ადმინისტრაციას.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დაწესებასთან ერთად შემოღებულ იქნა სასამართლო გამომძიებლის ინსტიტუტი. რეფორმის ძალით, სისხლის სამართლის საქმეთა ძიების უფლება პოლიციას ჩამოერთვა. ამიერიდან საქმეს იძიებდა სასამართლოს გამომძიებელი, რომელიც ადმინისტრაციას არ ექვემდებარებოდა.

სასამართლო დაწესებულებებზე კონტროლს ახორციელებდა სენატის ობერ-პროკურორი, სასამართლოს პალატის პროკურორი და საოლქო სასამართლოს პროკურორი. ისინი უშუალოდ იუსტიციის მინისტრს ექვემდებარებოდნენ. გენერალური პროკურორის თანამდებობა რეფორმით არ იყო გათვალისწინებული და მის ფუნქციას იუსტიციის მინისტრი ასრულებდა.

სასამართლო რეფორმის ძალით, გაუქმდა ფიზიკური სასჯელები (მათრახით ცემა, მწკრივში გატარება და სხვ.).

1864 წლის სასამართლო რეფორმა მხოლოდ 44 გუბერნიას შეეხო და საბოლოოდ მხოლოდ 1896 წელს დასრულდა. რეფორმა არ გავრცელებულა ბალტიისპირეთზე, პოლონეთზე, ბელორუსიაზე, ციმბირზე, კავკასიაზე.

1864 წლის რეფორმა იყო ყველაზე უფრო დემოკრატიული რეფორმა, რომელიც მოასწავებდა ძველი სასამართლოს კვდომას და ახალი სასამართლო სისტემის დამკვიდრებას.

4. სახალხო განათლების სისტემის რეფორმა. სახალხო განათლების სისტემის რეფორმის მომზადება 1861 წელს დაიწყო. 1864 წელს ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა „დებულებას დაწყებითი სახალხო სასწავლებლების შესახებ". „დებულების" მიხედვით, დაწყებითი სასწავლებლების გახსნის უფლება ეძლეოდა როგორც საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ისე კერძო პირებს, თუ იქნებოდა ხელისუფლების შესაბამისი ნებართვა. სასწავლებლის დამფუძნებლები თავის თავზე იღებდნენ მატერიალურ პასუხისმგებლობას. რაც შეეხება სასწავლო პროცესს, მას წარმართავდა მაზრის ან გუბერნიის სასწავლებელთა საბჭო. გუბერნიის სასწავლებელთა საბჭოში შედიოდნენ: გუბერნატორი, საეკლესიო ეპარქიის წარმომადგენელი — არქიელი, გუბერნიაში არსებული სასწავლებლების დირექტორები და ორი წარმომადგენელი გუბერნიის საერობო კრებიდან. საბჭოს თავმჯდომარე იყო არქიელი.

სახალხო განათლების სისტემის რეფორმის შემდეგ რუსეთში ოთხი ტიპის დაწყებითი სკოლა არსებობდა: 1) კერძო პირთა მიერ დაარსებული სკოლები; 2) სახალხო განათლების სამინისტროს სკოლები; 3) საერობო სკოლები; 4) საეკლესიო-სამრევლო სკოლები. ოთხივე ტიპის დაწყებით სკოლაში მოსწავლეებს წოდების განურჩევლად ღებულობდნენ.

1864 წელს დამტკიცდა „**გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების წესდება**". გიმნაზიები და პროგიმნაზიები საშუალო განათლების სისტემას განეკუთვნებოდნენ და მოსწავლეები აქაც წოდებათა განურჩევლად მიიღებოდნენ. გიმნაზიები ორი ტიპის იყო: **კლასიკური** (ჰუმანიტარული პროფილით) და **რეალური** (საბუნებისმეტყველო პროფილით). კლასიკური გიმნაზიის კურსდამთავრებულები უგამოცდოდ ირიცხებოდნენ უნივერსიტეტებში. რეალური გიმნაზიის კურსდამთავრებულთათვის უნივერსიტეტში ჩარიცხვა გართულებული იყო. მათ შეეძლოთ სწავლა უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში გაეგრძელებინათ. პროგიმნაზია უტოლდებოდა კლასიკური გიმნაზიის (სწავლების ვადა — შვიდი წელი) ოთხ კლასს. პროგიმნაზიის დასრულების შემდეგ მოსწავლეს შეეძლო სწავლა გაეგრძელებინა კლასიკური გიმნაზიის მეხუთე კლასიდან.

მართალია, გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში ყველა წოდების წარმომადგენელს შეიძლებოდა ესწავლა, მაგრამ სწავლის საფასური იმდენად დიდი იყო, რომ პრაქტიკულად სწავლას ყველა წოდების წარმომადგენელი ვერ ახერხებდა. მაგალითად, 1874 წელს რუსეთის კლასიკური გიმნაზიების მოსწავლეთა სოციალური შემადგენლობა ასეთი იყო: თავადაზნაურობისა და სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეების შვილები — 59%, ქალაქის ბურჟუაზიის — 28%, სამღვდელოების — 6%, გლეხების — 4%. დაახლოებით იგივე სურათი იყო რეალურ გიმნაზიებშიც.

რეფორმის შედეგად დაიწყო ქალთა სასწავლო დაწესებულებების — **ქალთა გიმნაზიების** გახსნა.

სახალხო განათლების სისტემის რეფორმა შეეხო უნივერსიტეტებსაც. 1863 წელს დამტკიცდა უნივერსიტეტების წესდება. ეს იყო რუსეთის იმპერიის ისტორიაში ყველაზე დემოკრატიული **საუნივერსიტეტო წესდება**. უნივერსიტეტების წესდება ეხებოდა იმხანად არსებულ რუსეთის ხუთ უნივერსიტეტს: **მოსკოვის, პეტერბურგის, ყაზანის, ხარკოვისა და კიევის**. დერპტის (ესტონეთი), ჰელსინგფორსის

(ფინეთი) და ვარშავის (პოლონეთი) უნივერსიტეტებზე წესდება არ ერცელდებოდა.

1863 წლის წესდება უნივერსიტეტებს აძლევდა **ფართო ავტონომიას**. მათ ეძლეოდათ უფლება დამოუკიდებლად გადაეწყვიტათ **სამეცნიერო, სასწავლო** და **ადმინისტრაციულ-ფინანსური** საკითხები: სამეცნიერო ხარისხისა და წოდების მინიჭება, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრების განაწილება, ფაკულტეტების სტრუქტურის განსაზღვრა. უნივერსიტეტებს ჰქონდათ საკუთარი ცენზურა და საერთო ცენზურას არ ექვემდებარებოდნენ.

1863 წელს უნივერსიტეტებში სწავლის უფლება მიიღეს ქალებმა. რუსეთის რამდენიმე ქალაქში გაიხსნა ქალთა უმაღლესი კურსები.

სახალხო განათლების სისტემის რეფორმა მიზნად ისახავდა სხვადასხვა პროფილის სპეციალისტების მომზადებას, რაც აუცილებელი იყო ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული აღმავლობისათვის.

5. სამხედრო რეფორმა. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში რუსეთში გატარდა სამხედრო რეფორმები. სამხედრო რეფორმის დაწყება ალექსანდრე II-მ ჯერ კიდევ 1855 წელს სცადა, მაგრამ ხუთი წლის მანძილზე მნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა. რეფორმა მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ 1858 წლისათვის არმია 2,2 მილიონიდან 1,5 მილიონ კაცამდე შემცირდა.

სამხედრო რეფორმები პრაქტიკულად დაიწყო 1861 წლიდან, როდესაც სამხედრო მინისტრად **დიმიტრი მილიუტინი** დაინიშნა. დიმიტრი მილიუტინმა სამხედრო მინისტრის თანამდებობაზე ოცი წელი დაჰყო და შეძლო რუსეთის არმიის ძირფესვიანი გარდაქმნა.

1864 წელს რუსეთის მთელი იმპერია დაიყო **15 სამხედრო ოლქად**. თითოეულ ოლქს დამოუკიდებელი ხელმძღვანელობა ჰყავდა, რომელიც სამხედრო მინისტრს ექვემდებარებოდა. ამ რეფორმით მოისპო ზედმეტი ცენტრალიზაცია. 1867 წელს გატარდა ცენტრალური სამხედრო უწყების რეფორმა. სამხედრო მინისტრის დაქვემდებარებაში გადავიდა **არტილერია, გვარდია, საინჟინრო ჯარი** და **სამხედრო სასწავლებლები**. ომის დროს მოქმედი არმია სამხედრო მინისტრს უნდა დაქვემდებარებოდა. 1867 წელს დამტკიცებული სამხედრო-სასამართლო წესდებით, ჩამოყალიბდა სამი სასამართლო ინსტანცია: **პოლკის სასამართლო, სამხედრო ოლქის სასამართლო** და **მთავარი სამხედრო სასამართლო**. ომის დროს უნდა ემოქმედა მთავარ სამხედრო-საველე სასამართლოს. პოლკის სასამართლოს განაჩენს ამტკიცებდა პოლკის მეთაური, სამხედრო ოლქისას — სამხედრო ოლქის სარდალი, მთავარ სამხედრო სასამართლოსას — სამხედრო მინისტრი. 1864 წელს დაიწყო **სამხედრო სასწავლებლების** გახსნა. არტილერისტების, კავალერისტების, სამხედრო ინჟინრების მომზადების მიზნით დაარსდა **იუნკერთა** სამწლიანი სასწავლებლები. გაფართოვდა უმაღლესი სამხედრო განათლების — **სამხედრო აკადემიების** — ქსელი.

ამ რეფორმებმა მნიშვნელოვნად გაუუჯობესა რუსეთის არმიის სამხედრო მომზადება. მაგრამ მთავარი მაინც არმიის დაკომპლექტების ძველი (სარეკრუტო) სისტემის გარდაქმნა იყო. 1874 წელს ალექსანდრე II-მ დამტკიცა **„სამხედრო ვალდებულების წესდება“**. წესდების მიხედვით, რუსეთის იმპერიის მთელი შეიარაღებული ძალები ოთხ თანრიგად იყოფოდა: 1) რეგულარული არმია და ფლოტი; 2) კაზაკთა ჯარი; 3) სათადარიგო ჯარი; 4) სახალხო ლაშქარი. **სამხედრო ვალდებულად ითვლებოდა ყველა მამაკაცი 20 წლის ასაკიდან, განურჩეველად წოდებისა, ანუ სამხედრო ვალდებულება იყო საყოველთაო**. რეგულარულ არმიაში სამხედრო სამსახურის ვადა **6 წელი** იყო. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ ჯარისკაცი **9 წლის** განმავლობაში ირიცხებოდა თადარიგში, ხოლო შემდეგ, მანამ მისი ასაკი **40 წელს** არ მიაღწევდა, — **სახალხო ლაშქარში**. ფლოტში სამსახურის ვადა 7 წელი იყო, თადარიგში ყოფნისა — 3 წელი. თადარიგში გასულთა ხარჯზე, ომის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო მოქმედი არმიის შევსება სამხედრო საქმის მცოდნე ადამიანებით.

1874 წლის კანონით, სამხედრო ვალდებულებიდან თავისუფლდებოდა: **ყველა აღმსარებლობის სასულიერო პირი, ყაზახეთის, შუა აზიის ხალხები, კავკასიის ზოგიერთი ხალხი, რუსეთის უკიდურესი ჩრდილოეთი რეგიონების მოსახლეობა.**

XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო რუსეთის არმიის გადაიარაღება. 1866 წლიდან გლუვლულიანი თოფები შეიცვალა ბერდანის ტიპის სწრაფმსროლელი შაშხანებით. განახლდა არტილერია. დაიწყო ორთქლისძრავიანი სამხედრო გემების მშენებლობა.

1861-1874 წლების სამხედრო რეფორმების წყალობით, რუსეთის რეგულარული არმიისა და სამხედრო ფლოტის საბრძოლო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ომის შემთხვევაში შესაძლებელი იყო მოქმედი არმიის რაოდენობის სწრაფი გაზრდა.

XIX საუკუნის 60-70-იანი წლების რეფორმები ხელს უწყობდა რუსეთის იმპერიის ძლიერების ზრდას — სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს განახლებას.

თავი XIV. რუსეთის ეკონომიკური და სოციალური განვითარება XIX საუკუნის 60-90-იან წლებში

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, XIX საუკუნის 60-90-იან წლებში, რუსეთის ეკონომიკის განვითარების უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი კაპიტალიზმის განვითარება იყო. კაპიტალიზმის საბოლოო დამკვიდრება რუსეთში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დამდეგს მოხდა.

1. სოფლის მეურნეობა. XIX საუკუნის 60-90-იან წლებში რუსეთის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი სოფლის მეურნეობას ეკავა. შეიცვალა მიწისმფლობელობის წესი — **მემამულური მიწისმფლობელობა შეცვალა მიწისმფლობელობის ბურჟუაზიულმა წესმა.** რუსეთში უკვე სხვადასხვა წოდების წარმომადგენლები ფლობდნენ მიწას. 1861 წელს მემამულეები (თავადაზნაურები) რუსეთში 87 მილიონ დესეტინა მიწას ფლობდნენ, 1879 წელს — 79 მილიონ დესეტინას, 1901 წელს — 52 მილიონ დესეტინას. 1861 წლიდან 1901 წლამდე მემამულური მიწისმფლობელობის ხვედრითი წილი 80%-დან 50%-მდე შემცირდა, ხოლო კერძო გლეხური მიწისმფლობელობის ხვედრითი წილი 5%-იდან 20%-მდე გაიზარდა.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მიწა აქტიური ყიდვა-გაყიდვის საგანი გახდა. XIX საუკუნის 60-იან წლებში მემამულეთა მიერ გაყიდული მიწის მყიდველთა შორის 52% ისევ მემამულეები იყვნენ, ხოლო 80-იან წლებში მემამულეები მყიდველთა მხოლოდ 33%-ს შეადგენდნენ. მემამულეთა მიწების სხვა წოდების (გლეხების, ვაჭრების და ა.შ.) ხელში გადასვლა, ცხადია, ძირს უთხრიდა მემამულურ მიწისმფლობელობას. ამავე დროს პარალელურად მიმდინარეობდა სხვა პროცესიც — **ლატიფუნდიების (მსხვილი მამულების)** შექმნა. 1904 წლისათვის რუსეთში 30 ათასამდე ისეთი ლატიფუნდია არსებობდა, რომელთა მიწის ფართობი 500 დესეტინაზე მეტი იყო. ეს ლატიფუნდიები 70 მილიონ დესეტინა მიწას მოიცავდა. ამ მიწიდან 36 მილიონი თავადაზნაურობის საკუთრება იყო, 44 მილიონი კი არათავადაზნაურულ წოდებათა წარმომადგენლებისა. 1904 წლისათვის 10,5 მილიონი გლეხური კომლი ფლობდა 71 მილიონ დესეტინა მიწას.

1861 წლის საგლეხო რეფორმის შემდეგაც შენარჩუნდა **სასოფლო თემები.** გლეხების მიერ გამოსყიდული **ნაკელები (მიწის ნაკვეთები)** ცალკეულ გლეხურ კომლებს კი არ ეკუთვნოდათ, არამედ — სასოფლო თემს. სასოფლო თემი ორი ტიპისა იყო: 1) ჩვეულებრივი თემი, რომელიც ერთი სოფლისაგან შედგებოდა; 2) დიდი თემი, რომელიც რამდენიმე სოფლისგან შედგებოდა. სასოფლო თემის მიწა თემის წევრებზე ნაწილდებოდა რაოდენობისა და მოსავლიანობის მიხედვით, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენი სულისაგან შედგებოდა გლეხის კომლი და რა რაოდენობის გამწვევი პირუტყვი (ცხენი, ხარი) გააჩნდა კომლს.

სასოფლო თემი დემოკრატიული პრინციპით იმართებოდა და გარკვეული დოზით **სოციალური თანასწორობის** დაცვის საშუალებას იძლეოდა, რაც სოციალური უკმაყოფილების თავიდან აცილების კარგი საშუალება იყო. ხელისუფლება სასოფლო თემით სხვა მიზეზებითაც იყო დაინტერესებული. სახელმწიფო და სხვა გადასახადი შეწერილი იყო თემზე და არა კომლზე. **გადასახადის სრულად და დროულად ჩაბარებაზე პასუხისმგებელი იყო სასოფლო თემი და არა კონკრეტული გლეხური კომლი.** ეს კი გადასახადების აკრეფას უადვილებდა სახელმწიფოს.

ბატონყმობის გაუქმების შემდგომ ათწლეულებში იწყება **გლეხობის ფენებად დაშლა,** რაც XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე დასრულდა. რუსეთის გლეხობა დაიშალა სამ ფენად: **უღარიბეს გლეხობად, საშუალო გლეხობად** და **მდიდარ გლეხობად (კულაკებად).**

ცვლილება განიცადა მემამულეთა კლასმაც. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში მემამულეები მიწის დასამუშავებლად აქტიურად იყენებდნენ ყოფილ ყმა გლეხებს. მემამულისა და გლეხის მორიგება ხდებოდა სხვადასხვა ფორმით (ბოზიარეობა, მონახევრეობა, შრომამოგება და სხვ.). XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის მემამულეთა უმრავლესობა მიწას კაპიტალისტური წესით (დაქირავებული შრომით) ამუშავებდა.

ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებას ალღო ყველა მემამულემ ვერ აუღო. **თავადაზნაურობის ეკონომიკური დაქვეითების პირობებში იზრდებოდა მემამულეთა მიერ ბანკებში დაგირავებული მიწის რაოდენობა.** 1880 წლისათვის მემამულეებს ბანკებში დაგირავებული ჰქონდათ 12,5 მილიონი დესეტინა მიწა, ხოლო საკრედიტო დაწესებულებებიდან აღებული ჰქონდათ 448 მილიონი მანეთის ოდენობის ვალი.

2. მრეწველობა. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ რუსეთში არსებობას განაგრძობდა **წვრილი წარმოება**, მაგრამ კაპიტალიზმის განვითარების კვალობაზე მისი ხვედრითი წილი სულ უფრო მცირდებოდა. **XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგისათვის რუსეთში დამთავრდა სამრეწველო გადატრიალება — მრეწველობაში გაბატონდა მსხვილი მანქანური წარმოება.** დაიწყო მსხვილი ფაბრიკა-ქარხნების შექმნა.

ბატონყმობის გაუქმების შემდგომ პერიოდში (XIX საუკუნის 60-90-იანი წლები) რუსეთის მრეწველობის სახეს განსაზღვრავდა მსუბუქი მრეწველობა (ძირითადად საფეიქრო მრეწველობა). მრეწველობის სხვა დარგებიდან აღსანიშნავია: რკინის მადნის, ქვანახშირისა და ნავთობის მოპოვება, ქიმიური წარმოება და მანქანათმშენებლობა, აღმავლობას განიცდიდა მეტალურგია (თუჯისა და ფოლადის გამოდნობა).

მრეწველობის განვითარება ითხოვდა სარკინიგზო ტრანსპორტის გაზრდას. 1861 წელს რუსეთის რკინიგზის საერთო სიგრძე 1,5 ათას ვერსს შეადგენდა, ხოლო 1901 წელს — 58 ათას ვერსს.

3. ვაჭრობა. XIX საუკუნის 60-90იანი წლები რუსეთში აღინიშნა საშინაო და საგარეო ვაჭრობის სწრაფი აღმავლობით.

საშინაო ბაზარზე წამყვანი ადგილი ხორბლით ვაჭრობას ეკავა. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში რუსეთის საშინაო ბაზარს 500 მილიონიდან 700 მილიონამდე ფუთი პური მიეწოდებოდა, ხოლო 90-იან წლებში — 1 მილიარდ ფუთზე მეტი.

სწრაფი ტემპით იზრდებოდა სამრეწველო საქონლით ვაჭრობა, რომლის მომხმარებელი როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობა იყო.

რუსეთი საგარეო ვაჭრობაში მუდმივად ინარჩუნებდა აქტიურ ბალანსს. რუსეთიდან დიდი რაოდენობით გაჰქონდათ: ხორბალი, ხეტყე, სელი, მეცხოველეობის პროდუქტი და სხვ. რუსეთში შემოდიოდა: მანქანა-მოწყობილობები, ქვანახშირი, ნავთობი, ბამბა, ასევე ფუფუნების საგნები. საგარეო ვაჭრობაში რუსეთის ძირითადი პარტნიორები იყვნენ ევროპის ქვეყნები. ვაჭრობა წარმოებდა აზიისა და ამერიკის ქვეყნებთანაც.

4. მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა. 1897 წლის აღწერით, რუსეთის იმპერიაში (ფინეთის გამოკლებით) 125.640.000 კაცი ცხოვრობდა. რუსეთის იმპერიის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა ასეთი იყო: გლეხები შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის 81%-ს, მეშჩანები — 10,7%-ს, თავადაზნაურობა — 1,5%-ს, ვაჭრები და საპატიო მოქალაქეები — 0,5%-ს, სამღვდელოება — 0,5%-ს.

კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად ყალიბდება ორი ახალი კლასი — **მუშებისა** და **ბურჟუაზიის**. XIX საუკუნის მიწურულს რუსეთის მრეწველობაში დასაქმებული იყო 1 მილიონზე მეტი მუშა, კიდევ 2 მილიონი მუშა შრომობდა სხვადასხვა სახის სამუშაოზე, 3,5 მილიონი ადამიანი კი სოფლის მეურნეობით იყო დაკავებული.

XIX საუკუნის 60-90-იან წლებში ეკონომიკური და სოციალური განვითარების შედეგად რუსეთში დამკვიდრდა კაპიტალიზმი.

თავი XV. XIX საუკუნის 60-80-იანი წლების პოლიტიკური მოძრაობა. რუსული ნაროდნიკობა

ბატონყმობის გაუქმებამ და XIX საუკუნის 60-70-იანი წლების რეფორმებმა ახალი შინაარსი შესძინა რუსეთის პოლიტიკურ მოძრაობას.

1. პოლიტიკური მოძრაობა 1861-1864 წლებში. ბატონყმობის გაუქმებით საფუძველი დაედო რეფორმების მთელ სერიას. რომელსაც რუსეთის სახელმწიფო უნდა გამოეყვანა **დიდებისა და კეთილდღეობის** გზაზე. მომზადდა ნიადაგი რუსეთის იმპერიის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნისათვის.

ლიბერალურმა ოპოზიციამ ბატონყმობის გაუქმებაში სავსებით სწორად დაინახა ხელისუფლების სწრაფვა განახლებისა და პროგრესისაკენ. სამწუხაროდ, **რადიკალურმა ოპოზიციამ**, რომელიც ძირითადად სოციალისტური დოქტრინის სხვადასხვა მიმდინარეობის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ბატონყმობის გაუქმება **„ახალ მოტყუებად“** შერაცხა და გლეხობას ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდა. XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგისათვის რუსეთში ჩამოყალიბდა რადიკალური ოპოზიციის ცალკეული ჯგუფები და წრეები. ხელისუფლების წინააღმდეგ მათი ბრძოლა იმხანად პროკლამაციების გამოცემაში გამოიხატა. 1861-1863 წლები რუსეთის ისტორიაში **„პროკლამაციების პერიოდის“** სახელითაა ცნობილი. ამ პროკლამაციებს საერთო მიზანი ჰქონდათ — ხალხის ამბოხება ხელისუფლების წინააღმდეგ. ყველაზე უფრო გახმაურებულ პროკლამაციებს შორის უნდა მოვიხსენიოთ: **„სალამი საბატონო გლეხებს მათი კეთილისმსურველებისაგან“** (1861 წ.), **„ახალგაზრდა თაობას“** (1861 წ.), **„გლეხებს“** (1862 წ.), **„ჯარისკაცებს“** (1862 წ.), **„ხალხს“** (1862 წ.), **„ოფიცრებს“** (1862 წ.), **„ახალგაზრდა რუსეთი“** (1862 წ.) და სხვ. ცხადია, პროკლამაციების გავრცელების გზით ხალხის ამბოხება შეუძლებელი იყო. „პროკლამაციების პერიოდი“ რუსეთში რადიკალური ოპოზიციის მარცხით დამთავრდა.

ცხადია, რადიკალური ოპოზიცია გრძნობდა ორგანიზებული გაერთიანების აუცილებლობას. 1861 წელს პეტერბურგში შეიქმნა რუსეთის რევოლუციური ორგანიზაცია **„ზემლია ი ვოლია“ („მიწა და თავისუფლება“)**. „ზემლია ი ვოლია“ იყო თავისებური „ფედერაციული“ ორგანიზაცია, რომელიც რუსეთის სხვადასხვა ქალაქში მოქმედ წრეებსა და ჯგუფებს აერთიანებდა. ორგანიზაციის სათავეში იდგა **კომიტეტი**. „ზემლია ი ვოლიას“ შექმნის ინიციატორები იყვნენ ძმები **ალექსანდრე და ნიკოლოზ სერნო-სოლოვიევიჩები, ნიკოლოზ ობრუჩევი, ალექსანდრე სლეპცოვი, ალექსანდრე პუტიატა**. რევოლუციური ორგანიზაციის შექმნის იდეას მხარს უჭერდნენ **ალექსანდრე გერცენი, ნიკოლოზ ოგარიოვი** და **ნიკოლოზ ჩერნიშევსკი**.

„ზემლია ი ვოლიას“ საპროგრამო მოთხოვნები ჩამოყალიბებული იყო **ნიკოლოზ ოგარიოვის** სტატიაში **„რა უნდა ხალხს?“**. ეს სტატია ალექსანდრე გერცენის მიერ საზღვარგარეთ დაარსებულ ჟურნალ „კოლოკოლში“ დაიბეჭდა 1861 წელს. პროგრამის უმთავრეს მოთხოვნებს შეადგენდა: **გლეხებისათვის** იმ მიწის **სრულად გადაცემა**, რასაც ისინი ბატონყმობის **გაუქმებამდე ფლობდნენ ნადელის სახით** (ე.ი. „ჩამონაჭრების“ დაბრუნება), ვოლოსტში, მაზრასა და გუბერნიაში ხელისუფლების მიერ დანიშნული მოხელეების შეცვლა ხალხის მიერ არჩე-

ნიკოლოზ ჩერნიშევსკი

ული თვითმმართველობით, სრულიად რუსეთის სახალხო წარმომადგენლობის არჩევა და სხვ. პროგრამა აყენებდა გლეხების ჯართან დაახლოების საკითხს, რათა შესაძლებელი ყოფილიყო „მეფისა და დიდებულების" წინააღმდეგ ბრძოლაში „მიწისა" და „თავისუფლების" მოპოვება.

„ზემლია ი ვოლიას" მიზანი იყო რუსეთის გლეხობის აჯანყების მომზადება, რომლის დაწყებასაც 1863 წელს ვარაუდობდნენ. **ალექსანდრე გერცენმა** და **ნიკოლოზ ოგარიოვმა** მოქმედების გეგმაც შეადგინეს. იმპერატორისათვის უნდა წაეყენებინათ ყველა წოდების მიერ არჩეული **საერობო კრების** მოწვევის მოთხოვნა, ხოლო უარის შემთხვევაში დაეწყოთ გლეხთა აჯანყება. აჯანყების მოწყობა „ზემლია ი ვოლიამ" ვერ შეძლო. ვერც 1863 წელს პოლონეთში დაწყებულ აჯანყებასთან კავშირის დამყარება მოხერხდა. თვით ორგანიზაციის შიგნით გაღრმავდა უთანხმება. 1864 წელს „ზემლია ი ვოლიამ" თვითლიკვიდაცია მოახდინა.

XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგის ლიბერალური ოპოზიციის ღონისძიებებიდან ყველაზე ღირსშესანიშნავია ტვერის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის **ალექსი უნკოვსკის** ინიციატივით ორგანიზებული გამოსვლა. 1861 წელს ტვერის გუბერნიის მომრიგებელ შუამავალთა ყრილობამ სამართლიანად ცნო: 1) გლეხების მიერ მიწის გამოსყიდვის სავალდებულოდ გამოცხადება; 2) თავადაზნაურობის წოდებრივი პრივილეგიების გაუქმება და ყველა წოდების ერთ წოდებად შერწყმა; 3) დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნა; 4) მმართველობის სისტემაში საჯარისობის დამკვიდრება; 5) საფინანსო უწყების სისტემის გარდაქმნა. ყოველივე ამან ასახვა პოვა ალექსანდრე II-ის სახელზე შედგენილ ადრესში, რომელსაც ხელი მოაწერეს ტვერის გუბერნიის ლიბერალურად განწყობილმა თავადაზნაურობის წარმომადგენლებმა, სულ 112 კაცმა, მათ შორის იყო ალექსი უნკოვსკი და 9 მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლები. ადრესმა ალექსანდრე II-ის აღშფოთება გამოიწვია. იმპერატორის ბრძანებით, ტვერის გუბერნიის ლიბერალი თავადაზნაურების ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები, სულ 30 კაცი, ორი წლით პეტრე-პავლეს ციხეში ჩასვეს, თუმცა რამდენიმე თვეში ყველანი გაათავისუფლეს.

ტვერის გუბერნიის ლიბერალი თავადაზნაურობის შეხედულებებს იზიარებდა **კალუგის, ვორონეჟის, მოსკოვის, რიაზანისა** და **ტულის** გუბერნიების თავადაზნაურობის ნაწილი.

2. პოლონეთის 1863-1864 წლების აჯანყება. პოლონელი ერი არასოდეს შეჰგუებია სახელმწიფოებრიობის დაკარგვას და პოლონეთის დანაწილებას რუსეთს, ავსტრიასა და პრუსიას შორის. 1830-1831 წლების აჯანყების მარცხმაც ვერ გატეხა პოლონელთა წინააღმდეგობა. 1860 წელს ვარშავაში დაიწყო დიდი პატრიოტული მანიფესტაციები, რომელშიც ძირითადად მოსწავლე ახალგაზრდობა მონაწილეობდა. 1861 წელს ვარშავაში აჯანყების მომზადების მიზნით შეიქმნა **საიდუმლო ორგანიზაცია**, რომელსაც სათავეში ედგა **ეროვნული ცენტრალური კომიტეტი**. ეროვნული ცენტრალური კომიტეტის ყველაზე პოპულარული მოღვაწე და ორგანიზაციის ლიდერი იყო **იაროსლავ დომბროვსკი**. მასთან ერთად აჯანყების მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანეს **სტანისლავ ბობროვსკიმ** და **ვალერი ვრუბელსკიმ**.

აჯანყება პოლონეთის სამეფოში დაიწყო 1863 წლის 11 იანვარს პოლონეთის ტერიტორიაზე განლაგებულ რუსულ გარნიზონებზე ერთდროული თავდასხმით. ეროვნულმა ცენტრალურმა კომიტეტმა თავი დროებით ეროვნულ მთავრობად გამოაცხადა და მოსახლეობას სპეციალური მანიფესტითა და დეკრეტით მიმართა. დეკრეტმა ქვეყანას ამცნო პოლონეთის დამოუკიდებლობა, გლეხთა განთავისუფლება საბატონო გადასახადებისაგან და გლეხობისათვის საკუთრებაში იმ მიწების გადაცემა, რომლითაც ისინი ბატონყმობის დროს სარგებლობდნენ. ამასთან ერთად, ხელუხლებლად რჩებოდა მემამულური მიწისმფლობელობა.

პოლონეთის აჯანყებას აქტიურად დაუჭირა მხარი ქვეყნის **კათოლიკურმა სამღვდელოებამ, ხელოსნებმა, წვრილმა ბურჟუაზიამ, წვრილმა მოხელეებმა, მოსწავლე ახალგაზრდობამ, გაღარიბებულმა აზნაურებმა**. მსხვილი მემამულეები და მსხვილი ბურჟუაზია პასიურობდა და ლოდინის ტაქტიკას არჩევდა. პასიური დარჩა გლეხობის დიდი ნაწილიც. 1863 წლის გაზაფხულისათვის აჯანყებულთა ძალები 44 ათას კაცს ითვლიდა, პოლონეთის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის არმია კი 90 ათასი კაცისაგან შედგებოდა (მათ შორის 25 ათასი ვარშავის გარნიზონში იყო თავმოყრილი). მიუხედავად ამისა, რუსეთის არმიას აჯანყების პირველ ეტაპზე დიდი აქტიურობა არ გამოუჩენია.

თავისი მიზნებისათვის პოლონეთის აჯანყების გამოყენება სცადეს **ინგლისმა** და **საფრანგეთმა**. ისინი რუსეთისაგან ითხოვდნენ ანგარიში გაეწიათ აჯანყებულთა მოთხოვნებისათვის. ინგლისურ და ფრანგულ პრესაში ანიტირუსული კამპანია დაიწყო. სამაგიეროდ, რუსეთის მოკავშირედ გამოვიდა **პრუსია**, რომელსაც აშინებდა, პოლონეთის სამეფოში დაწყებული აჯანყება არ გავრცელებულიყო (პოზნანშჩინაზე), პრუსიის შემადგენლობაში მყოფ პოლონეთის ნაწილზე. 1863 წელს რუსეთსა და პოლონეთს შორის დაიდო **კონვენცია** აჯანყებულთა წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ.

ალექსანდრე II-მ პოლონეთში **სამხედრო მდგომარეობა** გამოაცხადა. ამასთან ერთად, გამოცხადდა, რომ აჯანყებულები არ დაისჯებოდნენ, თუ იარაღს დაყრიდნენ. ამ დაპირებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. 1863 წლის ზაფხულში რუსეთის არმიის დამატებითი ძალები პოლონეთში შეიდნენ და დაიწყო აჯანყების ჩახშობა. რუსებმა შეიპყრეს და სამხედრო სასამართლოს განაჩენით, სიკვდილით დასაჯეს აჯანყების ცნობილი ხელმძღვანელები **სიგიზმუნდ სერაკოვსკი** და **კასტუს კალინოვსკი**.

აჯანყებულთა პირველმა მარცხმა გააღრმავა ცენტრალურ ეროვნულ კომიტეტში ადრე არსებული უთანხმოება. აჯანყებულთა მდგომარეობა გართულდა იმითაც, რომ ვერანაირი დახმარება ინგლისისა და საფრანგეთისაგან ვერ მიიღეს.

1863 წლის სექტემბერში პოლონეთის აჯანყებას სათავეში ჩაუდგა გენერალი **რომუალდ ტრაუგუტი** მაგრამ 1864 წელს რომუალდ ტრაუგუტმაც მარცხი იწვნია. იგი შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. 1864 წლის ზაფხულის ბოლოსათვის პოლონეთის აჯანყება დამარცხდა. აჯანყების 400 მონაწილე სიკვდილით დასაჯეს, 15.000 კაცი ციმბირში გადაასახლეს.

პოლონეთის აჯანყებას დიდი გამოძახილი ჰქონდა რუსეთში, განსაკუთრებით კოლონიურ მხარეებში (ბალტიისპირეთში, უკრაინაში, საქართველოში).

3. რევოლუციური წრეები და ორგანიზაციები XIX საუკუნის 60-იანი წლების შუახანებსა და 70-იანი წლების დამდეგს. პეტერბურგში, მოსკოვსა და სხვა ქალაქებში შეიქმნა რევოლუციური წრეები და ჯგუფები. 1863-1866 წლებში მოსკოვში მოქმედებდა **იშუტინელთა წრე**, რომელიც დაარსა მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტმა **ნიკოლოზ იშუტინმა**. წრის წევრები იყვნენ: **დიმიტრი კარაკოზოვი, პეტრე ერმოლოვი, პეტრე ნიკოლაევი** და სხვ. თავდაპირველად იშუტინელები საქველმოქმედო საქმიანობას მისდევდნენ და ცდილობდნენ დახმარება აღმოეჩინათ ღარიბი მოსახლეობისათვის. 1865 წლიდან ისინი აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობაზე გადადიან და 1866 წელს საიდუმლო რევოლუციურ ორგანიზაციასაც ქმნიან. 1866 წლის 4 აპრილს **დიმიტრი კარაკოზოვმა** პეტერბურგში ალექსანდრე II-ს ესროლა, მაგრამ შემთხვევის წყალობით ტყვია იმპერატორს ასცდა. დიმიტრი კარაკოზოვი ჩამოახრჩვეს, წრის დანარჩენი წევრები გადასახლებასა და კატორღაში გაგზავნეს.

1868-1869 წლების მიჯნაზე პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტმა **სერგეი ნეჩაევმა** ჟურნალისტ **პეტრე ტკაჩოვთან** ერთად შექმნა საიდუმლო ორგანიზაცია, რომლის მიზანი იყო **„პოლიტიკური რევოლუციის“** განხორციელება. 1869 წელს ორგანიზაცია პოლიციამ გაანადგურა. სერგეი ნეჩაევმა საზღვარგარეთ გაქცევა მოახერხა. იგი ემიგრაციაში მყოფ **მიხეილ ბაკუნინს** დაუახლოვდა და დაიწყო ახალი ტერორისტული ორგანიზაციის **„ნაროდნაია რასპრავას“** („სახალხო შურისგების“) შექმნა. მალე ორგანიზაციაში რამდენიმე ათეული კაცი გაერთიანდა. სერგეი ნეჩაევი აპირებდა 1870 წლიდან დაეწყო „დამანგრეველი მოღვაწეობა“, რაც საბრძოლო რაზმების შექმნასა და ხელისუფლების წინააღმდეგ ტერორის გაჩაღებაში გამოიხატებოდა. 1869 წელს ორგანიზაცია პოლიციამ გაანადგურა. დააპატიმრეს 80 კაცი. სერგეი ნეჩაევმა ამჯერადაც შეძლო საზღვარგარეთ გაქცევა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში შექმნილი რევოლუციური წრეებიდან აღსანიშნავია **მარკ ნატანსონის, პეტრე კროპოტკინის, ნიკოლოზ ჩაიკოვსკის** და **სოფია პეროვსკაიას** მიერ შექმნილი წრეები. 1871 წელს მარკ ნატანსონისა და სოფია პეროვსკაიას წრეები გაერთიანდა და შეიქმნა ორგანიზაცია **„პროპაგანდის დიდი საზოგადოება“**. ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო **ნიკოლოზ ჩაიკოვსკი** და, ამიტომ, ორგანიზაცია ისტორიაში **ჩაიკოვსკელთა წრის** სახელწოდებით დარჩა. ჩაიკოვსკელთა წრე 1874 წელს გაანადგურა პოლიციამ. ორგანიზაციის წევრების უმრავლესობა შემდგომში ნაროდნიკული მოძრაობის აქტიური მონაწილე გახდა.

4. რუსული ნაროდნიკობა XIX საუკუნის 70-80-იან წლებში. XIX საუკუნის 70-

80-იანი წლების რუსეთის პოლიტიკური მოძრაობის უმთავრეს მიმდინარეობას **ნაროდნიკობა (ხალხოსნობა)** წარმოადგენდა.

ნაროდნიკული იდეოლოგია ემყარებოდა **რუსეთის განვითარების თვითმყოფადობის** აღიარებას. ნაროდნიკების აზრით, თვითმყოფადობა იმაში გამოიხატებოდა, რომ **რუსეთს კაპიტალიზმის გვერდის ავლით შეეძლო პირდაპირ სოციალიზმში შესვლა.** ამის ობიექტურ წინაპირობად ნაროდნიკები მიიჩნევდნენ რუსეთში კაპიტალიზმის განუვითარებლობასა და სასოფლო (გლეხური) თემის არსებობას. **„რუსული სოციალიზმის"** თეორია ჯერ კიდევ XIX საუკუნის 40-50-იანი წლების მიჯნაზე წამოაყენა ალექსანდრე გერცენმა. სწორედ ამიტომ ითვლება ალექსანდრე გერცენი რუსული ნაროდნიკობის წინამორბედად.

ალექსანდრე გერცენის „თემური სოციალიზმის" იდეა განავითარა ნიკოლოზ ჩერნიშევსკიმ. ა. გერცენისაგან განსხვავებულად აფასებდა სასოფლო თემს ნ. ჩერნიშევსკი. ნიკოლოზ ჩერნიშევსკის აზრით, გლეხური თემი წარსულის გადმონაშთი იყო. იგი თავდაპირველად იარსებებდა წარმოების კაპიტალისტურ წესთან ერთად, ხოლო შემდეგ იგი რუსეთის სინამდვილიდან განდევნიდა კაპიტალიზმს და საბოლოოდ ქვეყნად დამკვიდრდებოდა **კოლექტიური საკუთრება.** ამის შემდეგ თემი, როგორც წარმოების უჯრედი, არსებობას შეწყვეტდა.

ნაროდნიკობამ, როგორც პოლიტიკურმა მიმდინარეობამ, ჩამოყალიბება დაიწყო XIX საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზე. ნაროდნიკები თვლიდნენ, რომ ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელი იყო მხოლოდ **რევოლუციის** განხორციელების გზით. სწორედ ამიტომ ამ პერიოდის ნაროდნიკებს **რევოლუციურ ნაროდნიკებს** უწოდებენ. XIX საუკუნის 60-იანი წლების დამლევსა და 70-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა ნაროდნიკების დოქტრინა, რომლის მთავარი იდეოლოგები იყვნენ **მიხეილ ბაკუნინი, პეტრე ლავროვი** და **პეტრე ტკაჩოვი.**

მიხეილ ბაკუნინი

მიხეილ ბაკუნინი (1814-1876) ტვერის გუბერნიის მემამულის ოჯახში გაიზარდა, იგი თავისი ეპოქის უნიჭიერესი და უგანათლებულესი მოღვაწე იყო. დასავლეთ ევროპაში ცხოვრების წლებში მიხეილ ბაკუნინს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ სოციალისტებთან. სამშობლოში დაბრუნებაზე უარის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ ემიგრაციაში მყოფ მიხეილ ბაკუნინს ჩამოართვა წოდება და ქონება და კატორღაში მუშაობა მიუსაჯა. 1848-1849 წლებში მ. ბაკუნინმა მონაწილეობა მიიღო საფრანგეთისა და გერმანიის რევოლუციებში. 1851 წელს ავსტრიის ხელისუფლებამ მიხეილ ბაკუნინი რუსეთის მთავრობას გადასცა. ექვსი წლის პატიმრობის შემდეგ ალექსანდრე II-მ მიხეილ ბაკუნინს „უწყალობა" უფლება დარჩენილი სასჯელი ციმბირის გადასახლებაში მოუხადა. 1861 წელს მიხეილ ბაკუნინი გადასახლებიდან გაიქცა.

მიხეილ ბაკუნინი იყო საერთაშორისო ანარქიზმის დიდი თეორეტიკოსი. მისი უმთავრესი ნაშრომია **„სახელმწიფოებრიობა და ანარქია"** (1873 წ.). მ. ბაკუნინი თვლიდა, რომ ყველა ბოროტების მიზეზი სახელმწიფო იყო, ყველაზე დემოკრატიული სისტემაც კი „ექსპლუატაციისა და დესპოტიზმის" წყაროს წარმოადგენდა. **მიხეილ ბაკუნინი წინააღმდეგი იყო პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებისა, რადგან ამ თავისუფლებით, მისი აზრით, მხოლოდ ბურჟუაზია ისარგებლებდა.** ამიტომაც საჭირო იყო ბრძოლა არა პოლიტიკური, არამედ სოცი-

ალური თავისუფლებისათვის. აქედან გამომდინარეობდა პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობის უარყოფა. **მიხეილ ბაკუნინის აზრით, სახელმწიფო უნდა შეეცვალა თავისუფალი თვითმმართველი თემების ფედერაციულ გაერთიანებას, რომელიც საზოგადოებრივ საკუთრებას დაეფუძნებოდა.** ფედერაციას არ ეყოლებოდა არმია, ხოლო გარეშე საფრთხის შემთხვევაში უნდა მომზდარიყო მოსახლეობის საყოველთაო შეიარაღება.

მიხეილ ბაკუნინს სწამდა, რომ რუსი გლეხი **„სოციალისტი იყო ინსტინქტით"**. ამის გამო რუსეთში არ იყო აუცილებელი სოციალიზმის იდეების ქადაგება. სოციალიზმის დასამყარებლად საკმარისი იყო საყოველთაო აჯანყებისაკენ (ბუნტისაკენ) მოწოდება. სოციალისტებს, ამ შემთხვევაში მხოლოდ ნაპერწკლის როლი უნდა ეთამაშათ, რათა **„საყოველთაო ბუნტის"** ხანძარი ანთებულიყო.

პეტრე ლავროვი (1823-1900) ფსკოვის გუბერნიის მდიდარი მემამულის შვილი იყო. მან ბრწყინვალედ დაამთავრა საარტილერიო აკადემია და გახდა იმავე აკადემიის პროფესორი. XIX საუკუნის 40-იან წლებში პეტრე ლავროვი სოციალისტური იდეებით დაინტერესდა, დაკავშირებული იყო „ზემლია ი ვოლიასა" და



პეტრე ლავროვი

იშუტინელთა წრესთან. დიმიტრი კარაკოზოვის მიერ ალექსანდრე II-ის მკვლელობის მცდელობის საქმესთან დაკავშირებით 1866 წელს პეტრე ლავროვი დააპატიმრეს და გადაასახლეს. გადასახლებაში მან დაწერა ცნობილი ნაშრომი **„ისტორიული წერილები"**, რომელიც 1868-1869 წლებში გამოქვეყნდა. 1870 წელს პეტრე ლავროვი გადასახლებიდან გაიქცა და დასავლეთ ევროპაში ცხოვრობდა.

პეტრე ლავროვი იზიარებდა მიხეილ ბაკუნინის შეხედულებას „სოციალური რევოლუციის შესახებ", რომელიც „დაიწყებოდა არა ქალაქში, არამედ სოფლებში". **პ. ლავროვიც მიიჩნევდა, რომ გლეხური თემი იყო „სოციალიზმის უჯრედი".** ამავე დროს პ. ლავროვი მ. ბაკუნინს არ ეთანხმებოდა იმაში, რომ რუსეთში გლეხური რევოლუცია სავსებით მომწიფებული იყო. უფრო მეტიც, პ. ლავროვის აზრით, რევოლუციისათვის არათუ გლეხობა, ინტელიგენციაც კი არ იყო მზად. **სწორედ ამის გამო ჯერ თვით ინტელიგენცია უნდა მომზადებულიყო და შემდეგ გლეხობაში დაწყებულიყო დიდი პროპაგანდისტული მუშაობა.** ამრიგად, მიხეილ ბაკუნინის **„ბუნტარულ"** ტაქტიკას პეტრე ლავროვმა დაუპირისპირა **„პროპაგანდისტული"** თეორია.

პეტრე ტკაჩოვი (1844-1885) ფსკოვის გუბერნიის ღარიბი მემამულის ოჯახიდან იყო. იგი რუსულ ნაროდნიკობაში **„შეთქმულებითი"** ტაქტიკის იდეოლოგად ითვლება. პეტრე ტკაჩოვი ფრანგი სოციალისტის **ოგუსტენ ბლანკის** მიმდევარი იყო. 1869 წელს სერგეი ნეჩაევის საქმესთან დაკავშირებით პ. ტკაჩოვი მსჯავრდებულ იქნა. ციხიდან გათავისუფლების შემდეგ გადაასახლეს მშობლიურ სოფელში, საიდანაც მალე საზღვარგარეთ გაიქცა.

პეტრე ტკაჩოვის აზრით, **რუსეთში გლეხური რევოლუციის განხორციელება საჭირო არ** იყო. **რევოლუციონერების მცირე ჯგუფს შეეძლებოდა შეთქმულების გზით ხელში ჩაეგდო ძალაუფლება.** პ. ტკაჩოვს სჯეროდა, რომ რუსეთში ვერც „ბუნტარული" და ვერც „პროპაგანდისტული" ტაქტიკა მიზანს ვერ მიაღწევდა, შეთქმულების გზით ხელისუფლების დაპყრობა კი შესაძლებელი იყო, რადგან თვითმპყრობელობას ხალხში დასაყრდენი არ გააჩნდა.

როგორც დავინახეთ, ნაროდნიკობაში რამდენიმე მიმდინარეობა არსებობდა, მაგრამ ყველა ნაროდნიკი აღიარებდა შემდეგს: 1) რუსეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოცი-

ალური წყობილების შეცვლა ძალის გამოყენებით; 2) რევოლუციის მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო გლეხობა; 3) სოციალისტური რევოლუცია მოსპობდა არა მარტო ფეოდალური წყობილების ნაშთებს, არამედ წინ აღუდგებოდა კაპიტალიზმის გახვითარებას და დაამკვიდრებდა სოციალისტურ წყობილებას; 4) სოციალიზმის ბაზად რუსული სასოფლო (გლეხური) თემი გამოდგებოდა; 5) გლეხური რევოლუციის მომზადებისათვის აუცილებელი იყო რევოლუციური პარტიის (ორგანიზაციის) შექმნა.

რევოლუციური ნაროდნიკობის პირველი სერიოზული აქცია იყო **„ხალხში სიარული“**, რაც 1874 წელს დაიწყო. ამ მოძრაობაში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათასმა ნაროდნიკმა-პროპაგანდისტმა, რომელთა მიზანი იყო რუსეთის გლეხობის მომზადება საყოველთაო ამბოხებისათვის. ნაროდნიკებმა რუსეთის 37 გუბერნიაში გააჩაღეს პროპაგანდისტული მუშაობა. „ხალხში სიარულს“ შედეგი არ მოჰყოლია. პოლიციამ შეძლო ნაროდნიკ-პროპაგანდისტების უდიდესი ნაწილის დაპატიმრება. მარტო 26 გუბერნიაში 4 ათასზე მეტი პროპაგანდისტი დააპატიმრეს, ბევრი მათგანი კატორღაში გაიგზავნა.

რუსეთში ნაროდნიკული მოძრაობის ცნობილ ორგანიზატორთა შორის იყვნენ ქართველები: **მიხეილ ჩიკოიძე, ივანე ჯაბადარი** და **ალექსანდრე ციციშვილი**. მათი ხელმძღვანელობით მოსკოვში შეიქმნა ნაროდნიკული ორგანიზაცია **„კავკასიელთა წრე“**.

„ხალხში სიარულის“ მარცხის შემდეგ ნაროდნიკებმა სცადეს **„სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციური ორგანიზაციის“** შექმნა. 1874 წლის შემოდგომაზე დაპატიმრებას გადარჩენილმა ნაროდნიკებმა ემიგრაციიდან დაბრუნებულ ნაროდნიკებთან ერთად შექმნეს ფარული ორგანიზაცია ე.წ. **„მოსკოველთა წრე“**. ორგანიზაციის დამაარსებლები და შემდგომ მისი წევრები იყვნენ: **ვერა ფიგნერი, სოფია ბარდინა, ივანე ჯაბადარი, მიხეილ ჩიკოიძე, ალექსანდრე ციციშვილი, ვერა ლუბატოვიჩი** და სხვები. „მოსკოველთა წრე“ თავის მიზნად ისახავდა პროპაგანდისტული მუშაობის გაგრძელებას საერთო-სარუსეთო ბუნტის მომზადების მიზნით. ამავე დროს წრის წევრები თელიდნენ, რომ ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი იყო ძლიერი რევოლუციური ორგანიზაციის შექმნის გარეშე. გლეხთა შორის პროპაგანდისტული მუშაობის პარალელურად „მოსკოველთა წრემ“ პროპაგანდა გააჩაღა **მოსკოვის, ტულის, ივანოვო-ვოზნესენსკის** და სხვა ქარხნებისა და ფაბრიკების მუშებს შორის.

„მოსკოველთა წრემ“ ვერ მოასწრო რუსეთის მასშტაბის მოქმედ ორგანიზაციად გარდაქმნა. 1875 წლის აპრილში „მოსკოველთა წრე“ ჩავარდა. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ **მიხეილ ჩიკოიძე, ალექსანდრე ციციშვილი** და **ივანე ჯაბადარი**. დაპატიმრებისას ალექსანდრე ციციშვილმა პოლიციას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია. 1877 წელს გაიმართა სასამართლო პროცესი, რომელიც ისტორიაში ცნობილია **„ორმოცდაათის პროცესის“** სახელწოდებით. პროცესზე ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა მუშა **პეტრე ალექსეევმა** და **სოფია ბარდინამ**. პეტრე ალექსეევის სიტყვა მასთან ერთად ციხეში მყოფმა ქართველმა ნაროდნიკებმა **ივანე ჯაბადარმა** და **მიხეილ ჩიკოიძემ** დაწერეს. სასამართლომ მკაცრი განაჩენი გამოუტანა „მოსკოველთა წრის“ წევრებს. მიხეილ ჩიკოიძე, ალექსანდრე ციციშვილი და ივანე ჯაბადარი სხვებთან ერთად ციმბირის კატორღაში გაგზავნეს. „მოსკოველთა წრის“ განადგურებამ ვერ შეაფერხა ნაროდნიკული მოძრაობის აღმავლობა.

„ხალხში სიარულის“ კრახმა ნაროდნიკები დაარწმუნა იმაში, რომ აუცილებელი იყო ძლიერი, ცენტრალიზებული ფარული ორგანიზაციის შექმნა. ასეთი ორგანიზაცია 1876 წელს შეიქმნა პეტერბურგში. მას თავდაპირველად ეწოდებოდა **„ჩრდილოეთის რევოლუციური ნაროდნიკული ჯგუფი“**. 1878 წელს ორგანიზაციამ წინათ არსებული ნაროდნიკული ორგანიზაციის პატივისცემის ნიშნად, მიიღო სახელწოდება **„ზემლია ი ვოლია“**.

ახალმა ნაროდნიკულმა ორგანიზაციამ 1876 წელსვე ჩაატარა პირველი სერიოზული აქცია. **პეტერბურგში**, ყაზანის ტაძრის, წინ შეიკრიბა ოთხასამდე კაცი. დემონსტრაციაზე სიტყვით გამოვიდა **გიორგი პლეხანოვი**, რომელმაც შეკრებილთ დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდა. ერთ-ერთმა დემონსტრანტმა წითელი დროშა ააფრიალა. პოლიციამ დემონსტრაცია დაარბია. ოცდაათამდე კაცი შეიპყრეს და გადასახლებასა და კატორღაში გაგზავნეს. გიორგი პლეხანოვმა მიმალვა მოახერხა.

„ზემლია ი ვოლიას“ დამაარსებლები იყვნენ: **გიორგი პლეხანოვი, მარკ ნატანსონი, ოლგა ნატანსონი, ოსიპ აპტეკმანი, ალექსანდრე მიხაილოვი, ადრიან მიხაილოვი**. ცოტა მოგვიანებით ორგანიზაციის წევრები გახდნენ: **ვერა ფიგნერი, სოფია პეროვსკაია, ნიკოლოზ მორო-**

ზოვი, დიმიტრი კლემენცი, სერგეი კრავჩინსკი, ლევ ტიხომიროვი.

„ზემლია ი ვოლია“ ადრე არსებული წრეებისა და ჯგუფებისაგან განსხვავებით იყო ფართო და კარგად კონსპირირებული ორგანიზაცია. ფილიალებთან ერთად ორგანიზაცია ორასამდე წევრს აერთიანებდა. „ზემლია ი ვოლიას“ ბირთვს შეადგენდა ოცდაათკაციანი ჯგუფი, რომელიც ირჩევდა ხელმძღვანელ ორგანოს — **„ცენტრს“**, იგივე **„აღმინისტრაციას“**. ორგანიზაციის დანარჩენი წევრები იყოფოდნენ ჯგუფებად იმის მიხედვით, თუ რა დავალებას ასრულებდნენ („სოფლელთა ჯგუფი“, „ინტელიგენტთა ჯგუფი“, „მუშათა ჯგუფი“, და ა.შ.) მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებოდა **„დეზორგანიზაციის ჯგუფს“**. მისი ამოცანა იყო პოლიციის მხრიდან მოსალოდნელი რეპრესიების წინასწარ შეტყობა, პოლიციის მოხელეთა და სხვა თანამდებობის პირთა გადაბირება და მოსყიდვა. მოგვიანებით ამავე ჯგუფს დაეკალა ტერორისტული აქტების მომზადება და განხორციელება. სპეციალური ჯგუფი, ე.წ. **„ზეციური კანცელარია“** ორგანიზაციის წევრებისათვის ყალბი პასპორტების და სხვა დოკუმენტების დამზადებით იყო დაკავებული.

„ზემლია ი ვოლიას“ რუსეთის რეგიონებში ჰქონდა ორგანიზაციები — **ტერორისტული „თემები“**, რომლებიც ავტონომიურად მოქმედებდნენ. ტერორისტული ორგანიზაციების უმთავრესი დანიშნულება იყო გლეხთა აჯანყების მომზადება.

1878-1879 წლებში „ზემლია ი ვოლია“ გამოსცემდა არალეგალურ გაზეთებს **„ზემლია ი ვოლია“** და **„ლისტოკ ზემლი ი ვოლი“**.

„ზემლია ი ვოლიას“ ჰქონდა თავისი პროგრამა. მისი უმთავრესი მოთხოვნები იყო შემდეგი: 1) მთელი მიწის გადაცემა გლეხებისათვის თემური მიწათსარგებლობის წესით, ე.ი. მიწა გადადიოდა არა კერძო საკუთრებაში, არამედ თემურ საკუთრებაში; 2) თვითმმართველობის შემოღება; 3) სამეურნეო ორგანოების — სასოფლო და სამრეწველო ასოციაციების დაარსება; 4) სიტყვის, კრებისა და რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება. ბრძოლის უმთავრეს ტაქტიკად აღიარებულ იქნა გლეხობაში, მუშებში, ხელოსნებში, სტუდენტებსა და სამხედროებში, ასევე საზოგადოების ლიბერალურად განწყობილ ნაწილში **პროპაგანდა** პოლიტიკური რეჟიმით უკმაყოფილო ძალების შეკავშირების მიზნით. „ზემლია ი ვოლიას“ პროგრამაში აისახა მიხეილ ბაკუნინისეული **იდეა — პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლის უარყოფა.** „ხალხში სიარულმა“ ნაროდნიკები დაარწმუნა იმაში, რომ გლეხობა პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლას არ აპირებდა. **„ზემლია ი ვოლიას“ პროგრამის შედგენის დროისათვის ტერორი, როგორც ბრძოლის ფორმა, არ იყო აღიარებული, რის გამოც ტერორის შესახებ პროგრამაშიც არ ყოფილა საუბარი.** ტერორის ბრძოლის ფორმად აღიარება 1879 წელს მოხდა. 1879 წლამდელი ტერორისტული აქტები უფრო მეტად ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული რეპრესიებისაგან თავდაცვის მიზნით ხორციელდებოდა და რევოლუციური ბრძოლის ტაქტიკას იგი ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა.

„ზემლია ი ვოლიამ“ შეძლო თავისი აგენტურის დანერგვა **იმპერატორის პირადი კანცელარიის მესამე განყოფილებაში**, ხოლო მისი ლიკვიდაციის შემდეგ — შინაგან საქმეთა სამინისტროს **პოლიციის დეპარტამენტში**. ამის წყალობით ნაროდნიკებმა წინასწარ იცოდნენ დამსჯელ ორგანოებში შესული დასმენებისა და სხვა მასალების შესახებ, ასევე მოსალოდნელი ჩხრეკებისა და დაპატიმრებების შესახებ.

1879 წელს „ზემლია ი ვოლიას“ რიგებში გაძლიერდა ის ჯგუფი, რომელიც **პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობას აღიარებდა** და ტერორის ტაქტიკას ემხრობოდა. ამ ჯგუფმა თავისი აღმასრულებელი კომიტეტი შექმნა და მოქმედებებიც დაიწყო.

1879 წლის 2 აპრილს ჯგუფის წევრმა ნაროდნიკმა **ალექსანდრე სოლოვიოვმა** ალექსანდრე II-ს ესროლა, მაგრამ იმპერატორს არც ერთი ტყვია არ მოხვედრია. ტერორისტი იქვე შეიპყრეს და შემდეგ ჩამოახრჩვეს. ტერორისტულ აქტს მოჰყვა რეპრესიები, ბევრი ნაროდნიკი დააპატიმრეს.

უთანხმოება „ზემლია ი ვოლიაში“ სულ უფრო ღრმავდებოდა. 1879 წელს ტერორის მომხრე ნაროდნიკებმა „ზემლია ი ვოლიას“ შიგნით შექმნეს ფარული ორგანიზაცია **„სიკვდილი ან თავისუფლება“**. უთანხმოების დაძლევის მიზნით 1879 წელს **ვორონეჟში** შედგა „ზემლია ი ვოლიას“ ყრილობა. ყრილობაზე ტერორის ტაქტიკას თავგამოდებით იცავდა **ანდრეი ჟელიაბოვი**, ხოლო პროპაგანდისტული მუშაობის გაგრძელების მომხრედ **გიორგი პლეხანოვი** გამოდიოდა. ვორონეჟის ყრილობაზე „ზემლია ი ვოლიას“ ერთიანობა ფორმალურად შენარჩუნებულ იქნა, მაგრამ იმავე 1879 წელს პე-

ტერბურგში გამართულ ყრილობაზე „ზემლია ი ვოლია“ ორად გაიყო: ორგანიზაცია „ნაროდნაია ვოლია“ ტერორის ტაქტიკას მიემხრო, ხოლო „ჩორნი პერედელი“ პროპაგანდისტული მუშაობის გაგრძელებას აპირებდა. „ზემლია ი ვოლიას“ წევრთა უმრავლესობა „ნაროდნაია ვოლიას“ შეუერთდა.

„ნაროდნაია ვოლიას“ დამაარსებლები და ხელმძღვანელები იყვნენ: ალექსანდრე მიხაილოვი, ანდრეი ჟელიაბოვი, ნიკოლოზ მოროზოვი, სოფია პეროვსკაია, ვერა ფიგნერი, მიხეილ ფროლენკო. 1881 წელს „ნაროდნაია ვოლიას“ მიემხრო კატორღიდან გამოქცეული მიხეილ ჩიკოიძეც. „ნაროდნაია ვოლია“ იყო მკაცრად ცენტრალიზებული ორგანიზაცია. მის ბირთვს შეადგენდა პროფესიონალ რევოლუციონერთა ჯგუფი. ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბირთვი იყო აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც წარმართავდა ადგილობრივი ორგანიზაციებისა და ჯგუფების მუშაობას. „ნაროდნაია ვოლია“ 2 ათასამდე წევრს აერთიანებდა და თავის თავს „პარტიას“ უწოდებდა. 1879-1881 წლებში „ნაროდნაია ვოლია“ 50 ქალაქში მოქმედ დაახლოებით 250 წრეს აერთიანებდა, ჰქონდა 11 სტამბა (10 რუსეთში, 1 — საზღვარგარეთ) სადაც იბეჭდებოდა არალეგალური გამოცემები: გაზეთები „ნაროდნაია ვოლია“, „ლისტოკ „ნაროდნოი ვოლი“ და „რაბოჩაია გაზეტა“, ასევე ბროშურები და პროკლამაციები. „ნაროდნაია ვოლია“ მუშაობას ეწეოდა მუშებსა და სამხედროებს შორის.

„ნაროდნაია ვოლიას“ შექმნით დაიწყო პირდაპირი, აშკარა ბრძოლა თვითმპყრობელური ხელისუფლების წინააღმდეგ. მიხელ ბაკუნინის შეხედულების საპირისპიროდ „ნაროდნაია ვოლია“ თავის მიზნად ისახავდა პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობას. ორგანიზაციის წევრებს სწამდათ, რომ თვითმპყრობელობის დამხობა თავისთავად გამოიწვევდა სოციალურ გადატრიალებას. „ნაროდნაია ვოლიას“ არ დაუკარგავს გლეხური (სახალხო) რევოლუციის განხორციელების იმედი, მაგრამ პირველი რიგის ამოცანად გადატრიალების გზით ხელისუფლების დაპყრობა იქნა მიჩნეული. სახალხო აჯანყება მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაწყებულიყო. „ნაროდნაია ვოლიამ“ წამოაყენა მეფის მოკვლის იდეა. მეფის მკვლელობა, ნაროდნიკების აზრით, გამოიწვევდა ხელისუფლების „დეზორგანიზაციას“, რაც ამავე დროს გახდებოდა სიგნალი სახალხო აჯანყების დაწყებისათვის.

„ნაროდნაია ვოლიას“ უმთავრესი საპროგრამო მოთხოვნა იყო დამფუძნებელი კრების მოწვევა, საყოველთაო საარჩევნო უფლების გარანტია, სიტყვის, კრების, ბეჭდვის, რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება, თემების ფართო თვითმმართველობის დამკვიდრება, რეგულარული არმიის შეცვლა სახალხო ლაშქრით, მიწისა და ფაბრიკა-ქარხნების გადაცემა გლეხური და მუშური თემებისათვის. „ნაროდნაია ვოლია“ მიიჩნევდა, რომ არარუს ჩაგრულ ხალხებს უნდა ჰქონოდათ უფლება, სურვილისამებრ დარჩენილიყვნენ ან გასულიყვნენ საერთო-რუსული კავშირიდან.

1879 წლის 25 აგვისტოს „ნაროდნაია ვოლიამ“ სიკვდილის განაჩენი გამოუტანა იმპერატორ ალექსანდრე II-ს. მეფის მკვლელობის ორგანიზებისათვის გამოყოფილ იქნა 50 ნაროდნიკი. ტერორისტები რამდენიმე „საბრძოლო ჯგუფად“ იყვნენ დაყოფილნი. 1879 წლის 19 ნოემბერს ტერორისტებმა მოსკოვთან მეფის მატარებელი ააფეთქეს, მაგრამ ალექსანდრე II მატარებელში არ იმყოფებოდა. ამის შემდეგ „ნაროდნაია ვოლიამ“ შეძლო ტერორისტ სტეფანე ხალტურინის ზამთრის სასახლეში დურგლად მოწყობა. 1880 წლის 5 თებერვალს სტეფანე ხალტურინმა შეძლო ზამთრის სასახლეში მეფის სასადილო დარბაზის აფეთქება. შემთხვევის წყალობით ალექსანდრე II და მისი ოჯახი იმ დროს იქ არ აღმოჩნდნენ. დიმიტრი კარაკოზოვის მიერ მოწყობილი თავდასხმიანად დაწყებული სულ რვა წარუმატებელი თავდასხმა განხორციელდა ალექსანდრე II-ზე. ზამთრის სასახლეში ორგანიზებული აფეთქების შემდეგ ტერორისტების გამოვლენის მიზნით გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები. დააპატიმრეს „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრულებელი კომიტეტის რამდენიმე წევრი (ალექსანდრე მიხაილოვი, ნიკოლოზ მოროზოვი და სხვ.). მიუხედავად ამისა, „ნაროდნაია ვოლიას“ ხელი არ აუღია მეფის მოკვლის განზრახვაზე. ტერორისტული აქტის მომზადებას ხელმძღვანელობდა ანდრეი ჟელიაბოვი, რომელიც 1881 წლის 27 თებერვალს დააპატიმრეს. ანდრეი ჟელიაბოვის დაპატიმრების შემდეგ ტერორისტული აქტის მომზადება თავის თავზე აიღო სოფია პეროვსკაიამ. 1881 წლის 1 მარტს პეტერბურგის ერთ-ერთ ქუჩაზე, სადაც იმპერატორის ეტლს უნდა გაევლო, ტერორისტები ჩაუსაფრდნენ. ტერორისტმა ნიკოლოზ რისაკოვმა ალექსანდრე II-ის ეტლს ბომბი ესროლა. აფეთქების შედეგად

ეტლი, რომელ'მიც მეფე იმყოფებოდა, გადაბრუნდა, მაგრამ მეფე ცოცხალი გადარჩა, დაიჭრნენ მეფის თანმხლები პირები. რამდენიმე წუთის შემდეგ ეტლიდან გადმოსულ ალექსანდრე II-ს ტერორისტმა **ეგნატე გრინევიცკიმ** ახლო მანძილიდან მეორედ ესროლა ბომბი. მეფეც და თვითონ ტერორისტიც სასიკვდილოდ დაიჭრნენ. ალექსანდრე II მიღებული ჭრილობებისაგან მალე გარდაიცვალა.

მეფის მკვლელობას დაუყოვნებლივ მოჰყვა რეპრესიები. მალე „ნაროდნაია ვოლიას" აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა უმრავლესობა დაპატიმრეს. 1881 წლის აპრილში მეფის მკვლელობის მომზადებისა და განხორციელებისათვის ბრალდებულები **ანდრეი ჟელიაბოვი, სოფია პეროვსკაია, ნიკოლოზ კიბალჩიჩი, ალექსანდრე მიხაილოვი** და სხვები ჩამოახრჩვეს. დაპატიმრებას გადარჩენილმა „ნაროდნაია ვოლიას" წევრებმა სცადეს ახალი ტერორისტული აქტების განხორციელება, მაგრამ უშედეგოდ. 1881-1882 წლებში ჩატარებული რეპრესიების შედეგად 6 ათასამდე ნაროდნიკი იქნა მსჯავრდებული. მათი ნაწილი სიკვდილით დასაჯეს, ნაწილი ციმბირის გადასახლებასა და კატორღაში გაგზავნეს. 1883 წელს ციმბირის კატორღაში ხელმეორედ გაამწესეს მიხეილ ჩიკოიძე.

რეპრესიების მიუხედავად, „ნაროდნაია ვოლია" მაინც აგრძელებდა მოღვაწეობას. მომდევნო წლებში განხორციელებული ტერორისტული აქტებიდან აღსანიშნავია **ალექსანდრე III-ის** მკვლელობის მცდელობა 1887 წლის I მარტს. ტერორისტული აქტის ორგანიზატორთა შორის იყო **ალექსანდრე ულიანოვი**. დამნაშავეები შეიპყრეს და ჩამოახრჩვეს. ახალი რეპრესიების შედეგად „ნაროდნაია ვოლია" განადგურდა.

„ჩორნი პერედელი", რომლის ხელმძღვანელი **გიორგი პლეხანოვი** იყო, არ ეთანხმებოდა ტერორის ტაქტიკას. „ჩორნი პერედელი" გლეხებში, მუშებსა და სამხედროებში აგიტაციის გზით ცდილობდა აგრარული რევოლუციის განხორციელებას.

ახალი რეპრესიებისაგან თავის დახსნის მიზნით 1880 წელს **„ჩორნი პერედელის"** წევრები გიორგი პლეხანოვთან ერთად ემიგრაციაში წავიდნენ. რუსეთში ორგანიზაციის ხელმძღვანელად დატოვეს **პავლე აქსელროდი**. 1881 წელს „ჩორნი პერედელს" ახალი რეპრესიები დაატყდა თავს, რის შედეგადაც ორგანიზაცია რამდენიმე ჯგუფად დაიშალა. 1882 წლისათვის „ჩორნი პერედელის" ზოგიერთი ჯგუფი „ნაროდნაია ვოლიას" მიემხრო, დანარჩენებმა კი არსებობა შეწყვიტეს.

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში **რევოლუციური ნაროდნიკობის** ნაცვლად სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა **ლიბერალური ნაროდნიკობა**. ლიბერალური ნაროდნიკობის საშოქმედო პროგრამა პოლიტიკური და სოციალური რეფორმებით შემოიფარგლებოდა. ლიბერალური ნაროდნიკობის ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ: **ნიკოლოზ მიხაილოვსკი, ვასილი ვორონცოვი, ნიკოლოზ დანიელსონი** და სხვ.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე აღმოცენდა **ნეონაროდნიკული ჯგუფები**, რომლებიც XIX საუკუნის 70-იანი რევოლუციური ნაროდნიკობის იდეურ მემკვიდრეებად თვლიდნენ თავს.

5. მუშათა მოძრაობა XIX საუკუნის 70-80-იან წლებში. მუშათა მოძრაობა ბატონყმობის გაუქმების შემდგომი პერიოდის რუსეთში იწყება. XIX საუკუნის 60-იან წლებში მუშათა პირველი **მღელვარებები** აღინიშნა, ხოლო 70-იანი წლებიდან იწყება მუშათა **გაფიცვების** უწყვეტი ჯაჭვი. მუშათა მოძრაობა ამ პერიოდ-

გიორგი პლეხანოვი

ში მხოლოდ ეკონომიკურ მოთხოვნებს აყენებ-
და. გაფიცვები დიდი ორგანიზებულობით არ
გამოირჩეოდა და მისი გამომწვევი მიზეზები
მუშათა ძალზე მძიმე მდგომარეობა იყო. ალექ-
სანდრე II, პირველ ხანებში, მუშათა გაფიცვე-
ბის წინააღმდეგ მაინცდამაინც მკაცრ რეპრესი-
ულ ღონისძიებებს არ მიმართავდა. მაგალითად,
1870 წელს **ნევის ქაღალდის გადასამუშავებელ**
საწარმოში ჯოჯოხეთური სამუშაო პირობების
გამო გაფიცული მუშები სასამართლომ გაამარ-
თლა, ხოლო გაფიცვის ორგანიზატორებს სამი-
დან შვიდ დღემდე პატიმრობა მიუსაჯა. უფრო
მკაცრად დასაჯეს 1872 წელს **კრენჰოლმის**
საფეიქრო საწარმოს გაფიცვის ორგანიზატო-
რები. სასამართლომ მათ კატორღაში სამუშა-
ოდ გაგზავნა მიუსაჯა.

მუშათა მოძრაობის კვალობაზე რუსეთში
იქმნება მუშათა პირველი ორგანიზაციები. 1875
წელს **ოდესაში** შეიქმნა ორგანიზაცია „**სამ-**
ხრეთ რუსეთის რუსი მუშების კავშირი". მისი
დამაარსებელი იყო პროფესიონალი რევოლუ-
ციონერი **ევგენი ზასლავსკი.** ორგანიზაციაში
გაერთიანებული იყო 50-60 მუშა, კიდევ 150-
200 თანამგრძნობლად ითვლებოდა. „სამხრეთ
რუსეთის რუსი მუშების კავშირი" მიიჩნევდა,
რომ მუშათა გათავისუფლება შესაძლებელი იყო
მხოლოდ **ძალისმიერი გადატრიალების** გზით,
რომელიც მოსპობდა ყოველგვარ პრივილეგიებს
და დაამყარებდა თანასწორობას.

„სამხრეთ რუსეთის რუსი მუშების კავში-
რი" იმავე 1875 წელს გაანადგურა პოლიციამ.
კატორღამისჯილი ევგენი ზასლავსკი კი ციხე-
შივე გარდაიცვალა.

1878 წელს პეტერბურგში შეიქმნა „**რუსი**
მუშების ჩრდილოეთის კავშირი". მასში დაახ-
ლოებით 200 კაცი იყო გაერთიანებული. ორ-
განიზაციის დამაარსებლები იყვნენ **ვიქტორ**
ობნორსკი და **სტეფანე ხალტურინი.** „რუსი
მუშების ჩრდილოეთის კავშირი" აუცილებლო-
ბად მიიჩნევდა მუშების მიერ **პოლიტიკური**
თავისუფლების მოპოვებას, საბოლოო მიზნად
კი არსებული უსამართლო წყობილების დამ-
ხობას. კონკრეტული საპროგრამო მოთხოვნე-
ბიდან აღსანიშნავია: სიტყვის, კრებისა და ბეჭ-
დვის თავისუფლება, წოდებათა მოსპობა, უფა-
სო სწავლა-განათლება, სამუშაო დროის შემ-
ცირება, ბავშვთა შრომის აკრძალვა და სხვ.
1880 წელს პოლიციამ „რუსი მუშების ჩრდი-
ლოეთის კავშირი" გაანადგურა.

1885 წელს **ორეხოვო-ზუევოში** (ვლადიმირის
გუბერნია) მოროზოვის მანუფაქტურაში დაიწყო
მუშათა დიდი გაფიცვა. გაფიცვის მიზეზი იყო
შრომის გაუსაძლისი პირობები და დაბალი
ხელფასი. გაფიცვა სამხედრო ძალის გა-
მოყენებით აღკვეთეს. 800 მუშა სამუშაოდან და-
ითხოვეს, 33 კაცი სასამართლოს წინაშე წარ-
სდგა. ნაფიცმა მსაჯულებმა მუშები გაამართლეს.

XIX საუკუნის 60-80-იანი წლების პოლი-
ტიკურ მოძრაობაში გამოხატულება პოვა ყველა
იმ წინააღმდეგობამ, რომელიც ბატონყმობის
გაუქმების შემდგომი პერიოდის რუსეთში არ-
სებობდა. ხელისუფლების მისწრაფებას — ქვეყ-
ნის წინაშე მდგარი მწვავე პრობლემები რე-
ფორმების გზით გადაეჭრა — დაუპირისპირდნენ
რადიკალურ-ექსტრემისტული ძალები, რო-
მელთა მიზანი იყო რუსეთის დიდ სოციალურ
კონფლიქტში გადაჩეხვა და ამ გზით თავიანთი
პოლიტიკური მიზნების განხორციელება.

თავი XVI. რუსეთის საშინაო პოლიტიკა XIX საუკუნის 80-იან წლებსა და 90-იანი წლების პირველ ნახევარში

ბატონყმობის გაუქმებამ და XIX საუკუნის 60-70-იანი წლების რეფორმებმა ბევრი რამ შეცვალა რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურაში. **ალექსანდრე II-ის რეფორმატორული მოღვაწეობის პროგრესული შედეგები აშკარა იყო.** ამასთან ერთად, რეფორმებით ნათელი გახდა, რომ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ბევრი სფერო დაუყოვნებლივ გარდაქმნას საჭიროებდა. სწრაფ რეგულირებას ითხოვდა **სოციალური პოლიტიკა.** ნაროდნიკების ტერორისტული საქმიანობის გააქტიურებამ, ალექსანდრე II-ზე განხორციელებულმა რამდენიმე თავდასხმამ, რუსეთის საზღვრებს გარეთ სხვადასხვა რადიკალურ-ექსტრემისტული ჯგუფების ჩამოყალიბებამ, გლეხთა მღელვარებებისა და მუშათა გაფიცვების ზრდამ აიძულა ხელისუფლება სათანადო ღონისძიებები გაეტარებინა.

1. **პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობის ლიკვიდაციის ცდები.** ალექსანდრე II-ის მოკვლის მიზნით სტეფანე ხალტურინის მიერ ზამთრის სასახლეში მოწყობილი აფეთქების შემდეგ, 1880 წლის 8 თებერვალს, იმპერატორმა საგანგებო თათბირი მოიწვია. **ალექსანდრე II-ს განზრახული ჰქონდა ბოლო მოეღო ტერორიზმისათვის.** 1880 წლის 12 თებერვალს შეიქმნა **„სახელმწიფო წესრიგისა და საზოგადოებრივი სიმშვიდის დაცვის უმაღლესი განმკარგულებელი კომისია“.** კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა **მიხეილ ლორის-მელიქოვი.** მისი კანდიდატურა შემთხვევით არ შეურჩევიათ. მიხეილ ლორის-მელიქოვმა თავი გამოიჩინა როგორც სარდალმა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის კავკასიის ფრონტზე, ხოლო შემდგომ ხარკოვის გენერალ-გუბერნატორად მუშაობის დროს — როგორც ჭკვიანმა ადმინისტრატორმა.

მიხეილ ლორის-მელიქოვი ხელმძღვანელობდა **საგანგებო საგამომძიებლო კომისიას,** რომელიც ზამთრის სასახლეში მოწყობილი აფეთქების საქმეს იძიებდა. მალე იგი რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა. იმჟამად შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა **პრემიერ-მინისტრის** თანამდებობას უტოლდებოდა. **მიხეილ ლორის-მელიქოვი საზოგადოების ლიბერალურად განწყობილ ნაწილსაც უწევდა ანგარიშს, მაგრამ ამავე დროს რევოლუციურ მოძრაობასაც დაუნდობლად ებრძოდა.** ცნობილი ნაროდნიკი პუბლიცისტი ნიკოლოზ მიხაილოვი ირონიით წერდა: „მადლიერი რუსეთისაგან გამოძერწილ ლორის-მელიქოვის ქანდაკებას მგლის ხახა და მელიის კუდი ექნება“.

უმაღლესი განმკარგულებელი კომისიის დანიშნულებას შეადგენდა: 1) სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ტერორიზმის აღკვეთა; 2) საზოგადოების ლიბერალურად განწყობილი ნაწილის მიმხრობა. კომისიას უნდა შეემუშავებინა ღონისძიებები **საიდუმლო-სამძებრო სამსახურის** მუშაობის გაუმჯობესებისა და სახელმწიფო დანაშაულებათა გამოძიების დაჩქარების მიზნით. განზრახული იყო სასჯელაღსრულების ადგილების მდგომარეობის შესწავლა. ალექსანდრე II-მ უმაღლესი განმკარგულებელი კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნისას მიხეილ ლორის-მელიქოვს უთხრა: „აიღე ყველაფერი შენს ხელში“. მართლაც, მიხეილ ლორის-მელიქოვმა დიქტატორის უფლებები მიიღო.

მიხეილ ლორის-მელიქოვს მიაჩნდა, რომ პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობის ლიკვიდაცია შეუძლებელი იყო მხოლოდ **„სადამსჯელო“** და **„პოლიციური“** მეთოდებით, საჭირო იყო **„სახალხო წარმომადგენლობის შემოღება“.** ალექსანდრე II-ც ამავე აზრის იყო. მიხეილ ლორის-მელიქოვის კომისიამ 1880 წლის 1 მაისამდე იმუშავა და სულ ხუთი სხდომა ჩაატარა. 1880 წლის 6 აგვისტოს ალექსანდრე II-ის ბრძანებულებით, უმაღლესი განმკარგულებელი კომისია გაუქმდა. იმავე ბრძანებულებით, გაუქმდა იმპერატორის პირადი კანცელარიის მესამე განყოფილება, რომლის ნაცვლად შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შეიქმნა **სახელმწიფო პოლიციის დეპარტამენტი.**

1880 წლის აგვისტოში მიხეილ ლორის-მელიქოვმა სენატის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შემოწმების საკითხი დააყენა. ამ მიზნით გუბერნიებში ოთხი სენატორი მიავლინეს. იმავდროულად მ. ლორის-მელიქოვი დაჟინებით ითხოვდა მარილზე არაპირდაპირი გადასახადის გაუქმებას. მისივე ინიციატივით შემცირდა ფასები პურზე.

1881 წლის 22 იანვარს მიხეილ ლორის-მელიქოვმა ალექსანდრე II-ს მოხსენებითი ბარათი წარუდგინა. მოხსენებით ბარათში ავტორი იმპერატორს სთავაზობდა ორი დროებითი კომისიის (ფინანსურისა და ადმინისტრაცი-

ულის) შექმნას. კომისიებში უნდა შესულიყვნენ ერობათა წარმომადგენლები და ხელისუფლების მიერ დანიშნული ჩინოვნიკები. კომისიებს უნდა შეემუშავებინათ **გუბერნიების მმართველობის გარდაქმნის პროექტი, გადაესინჯათ ერობათა და საქალაქო თვითმმართველობების დებულებები, ასევე ზოგიერთი კანონი სამეურნეო და ფინანსური სფეროდან.** კანონპროექტების შემუშავების შემდეგ უნდა აერჩიათ 10-15 წარმომადგენელი ერობათა და საქალაქო თვითმმართველობებიდან, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ **სახელმწიფო საბჭოში** კანონპროექტების განხილვაში. 1881 წლის 5 თებერვალს იმპერატორის მიერ მოწვეულმა საგანგებო თათბირმა მოიწონა მიხეილ ლორის-მელიქოვის წინადადებები. 17 თებერვალს ალექსანდრე II-მ დამტკიცა თათბირის გადაწყვეტილება. 1881 წლის 4 მარტს დაინიშნა მიხეილ ლორის-მელიქოვის პროექტის განხილვა. პროექტი ეხებოდა **სახელმწიფო საბჭოსთან სათათბირო ხმის უფლებით ერობათა წარმომადგენლებისაგან კომისიის შექმნას,** რომელიც „ამეფის უმაღლესი ნებით" მონაწილეობას მიიღებდა კანონპროექტის შემუშავებაში. მიხეილ ლორის-მელიქოვის პროექტმა **„ლორის-მელიქოვის კონსტიტუციის"** სახელწოდება მიიღო. მის განხილვამდე, 1881 წლის 1 მარტს, ნაროდნიკებმა ალექსანდრე II მოკლეს.

2. ალექსანდრე III. 1881 წლის 2 მარტს რუსეთის იმპერიის ტახტზე ავიდა ალექსანდრე III (1881-1894). ალექსანდრე III იყო ალექსანდრე II-ის უმცროსი ვაჟი. უფროსი ვაჟი ნიკოლოზი 1865 წელს გარდაიცვალა. იმავე წელს ალექსანდრე ტახტის მემკვიდრედ გამოცხადდა. ამ დროიდან მოყოლებული ალექსანდრე II ტახტის მემკვიდრეს გულმოდგინედ ამზადებდა მეფობისათვის. თავის დროზე ალესქანდრე III-ის აღზრდის საქმეს ხელმძღვანელობდა გენერალ-ადიუტანტი **ვასილ პეროვსკი,** სწავლა-განათლება კი ჩაბარებული ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორს, ცნობილ ეკონომისტს ა. **ჩიჟოლოვს.** აკადემიკოსი **იაკობ გროტი** ალექსანდრე III-ს ასწავლიდა მსოფლიო ისტორიას, გეოგრაფიას, რუსულ და გერმანულ ენებს, პროფესორი **სერგეი სოლოვიოვი** – რუსეთის ისტორიას, ცნობილი სამხედრო თეორეტიკოსი **მიხეილ დრაგომიროვი** – სამხედრო ტაქტიკასა და ისტორიას. ალექსანდრე III-ის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონია თავისი კონსერვატორული შეხედულებებით ცნობილმა

ალექსანდრე III

კონსტანტინე პობედონოსცევმა. რომელიც მას სამართალმცოდნეობის კურსს უკითხავდა.

ალექსანდრე II-ის სიცოცხლეში ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე მონაწილეობდა **სახელმწიფო საბჭოსა** და **მინისტრთა კომიტეტის** სხდომებში. იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის **კანცლერი,** კაზაკთა ჯარების ატამანი, გვარდიული **პოლკის** მეთაური, მონაწილეობდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, როგორც ერთ-ერთი **სამხედრო შენაერთის სარდალი.** ალექსანდრე III დიდ ინტერესს იჩენდა **მუსიკისადმი, სახვითი ხელოვნებისადმი, ისტორიისადმი.** იგი იყო რუსეთის საისტორიო საზოგადოების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და ამ საზოგადოების თავმჯდომარე.

ალექსანდრე III იყო ღრმადმორწმუნე მართლმადიდებელი, ბუნებით არა არისტოკრატი, არ ეტანებოდა ფუფუნებას, ოფიციალური ცერემონიალების გარდა იცვამდა ძალზე უბრალოდ, იყო მომჭირნე. მისი მეფობის წლებში ძალზე შემცირდა საიმპერატორო კარის შენახვის ხარჯები, სამაგიეროდ, დიდი თანხები იხარჯებოდა ხელოვნების ნიმუშების შეძენაზე. ალექსანდრე III დიდ დროს უთმობდა შვილების აღზრდისა და სწავლა-განათლების საქმეს. იყო ოჯახის მოყვარული მამა. წარმოუდგენელი ფიზიკური სიძლიერის მქონე (თითებით

ღუნავდა მონეტას) ბევრს მოგზაურობდა ოჯახთან ერთად. უყვარდა სმა, ნადირობა და თევზაობა. ერთ-ერთი მოგზაურობის დროს მეფის მატარებელი კატასტროფაში მოჰყვა, რამდენიმე ვაგონი მთლიანად დაიმსხვრა. ვაგონი, რომელშიც ალექსანდრე III და მისი ოჯახი იმყოფებოდნენ, გადარჩა, ოღონდ ჭერი ჩამოიქცა. ალექსანდრე III-ს ჩამოქცეული ჭერი, სანამ მეუღლე და შვილები დაზიანებულ ვაგონს დატოვებდნენ, მხრებით ეჭირა. დიდი სიძლიერისაგან იმპერატორს თირკმლები დაუზიანდა და საბოლოოდ ამ ავადმყოფობამ იმსხვერპლა კიდეც.

ალექსანდრე III ბუნებით არ იყო კონსერვატორი და რეაქციონერი. მაგრამ ალექსანდრე II-ის მეფობის წლებში რევოლუციური და ეროვნული მოძრაობის აღმავლობამ, ტერორისტების განუწყვეტელმა თავდასხმებმა ალექსანდრე II-ზე, პოლიციის მიერ რამდენიმე ფარული ტერორისტული ორგანიზაციისა თუ ჯგუფის გამოვლენამ და, ბოლოს, აფეთქებამ ზამთრის სასახლეში ალექსანდრე III დაარწმუნა იმაში, რომ თუ ხელისუფლების მხრიდან მკაცრი, რეპრესიული ღონისძიებები არ განხორციელდებოდა, თუ არ აღიკვეთებოდა ტერორიზმი და სხვადასხვა ჯურის ფარული რევოლუციური ორგანიზაციების მოღვაწეობა, რუსეთში დიდი სოციალური კატასტროფა მოხდებოდა. ამ რწმენით შეუდგა იმპერატორი ალექსანდრე III მოღვაწეობას.

3. **ახალი პოლიტიკური კურსი.** რევოლუციური მოძრაობის აღმავლობას, ტერორიზმისა და, საერთოდ, რადიკალურ-ექსტრემისტული მიმდინარეობის გაძლიერებას მარტო ალექსანდრე III-ზე არ მოუხდენია გავლენა. რუსული საზოგადოების ლიბერალურად განწყობილი ფენა და არისტოკრატიის ის ნაწილი, რომელიც ალექსანდრე II-ის რეფორმებს უჭერდა მხარს, სერიოზულად დააფიქრა ქვეყნის მომავალმა. ნელ-ნელა გაბატონდა აზრი რეფორმების შეწყვეტისა და თვითმპყრობელური ხელისუფლების გაძლიერების აუცილებლობის შესახებ. ალექსანდრე III-ის ახალი, კონსერვატორული კურსის ერთგული დამცველი, იმპერატორის მასწავლებელი და მისი უპირველესი მრჩეველი იყო უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორი **კონსტანტინე პობედონოსცევი.** წინათ, XIX საუკუნის 60-70-იან წლებში, იგი ალექსანდრე II-ის რეფორმების თავგამოდებული მომხრე იყო. XIX საუკუნის 40-50-იანი წლების ლიბერალური მოძრაობის ცნობილმა წარმომადგენელმა ჟურნალისტმა მიხეილ კატკოვმა XIX საუკუნის 60-80-იან წლებში მსოფლმხედველობრივი პოზიცია ძირეულად შეიცვალა და ალექსანდრე III-ის მეფობის პერიოდში რეფორმების შეწყვეტისა და თვითმპყრობელური ხელისუფლების გაძლიერების ძმამხრედ მოგვევლინა. მიხეილ კატკოვის წერილები დიდ გავლენას ახდენდა რუსეთის არისტოკრატიაზე, ასევე ალექსანდრე III-ის საშინაო პოლიტიკის ფორმირებაზე.

1881 წლის 8 მარტს მინისტრთა კომიტეტში ალექსანდრე III-ის თავმჯდომარეობით გაიმართა მიხეილ ლორის-მელიქოვის პროექტის განხილვა. პროექტი დაიცვეს სამხედრო მინისტრმა დ. მილიუტინმა, სახალხო განათლების მინისტრმა ა. საბუროვმა და ფინანსთა მინისტრმა ა. აბაზამ. ალექსანდრე III-მ პროექტის მოწინააღმდეგეებს დაუჭირა მხარი. საბოლოოდ მიხეილ ლორის-მელიქოვის პროექტი განსახილველად საგანგებო კომისიას გადასცეს, რომელიც საერთოდ არც კი შეკრებილა.

1881 წელს, ალექსანდრე II-ის მკვლელობის შემდეგ, რუსული არისტოკრატიის ცნობილმა წარმომადგენლებმა შექმნეს კონსპირაციული ორგანიზაცია „სვიაშჩენნაია დრუჟინა". ორგანიზაციის მიზანი იყო მეფის დაცვა ტერორისაგან. „სვიაშჩენნაია დრუჟინას" დამაარსებლები იყვნენ: ფლიგელ-ადიუტანტი პ. შუვალოვი, გენერალ-ადიუტანტი ი. ვორონცოვი, მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი ვ. დოლგორუკოვი,

კონსტანტინე პობედონოსცევი

გვარდიის შტაბის უფროსი ა. **ბობრინსკი**. „სვიაშჩენნაია დრუჟინას“ რუსეთსა და საზღვარგარეთ აგენტთა ფართო ქსელი ჰქონდა. მისი წევრი პროვოკატორები ცდილობდნენ რევოლუციურ ორგანიზაციებში შეღწევასა და უთანხმოების ჩამოგდებას რევოლუციონერთა შორის. ნაროდნიკებმა მალე აუღეს ალღო „სვიაშჩენნაია დრუჟინას“ პროვოკაციულ საქმიანობას და საზღვარგარეთის პრესაში მამხილებელი მასალების გამოქვეყნება დაიწყეს. ამასთან ერთად, უკმაყოფილებას გამოთქვამდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო პოლიციის დეპარტამენტი, რომელსაც ხელი ეშლებოდა ამ ორგანიზაციის აგენტურის საქმიანობით. ალექსანდრე III იძულებული გახდა 1883 წელს „სვიაშჩენნაია დრუჟინას“ მოღვაწეობა შეეწყვიტა.

ახალი პოლიტიკური კურსის პრინციპები ჩამოყალიბდა ალექსანდრე III-ის 1881 წლის 29 აპრილის მანიფესტში **„თვითმპყრობელობის ურყეობის შესახებ“**. მანიფესტი **კონსტანტინე პობედონოსცევმა** დაწერა **მიხეილ კატკოვის** მონაწილეობით. მანიფესტის გამოქვეყნებიდან მეორე დღესვე გადადგომა ითხოვა **მიხეილ ლორის-მელიქოვმა**. მალე გადადგა სამხედრო მინისტრი დ. მილიუტინი და ფინანსთა მინისტრი ა. **აბაზა**. მათზე ადრე გადააყენეს განათლების მინისტრი ა. **საბუროვი**. მიხეილ ლორის-მელიქოვის ნაცვლად შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა **ნიკოლოზ იგნატიევი**. იგი შეეცადა შეენიღბა ახალი პოლიტიკური კურსის რეპრესიული ხასიათი. ამ მიზნით ნიკოლოზ იგნატიევმა გამოსცა ცირკულარი **„თავადაზნაურობისა და ქალაქის მოსახლეობის უფლებების ხელშეუხებლობის შესახებ“**. იმავდროულად, 1881 წლის 14 აგვისტოს, გამოიცა **„განკარგულება სახელმწიფო წესრიგისა და საზოგადოებრივი სიმშვიდის დაცვის შესახებ“**. ამ განკარგულების საფუძველზე რუსეთის იმპერიის ნებისმიერ ტერიტორიაზე შეიძლებოდა გამოცხადებულიყო საგანგებო მდგომარეობა, ხოლო ამ ტერიტორიის მცხოვრები შეიძლებოდა დაეპატიმრებინათ, გადაეცათ სამხედრო სასამართლოსათვის, ან სასამართლოს გარეშე ხუთი წლით გადაესახლებინათ რუსეთის იმპერიის ნებისმიერ მხარეში. ეს განკარგულება გამოიცა დროებით, სამი წლის ვადით, მაგრამ ყოველი სამი წლის შემდეგ მისი მოქმედების ვადა კვლავ ახალი ვადით გრძელდებოდა.

ნიკოლოზ იგნატიევი

1882 წლის 27 მაისს **ნიკოლოზ იგნატიევმა** ალექსანდრე III-ს წარუდგინა 1883 წლისათვის სათათბირო ორგანოს — **საერობო კრების** — მოწვევის პროექტი. კონსტანტინე პობედონოსცევისა და მიხეილ კატკოვის ზეგავლენით იმპერატორმა ეს პროექტი უარყო, ხოლო მისი ავტორი თანამდებობიდან გადააყენა. ნიკოლოზ იგნატიევის გადაყენებით, კონსერვატორულმა კურსმა საბოლოოდ გაიმარჯვა.

4. ცენზურა და განათლება. ნიკოლოზ იგნატიევის გადაყენების შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა **დიმიტრი ტოლსტოი**. იმავდროულად იგი ჟანდარმთა კორპუსის შეფადაც დაინიშნა. დიმიტრი ტოლსტოი იყო რეფორმების თავგამოდებული მოწინააღმდეგე. მისი მსოფლმხედველობრივი მრწამსი კარგად ჩანს მიხეილ ლორის-მელიქოვის მიმართ ნათქვამი სიტყვებიდან: „ამ პიროვნებამ, რომელიც თხუთმეტი წლის მანძილზე სათავეში ედგა სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს, რუსეთს იმაზე მეტი ბოროტება მოუტანა, რამდენიც სხვა დანარჩენმა მოღვაწემ ერთად აღებულმა“.

1882 წლიდან ამოქმედდა **დროებითი საცენზურო წესდება**, რომელიც ჟურნალ-გაზეთებზე

მკაცრ ადმინისტრაციულ კონტროლს აწესებდა. 1883-1884 წლებში ცენზურამ აკრძალა ცნობილი პერიოდული გამოცემები: „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“, „დელო“, „მოსკოვსკი ტელეგრაფი“ და სხვ.

1887 წელს განათლების მინისტრმა გამოსცა ცირკულარი, რომლის ძალითაც, გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში აიკრძალა მეეტლეების, ლაქიების, ბრეცხავების, წვრილი მოვაჭრეების (მედუქნეების) და სხვა დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენელთა შვილების მიღება. 1884 წელს ძალაში შევიდა **უნივერსიტეტების ახალი წესდება**. წესდებით, რექტორის, დეკანისა და პროფესორის თანამდებობა არჩევითი აღარ იყო. **სასწავლო ოლქის მზრუნველი** (უფროსი) უნივერსიტეტში სხვადასხვა თანამდებობაზე დასანიშნი პირების კანდიდატურას სახალხო განათლების მინისტრს წარუდგენდა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. გაძლიერდა პოლიციის ზედამხედველობა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებზე. 1882-1883 წლებში დაიხურა ქალთა უმაღლესი კურსების უმრავლესობა.

5. აგრარული პოლიტიკა. ალექსანდრე III შეეცადა შეენელებინა გლეხთა საპროტესტო გამოსვლები. 1881 წელს გამოიცა ორი მნიშვნელოვანი კანონი. პირველი კანონის ძალით, გლეხების მიერ გამოსასყიდი მიწის (ნადელის) ფასი 16%-ით მცირდებოდა. მეორე კანონი ითვალისწინებდა 1883 წლიდან დროებით ვალდებული გლეხების მიერ მიწის სავალდებულო გამოსყიდვას. თუმცა სავალდებულო გამოსყიდვა საბატონო გლეხების მხოლოდ 15%-ს შეეხო. 1882 წელს დაარსდა **გლეხთა საადგილმამულო ბანკი**, რომელიც მიწის შესასყიდად კრედიტს აძლევდა როგორც გლეხურ კომლს, ისე სასოფლო თემსა და ამხანაგობას.

აგრარულ პოლიტიკაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა საგლეხო თემის პრობლემას. XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დამდეგს გამოცემული კანონებით, ხელისუფლება ცდილობდა კაპიტალიზმის შემოტევისაგან დაეცვა გლეხური თემი. **გლეხური თემის შენარჩუნება კვლავ სახელმწიფო ინტერესის საგანს შეადგენდა.**

მემამულური მეურნეობის მხარდაჭერის მიზნით 1885 წელს შეიქმნა **სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი**. ბანკში მიწის დაგირავების სანაცვლოდ თავადაზნაურობას შეეძლო მიეღო სესხი. 1886 წლის კანონი თავადაზნაურობას ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა მუშახელის დაქირავებისათვის.

6. ცვლილებები ადგილობრივ მმართველობაში. 1889 წელს შემოიღეს **„ერობის უფროსის“** თანამდებობა. ერობის უფროსს დაექვემდებარა გარკვეული ტერიტორია (დაახლოებით 4-5 მაზრის ტერიტორია). სულ რუსეთში 2.200 ასეთი ტერიტორიული ერთეული შეიქმნა. **ერობის უფროსი და სამოხელეო აპარატი თავის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ-საპოლიციო ფუნქციას ასრულებდა.** ერობის უფროსს გუბერნატორისა და გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის წარდგინებით ნიშნავდა შინაგან საქმეთა მინისტრი. ერობის უფროსს უფლება ჰქონდა გაეუქმებინა ვოლოსტის სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, ხოლო თვით მოსამართლეები გადაეყენებინა, დაეჯარიმებინა, ფიზიკურად დაესაჯა და დაეპატიმრებინა. ერობის უფროსის გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა, რაც ხელს უწყობდა უკანონობისა და თვითნებობის დამკვიდრებას.

1890 წლის დებულებით, პრაქტიკულად **ძალზე შეიზღუდა სამაზრო და საგუბერნიო ერობების უფლებები.** მართალია, ერობები არაწოდებრივ დაწესებულებად დარჩა, მაგრამ საერობო კრებებსა და გამგეობებში ძნიშვნელოვნად გაიზარდა თავადაზნაურობის ხვედრითი წილი. 1892 წლის დებულებით, ქალაქის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა (წვრილმა ბურჟუაზიამ) საარჩევნო უფლება დაკარგა.

ალექსანდრე III-ის მეფობის წლებში ძალზე შეიზღუდა კოლონიური ქვეყნების მმართველობაში არსებული **ავტონომიური** საწყისები. გაუქმდა **კავკასიის მეფისნაცვლის** თანამდებობა და აღსდგა მთავარმართებლის თანამდებობა, აიკრძალა **პოლონური მონეტა**, ფინეთში მიმოქცევაში შევიდა რუსული ფული, გაუქმდა **ფინეთის ჯარი**. გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობდა **განათლების სისტემის რუსიფიკაცია** საქართველოში, პოლონეთში, ფინეთსა და სხვა კოლონიურ ქვეყნებში, იდევნებოდა ამ ქვეყნების კულტურა, **უფრო აგრესიული გახდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმინდესი სინოდის პოლიტიკა** როგორც კათოლიკე, ისე მართლმადიდებელი ერების მიმართ.

ალექსანდრე III აპირებდა 1864 წლის სასამართლო რეფორმის გადასინჯვასაც, მაგრამ ბოლოს თავი შეიკავა.

ალექსანდრე III-ის პოლიტიკურმა კურსმა რუსეთის საშინაო პოლიტიკას ახალი მიმართულება მისცა, თუმცა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ალექსანდრე II-ის მიერ დაწყებული ქვეყნის განახლების პროცესი მაინც ვერ შეაჩერა.

თავი XVII. რუსეთის საგარეო პოლიტიკა XIX საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებიდან 90-იანი წლების შუა ხანებამდე

ყირიმის ომში (1853-1856 წწ.) მარცხმა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო რუსეთის იმპერია. ალექსანდრე II-ის საგარეო პოლიტიკის მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა პარიზის ზავის (1856 წ. მარტი) პირობების გაუქმება და რუსეთის გავლენის აღდგენა შავ ზღვაზე, მახლობელ აღმოსავლეთსა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ორი პერიოდი გამოიყოფა: **პირველი.** პარიზის ზავიდან საფრანგეთ-პრუსიის ომამდე (1870-1871 წწ.) და შავი ზღვის ნეიტრალიზაციის გაუქმებამდე (ანუ 1856 წ. მარტიდან – 1871 წლამდე); **მეორე.** XIX საუკუნის 70-იანი წლების დამდეგიდან რუსეთ-საფრანგეთის კავშირის დადებამდე (1891-1893 წწ.).

პირველ პერიოდში რუსეთის დიპლომატიის უმთავრეს ამოცანას შეადგენდა **ქვეყნის საერთაშორისო იზოლაციიდან გამოყვანა და პარიზის ზავის პირობების გადასინჯვისათვის მოკავშირეების** პოვნა. ამ ეტაპზე რუსეთი ევროპასა და მახლობელ აღმოსავლეთში აქტიური პოლიტიკის წარმოებისაგან თავს იკავებდა და ძირითადად დიპლომატიური საშუალებებით მოქმედებდა.

1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომითა და 1871 წელს პარიზის ზავის იმ მუხლის გაუქმებით, რომელიც შავი ზღვის ნეიტრალიზაციას ეხებოდა, რუსეთის საგარეო პოლიტიკაში მეორე **პერიოდი** იწყება. **ევროპაში გერმანიის ძლიერი** სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ ბევრ ქვეყანას შეუქმნა საფრთხე. საფრთხე განსაკუთრებით ძლიერი იყო საფრანგეთისათვის. ეს კი საფრანგეთს რუსეთთან დაახლოებისაკენ უბიძგებდა. **რუსეთ-გერმანიის, რუსეთ-ავსტრიისა და რუსეთ-ინგლისის ურთიერთობათა დაძაბვა, თავის მხრივ, რუსეთის საფრანგეთთან დაახლოებას** იწვევდა. დაახლოება 1891-1893 წლებში ორ ქვეყანას შორის **სამხედრო-პოლიტიკური** კავშირის შექმნით დამთავრდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკაში ერთ-ერთი მთავარი **აღმოსავლეთის საკითხი** იყო. რუსეთის აღმოსავლურ პოლიტიკაში მთავარი იყო **ურთიერთობა თურქეთთან, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების, შავი ზღვის რეჟიმისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის საკითხი.**

რუსეთის **ევროპული პოლიტიკა,** ცხადია, არ კარგავდა თავის აქტუალობას. პირიქით, საფრანგეთ-პრუსიის ომისა და გერმანიის გაერთიანების შემდეგ ევროპაში შექმნილი ახალი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება რთული ამოცანების წინაშე აყენებდა რუსეთის დიპლომატიას.

დიდი აქტიურობით გამოირჩეოდა რუსეთის პოლიტიკა **შუა აზიაში,** რასაც შედეგად მოჰყვა რუსეთის არმიის მიერ დიდი ტერიტორიის დაპყრობა.

რუსეთის პოლიტიკა **შორეულ აღმოსავლეთში** ჩინეთთან და იაპონიასთან ურთიერთობებით შემოიფარგლებოდა და საკმაოდ აქტიური იყო. იმავეს ვერ ვიტყვით **რუსეთ-ამერიკის** ურთიერთობებზე, რომელიც ვითარდებოდა ინგლისის გავლენის შეზღუდვის პარალელურად.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთის საგარეო პოლიტიკა განუყოფლადაა დაკავშირებული ცნობილი დიპლომატის **ალექსანდრე გორჩაკოვის** სახელთან. ალექსანდრე გორჩაკოვი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრად ყირიმის ომში დამარცხების შემდეგ შექმნილ უმძიმეს პერიოდში – 1856 წელს დაინიშნა და ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა 1882 წლამდე. სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული რუსეთის დიპლომატიის დიდი წარმატებები.

1. **რუსეთის პოლიტიკა ევროპაში.** რუსეთის ევროპული პოლიტიკის უმთავრესი მიზანი იყო პარიზის საზავო ხელშეკრულების (1856 წ.) იმ მუხლის გაუქმება, რომელიც **შავი ზღვის ნეიტრალიზაციას** ეხებოდა. საქმე იმაში იყო, რომ ნეიტრალიზაცია ეხებოდა შავ ზღვას და არა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს, ამდენად, რუსეთის შავი ზღვის სანაპირო სრულიად დაუცველი იყო. ომის შემთხვევაში ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებით უცხო ქვეყნის გემები შავ ზღვაში შეავიდოდნენ და შეუფერხებლად დაბომბავდნენ რუსეთის სანაპირო ტერიტორიას, რადგან რუსეთს შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტი არ გააჩნდა.

შავი ზღვის ნეიტრალიზაციის გაუქმება რუსეთს ომის გზით არ შეეძლო. საჭირო იყო დიდ ქვეყნებს შორის არსებული წინააღმდეგობების გამოყენება და საკითხის დიპლომატიური საშუალებებით გადაწყვეტა. **ალექსანდრე გორჩაკოვმა** თურქეთი დაარწმუნა იმაში, რომ რუსეთი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ხელში ჩაგდებასა და თურქეთის ტერიტორიის

ალექსანდრე გორჩაკოვი

დანაწილებას არ ესწრაფოდა. ამის შემდეგ, მან ყირიმის ომის დროს საბერძნეთში გადასხმული ინგლის-საფრანგეთის ჯარების უკან გამოყვანის საკითხი დააყენა და 1858 წელს მიზანსაც მიაღწია. ეს რუსეთის დიპლომატიის სერიოზული წარმატების მაუწყებელი იყო.

1856-1871 წლებში რუსეთის მისწრაფებას — როგორმე მიეღწია შავი ზღვის ნეიტრალიზაციის გაუქმებისათვის — დიდ წინააღმდეგობას უწევდა **ინგლისი** და **ავსტრია (ავსტრია-უნგრეთი). პრუსია**, რომელიც გერმანიის გაერთიანებით იყო დაკავებული, ცხოველ ინტერესს არ ინენდა შავი ზღვის საკითხის მიმართ. უფრო მეტიც, პრუსია რუსეთს დახმარებასაც კი ჰპირდებოდა, რადგან გერმანიის გაერთიანებისათვის ბრძოლაში ავსტრიის წინააღმდეგ მას რუსეთის გამოყენება სურდა. **მოვლენათა განვითარებამ აჩვენა, რომ რუსეთის რეალური მოკავშირე მაინც საფრანგეთი იყო**. მართალია, საფრანგეთი პარიზის საზავო ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილე იყო, მაგრამ ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. კერძოდ, ჩრდილოეთ იტალიის ტერიტორიის გამო გამწვავდა საფრანგეთის ურთიერთობა **ავსტრია-უნგრეთთან**. იზრდებოდა **ინგლის-საფრანგეთის** დაპირისპირება აზიასა და აფრიკაში გავლენის სფეროების გადანაწილებასთან დაკავშირებით. ყოველივე ამის გამო **ინგლის-საფრანგეთ-ავსტრია-უნგრეთის** ბლოკი დაშლის გზას დაადგა. **ინგლისსა და ავსტრიასთან ომის შემთხვევაში საფრანგეთის ერთადერთი რეალური მოკავშირე მხოლოდ რუსეთი შეიძლებოდა ყოფილიყო**. რუსეთ-საფრანგეთის კავშირის დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ პეტერბურგსა და მოსკოვში საფრანგეთის ელჩის **შარლ მორნის** საზეიმო მიღება 1856 წელს და რუსეთის საზღვაო მინისტრის, დიდი მთავრის **კონსტანტინე ნიკოლოზის ძის** ვიზიტი პარიზში 1857 წელს. პირველი დიპლომატიური კონტაქტები კი დამთავრდა 1857 წელს **შტუტგარტში** იმპერატორების **ნაპოლეონ III-ისა** და **ალექსანდრე II-ის** შეხვედრით. შტუტგარტის შეხვედრაზე ალექსანდრე II-მ და ალექსანდრე გორჩაკოვმა დაასაბუთეს **შავი ზღვის ნეიტრალიზაციის შესახებ პარიზის საზავო ხელშეკრულების მუხლის გადასინჯვის აუცილებლობა**. მართალია, შტუტგარტში საფრანგეთ-რუსეთის ხელშეკრულება ხელმოწერილი არ ყოფილა, მაგრამ იმპერატორები შეთანხმდნენ, რომ საგარეო პოლიტიკაში პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმამდე ერთმანეთს მოელაპარაკებოდნენ. ალექსანდრე II და ნაპოლეონ III ასევე შეთანხმდნენ, რომ თურქეთის გადანაწილების აუცილებლობის შემთხვევაში ერთობლივად იმოქმედებდნენ.

მალე რუსეთ-საფრანგეთის კავშირმა პირველი წარმატება იზეიმა. 1858 წელს **პარიზის** კონფერენციაზე იხილებოდა **დუნაის სამთავროების** პოლიტიკური მოწყობის საკითხი. **რუსეთმა** და **საფრანგეთმა, ინგლისისა** და **ავსტრიის** წინააღმდეგობის მიუხედავად, დუნაის სამთავროების ავტონომიური უფლებების გაფართოება მოითხოვეს. საბოლოოდ მიიღეს **კომპრომისული** გადაწყვეტილება: მოლდოვა და ვალახეთი ცალ-ცალკე სამთავროებად დარჩნენ, მაგრამ ორივე სამთავროსათვის საერთო კანონების მიღების მიზნით შეიქმნა ცენტრალური კომისია. სულ მალე, 1859 წელს, მოლდოვა და ვალახეთი მაინც ერთ სახელმწიფოდ — **რუმინეთად** — გაერთიანდა, რომელიც თურქეთის სულთნის ვასალი უნდა ყოფილიყო.

1859 წლის 19 თებერვალს პარიზში ხელი მოაწერეს **რუსეთ-საფრანგეთის საიდუმლო ხელშეკრულებას ნეიტრალიტეტისა და თანამშრომლობის შესახებ**. საფრანგეთ-ავსტრიის ომის შემთხვევაში რუსეთს ნეიტრალიტეტი უნდა დაეცვა, თუმცა ავსტრიის საზღვრებთან არმიის განსაზღვრული რაოდენობა უნდა განელაგებინა. ხელშეკრულებაში კონკრეტულად არაფერი ყოფილა ნათქვამი რუსეთის მხრიდან ავსტრიის

წინააღმდეგ ომში ჩაბმის თაობაზე. პარიზის საიდუმლო ხელშეკრულებამ, თუმცა საფრანგეთს ავსტრიასთან ომის შემთხვევაში რუსეთის სამხედრო მხარდაჭერის გარანტია ვერ მოუპოვა, მაგრამ, სამაგიეროდ, საფრანგეთს ხელები გაეხსნა ევროპაში აქტიური პოლიტიკის წარმოებისათვის. **პარიზის საიდუმლო ხელშეკრულებით, რუსეთმა შავი ზღვის ნეიტრალიზაციის გაუქმების საკითხში საფრანგეთის მხარდაჭერა ვერ მიიღო, მაგრამ ამ ხელშეკრულებით, რუსეთმა საერთაშორისო იზოლაციას დააღწია თავი.**

1859 წელს **ავსტრია** თავს დაესხა **სარდინიის სამეფოს (იტალია)**. სარდინიის მხარეზე ომში ჩაება **საფრანგეთი**. ნაპოლეონ III-ის დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, ალექსანდრე II თავს იკავებდა საფრანგეთ-ავსტრიის ომში ჩაბმისაგან. ასეთ ვითარებაში 1859 წელს საფრანგეთმა რუსეთთან შეთანხმების გარეშე ავსტრიასთან ზავი დადო. მან სარდინიის სამეფოს ნაწილი (ნიცა, სავოია) მიიღო. ყოველივე ამან გარკვეულწილად დაძაბა რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა.

XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანი წლების დამდეგს, დაძაბული ურთიერთობის მიუხედავად, **რუსეთი** და **საფრანგეთი თანხმობით მოქმედებდნენ ბალკანეთის საკითხში, თუმცა მახლობელ აღმოსავლეთში (პალესტინაში) მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების დაპირისპირებისას საფრანგეთის ინტერესები კვლავ აშკარად შეეჯახა რუსეთისას.**

საფრანგეთთან ურთიერთობის დაძაბვის პირობებში XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს რუსეთის დიპლომატია ცდილობდა ავსტრიასა და პრუსიასთან დაახლოებას, თუმცა კონკრეტული შედეგები ამ მცდელობას არ მოჰყოლია.

1863 წელს, პოლონეთის აჯანყების დაწყების შემდეგ, რუსეთმა და პრუსიამ ხელი მოაწერეს კონვენციას აჯანყებულთა წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ, რასაც ინგლისისა და საფრანგეთის მწვავე რეაქცია მოჰყვა. ინგლისი და საფრანგეთი პოლონეთის საკითხის გადასაწყვეტად **საერთაშორისო კონფერენციის** მოწვევას ითხოვდნენ. ამის საპასუხოდ 1864 წელს რუსეთის ჯარებმა პოლონეთის აჯანყება მთელი სისასტიკით ჩაახშვეს. რუსეთ-საფრანგეთისა და რუსეთ-ინგლისის ურთიერთობა სერიოზულად დაიძაბა.

2. რუსეთის პოლიტიკა შორეულ აღმოსავლეთში. XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან ინგლისმა და საფრანგეთმა მნიშვნელოვნად განიმტკიცეს პოზიციები ჩინეთში. შეიქმნა წინაპირობა სახალინსა და **ამურისპირეთში** ამერიკა-ინგლის-საფრანგეთის ექსპანსიის დაწყებისათვის. ამის საპასუხოდ 1850-1853 წლებში რუსეთმა სერიოზული ნაბიჯები გადადგა ამურისპირეთისა და სახალინის ასათვისებლად, მაგრამ ყირიმის ომმა (1853-1856 წწ.) შეაფერხა შორეულ აღმოსავლეთში დაწყებული კამპანია.

შორეული აღმოსავლეთის ათვისებაში რუსეთს კონკურენციას უწევდა **ჩინეთი**. მიუხედავად ამისა, ინგლის-საფრანგეთის აგრესიის შიშით, ჩინეთი იძულებული გახდა რუსეთისათვის დაეთმო და უარი ეთქვა რუსეთ-ჩინეთის 1689 წლის **ნერჩინსკის** ხელშეკრულებით მიღებულ უპირატესობაზე. 1858 წლის 16 მაისს **აიღუნში** დაიდო რუსეთ-ჩინეთის ხელშეკრულება. აიღუნის ხელშეკრულების ძალით, რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა მდინარე **ამურის** მარცხენა ნაპირის ტერიტორია, მარჯვენა ნაპირი ჩინეთს დარჩა. ტერიტორია მდინარე **უსურიიდან ზღვის სანაპირომდე (უსურიის მხარე)** გაუმიჯნავი დარჩა. მდინარეებზე: **უსურზე, ამურსა** და **სუნგარზე** მხოლოდ რუსეთისა და ჩინეთის გემებს შეეძლოთ მიმოსვლა. 1858 წელსვე რუსეთსა და ჩინეთს შორის **ტიანძინში** მეორე ხელშეკრულებაც დაიდო, რომელიც დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობების მოგვარებას ისახავდა მიზნად.

ამრიგად, აიღუნისა და ტიანძინის ხელშეკრულებების ძალით, ამურისპირეთში რუსეთ-ჩინეთის სახელმწიფო საზღვარი გაიმიჯნა, რაც შეეხება უსურიის მხარეს, იგი ერთობლივ მფლობელობაში რჩებოდა.

ჩინეთი ვერ ახერხებდა წინ აღდგომოდა ინგლისისა და საფრანგეთის აგრესიას. რუსეთმა კარგად ისარგებლა ჩინეთის მძიმე მდგომარეობით და 1860 წლის 2 ნოემბერს **პეკინში** დაიდო რუსეთ-ჩინეთის ახალი ხელშეკრულება. პეკინის ხელშეკრულებით, **უსურიის მხარე** რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა. **ამურისპირეთისა** და **ზღვისპირეთის ხელში ჩაგდებით რუსეთმა სერიოზულად განიმტკიცა პოზიციები წყნარი ოკეანის სანაპიროზე.**

XIX საუკუნის მეორე ნახევარი მნიშვნელოვანი პერიოდი იყო **რუსეთ-იაპონიის** ურთიერთობაში. 1855 წლის 26 იანვარს **სიმოდას** ნავსადგურში დადებული რუსეთ-იაპონიის **ხელშეკრულებით**, სახელმწიფო საზღვარი რუსეთსა და იაპონიას შორის გადიოდა **იტურუპისა**

და **ურუპის** კუნძულებს შორის. კუნძული **იტურუპი** და **სამხრეთ კურილის** სხვა კუნძულები იაპონიას ერგო, ხოლო კუნძული **ურუპი** და **კურილის სხვა კუნძულები** — რუსეთს. 1875 წლის 25 აპრილს **პეტერბურგში** ხელმოწერილი რუსეთ-იაპონიის ხელშეკრულებით, **სახალინის ნახევარკუნძული** მთლიანად რუსეთის მფლობელობაში გადავიდა.

XIX საუკუნის შუა ხანებიდან ამერიკის შეერთებული შტატები დაჟინებით ცდილობდა ხელში ჩაეგდო რუსეთის ტერიტორია ჩრდილოეთ ამერიკაში — **ალასკა**. ყირიმის ომის დროს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რუსეთს ალასკის გაყიდვა შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო. 1867 წელს რუსეთი დასთანხმდა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის 7,2 მილიონ დოლარად (11 მილიონ მანეთად) მიეყიდა **ალასკის** რუსული ტერიტორია და **ალეუტის** კუნძულები.

3. რუსეთის საგარეო პოლიტიკა XIX საუკუნის 70-იან წლებში. 1870 წელს დაწყებულ საფრანგეთ-პრუსიის ომში რუსეთმა ნეიტრალიტეტის დაცვა ამჯობინა. 1870 წელს საფრანგეთის არმიამ პრუსიასთან ომში სრული კატასტროფა განიცადა. ნაპოლეონ III ტყვედ ჩავარდა. საფრანგეთთან ომში გამარჯვების შემდეგ 1871 წელს გამოცხადდა ახალი სახელმწიფოს — **გერმანიის იმპერიის შექმნა**. პრუსიის მეფემ გერმანიის იმპერატორის ტიტული მიიღო.

საფრანგეთ-პრუსიის ომმა ძირფესვიანად შეცვალა ძალთა განლაგება საერთაშორისო ასპარეზზე. რუსეთის წინააღმდეგ ჯერ კიდევ XIX საუკუნის 50-იანი წლების დამდეგს შექმნილი **ინგლის-საფრანგეთ-პრუსიის კავშირი** საბოლოოდ დაიშალა. რუსეთის დიპლომატიას პარიზის საზავო ხელშეკრულების გადასინჯვისათვის ხელსაყრელი პირობები შეექმნა. პრუსიასთან ომში დამარცხებული საფრანგეთი სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა რუსეთს. პრუსიის მთავრობამ ჯერ კიდევ საფრანგეთ-პრუსიის ომამდე აღუთქვა რუსეთს თანადგომა შავი ზღვის ნეიტრალიზაციის შესახებ პარიზის საზავო ხელშეკრულების მუხლის გაუქმების საკითხში. ავსტრია-უნგრეთი გერმანიასთან გართულებას ელოდა და ამიტომ რუსეთს ვერ დაუპირისპირდებოდა. მარტოდ დარჩენილი ინგლისი კი რუსეთთან ომზე არ წავიდოდა. რაც შეეხება თურქეთს, ევროპელი მოკავშირეების გარეშე იგი რუსეთისათვის სერიოზულ მოწინააღმდეგედ ვერ ჩაითვლებოდა.

1870 წლის 19 ოქტომბერს რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ალექსანდრე გორჩაკოვმა** პარიზის საზავო ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების მთავრობებს საგანგებო ნოტით აცნობა რუსეთის გადაწყვეტილება შავი ზღვის ნეიტრალიზაციის გაუქმების თაობაზე. ალექსანდრე გორჩაკოვი ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზე, რომ 1856 წლის პარიზის საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი ქვეყნები არღვევდნენ ზავის პირობებს. კერძოდ, მაშინ, როდესაც რუსეთს საშუალება არ ჰქონდა ომის შემთხვევაში ქვეყნის საშხრეთის საზღვრების დაცვისა, თურქეთის სამხედრო ფლოტი განლაგებული იყო ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში, ხოლო ინგლისი და საფრანგეთი ხმელთაშუა ზღვაზე ბატონობდა. ასეთ ვითარებაში რუსეთი არ იყო ვალდებული დაეცვა პარიზის საზავო ხელშეკრულება. ალექსანდრე გორჩაკოვი მიუთითებდა, რომ მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, რუსეთი არ აყენებდა პარიზის საზავო ხელშეკრულების მთლიანად გაუქმების საკითხს, არამედ ითხოვდა მხოლოდ შავი ზღვის ნეიტრალიზაციის შესახებ მუხლების გაუქმებას.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ნოტას ყველა ქვეყანა დაუფარავი უკმაყოფილებით შეხვდა. ნოტას განსაკუთრებით მწვავე რეაქცია მოჰყვა ინგლისსა და ავსტრია-უნგრეთში. ინგლისი თურქეთის სულთანს ურჩევდა რუსეთის ნოტაზე პასუხი არ ეჩქარა. გერმანიის კანცლერმა **ოტო ფონ ბისმარკმა** რუსეთის მიმართ ლოიალური პოზიცია დაიკავა. გერმანიის ამგვარმა პოზიციამ ინგლისისა და ავსტრიის წინააღმდეგობა უპერსპექტიკო გახადა. ოტო ფონ ბისმარკმა წინადადება წამოაყენა რუსეთის ნოტაში დასმული საკითხები პარიზის საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი სახელმწიფოების კონფერენციაზე განეხილათ. ამ იდეამ გაიმარჯვა და 1871 წელს ლონდონში კონფერენციაც შედგა. **რუსეთის მოთხოვნას შავი ზღვის ნეიტრალიტეტის გაუქმების შესახებ წინააღმდეგობა არ შეხვედრია.** სამაგიეროდ, ევროპის სახელმწიფოების მხარდაჭერით თურქეთმა მიაღწია იმას, რომ ლონდონის კონფერენციის ოქმში შეიტანეს მუხლი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების რეჟიმის შესახებ. ხანგრძლივი და მწვავე კამათის შემდეგ გადაწყდა, რომ **სრუტეები დახურული ყოფილიყო ყველა ქვეყნის სამხედრო გემებისათვის.** თურქეთს უფლება ჰქონდა მშვიდობიანობის დროს სრუტეები გა-

ებსნა მეგობარი ქვეყნების სამხედრო გემებისათვის. ყოველივე ეს, ცხადია, რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. და მაინც, **ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილებები რუსეთის დიპლომატიის დიდ გამარჯვებას ნიშნავდა.** გაუქმდა შავი ზღვის ნეიტრალიზაციის შესახებ პარიზის საზავო ხელშეკრულების მუხლები. რუსეთმა შავი ზღვის სანაპიროზე სამხედრო სიმაგრეების მშენებლობისა და ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლის უფლება მიიღო.

4. სამი იმპერატორის კავშირი. საფრანგეთ-პრუსიის ომში დამარცხების შემდეგ საფრანგეთი ისე დასუსტდა, რომ რუსეთი მხოლოდ მის იმედად ვერ დარჩებოდა. **შუა აზიაში დაპირისპირების გამო ძალზე დაიძაბა რუსეთ-ინგლისის ურთიერთობა, ბალკანეთის საკითხმა ასევე სერიოზულად დაძაბა რუსეთ-ავსტრია-უნგრეთის ურთიერთობა.** ასეთ ვითარებაში რუსეთის დიპლომატია თელიდა, რომ გერმანიის იმპერიასთან მჭიდრო კავშირი გაანეიტრალებდა ინგლისის წინააღმდეგობას. გერმანიას შეეძლო შუამავლის როლი შეესრულებინა რუსეთ-ავსტრია-უნგრეთის ურთიერთობების მოგვარებაში. 1872 წელს **ბერლინში** ერთმანეთს შეხვდნენ **გერმანიის, რუსეთისა** და **ავსტრია-უნგრეთის** იმპერატორები და საგარეო საქმეთა მინისტრები. სამმა იმპერატორმა განსაზღვრა სახელმწიფოთა თანამშრომლობის პერსპექტივები, თუმცა ბალკანეთზე რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგობის გამო ბერლინში ხელშეკრულება არ დაუდიათ.

1873 წელს **პეტერბურგში** რუსეთის იმპერატორი **ალექსანდრე** II და კანცლერი **ალექსანდრე გორჩაკოვი** შეხვდნენ გერმანიის იმპერატორს **ვილჰელმ I-სა** და კანცლერ **ოტო ფონ ბისმარკს.** ხელი მოაწერეს **რუსეთ-გერმანიის სამხედრო კონვენციას.** კონვენციის თანახმად, რუსეთი და გერმანია ვალდებულებას იღებდნენ მესამე სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში, მოკავშირის დასახმარებლად 200-ათასიანი არმია გამოეყვანათ. რუსეთ-გერმანიის სამხედრო კონვენციის დადების შემდეგ, იმავე 1873 წელს, ალექსანდრე II **ვენაში** ჩავიდა და ავსტრია-უნგრეთის იმპერატორთან მოლაპარაკება გამართა. ეს მოლაპარაკება დამთავრდა **შენბრუნში** რუსეთ-ავსტრია-უნგრეთის პოლიტიკური კონვენციის დადებით. რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთს შორის აღმოსავლეთის საკითხში სერიოზული წინააღმდეგობის გამო **შენბრუნის კონვენცია** მხარეთა კონკრეტულ ვალდებულებებს არ განსაზღვრავდა. მესამე სახელმწიფოსთან ომის შემთხვევაში კონვენციის დამდებ მხარეებს სამოქმედო გეგმები უნდა შეეთანხმებინათ. 1873 წელს, გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ I-ის ავსტრია-უნგრეთში მოგზაურობის დროს **შენბრუნში** ხელი მოაწერეს **„რუსეთ-ავსტრიის კონვენციასთან გერმანიის შეერთების აქტს“.** ასე შეიქმნა **„სამი იმპერატორის კავშირი“.**

„სამი იმპერატორის კავშირმა“ ვერ მოსპო რუსეთს, გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის არსებული წინააღმდეგობა. **გერმანია ამ კავშირით საფრანგეთის იზოლაციაში მოქცევასა და მის დასუსტებას ცდილობდა, რუსეთი კი — პირიქით საფრანგეთის გერმანიის აგრესიისაგან დაცვას.** რუსეთი და ავსტრია-უნგრეთი დაჟინებით ცდილობდნენ გერმანიის გამოყენებას ბალკანეთსა და მახლობელ აღმოსავლეთში უპირატესობის მოპოვებისათვის. ყოველივე ეს მოკავშირეთა შორის უნდობლობას ზრდიდა. XIX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში აღმოსავლეთის კრიზისმა „სამი იმპერატორის კავშირი“ დაშალა და დააჩქარა გერმანია-ავსტრია-უნგრეთ-იტალიის ბლოკის შექმნა.

5. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი. შავი ზღვის ნეიტრალიზაციის გაუქმების შემდეგ რუსეთმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე პოზიციების განმტკიცების თვალსაზრისით. რუსეთი უკვე აღარ ესწრაფოდა თურქეთის გადანაწილებასა და ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ხელში ჩაგდებას. ალექსანდრე II-მ მიზნად დაისახა ბალკანეთზე განმტკიცება და ბალკანეთის მხრიდან სტამბოლისა და სრუტეების საიმედოდ დაცვა. ბალკანეთზე რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის ზრდას ხელს უშლიდნენ ევროპის დიდი სახელმწიფოები. სამაგიეროდ, რუსეთის სახით მფარველსა და მოკავშირეს ხედავდნენ თურქეთის მიერ დაპყრობილი სლავები (ბულგარელები, სერბები, ბოსნიელები, ჰერცოგოვინელები), ასევე რუმინელები. ასეთ ვითარებაში თურქეთის სულთანმა მიზნად დაისახა ბალკანეთის სლავების ეროვნული მოძრაობის ჩახშობა. 1873 წელს სულთანმა გამოსცა რამდენიმე ბრძანება, რომელიც ამძიმებდა ბალკანეთის ქრისტიანი მოსახლეობის მდგომარეობას. სლავების პროტესტს თურქეთის მხრიდან რეპრესიები მოჰყვა. გარდა ამისა, 1874-1875 წლებში თურქეთის სულთანმა გაზარდა ქრისტიანი მოსახლეობის გადასახადები. გადასახადების

გაზრდა დაემთხვა მოუსავლიანობას, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა მოსახლეობის მდგომარეობა. გადასახადების აკრეფას თან ახლდა ძალადობა და რეპრესიები.

1875 წელს თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო **ჰერცოგოვინისა და ბოსნეიის სერბმა მოსახლეობამ**. მალე აჯანყება სლავებით დასახლებულ ბალკანეთის სხვა მხარეებსაც მოედო. ასე დაიწყო ბალკანეთის კრიზისის **პირველი ეტაპი**. 1875 წლისათვის რუსეთი საომრად მზად არ იყო. ამიტომ 1875-1876 წლებში რუსეთის დიპლომატია ბალკანეთის კრიზისის მშვიდობიანი გზით მოგვარებას ესწრაფოდა. სლავების დამშვიდების მიზნით რუსეთი ცდილობდა თურქეთი გარკვეულ დათმობებზე დაეყოლიებინა. 1875 წელს რუსეთის, გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის სახელით თურქეთის სულთანს გადაეცა ბალკანეთის დაპყრობილ ქვეყნებში გასატარებელი რეფორმების პროექტი. იმთავითვე ცხადი იყო, რომ გერმანია და ავსტრია-უნგრეთი რუსეთის მოკავშირედ ბოლომდე არ დარჩებოდნენ. ბალკანეთის კრიზისის დასაძლევად გზების შესახებ რუსეთის უმაღლეს წრეებშიც არ იყო თანხმობა. ტახტის მემკვიდრე **ალექსანდრე ალექსანდრეს ძე** (მომავალი იმპერატორი ალექსანდრე III), რუსეთის ელჩი სტამბოლში **ნიკოლოზ იგნატიევი** და სხვები აქტიური პოლიტიკის მომხრენი იყვნენ და აჯანყებული სლავებისათვის სამხედრო დახმარებასაც არ გამორიცხავდნენ. კანცლერ **ალექსანდრე გორჩაკოვს** ყირიმის ომის დროს შექმნილი ვითარების განმეორების ეშინოდა და ამიტომ წინააღმდეგი იყო „სამი იმპერატორის კავშირის" დარღვევისა. ალექსანდრე გორჩაკოვს იმედი ჰქონდა, რომ ბალკანეთის კრიზისს დიპლომატიური საშუალებებით მოაგვარებდა. რუსეთის საზოგადოებაში სულ უფრო იზრდებოდა თანაგრძნობა აჯანყებული სლავების მიმართ. თანაგრძნობა განსაკუთრებით გაძლიერდა 1876 წელს **ბულგარეთში** აჯანყების დაწყების შემდეგ.

იმპერატორი ალექსანდრე II ალექსანდრე გორჩაკოვის კურსს უჭერდა მხარს. 1876 წელს **ბერლინში** ხელი მოაწერეს რუსეთის, გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მემორანდუმს. ბერლინის მემორანდუმის მიზანი თურქეთზე ზეგავლენის მოხდენა იყო. მემორანდუმზე ხელისმომწერი ქვეყნები თურქეთს სთავაზობდნენ ორი თვით შეეჩერებინა დამსჯელი ექსპედიციების მოქმედება და დაეწყო მოლაპარაკება ბოსნიასა და ჰერცოგოვინასთან. ბერლინის მემორანდუმს მხარი დაუჭირა საფრანგეთმა და იტალიამ, მაგრამ მიუღებლად მიიჩნია ინგლისმა. ინგლისის პოზიციამ თურქეთი წააქეზა. სულთანმა დიდი სისასტიკით დაიწყო ბულგარელთა აჯანყების ჩახშობა. 1876 წელს თურქეთს ომი გამოუცხადა **სერბიამ** და **ჩერნოგორიამ**. ამ მოვლენით დაიწყო ბალკანეთის კრიზისის **მეორე ეტაპი**. თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაერთო: **ბოსნია, ჰერცოგოვინა, ბულგარეთი, სერბია** და **ჩერნოგორია**.

ბალკანეთის კრიზისის მეორე ეტაპზე რუსეთმა კვლავ სცადა ავსტრია-უნგრეთთან მოლაპარაკება, რათა გამოერიცხა ინგლის-ავსტრია-უნგრეთის ერთობლივი გამოსვლა რუსეთის წინააღმდეგ. საიდუმლო მოლაპარაკებისას გაირკვა, რომ ავსტრია-უნგრეთს ძალზე დიდი პრეტენზიები ჰქონდა ბალკანეთსა და მახლობელ აღმოსავლეთში.

1876 წლის შემოდგომაზე, სერიოზული განსჯის შემდეგ, ალექსანდრე II-მ ბალკანეთის კრიზისის პირობებში რუსეთის დამოუკიდებლად მოქმედების გადაწყვეტილება მიიღო. სამხედრო სამინისტრომ ომისათვის მზადება დაიწყო.

1876 წლის 19 ოქტომბერს რუსეთმა თურქეთს ულტიმატუმის ფორმით მოსთხოვა 48 საათის განმავლობაში **სერბიასთან** ორთვიანი ზავის დადება. თურქეთმა ულტიმატუმი მიიღო და დასთანხმდა სტამბოლში კონფერენციის მოწვევას. რუსეთის ულტიმატუმმა სერბიის არმია განადგურებისაგან იხსნა.

1876 წლის დეკემბერში **სტამბოლში** გაიხსნა ევროპის ქვეყნების კონფერენცია, რომელსაც უნდა მოეგვარებინა ურთიერთობა ბალკანეთის ხალხებსა და თურქეთს შორის. კონფერენციამ თურქეთის სულთნისათვის წარსადგენი პროექტი შეიმუშავა, მაგრამ სულთანმა დაასწრო და მუსლიმი და ქრისტიანი მოსახლეობის თანასწორობის შესახებ კანონი გამოაქვეყნა. ამით, ფორმალური თვალსაზრისით, კონფერენციის მუშაობა ზედმეტი აღმოჩნდა. სტამბოლში ევროპის ქვეყნების კონფერენციამ მუშაობა მაინც განაგრძო. ამჯერად მისი მონაწილენი თურქეთის სულთნისაგან ქრისტიანი მოსახლეობის უფლებების დაცვის გარანტიებს ითხოვდნენ. ინგლისის მხარდაჭერით წაქეზებულმა სულთანმა კონფერენციის რეკომენდაციები არ მიიღო. ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. დაიწყო ბალკანეთის კრიზისის **მესამე ეტაპი**.

ბალკანეთის კრიზისის მესამე ეტაპზე რუსეთის დიპლომატია შეეცადა ავსტრია-უნგრეთის

პოზიციის საბოლოოდ გარკვევას. 1877 წლის 3 იანვარს ბუდაპეშტში ხელმოწერილი რუსეთ-ავსტრიის საიდუმლო კონვენციით, ავსტრია-უნგრეთი ვალდებულებას იღებდა, რუსეთ-თურქეთის ომში ნეიტრალიტეტი დაეცვა. ამავე დროს ავსტრია-უნგრეთი დიპლომატიური საშუალებებით წინ უნდა აღდგომოდა ომში რუსეთის წინააღმდეგ სხვა ქვეყნების ჩაბმას.

1877 წლის 19 მარტს ლონდონში შეიკრიბნენ სტამბოლის კონფერენციის მონაწილე ევროპის ქვეყნების წარმომადგენლები და ხელი მოაწერეს ოქმს. ლონდონის ოქმი თურქეთის სულთანს ურჩევდა, მიეღო სტამბოლის კონფერენციის რეკომენდაციები. სულთანმა ლონდონის ოქმი თურქეთის შინაურ საქმეებში ჩარევად მიიჩნია და უარყო იგი. იმავდროულად სულთანმა მობილიზაცია გამოაცხადა. რუსეთს უკან დასახევი გზა აღარ რჩებოდა. ომი გარდაუვალი გახდა.

1877 წლის 12 აპრილს კიშინიოვში მყოფმა იმპერატორმა ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს თურქეთთან ომის შესახებ.

საბრძოლო მოქმედებები თავიდანვე დაიწყო ორ ფრონტზე – ბალკანეთსა და კავკასიაში. თურქეთის არმია ომის დასაწყისისათვის 450 ათას კაცს ითვლიდა. აქედან 338 ათასი ბალკანეთის ფრონტზე იმყოფებოდა, ხოლო 70 ათასს კავკასიის ფრონტზე უნდა ემოქმედა. რუსეთის სარდლობამ ბალკანეთის ფრონტზე 250-ათასიანი არმია დაუკგუფა, კავკასიის ფრონტზე – 55-ათასიანი.

1877 წლის აპრილში რუსეთის არმიამ გადალახა მდინარე პრუტი და რუმინეთის ტერიტორიაზე შევიდა. 1877 წლის მაისი-ივნისში მიმდინარე ცხარე ბრძოლების შემდეგ რუსებმა ბულგარელ მოლაშქრეებთან ერთად მდინარე დუნაი გადალახეს. ამის შემდეგ რუსეთის არმია სამ ნაწილად გაიყო გენერალ იოსებ გურკოს კორპუსს (70 ათასი კაცი, მათ შორის 15 ათასი ბულგარელი მოლაშქრე) უნდა გადაელახა ბალკანეთის მთები და გასულიყო თურქეთის არმიის ზურგში ადრიანოპოლის რაიონში. გენერალ ნიკოლოზ კრიდენერის კორპუსს უნდა ემოქმედა რუსეთის არმიის მარჯვენა ფლანგზე და დაეკავებინა მნიშვნელოვანი სიმაგრე პლევნა. ტახტის მემკვიდრის ალექსანდრე ალექსანდრეს ძის კორპუსს უნდა ემოქმედა რუსეთის არმიის მარცხენა ფლანგზე და დაეკავებინა მნიშვნელოვანი სიმაგრე რუშჩუკი.

გენერალ იოსებ გურკოს კორპუსმა სწრაფი შეტევა განახორციელა, დაიკავა ბულგარეთის ძველი დედაქალაქი ტირნოვო და შეუდგა ბალკანეთის მთებზე გადასვლას. 1877 წლის ივლისში რუსებმა ერთ-ერთი უღელტეხილით ბალკანეთის მთები გადალახეს. ამის შემდეგ იოსებ გურკომ გადაწყვიტა შიპკის უღელტეხილისათვის სამხრეთიდან შეეტია. იმავდროულად რუსეთის არმიის სხვა ნაწილები შიპკას ჩრდილოეთიდან უნდა მისდგომოდნენ. შიპკის დაკავებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს უღელტეხილი ერთმანეთთან აკავშირებდა ბულგარეთის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს. შიპკაზე გადიოდა უმოკლესი გზა ადრიანოპოლისაკენ. გარდა ამისა, შიპკის უღელტეხილი ყველაზე უფრო გამოსადეგი იყო ჯარის გადაყვანისა და არტილერიის გადასატანად. როგორც კი გენერალმა იოსებ გურკომ შიპკის უღელტეხილს სამხრეთიდან შეუტია, თურქებმა ალყაში მოხვედრის შიშით შიპკა დატოვეს. გენერალმა იოსებ გურკომ შიპკის უღელტეხილზე მცირე რაზმი დატოვა და ძირითადი ძალებით ბალკანეთის მთების სამხრეთ კალთებზე განლაგებულ თურქეთის არმიას შეუტია. თურქეთის სარდლობამ მიზნად დაისახა რუსეთის არმიის სამხრეთ ბალკანეთიდან განდევნა. თურქების ძალები გენერალ იოსებ გურკოს შენაერთს ხუთჯერ აღემატებოდა. ასეთ ვითარებაში რუსებმა ჩრდილოეთით, შიპკის უღელტეხილისაკენ დაიხიეს. უკან დახევის დროს რუსებმა და ბულგარელმა მოლაშქრეებმა დატოვეს სამხრეთ ბულგარეთის ქალაქები და სოფლები. თურქეთის არმიის 27-ათასიანი კორპუსი სულეიმან-ფაშას სარდლობით 1877 წლის ზაფხულში დიდი მონდომებით უტევდა შიპკის უღელტეხილზე გამაგრებულ რუსების 5-ათასიან რაზმს. რუსები მედგრად იცავდნენ თავს. იოსებ გურკომ მხოლოდ 1877 წლის შემოდგომაზე მიიღო დამატებითი ძალები. რუსები და ბულგარელები 1877 წლის ნოემბერ-დეკემბერში ზამთრის უმძიმეს პირობებში გმირულად იცავდნენ უღელტეხილს და მაინც არ დაუშვეს თურქეთის არმიის სამხრეთ ბალკანეთიდან ჩრდილოეთ ბალკანეთში გადმოსვლა.

გენერალ ნიკოლოზ კრიდენერის კორპუსი პლევნის სიმაგრეს უტევდა. პლევნის დაკავებას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. აქედან რუსებს შეეძლოთ შიპკის უღელტეხილისაკენ გაჭრა და სამხრეთ ბალკანეთში გადასვლა. პლევნა თურქებს კარგად ჰქონდათ გამაგრებული. 1877 წელს რუსებმა ორჯერ შეუტიეს პლევნას, მაგრამ მარცხი იწვნიეს.

მეორე შეტევისას გენერალმა ნიკოლოზ კრიდენერმა 7 ათასი კაცი დაკარგა. **წარუმატებლობა პლევნასთან აფერხებდა შიპკის უღელტეხილის რაიონში მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ გენერალ იოსებ გურკოს კორპუსისათვის დახმარების აღმოჩენას.** რუსეთის სარდლობამ პლევნასთან დიდ ძალებს მოუყარა თავი. რუსების მხარეზე ბრძოლაში ჩაებნენ რუმინელებიც. სულ პლევნაზე საერთაშორისოდ მზად იყო 84 ათასი კაცი (52 ათასი რუსი და 32 ათასი რუმინელი) და 424 ქვემეხი. პლევნას დამცველ თურქებს 32 ათასი კაცი და 70 ქვემეხი გააჩნდათ. პლევნაზე შეტევის საერთო სარდლობას ახორციელებდა რუმინეთის მთავარი **კაროლ (კარლ) ჰოჰენცოლერნი** და რუსი გენერალი **პეტრე ზოტოვი**. მესამე შეტევა პლევნაზე 1877 წლის 30 აგვისტოს დაიწყო. ეს შეტევაც უშედეგოდ დამთავრდა. ამ წარუმატებლობის შემდეგ რუსეთის სარდლობამ შეტევის ტაქტიკა მჭიდრო ბლოკადის ტაქტიკით შეცვალა. მალე პლევნაში შიმშილობა დაიწყო. 1877 წლის ნოემბერში პლევნის გარნიზონის უფროსმა **ოსმან-ფაშამ** ალყის გარღვევა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. 1877 წლის 28 ნოემბერს ოსმან-ფაშამ კაპიტულაცია გამოაცხადა. პლევნისაოვის ბრძოლაში რუსებმა და რუმინელებმა 40 ათასი კაცი დაკარგეს.

შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი

პლევნის აღებამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ომის მსვლელობაზე. თურქეთის წინააღმდეგ ომში კვლავ ჩაება **სერბია**. სულთანმა სცადა ბალკანეთის დაპყრობილ ქვეყნებთან სეპარატული ზავის დადება, მაგრამ უშედეგოდ.

მოპოვებული გამარჯვების განმტკიცების მიზნით, რუსეთის სარდლობამ გადაწყვიტა ჩრდილო ბალკანეთიდან სამხრეთ ბალკანეთში გადასვლა ზამთარშივე დაეწყო. თურქების მიერ კარგად გამაგრებული და თოვლით დაფარული ბალკანეთის მთების გადალახვა ძალზე ძნელი იყო. რუსებმა შეტევა სამი მიმართულებით განავითარეს. 1878 წლის 4 იანვარს გენერალ **იოსებ გურკოს** კორპუსმა ბულგარელ მოლაშქრეებთან ერთად **სოფია** დაიკავა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ თურქებს სასტიკი მარცხი აწვნია **ფილიპოპოლთან**. რუსეთის არმიის მეორე კორპუსმა 1878 წლის 8 იანვარს **ადრიანოპოლი** დაიკავა.

თურქეთის არმია უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, რუსების შეტევის შეჩერება მას აღარ შეეძლო.

რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებას დიდი იმედით შეხვდნენ საქართველოში. ქართველებს იმედი მიეცაო, რომ აჭარა და საერთოდ მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ამჯერად მაინც დაუბრუნდებოდა დედასამშობლოს. აჭარის, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ **„ოსმალოს საქართველოს“** საკითხისადმი ქართველი საზოგადოება განსაკუთრებით დაინტერესდა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში. ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები, ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი ცდილობდნენ კავშირი აღედგინათ თურქეთის მიერ დაპყრობილ ძირძველ ქართულ მიწაზე მცხოვრებ გამაჰმადიანებულ ქართველებთან. რუსეთ-თურქეთის ომის წინ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იმოგზაურეს **დიმიტრი ბაქრაძემ, გიორგი ყაზბეგმა, მამია გურიელმა, ივანე კერესელიძემ, გიორგი წერეთელმა** და სხვებმა. ივანე კერესელიძე შეხვდა და ესაუბრა აჭარაში პოპულარულ პიროვნებას **შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს**. ქართველი საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია 1875 წელს აჭარაში დაწყებულმა აჯანყებამ. თურქეთის სულთანმა ბრძანა აჭარაში ჯარის შეკრება და მისი გაგზავნა აჯანყებული სლავების წინააღმდეგ. აჭარლებმა ბრძანება არ შეასრულეს და აჯანყდნენ. ეს

რუსეთის არმიის გადასვლა ბალკანეთის მთებზე

მოვლენა საქართველოში განიხილეს, როგორც აჭარაში ანტიოთურქული მოძრაობის სერიოზული გამოვლენა. რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებისთანავე საქართველოში დაიწყო **სახალხო ლაშქრის** შედგენა, რომელიც შემდგომ ხანებშიც გაგრძელდა. სულ ომის პერიოდში სახალხო ლაშქარში გავიდა **38 ათასზე** მეტი კაცი.

დაბალული სამხედრო-სტრატეგიული ვითარება შეიქმნა **კავკასიის ფრონტზე**. 1877 წლის მაისში რუსეთის არმიამ გენერალ **მიხეილ ლორის-მელიქოვის** საერთო სარდლობით არტაანი აიღო, მაგრამ შემდგომში ვითარება შეიცვალა — თურქეთის არმიამ შეძლო სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა. გენერალმა მიხეილ ლორის-მელიქოვმა კავკასიის არმიის მთავარსარდალს, დიდ მთავარ **მიხეილ რომანოვს**, კავკასიის ფრონტზე ახალი ძალების გაგზავნა სთხოვა. თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. ძალე რუსეთის სარდლობამ მოქმედების გეგმა შეცვალა: გადაწყდა თურქეთის არმიის ნაწილების ცალ-ცალკე განადგურება. 1877 წლის ოქტომბერში რუსებმა **ბაზარჯიკთან** სასტიკად დაამარცხეს თურქები, რასაც მოჰყვა საერთო შეტევის დაწყება. 1877 წლის ოქტომბრის ბოლოს რუსეთის არმიამ **ყარსის** ბლოკადა დაიწყო. 18 ნოემბერს ყარსი აიღეს.

წარუმატებელი გამოდგა 1877 წელს რუსეთის არმიისა და ქართველთა სახალხო ლაშქრის შეტევა **ბათუმის** მიმართულებით. დიდი მსხვერპლის მიუხედავად, ფლოტის გარეშე შეუძლებელი გახდა ძლიერი სიმაგრე **ციხისძირის** აღება.

რუსეთის არმიის გამარჯვებებმა შეაშფოთა ევროპის სახელმწიფოთა მთავრობები. რუსეთის არმია სულ ახლოს იყო **სტამბოლთან**. ევროპის სახელმწიფოები სულთანს ომის შეწყვეტის და დაზავების ურჩევდნენ. ევროპის ქვეყნებთან გართულების თავიდან აცილების მიზნით, ალექსანდრე II-მ თურქეთის სულთნის წინადადება მიიღო და 1878 წლის 19 იანვარს **ადრიანოპოლში** რუსეთსა და თურქეთს შორის დროებითი ზავი დაიდო. ზავის მიხედვით, **ბულგარეთი** ავტონომიურ სამთავროდ გამოცხადდა, ხოლო **რუმინეთმა, სერბიამ და ჩერნოგორიამ** დამოუკიდებლობა მიიღეს, **ბოსნია** და **ჰერცოგოვინა** კი ავტონომიურ ოლქებად ცხადდებოდა. რუსეთს თურქეთისაგან უნდა მიეღო ან ფულადი კონტრიბუცია, ან ტერიტორია.

ადრიანოპოლის დროებითმა ზავმა ევროპის ქვეყნების პროტესტი გამოიწვია. განსაკუთრებით ავსტრია-უნგრეთი და ინგლისი აქტიურობდა. 1878 წლის 1 თებერვალს ინგლისის სამხედრო ესკადრა **მარმარილოს ზღვაში** შევიდა. ავსტრია-უნგრეთმა კი კარპატების სამხედრო ოლქში ჯარების მობილიზაცია დაიწყო. ინგლი-

სის ესკადრის დარდანელის სრუტეში შესვლის საპასუხოდ რუსეთმა სტამბოლზე შეტევა განაახლა და დასავლეთიდან მიუახლოვდა თურქეთის დედაქალაქს.

1878 წლის 19 თებერვალს სტამბოლიდან დასავლეთით თორმეტი კილომეტრის დაშორებით მდებარე დაბა **სან-სტეფანოში** რუსეთსა და თურქეთს შორის წინასწარი ზავი დაიდო. სან-სტეფანოს ზავის მიხედვით, **სერბიამ, ჩერნოგორიამ** და **რუმინეთმა** დამოუკიდებლობა მიიღეს. ბულგარეთმა შეიერთა მაკედონია და თურქეთში შემავალ ავტონომიურ სამთავროდ იქცა. თურქეთის ჯარები არ უნდა დარჩენილიყო ბულგარეთის ტერიტორიაზე, ხოლო ციხე-სიმაგრეები უნდა დაენგრიათ. ზავის პირობების შესრულებაზე კონტროლის მიზნით ორი წლის ვადით რუსეთის 50-ათასიანი არმია ბალკანეთზე უნდა დარჩენილიყო. სან-სტეფანოს ზავით, რუსეთმა მიიღო **სამხრეთ ბესარაბია**. კავკასიაში რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა: **არტაანი, ყარსი, ბაიაზეთი, აჭარა ბათუმითურთ**.

სან-სტეფანოს ზავი კიდევ უფრო მიუღებელი აღმოჩნდა ევროპის ქვეყნებისათვის. რუსეთს ევროპის ქვეყნებთან ომის აშკარა საშიშროება დაემუქრა. 1878 წლის 25 მაისს ინგლისმა და ავსტრია-უნგრეთმა დადეს ხელშეკრულება, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. ევროპის ქვეყნებმა რუსეთის გავლენის შეზღუდვისა და კონკრეტულად, სან-სტეფანოს ზავის პირობების გადასინჯვის მიზნით საერთაშორისო კონგრესის მოწვევას მიაღწიეს.

1878 წლის 1 ივნისს **ბერლინში** გერმანიის კანცლერის **ოტო ფონ ბისმარკის** თავმჯდომარეობით მუშაობას შეუდგა 1856 წლის პარიზის ზავზე ხელმომწერი ქვეყნების კონგრესი. კონგრესზე რუსეთი იზოლაციაში აღმოჩნდა. ანტირუსულ ბლოკს ინგლისი ედგა სათავეში. 1878 წლის 1 ივლისს ხელი მოაწერეს **ბერლინის ტრაქტატს**. ბერლინის ტრაქტატით დადასტურდა **რუმინეთის, სერბიისა** და **ჩერნოგორიის** დამოუკიდებლობა. **ბულგარეთი** ორ ნაწილად გაიყო. ჩრდილოეთ ბულგარეთი ცნობილ იქნა თურქეთის ვასალურ სამთავროდ, ხოლო სამხრეთ ბულგარეთი, სახელწოდებით **„სამხრეთ რუმელია“**, გამოცხადდა თურქეთის ავტონომიურ პროვინციად. **მაკედონია** გადაეცა თურქეთს, ხოლო **ბოსნია** და **ჰერცოგოვინა — ავსტრია-უნგრეთს. სამხრეთ ბესარაბია** რუსეთის შემადგენლობაში დარჩა. **კავკასიაში** რუსეთის შემადგენლობაში შევიდა **ყარსი** და **არტაანი**. აჭარა ბათუმითურთ ასევე რუსეთის მფლობელობაში გადავიდა, ოღონდ იმ პირობით, რომ ბათუმი **„პორტო ფრანკოდ“** (თავისუფალ ქალაქ-ნავსადგურად) გამოცხადდებოდა. ბერლინის ტრაქტატის ხელმოწერის დროისათვის რუსეთის ჯარები მხოლოდ **ყარსსა** და **არტაანში** იდგნენ, **ბათუმსა** და **ციხისძირში** ჯერ კიდევ თურქეთის ჯარები იმყოფებოდნენ. რუსეთის ჯარები და ქართველთა სახალხო ლაშქარი ბათუმში 1878 წლის 25 აგვისტოს შევიდა. იმავე დღეს რუსეთის სამხედრო ფლოტის გემებმა ბათუმის ნავსადგური დაიკავეს.

რუსეთის მიერ აჭარის შემოერთებას მოჰყვა მაჰმადიანი ქართველების (აჭარლების) თურქეთში გადასახლება **მუჰაჯირობა**. მაჰმადიანი ქართველების თურქეთში გადასახლებას ხელს უწყობდა რუსეთი. იგი დაინტერესებული იყო სახელმწიფო საზღვრის რაიონიდან რაც შეიძლება მეტი მაჰმადიანი ქაროველი მოეშორებინა. აქედან გამომდინარე, რუსებმა აჭარის მაჰმადიან მოსახლეობას აუტანელი პირობები შეუქმნეს. მაჰმადიანი აჭარლების თურქეთში გადასახლებას ხელს უწყობდა თურქეთის აგენტურაც, რომელიც მოსახლეობას ძოუწოდებდა, დაეტოვებინათ რუსეთის შემადგენლობაში გადასული ტერიტორია. სულ 1877-1878 წლების

ჰუსეინ-ბეგ ბეჟანიძე

რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, მუჰაჯირობის პერიოდში აჭარიდან გადახვეწა დაახლოებით **30 ათასი** ქართველი მაჰმადიანი.

აჭარის დედასამშობლოში დაბრუნება უდიდესი მოვლენა იყო ქართველი ერის ისტორიაში. იმდროინდელმა ქართულმა საზოგადოებამ სწორედ ასე აღიქვა თურქეთის ხანგრძლივი ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლება. იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა, ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლ-ხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა", ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა". ქართველ მოღვაწეთა ინიციატივით, აჭარის დეპუტაცია თბილისში მიიწვიეს და მათ პატივსაცემად ბანკეტი გაიმართეს. დეპუტაციაში შედიოდნენ: **ჰუსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლი (ბეჟანიძე), ჰუსეინ აბაშიძე, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი** და სხვები. ძვირფას სტუმრებს მასპინძლობას უწევდნენ: **გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი** და სხვები. ბანკეტზე სტუმრებს ბრწყინვალე სიტყვით მიესალმა **გრიგოლ ორბელიანი**. საპასუხო სიტყვები დახვეწილი ქართულით წარმოსთქვეს **ჰუსეინ-ბეგ ბეჟანიძემ** და **შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა**.

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომმა აამაღლა **რუსეთის** იმპერიის **საერთაშორისო პრესტიჟი. რუსეთმა** მნიშვნელოვნად **განიმტკიცა** პოზიციები **როგორც** ბალკანეთზე, ისე **მახლობელ** აღმოსავლეთში.

6. რუსეთის საგარეო პოლიტიკა XIX საუკუნის 80-90-იან წლებში. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომმა ცხადყო **„სამი იმპერატორის კავშირის"** (რუსეთის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის) შიგნით არსებული წინააღმდეგობანი. ომმა ასევე დაიჩქარა **გერმანია-ავსტრია-უნგრეთისა** და **რუსეთ-საფრანგეთის** დაახლოება. მართალია, ბერლინის კონგრესზე გერმანიის კანცლერი **ოტო ფონ ბისმარკი** საჯაროდ აცხადებდა ნეიტრალიტეტის შესახებ, მაგრამ აშკარა იყო, რომ გერმანია ანტირუსულ პოლიტიკას ადგა. გერმანია ცდილობდა ბალკანეთზე ავსტრია-უნგრეთის პოზიციების განმტკიცებას, რათა ავსტრია-უნგრეთზე დაყრდნობით, შემდეგ უპირატესობა მოეპოვებინა მახლობელ აღმოსავლეთში. ეს კი ეწინააღმდეგებოდა რუსეთისა და საფრანგეთის ინტერესებს. ბალკანეთზე ყურადღების კონცენტრაცია ხელს უშლიდა ავსტრია-უნგრეთს, აქტიური მონაწილეობა მიეღო ევროპაში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრაში, რაც სასარგებლო იყო გერმანიისათვის. ოტო ფონ ბისმარკი ავსტრია-უნგრეთის დიპლომატიას არწმუნებდა, რომ არ იყო დაინტერესებული მახლობელ აღმოსავლეთში პოზიციების მოპოვებით. ესეც ხელს უწყობდა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის დაახლოებას.

1879 წელს **ვენაში** გერმანიამ და ავსტრია-უნგრეთმა დადეს ხელშეკრულება, რომელიც რუსეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. **გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ხელშეკრულებით დაიწყო სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების შექმნა, რომელმაც კაცობრიობა მსოფლიო ომამდე მიიყვანა.**

ოტო ფონ ბისმარკი გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ხელშეკრულების დადების შემდეგაც ცდილობდა, არ დაეშვა რუსეთ-საფრანგეთის დაახლოება, რის გამოც არ აძლევებდა ურთიერთობის რუსეთთან. გერმანიის ასეთი ორმაგი პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ **„სამი იმპერატორის კავშირი" (გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის) არსებული წინააღმდეგობების მიუხედავად, მაინც განაგრძობდა არსებობას.**

ალექსანდრე II-ის მკვლელობისა (1881 წ.) და ალექსანდრე გორჩაკოვის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან წასვლის (1882 წ.) შემდეგ, რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა. **იმპერატორი ალექსანდრე III მოკლებული იყო იმ დიპლომატიურ შესაძლებლობებს, რაც ალექსანდრე II-ს ჰქონდა. ვერც ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი ნიკოლოზ გირსი შეედრებოდა ალექსანდრე გორჩაკოვს.** გარდა ამისა, ალექსანდრე III-ს არანაირი სიმპათიები არ გააჩნდა გერმანიის მიმართ და არც რუსეთ-გერმანიის დაახლოების მომხრე იყო. საგარეო საქმეთა მინისტრი ნიკოლოზ გირსი კი გერმანიასთან დაახლოების პოლიტიკის გატარებას ცდილობდა. რუსეთის პოლიტიკური ელიტაც ორად გაიყო: ნაწილი გერმანიასთან დაახლოებას უჭერდა მხარს, ხოლო მეორე ნაწილი — რუსეთ-საფრანგეთის კავშირს. ალექსანდრე III საფრანგეთთან კავშირის მომხრე იყო, მაგრამ აშინებდა ის, რომ საფრანგეთი მნიშვნელოვანწილად ინგლისის დამოკიდებული, ხოლო ინგლისის ანტირუსული პოლიტიკა კარგად იყო ცნობილი. სწორედ ამიტომ მეფობის დასაწყისში ალექსანდრე III ისევ „სამი იმპერატორის კავშირს" უჭერდა მხარს.

1881 წლის 6 ივნისს **ბერლინში** დაიდო **რუსეთ-გერმანია-ავსტრია-უნგრეთის** ხელშეკრულება ნეიტრალიტეტის შესახებ. ხელშეკ-

რულების დამდებ ქვეყნებს ნეიტრალიტეტი უნდა დაეცვათ იმ შემთხვევაში, თუ სამიდან რომელიმე მაოგანს მეოთხე ქვეყანა დაესხმოდა თავს. რუსეთი, გერმანია და ავსტრია-უნგრეთი ვალდებულებას იღებდნენ, იძულებული გახდებოდა თურქეთი, დაეცვა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების რეჟიმი — არ გაეტარებინა იქ უცხო ქვეყნის სამხედრო ვემები. დადასტურდა ავსტრია-უნგრეთის უფლებები ბოსნიასა და ჰერცოგოვინაზე.

XIX საუკუნის 70-იანი წლების დასასრული და 80-იანი წლების დამდეგი აღინიშნა ახალი კოლონიური დაპყრობებით. 1878 წელს ინგლისმა დაიპყრო **კვიპროსი**, ხოლო 1882 წელს — **ეგვიპტე**. ინგლის-ავღანეთის 1878-1880 წლების ომის შედეგად ინგლისმა ფაქტობრივი პროტექტორატი დაამყარა **ავღანეთზე**. 1881 წელს **ტუნისზე** გამოცხადდა საფრანგეთის პროტექტორატი, რამაც საფრანგეთი იტალიას დაუპირისპირა. საფრანგეთ-იტალიის ანტაგონიზმი კარგად გამოიყენა გერმანიამ და იტალიას დაუახლოვდა. გერმანიას სურდა იტალია საფრანგეთთან მოსალოდნელ ომში გამოეყენებინა, იტალიას კი გერმანიის მოკავშირეობა საფრანგეთის წინააღმდეგ სჭირდებოდა. ამავე პერიოდში დაიწყო იტალია-ავსტრია-უნგრეთის დაახლოება. იტალიას სურდა ავსტრია-უნგრეთის გამოყენება საფრანგეთის წინააღმდეგ, ხოლო ავსტრია-უნგრეთს — იტალიისა — რუსეთის წინააღმდეგ.

1882 წელს **ვენაში** გერმანიას, ავსტრია-უნგრეთსა და იტალიას შორის დაიდო საიდუმლო ხელშეკრულება. ასე შეიქმნა ე.წ. **„სამთა კავშირი“**. „სამთა კავშირის“ ქვეყნები ვალდებულებას იღებდნენ, არ დაედოთ ისეთი სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულებები, რომელიც ვნებდა ერთ-ერთი მათგანის ინტერესებს. „სამთა კავშირი“ პირველ რიგში საფრანგეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. ხელშეკრულება გერმანიის დიპლომატიის გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მან გამორიცხა საფრანგეთ-იტალიის კავშირი გერმანიის წინააღმდეგ. 1884 წელს ამოიწურა „სამი იმპერატორის კავშირის“ მოქმედების ვადა. რუსეთის მიმართ ორმაგი პოლიტიკიდან გამომდინარე გერმანიამ რუსეთს სამი წლით კავშირის გაგრძელება შესთავაზა. 1884 წელს გერმანიის, რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის მიერ **ბერლინში** დადებული ხელშეკრულებით, **„სამი იმპერატორის კავშირს“** კიდევ სამი წლით გაუგრძელდა მოქმედების ვადა. რუსეთი კავშირის გაგრძელებას იმიტომ დასთანხმდა, რომ სურდა როგორმე შეეზღუდა ავსტრია-უნგრეთის აქტიური პოლიტიკა ბალკანეთზე. გარდა ამისა, რუსეთის დიპლომატია ცდილობდა „სამი იმპერატორის კავშირი“ გამოეყენებინა ინგლისის წინააღმდეგ აფრიკასა და შუა აზიაში.

1885 წელს სამხრეთ ბულგარეთში, ე.წ. „აღ-



პეტერბურგი. ხედი ზღვიდან

მოსავლეთ რუმელიის“ დედაქალაქ ფილიპოპოლში ანტითურქული აჯანყება დაიწყო. აჯანყებულებმა ჩრდილო და სამხრეთ ბულგარეთის გაერთიანება გამოაცხადეს. დაიწყო **ბულგარეთის კრიზისი.** ევროპის ქვეყნებმა, რომელთაც ბერლინის კონგრესზე ბულგარეთის ორად გაყოფას დაუჭირეს მხარი, ამჯერად მისი გაერთიანება ცნეს. ამის მიზეზი ის იყო, რომ 1885 წლისათვის რუსეთის გავლენა ბულგარეთში შესუსტებული იყო. თურქეთის სულთანმა ევროპის ქვეყნების მოქმედება ბერლინის ტრაქტატის პირობის დარღვევად მიიჩნია. იგი ბულგარეთში ჯარების გაგზავნას აპირებდა. **რუსეთი ბულგარეთის საკითხის გადასაწყვეტად საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის ინიციატივით გამოვიდა.** რუსეთის პოზიციის საწინააღმდეგოდ ინგლისმა თურქეთი დაარწმუნა, აღმოსავლეთ რუმელიაში ჯარების გაგზავნისაგან თავი შეეკავებინა, საერთაშორისო კონფერენციის მოწვევაზე უარი ეთქვა და ბულგარეთთან მოლაპარაკება დაეწყო. თურქეთმა ინგლისის წინადადება მიიღო. 1886 წელს დადებული თურქეთ-ბულგარეთის ხელშეკრულების ძალით, თურქეთმა ცნო ბულგარეთის გაერთიანება. ბულგარეთის მთავარი გახდა ბულგარეთის არმიის მთავარსარდალი. ბულგარეთის ჯარებს თურქეთის ჯარების დახმარებით უნდა დაეცვა ბულგარეთი სხვა ქვეყნების თავდასხმისაგან. ხელშეკრულების ამ მუხლის ძალით, **ბულგარეთი გამოვიდა რუსეთის გავლენის სფეროდან** და, ფაქტობრივად, თურქეთის მოკავშირედ იქცა. 1886 წლის თურქეთ-ბულგარეთის ხელშეკრულება აშკარად **ანტირუსული** ხასიათისა იყო. იგი ბულგარეთში ინგლისისა და ავსტრია-უნგრეთის პოზიციების გაძლიერებას უწყობდა ხელს. 1887 წელს ბულგარეთის მთავარი გახდა ავსტრიელი **ფერდინანდ კობურგი,** რის შემდეგაც ბულგარეთი აშკარად „სამთა კავშირს“ მიემხრო.

ბულგარეთის კრიზისის დროს „სამი იმპერატორის კავშირის“ ავტორიტეტი შეირყა. ავსტრია-უნგრეთმა აშკარად რუსეთის საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა. **ოტო ფონ ბისმარკის** სიტყვიერი განცხადებების მიუხედავად, ფაქტობრივად, გერმანიაც რუსეთის საწინააღმდეგო ბანაკში აღმოჩნდა. რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში მნიშვნელოვნად გაძლიერდა **ანტიგერმანული** განწყობილება. მიუხედავად ამისა, საგარეო საქმეთა მინისტრმა **ნიკოლოზ გირსმა** ალექსანდრე III დაარწმუნა გერმანიასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნების აუცილებლობაში. 1887 წელს ბერლინში დაიდო **რუსეთ-გერმანიის** ხელშეკრულება. ბერლინის ხელშეკრულება მხარეებს ავალდებულებდა მესამე ქვეყანასთან ომის შემთხვევაში ნეიტრალიტეტი დაეცვა, თუმცა ეს არ ეხებოდა საფრანგეთსა და ავსტრია-უნგრეთს. **გერმანია არ იყო ვალდებული, თუ რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთს შორის ომი დაიწყებოდა ნეიტრალიტეტი დაეცვა, ისევე როგორც რუსეთი არ იყო ვალდებული ნეიტრალური დარჩენილიყო საფრანგეთ-გერმანიის ომის შემთხვევაში.** ეს კი იმას ნიშნავდა, რომ 1887 წლის რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებამ ვერ გადაჭრა ორ ქვეყანას შორის არსებული წინააღმდეგობები. მალე დაიწყო რუსეთ-გერმანიის დაპირისპირება ეკონომიკის სფეროში, რაც შეეხო ორივე ქვეყნის საგარეო ვაჭრობას. სწორედ ამიტომ 1890 წელს გერმანიის ინიციატივით, ხელშეკრულების მოქმედების ვადა აღარ გაგრძელებულა.

რუსეთ-გერმანიის ურთიერთობის დაძაბვის ფონზე მიმდინარეობდა რუსეთისა და საფრანგეთის დაახლოება. **რუსეთ-საფრანგეთის კავშირს სამხედრო-პოლიტიკური მიზეზების გარდა ეკონომიკური ფაქტორიც განაპირობებდა.** ფრანგული კაპიტალი სწრაფად იპყრობდა რუსეთის ბაზარს. რუსეთ-საფრანგეთის დაახლოება დაჩქარა 1891 წელს **გერმანია-ავსტრია-უნგრეთ-იტალიის** ხელშეკრულების განახლებამ და „სამთა კავშირის“ მხრიდან რუსეთისა და საფრანგეთისათვის რეალური საფრთხის შექმნამ.

1891 წელს **კრონშტადტს** ეწვია საფრანგეთის სამხედრო ესკადრა. საფრანგეთის ესკადრის პატივსაცემად გამართულ საზეიმო შეხვედრას ალექსანდრე III-ც დაესწრო. იმავდროულად პარიზში მიმდინარეობდა რუსეთისა და საფრანგეთის გენერალური შტაბების უფროსების მოლაპარაკება. გარდა ამისა, რუსი და ფრანგი დიპლომატები განიხილავდნენ პოლიტიკური ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ხელშეკრულების ტექსტის შეთანხმების შემდეგ მოხდა რუსეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების წერილების გაცვლა, რომელშიც ასახვა ჰპოვა ხელშეკრულების ტექსტმა. სწორედ ამიტომ ამ საიდუმლო დოკუმენტს **„გირს-რიბოს შეთანხმება“** ეწოდება. იგი 1891 წლის 15 აგვისტოთია დათარიღებული. შეთანხმება ითვალისწინებდა მოლაპარაკების დაწყებას მესამე ქვეყნის მხრიდან საშიშროების შემთხვევაში. **გირს-რიბოს პოლიტიკური შეთანხმებით,** სა-

ფუძველი დაედო რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს.

1892 წლის 5 აგვისტოს **პეტერბურგში** რუსეთისა და საფრანგეთის გენერალური შტაბების უფროსებმა ხელი მოაწერეს **სამხედრო კონვენციას**. რუსეთ-საფრანგეთის 1892 წლის სამხედრო კონვენცია 1891 წლის პოლიტიკური შეთანხმების გაგრძელებას წარმოადგენდა.

1892 წლის რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო კონვენციის მიხედვით, **საფრანგეთზე გერმანიის, ან გერმანიის მხარდაჭერით იტალიის** თავდასხმის შემთხვევაში **რუსეთი** თავს **უნდა** დასხმოდა **გერმანიას**. **თუ გერმანია, ან** გერმანიის **მხარდაჭერით** ავსტრია-**უნგრეთი** თავს **დასხმოდა რუსეთს, საფრანგეთი** გერმანიის **წინააღმდეგ** უნდა **გამოსულიყო**. **თუ „სამთა კავშირის“** ქვეყნები (**გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, იტალია**) ერთად, ან ცალ-ცალკე მობილიზაციას **დაიწყებდნენ, რუსეთსა** და **საფრანგეთსაც ერთდროულად** უნდა **გამოეცხადებინათ** მობილიზაცია. ომის შემთხვევაში გერმანიის წინააღმდეგ საფრანგეთს უნდა გამოეყვანა 1 მილიონ 300 ათასი კაცი, რუსეთს – 700-800 ათასი. ამ გზით რუსეთი და საფრანგეთი გერმანიას აიძულებდნენ ეომა ორ ფრონტზე – დასავლეთსა და აღმოსავლეთში. 1893 წლის 23 დეკემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნიკოლოზ გირსმა და საფრანგეთის ელჩმა პეტერბურგში წერილები გაცვალეს. ამ დღიდან რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო კონვენცია ძალაში შევიდა.

სამხედრო კონვენციის რატიფიკაციამდე, 1893 წელს, საფრანგეთში საპასუხო ვიზიტით ჩავიდა რუსეთის სამხედრო ესკადრა. **ტულონში, ლიონსა** და **მარსელში** რუს მეზღვაურებს საზეიმო შეხვედრები მოუწყვეს.

1893 წლისათვის გერმანია-ავსტრია-უნგრეთ-იტალიის სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს რუსეთ-**საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი დაუპირისპირდა.**

7. შუა აზია რუსეთის საგარეო პოლიტიკაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში. XIX საუკუნის შუა ხანებისათვის შუა აზიის ტერიტორიაზე სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობდა: **ყოყანდის სახანო, ხივის სახანო** და **ბუხარის ემირატი**. ყოყანდისა და ხივის ხანები, ისევე როგორც ბუხარის ემირი, ერთმმართველი ხელისუფალნი იყვნენ. პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს მუსლიმი სამღვდელოება ასრულებდა.

რუსეთის იმპერია შუა აზიით ადრევე დაინტერესდა. რუსეთის აქტივობა განსაკუთრებით გაიზარდა ინგლის-ავღანეთის 1838-1842 წლების ომის შემდეგ, რადგან აშკარა გახდა ინგლისის ცხოველი დაინტერესება შუა აზიით. 1839-1840 წლებში ორენბურგის გენერალ-გუბერნატორმა **ვასილ პეროვსკიმ** არც თუ დიდი ჯარებით **ხივაზე** ილაშქრა, მაგრამ მარცხი იწვნია. 1853 წელს რუსებმა **ყოყანდის** სახანოს ხელახლა შეუტიეს. ამჯერად **ვასილ პეროვსკიმ** მნიშვნელოვანი პუნქტი **აკ-მეჩეთი (ყიზილ-ორდა)** აიღო. რუსებს სურდათ ყოყანდის სახანოსათვის ყაზახეთისაგან მიტაცებული ტერიტორია წაერთმიათ. 1854 წელს მდინარე **ალმა-ათაზე** რუსებმა ციხე-სიმაგრე **ვერნი** (შემდეგში ალმა-ათა) ააგეს. მალე **სემიპალატინსკიდან ვერნამდე** რუსებმა ე.წ. **ციმბირის ხაზი** გაიყვანეს და შუა აზიის ათვისებისათვის მისი გამოყენება აქტიურად დაიწყეს. რუსეთის წინსვლა შუა აზიაში დროებით შეაფერხა ყირიმის ომში მარცხმა.

ყირიმის ომის შემდეგ რუსეთმა შუა აზიაში სამხედრო ექსპედიციების გაგზავნის ტაქტიკაზე უარი თქვა. უპირატესობა მიენიჭა შუა აზიაში პოლიტიკური და ეკონომიკური პოზიციების მშვიდობიანი გზით მოგვარებას. 1863 წლიდან რუსეთი დაუბრუნდა შუა აზიაში სამხედრო ძალის გამოყენებით დამკვიდრების ტაქტიკას.

1864 წელს რუსეთის ჯარებმა **ყოყანდის სახანოს** შეუტიეს და მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. რუსებმა კარგად ისარგებლეს ყოყანდის სახანოსა და ბუხარის ემირატს შორის არსებული დაპირისპირებით და 1865 წელს **ტაშკენტი** აიღეს. ყოყანდის სახანოსა და რუსეთს შორის ომი თავის მხრივ მოხერხებულად გამოიყენა **ბუხარის ემირმა** და ყოყანდის სახანოს დაეუფლა. ბუხარის ემირის ჯარის მიერ ყოყანდის სახანოს დედაქალაქ **ყოყანდის** დაკავებას რუსეთისა და ბუხარის ჯარების შეტაკება მოჰყვა. რუსეთის ჯარებმა სახანოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავეს. 1865 წელს დაპყრობილ ტერიტორიაზე რუსებმა **თურქესტანის ოლქი** შექმნეს და იგი **ორენბურგის** გენერალ-**გუბერნატორს** დაუქვემდებარეს. 1867 წელს კი შეიქმნა **თურქესტანის საგენერალ-გუბერნატორო**.

1868 წელს რუსეთმა ყოყანდის სახანოსთან სავაჭრო ხელშეკრულება დადო. მართალია, ამ დროისათვის ყოყანდის სახანო დამოუკიდებელ ქვეყანას წარმოადგენდა, მაგრამ 1868 წლიდან იგი რუსეთის ჯარებით გარშემორტყმული იყო, რის გამოც რუსეთის იმპერიის **ვასალურ სახ-**

ელმწიფოდ იქცა. რუსეთის ჯარებისაგან მიყენებული მარცხის მიუხედავად, ბუხარის ემირი ბრძოლას განაგრძობდა. 1868 წელს რუსეთისა და ბუხარის ჯარებს შორის **სამარყანდთან** გამართული ბრძოლის შემდეგ ბუხარის ემირის ჯარებმა უკან დაიხიეს. იმავე წელს რუსები ბრძოლის გარეშე შევიდნენ ქალაქში. 1868 წელს რუსეთსა და ბუხარის ემირატს შორის დაიდო ხელშეკრულება. **ემირატის ტერიტორიის ნაწილი უშუალოდ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, დანარჩენ ტერიტორიაზე არსებობას განაგრძობდა რუსეთის იმპერიისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი ბუხარის ემირატი ემირით სათავეში.**

ყოყანდის სახანომ და ბუხარის ემირატმა შინაურ საქმეებში ავტონომია შეინარჩუნეს.

რუსეთის წარმატებებმა შუა აზიაში ინგლისის წინააღმდეგობა გამოიწვია. 1869 წლისათვის **ლონდონში** მიმდინარე მოლაპარაკებისას რუსეთი და ინგლისი შეთანხმდნენ აზიაში გავლენის სფეროების გამიჯვნის თაობაზე. **ავღანეთი** გამოცხადდა ნეიტრალურ ზონად. ავღანეთის საქმეებში არც რუსეთი და არც ინგლისი არ უნდა ჩარეულიყვნენ. ამავე დროს ინგლისმა მოითხოვა, ავღანეთის მოსაზღვრე **ბუხარის ემირატის** ტერიტორიაც ნეიტრალურ ზონად გამოცხადებულიყო. რუსეთმა ინგლისის წინადადება უარყო და ლონდონის მოლაპარაკებაც შეწყდა.

1872-1873 წლებში **ლონდონში** გაგრძელდა რუსეთ-ინგლისის მოლაპარაკება. დადებული ხელშეკრულების მიხედვით, ავღანეთი გამოცხადდა ნეიტრალურ სახელმწიფოდ, რომლის ტერიტორია გაიზარდა ბუხარის ემირატის ხარჯზე. ამ დათმობაზე რუსეთი იმიტომ წავიდა, რომ თავიდან აეცილებინა ავღანეთის გამოსვლა ბუხარის ემირატის წინააღმდეგ. 1873 წლის ხელშეკრულებით დადასტურდა **ბუხარის ემირატის ვასალური დამოკიდებულება რუსეთისადმი შინაური ავტონომიის შენარჩუნებით.**

ყოყანდის სახანოსა და ბუხარის ემირატის რუსეთის ვასალურ სახელმწიფოდ გადაქცევამ გაართულა **ხივის სახანოს** მდგომარეობა. 1873 წელს დადებული ხელშეკრულებით, ხივის ხანმა **რუსეთის ვასალად** ცნო თავი.

1875 წელს **ყოყანდის სახანოში** რუსეთის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. რუსებმა ყოყანდის სახანოში ჯარები გაგზავნეს და აჯანყება ჩაახშვეს. 1876 წელს სახანო გაუქმდა და მისი ტერიტორია თურქესტანის საგენერალ-გუბერნატოროს შეუერთდა.

1874 წელს ტერიტორია **კასპიის** ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან ხივის სახანოს დასავლეთ საზღვრებამდე, ე.წ. **კასპიისპირეთის** მხარე, **კასპიისპირეთის** სამხედრო ოლქად **გამოიყო და კავკასიის** სამეფისნაცვლოს შეუერთდა. კასპიისპირეთის სამხედრო ოლქის ცენტრად **კრასნოვოდსკი** იქცა.

1881 წლისათვის რუსეთმა დაამთავრა **თურქმენების** დამორჩილება. თურქმენეთი კასპიისპირეთის სამხედრო ოლქს შეუერთეს, ხოლო თვით სამხედრო ოლქი **კასპიისპირეთის ოლქად** გარდაქმნეს ცენტრით **აშხაბადში.**

1881 წელს მოხდა **რუსეთ-ირანის** სასაზღვრო **ხაზის** დადგენა. ირანმა უარი თქვა თურქმენეთის საქმეებში ჩარევაზე. 1885 წელს დადგინდა **რუსეთ-ავღანეთის** სასაზღვრო **ხაზი,** რომელიც საბოლოოდ დადგინდა 1887 წელს პეტერბურგში ხელმოწერილი რუსეთ-ავღანეთის ხელშეკრულებით.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში **რუსეთის** იმპერიამ საგარეო პოლიტიკაში **უმნიშვნელოვანესი** წარმატებები მოიპოვა, **რუსეთმა** განიმტკიცა **პოზიციები** როგორც ევროპაში, ისე **აზიაში. ამავე დროს,** სულ **უფრო ცხადი ხდებოდა** რუსეთის **დაპირისპირება „სამთა კავშირთან“ რისი** მოგვარებაც **დიპლომატიური გზით არ მოხერხდა.**

თავი XVIII. რუსული კულტურა XIX საუკუნეში

XIX საუკუნეში რუსულმა კულტურამ უდიდესი აღმავლობა განიცადა. რუსეთმა კაცობრიობა გააოცა ხელოვნების უნიკალური ნიმუშებით. რუსული ლიტერატურის, მუსიკის, მხატვრობის, მეცნიერების მიღწევები ტონის მიმცემი გახდა მაშინდელი მსოფლიოსათვის.

1. **განათლება.** XIX საუკუნეში რუსეთში ჩამოყალიბდა **განათლების ახალი სისტემა.** განათლების საქმეს კოორდინაციას უწევდა 1802 წელს შექმნილი **სახალხო განათლების სამინისტრო.** საშუალო განათლების სისტემამ საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო: ყველაზე დაბალ საფეხურს წარმოადგენდა **სამრევლო სკოლები.** შემდეგ მოდიოდა **სამკლასიანი სამაზრო სკოლები.** მესამე საფეხურს წარმოადგენდა **შვიდკლასიანი გიმნაზიები.** ამის პარალელურად რუსეთში მოქმედებდა სხვადასხვა პროფილის **საუწყებო სკოლები.** უმაღლესი განათლების სისტემა წარმოდგენილი იყო **უნივერსიტეტებით, ტექნიკური, ჰუმანიტარული** და **პედაგოგიური** ინსტიტუტებით. შესაბამისი სპეციალობის უმაღლესი კვალიფიკაციის კადრებს **ამზადებდა სამედიცინო, სამხატვრო** და **სამხედრო აკადემიები.**

XIX საუკუნის რუსეთში ჩამოყალიბდა ბრწყინვალე პროფესურა, რომელიც ტონს არ

ფადეი ბელინსჰაუზენი

უდებდა მსოფლიოს ცნობილ უნივერსიტეტო ცენტრებს.

2. **მეცნიერება. სამეცნიერო ცენტრები.** რუსული მეცნიერების დიდ მიღწევებზე მეტყველებს XIX საუკუნის გეოგრაფიული აღმოჩენები. 1819-1821 წლებში **მიხეილ ლაზარევისა (1788-1851)** და **ფადეი ბელინსჰაუზენის (1778-1852)** სამეცნიერო ექსპედიციამ აღმოაჩინა ანტარქტიდა. რუსმა მოგზაურებმა და მეცნიერებმა **პეტრე სემენოვ-ტიან-შანსკიმ (1827-1914), ნიკოლოზ პრჟევალსკიმ (1839-1888), ნიკოლოზ მიკლუხო-მაკლაიმ (1846-1888)** და სხვებმა დიდი წვლილი შეიტანეს გეოგრაფიული აღმოჩენების, გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიის განვითარებაში. მეცნიერებაში ნამდვილი გადატრიალება მოახდინა ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორმა **ნიკოლოზ ლობაჩევსკიმ (1792-1856).** მან შექმნა მოძღვრება არაევკლიდური გეომეტრიის შესახებ. ფიზიკოსმა **ვასილ პეტროვმა (1761-1834)** აღმოაჩინა ელექტრული რკალი და წამოაყენა მისი პრაქტიკული გამოყენების იდეა. ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორებმა **ნიკოლოზ ზინინმა (1812-1880)** და **ალექსანდრე ბუტლეროვმა (1828-1886)** საფუძველი ჩაუყარეს ქიმიის სკოლას, რომელმაც შემდეგში ბევრი გამოჩენილი ქიმიკოსი აღზარდა. უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა **დიმიტრი მენდელეევის (1834-1907)** მიერ ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემის შედგენა.

პავლე შილინგმა (1786-1837) და **ბორის იაკობიმ,** ივიენ **გერმან მორიცმა (1801-1874)** შექმნეს და გააუმჯობესეს ელექტრომაგნიტური ტელეგრაფი. **ალექსანდრე სტოლეტოვმა (1839-1896)** საფუძველი ჩაუყარა ფიზიკის რუსულ სკოლას. ცნობილმა ქირურგმა **ნიკოლოზ პიროგოვმა (1810-1881)** საფუძველი დაუდო სამხედრო-საველე ქირურგიას. **ივანე სეჩენოვისა (1829-1905)** და **ივანე პავლოვის (1849-1936)** სახელებს უკავშირდება დიდი აღმოჩენები ფიზიოლოგიაში. რუსეთის ისტორიის კვლევა-ძიების საქმეში უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს **ნიკოლოზ კარამზინმა (1766-1826), სერგეი სოლოვიოვმა (1820-1879)** და **ვასილ კლიუჩევსკიმ (1841-1911).** დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული მნიშვნელობა **ნიკოლოზ კარამზინის** „**რუსეთის სახელმწიფოს ისტორიას**", **სერგეი სოლოვიოვის** „**რუსეთის**

ნიკოლოზ
გოგოლი

ლევ
ტოლსტოი

ისტორიას" და **ვასილი კლიუჩევსკის** „რუსეთის ისტორიის კურსს".

XIX საუკუნეში შეიქმნა რამდენიმე ცნობილი სამეცნიერო ცენტრი. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო ცენტრებს წარმოადგენდნენ **უნივერსიტეტები**. დიდი სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობდა სხვადასხვა დარგის სამეცნიერო საზოგადოებებში (ისტორიის, სიტყვიერების, გეოგრაფიისა და ა.შ.).

3. ლიტერატურა. XIX საუკუნეში შეიქმნა რუსული ლიტერატურის შედევრები.

რუსულ ლიტერატურაში რომანტიზმის დამკვიდრება დაკავშირებულია **ვასილ ჟუკოვსკის (1783-1852)** სახელთან. მისი უმთავრესი ნაწარმოებებია „სოფლის სასაფლაო", „ლუდმილა", „სვეტლანა". XIX საუკუნის პირველ ნახევარშივე მიმდინარეობს რომანტიზმიდან რეალიზმზე გადასვლა. რეალიზმის უდიდესი წარმომადგენლები იყვნენ **ალექსანდრე პუშკინი (1799-1837), მიხეილ ლერმონტოვი (1814-1841)** და **ნიკოლოზ გოგოლი (1809-1852)**. მრავალი ბრწყინვალე ლექსისა და პოემის ავტორი ალექსანდრე პუშკინი შესანიშნავად იცნობდა რუსეთის ისტორიას. ამის დამადასტურებელია მისი პოემა „ბორის გოდუნოვი", მოთხრობა „კაპიტნის ქალიშვილი" და დაუმთავრებელი ნაწარმოები „ისტორია პუგაჩოვის ბუნტისა". ნიკოლოზ გოგოლის „რევიზორი" მწერლის თანადროული რუსეთის სინამდვილის მაღალმხატვრული ფორმით გადმოცემის შესანიშნავი ნიმუშია. კიდევ უფრო დიდი სიძლიერით აისახა რუსული სინამდვილე ნიკოლოზ გოგოლის „მკვდარ სულებში". რეალიზმის ტრადიციები შეინარჩუნეს და რუსულ ლიტერატურაში სოციალური თემატიკა დაამკვიდრეს **ნიკოლოზ ნეკრასოვმა (1821-1878), ივანე ტურგენევმა (1818-1883)** და **თევდორე დოსტოევსკიმ (1821-1881)**. XIX საუკუნის 60-70-იანი წლები რუსული რომანის აღმავლობის პერიოდია. ამ წლებში გამოქვეყნდა **ივანე ტურგენევის (1818-1883), ლევ ტოლსტოის (1828-1910), თევდორე დოსტოევსკის (1821-1881), მიხეილ სალტიკოვ-შჩედრინის (1826-1889), ივანე გონჩაროვის (1812-1891)** რომანები. წარმოუდგენელი სიძლიერით აისახა რუსული სინამდვილე ივანე ტურგენევის ნაწარმოებში „მამები და შვილები". ლევ ტოლსტოის „ანა კარენინა", „ომი და მშვიდობა", „აღდგომა", რომელმაც გენიალურ შემოქმედს სრულიად განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა რუსული და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. ივანე გონჩაროვის „ობლომოვები" და „ხრამი" ასევე რუსული სინამდვილის მაღალმხატვრული ფორმებით გადმოცემას ეძღვნება. თევდორე დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი" და „ძმები კარამაზოვები" სრულიად განსაკუთრებულია შედევრებით მდიდარ რუსულ ლიტერატურაში.

ალექსანდრე
პუშკინი

მიხეილ
ლერმონტოვი

მოსკოვი. თეატრალური მოედანი

4. მუსიკა. რუსული მუსიკის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია **მიხეილ გლინკას (1804-1857)**, რომლის სახელსაც უკავშირდება რუსეთში კლასიკური მუსიკის ჩამოყალიბება. მიხეილ გლინკას ოპერები იმ ეპოქის მუსიკალური ცხოვრების დიდ მოვლენას წარმოადგენდა. როგორიცაა მაგალითად ოპერა „ივან სუსანინი". რუსული მუსიკის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს კომპოზიტორებმა **მოდესტ მუსორგსკიმ (1839-1881), ალექსანდრე ბოროდინმა (1833-1887), ნიკოლოზ რიმსკი-კორსაკოვმა (1844-1808)** და სხვებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოდესტ მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი", ალექსანდრე ბოროდინის „თავადი იგორი". რუსული მუსიკის მთელი ეპოქა დაკავშირებულია **პეტრე ჩაიკოვსკის (1840-1893)** სახელთან. პეტრე ჩაიკოვსკიმ დატოვა მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა: ბალეტები „გედის ტბა" და „მძინარე მზეთუნახავი", ოპერები „ევგენი ონეგინი" და „პიკის ქალი", სიმფონიები, რომანსები და სხვ.

5. მხატვრობა. XIX საუკუნეში რუსულ მხატვრობაში აკადემიური ფერწერა შეცვალა ჯერ რომანტიზმმა, ხოლო შემდეგ რეალიზმმა. **კარლ ბრიულოვი (1799-1852)** კლასიციზმის წარმომადგენელი იყო. შემდეგში რუსულ მხატვრობაში მანვე დაამკვიდრა რომანტიზმი. კარლ ბრიულოვს ეკუთვნის შესანიშნავი ტილო „პომპეის უკანასკნელი დღე". **ალექსანდრე ივანოვმა (1806-1858)** ფერწერაში შემოიტანა ფილოსოფიური და რელიგიური მიმართულება. ალექსანდრე ივანოვის ყველაზე ცნობილი ნამუშევარია „ქრისტეს გამოცხადება ხალხთან". რუსული მხატვრობის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს **ალექსი ვენეციანოვმა (1780-1847), ვასილ პეროვმა (1833-1882), პაველ ფედოტოვმა (1815-1852), ივანე კრამსკოიმ (1837-1887), ვალერიან სეროვმა (1865-1911), ვასილ სურიკოვმა (1846-1916)** და სხვებმა. მთელი ეპოქა **რუსულ ფერწერაში** დაკავშირებულია **ილია რეპინის (1844-1930)** სახელთან. ილია რეპინს ეკუთვნის საყოველთაოდ ცნობილი ფერწერული ნამუშევარი „ბურლაკები ვოლგაზე" და მოდესტ მუსორგსკის პორტრეტი.

6. თეატრი. XIX საუკუნის რუსული თეატრის ისტორია დაკავშირებულია პეტერბურ-

მოსკოვი. ტრიუმფალური თაღი

გის **დიდი თეატრისა** და მოსკოვის **მცირე თეატრის** სახელებთან. გაიზარდა პროვინციული თეატრების რიცხვი. XIX საუკუნის 60-იან წლებში რუსეთის პროვინციებში დაახლოებით 100 თეატრი მოქმედებდა. თეატრში მოღვაწეობდნენ დიდი მსახიობები **პავლე მოჩალოვი (1800-1848), მიხეილ შჩეპკინი (1788-1863)** და სხვები.

7. **არქიტექტურა.** XIX საუკუნის პირველი ათწლეულები რუსული არქიტექტურის აყვავების პერიოდია. საყოველთაოდაა ცნობილი **ანდრეან ზახაროვის (1761-1811), ანდრეი ვორონიხინის (1759-1814), კარლ როსის (1775-1849)** არქიტექტურული ქმნილებები. რუსული არქიტექტურის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს **ოსიპ ბოვემ (1784-1834), დომენიკო ჟილიარდიმ (1785-1845)** და სხვებმა. ანდრეან ზახაროვის პროექტით აიგო საადმირალოს შენობა პეტერბურგში, ანდრეი ვორონიხინის ეკუთვნის ყაზანის ტაძრის პროექტი, რომელიც პეტერბურგში ააგეს. კარლ როსის პროექტით პეტერბურგშივე აიგო მიხეილის სასახლე. ოსიპ ბოვემ შექმნა თეატრალური მოედნისა და ალექსანდრეს ბაღის პროექტები (პეტერბურგში).

XIX საუკუნის რუსული კულტურის შედევრები სამუდამოდ შეეიდა მსოფლიო ხელოვნების საგანძურში.

ბიბლიოგრაფია

1. წყაროები

Анненков П. В. Литературные воспоминания. М.-Л., 1960.

Бакунин М. А. Государственность и анархия // Бакунин М. А. Собр. соч. и писем. 1828-1876. В 4 т., М., 1935, I т. 3.

Берви-Флеровский В. В. Положение рабочего класса в России. М., 1938.

Валуев П. А. Дневник П. А. Валуева, министра внутренних дел. В 2 т., М., 1961, т. 1-2.

Вехи. Сборник статей о русской интеллигенции. Репринт. М.,1991.

Витте С. Ю. Воспоминания. М., 1994, т. 1-3.

Внешняя политика России XIX и начала XX века: Документы Министерства иностранных дел. М., 1960-1979. Серия первая: т. 1-8 (1801-1815 гг.); серия вторая: т. 1-3 (1815-1830 гг.). (Издание продолжается).

Воспоминания Бестужевых. М.-Л., 1951.

Воспоминания о серебряном веке. М., 1993.

Восстание декабристов. Документы. Материалы. М.- Л., 1925-1986, т. 1-18.

Герцен А. И. Былое и думы. Русский народ и социализм. О развитии революционных идей в России // Собр. соч. В 30 т. М., 1955-1957, т. 6-11.

Горбачевский И. И. Записки. Письма. М., 1963.

Данилевский Н. Я. Россия и Европа. М., 1995.

Декабристы в воспоминаниях современников. М., 1988.

Дневник государственного секретаря А.А. Половцова. В 2 т., М., 1966, т. 1 (1883-1886 гг.), т. 2 (1887-1892 гг.).

Избранные социально-политические и философские произведения декабристов. М., 1951, т. 1-3.

Карамзин Н. М. Записка о древней и новой России в ее политическом и гражданском отношениях. М., 1991.

Кизеветтер А. А. На рубеже двух столетий. Воспоминания. 1881-1914 гг. М.,1997.

Конец крепостничества в России: Документы, письма, мемуары, статьи. М.,1994.

Лавров П. Л. Исторические письма // Лавров П. Л. Философия и социология. Избр. произведения в 2 т. М., 1965. т. 2. Материалы по истории СССР. Освободительное движение и общественная мысль в России в XIX веке. М., 1991.

Мемуары декабристов. Северное общество. М., 1981. Мемуары декабристов. Южное общество. М., 1982.

Милютин Д. А. Воспоминания. 1816-1843. М., 1997; 1860-1862. М.,1999.

Милютин Д. А. Дневник Д. А. Милютина. М., 1947-1950, т. 1-4.

Михайловский Н. К. Что такое прогресс? Пг., 1922.

Освобождение Болгарии от турецкого ига. Документы. В 3 т. М., 1961-1967, т. 1-3.

Отмена крепостного права. Доклады министра внутренних дел о проведении крестьянской реформы (1861-1862). М.-Л., 1950.

Победоносцев К.П. Письма К.П.Победоносцева к Александру III. М, 1925-1926, т. 1-2.

Революционное народничество семидесятых годов XIX века: Сб. документов и материалов. В 2 т. М., 1964-1965, I т. 1-2.

Российское законодательство X-XX веков. В 9 т. М., 1984-1994; т. 6. Законодательство

первой половины XIX века. М., 1988; т. 7. Документы крестьянской реформы. М., 1989; т. 8. Судебная реформа. М., 1991.

Русское общество 30-х годов XIX в. Люди и идеи. Мемуары современников. М., 1989.

Сборник договоров России с другими государствами. 1856-1917 гг. М., 1952.

Сперанский М. М. Проекты. Записки. Л., 1961.

Ткачев П. Н. Сочинения. В 2 т. М., 1975-1976, т. 1-2.

Философские и общественно-политические произведения петрашевцев. М.,1953.

Халфин Н. А. Присоединение Средней Азии к России (60-90-е гг. XIX в.). М., 1965.

Хомяков А. С. О старом и новом. Статьи и очерки. М., 1988.

Чаадаев П. Я. Полное собрание сочинений и избранные письма. М., 1991, т. 1-2.

Чичерин Б. Н. Москва сороковых годов. М., 1991.

Якушкин И. Д. Записки, статьи, письма декабриста И. Д. Якушкина. М.-Л., 1951.

Янжул И. И. Из воспоминаний и переписки фабричного инспектора первого призыва. СПб., 1907.

2. ლიტერატურა

Блиев М. М., Дегоев В.В. Кавказская война. 1817-1864 гг. М., 1994.

Богучарский В. Я. Активное народничество семидесятых годов. М.,1912.

Болховитинов Н. Н. Русско-американские отношения и продажа Аляски.1834-1867. М.,1990.

Бродский Н. Л. Ранние славянофилы. А. С. Хомяков, И. В. Киреевский, К. С. и И. С. Аксаковы. М., 1910.

Веселовский В. В. История земства за сорок лет. СПб., 1909-1911, т. 1-4.

Власть и реформы. От самодержавной к советской России. Коллективная монография. СПб., 1996.

Восточный вопрос во внешней политике России. Конец XVIII – начало XX в. М., 1978.

Георгиев В. А. Внешняя политика России на Ближнем Востоке в конце 30-х – начале 40-х годов XIX в. М., 1975.

Горяинов В. А. Босфор и Дарданеллы. СПб., 1907.

(Даниельсон Н. Ф.) Николай-он. Очерки нашего пореформенного общественного хозяйства. СПб., 1893.

Джаншиев Г. А. Эпоха великих реформ. Историческая справка. 10-е изд. СПб., 1907.

Драмы российских реформ и революций. Сравнительно-политический анализ. М., 2000.

Дружинин Н. М. Государственные крестьяне и реформы П. Д. Киселева. М.-Л., 1946,1958, т. 1-2.

Дружинин Н. М. Избр. труды. Революционное движение в России в XIX веке. М., 1985. Кн. 1.

Дружинин Н. М. Русская деревня на переломе. 1861-1880 гг. М., 1978.

Ерошкин Н. П. История государственных учреждений дореволюционной России. 4-е изд. М., 1997.

Зайончковский П. А. Военные реформы 1860-1870-х годов в России. М., 1952.

Зайончковский П. А. Кризис самодержавия на рубеже 1870-1880-х годов. М., 1964.

Зойончковский П. А. Отмена крепостного права в России. М., 1968.

Зайончковский П. А. Правительственный аппарат в самодержавной России в XIX веке. М., 1978.

Зайончковский П. А. Проведение в жизнь крестьянской реформы 1861г. М.,1958.

Зайончковский Л. А. Российское самодержавие в конце XIX столетия (Политическая реакция 80-х – начала 90-х гг.). М., 1970.

Захарова Л. Г. Самодержавие и отмена крепостного права в России. 1856-1861. М., 1984.

Иванов-Разумник (Иванов Р. В.). История русской общественной мысли. М., 1997, т. 1-3.

История внешней политики России. Колл. мон. М., 1996-1998, т. 1-3. Первая половина XIX в. (От войн России против Наполеона до Парижского мира 1856 г.). М., 1995; Вторая половина XIX в. (От Парижского мира 1856 г. до русско-французского союза). М., 1997; Конец XIX – начало XX века (От русско-французского союза до Октябрьской революции). М., 1997.

История предпринимательства в России. Кн. 1. От средневековья до середины XIX века. М., 2000.

Киняпина Н. С. Балканы и проливы во внешней политике России в конце XIX века (1878-1898). М., 1994.

Киняпина Н. С. Внешняя политика России первой половины XIX в. М., 1963.

Киняпина Н. С. Внешняя политика России второй половины XIX в. М., 1974.

Ковальченко И. Д. Русское крестьянство в первой половине XIX века. М., 1967.

Козьмин Б. П. Из истории революционной мысли в России. Избр. труды. М., 1961.

Карелин А. П. Дворянство в пореформенной России. 1861-1904 гг. Состав, численность, корпоративная организация. М., 1979.

Корнилов А. А. Курс истории России XIX века. М., 1993.

Корнилов А. А. Общественное движение при Александре II (1855-1881). М., 1999.

Лайда С. С. "Дух революционных преобразований...". Из истории формирования идеологии и политической организации декабристов. 1816-1825. М., 1975.

Левандовский А. А. Т. Н. Грановский в русском общественном движении. М., 1989.

Левин Ш. М. Общественное движение в России в 60-70-е годы XIX в. М., 1958.

Лемке М. К. Николаевские жандармы и литература. 1826-1855 гг. По подлинным делам Третьего отделения собственной его императорского величества канцелярии. СПб., 1909.

Манфред А. З. Образование русско-французского союза. М., 1975.

Национальные окраины Российской империи. Становление и развитие системы управления. Коллективная монография. М., 1997.

Нечкина М. В. Грибоедов и декабристы. 3-е изд. М., 1977.

Нечкина М. В. Движение декабристов. М., 1955, т. 1-2.

Очерки экономической истории России первой половины XIX в.: Сб. ст. / под ред. М. К. Рожковой. М., 1959.

Познанский В. В. Очерки истории русской культуры первой половины XIX в. М., 1976.

Полиевктов М. А. Николай I. Биография и обзор царствования., М.,1918.

Предтеченский А. В. Очерки общественно-политической истории России в первой четверти XIX в. М.- Л., 1957.

Пыпин А. Н. Общественное движение в России при Александре I. 3-е изд. СПб., 1900.

Рыпин А. Н. Характеристика литературных мнений от 20-х до 50-х годов. Исторические очерки. СПб., 1906.

Рабочие и интеллигенция России в эпоху реформ и революций, 1861 - февраль - 1917. Коллективная монография, СПб., 1997.

Рабочий класс России от зарождения до начала XX в. Коллективная монография. 2-е изд. М., 1989.

Российские консерваторы. Сб. ст., М., 1997.

Российские реформаторы XIX – начала XX в. Сб. ст., М., 1995.

Российские самодержцы. 1801-1917 гг. Сб. ст., М., 1993.

Рудницкая Е. Л. Русский бланкизм: Петр Ткачев. М., 1992.

Русско-турецкая война 1877-1878 гг. Коллективная монография, под ред. И. И. Ростунова. М., 1977.

Русский либерализм. Исторические судьбы и перспективы. Сб.ст., М., 1998.

Рындзюнский П. Г. Городское гражданство дореформенной России. М., 1958.

Рындзюнский П. Г. Утверждение капитализма в России. 1850-1880 гг. М., 1978.

Сарабьянов Д. В. История русского искусства второй половины XIX века. М., 1989.

Секиринский С. С., Шелохаев В. В. Либерализм в России. Очерки истории (середина XIX – начало XX в.). М., 1995.

Смолич К. И. История русской церкви. 1700-1917. ч. 1-2. М., 1996—1997.

Соловьев С. М. Император Александр I. Политика. Дипломатия // Соч, М., 1996. Кн. XVII.

Тарле Е. В. Крымская война. 2-е изд. М.- Л., 1950, т. 1-2.

Тарле Е. В. Нашествие Наполеона на Россию. 1812 год. М., 1943.

Троицкий Н. А. 1812. Великий год России. М., 1988.

Федоров В. А. Декабристы и их время. М., 1992.

Федоров В. А. Помещичьи крестьяне центрально-промышленного района России конца XVIII – первой половины XIX в. М., 1974.

Федоров В. А. М. М. Сперанский и А. А. Аракчеев. М., 1997.

Федосов И. А. Революционное движение в России во второй четверти XIX в. (Революционные организации и кружки). М., 1958.

Цимбаев Н. И. Славянофильство: из истории русской общественно-политической мысли XIX века. М., 1986.

Черпуха В. Г. Внутренняя политика царизма с середины 50-х до начала 80-х гг. XIX в. Л., 1978.

Шепелев Л. Е. Чиновничий мир России. XVIII-XX вв. СПб., 1999.

Шульгин В. С, Кошман Л. В., Зезина М. Р. Культура России в IX-XX вв. М., 1996.

Эймонтова Р. Г. Идеи просвещения в обновляющейся России (50-60-е годы XIX века). М., 1998.

Эймонтова Р. Г. Русские университеты на путях реформы. Шестидесятые годы XIX века. М., 1993.

Янсон Ю. Ю. Опыт статистического исследования о крестьянских наделах и платежах. СПб., 1877.

3. ლიტერატურა ქართულ ენაზე

ირაკლი ანთელავა. ქართველები 1812 წლის სამამულო ომში. თბილისი, 1984.

ერმილე ბურჭულაძე. ყირიმის ომი და საქართველო. თბილისი, 1960.

ბორის სოხვაძე. 1812 წლის სამამულო ომის გმირთა ისტორიიდან (მიხეილ ბოგდანის ძე ბარკლაი-დე-ტოლი). თბილისი, 1988.

აკაკი სურგულაძე. რუსეთი XIX საუკუნეში. თბილისი, 1973.

აკაკი სურგულაძე. რუსეთი იმპერიალიზმის ეპოქაში. თბილისი, 1966.

აკაკი სურგულაძე. დიდი რუსი მხედართმთავრები. თბილისი, 1953.

ნიკო ქორთუა. საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში. თბილისი, 1964.

ნიკო ქორთუა. ამიერკავკასია რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომში. თბილისი, 1978.

სარჩევი

თავი I. რუსეთი XIX საუკუნის დამდეგს 4
1. ტერიტორია. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 4
2. მოსახლეობა 4
3. ეკონომიკა 5
თავი II. რუსეთის საშინაო პოლიტიკა 1801-1812 წლებში 7
1. სასახლის გადატრიალება 7
2. ფარული კომიტეტი 7
3. ადმინისტრაციული მმართველობის სისტემის რეფორმა 9
4. გლეხთა საკითხი 9
5. განათლება 10
6. რეფორმების ახალი ეტაპი (1807-1811) 11
თავი III. რუსეთის საგარეო პოლიტიკა 1801-1812 წლებში 14
1. საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი 14
2. რუსეთის მონაწილეობა საფრანგეთის წინააღმდეგ ომებში 14
3. ტილზიტის ზავი 15
4. რუსეთ-შვეციის 1808-1809 წლების ომი 16
5. რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა 1808-1811 წლებში 16
6. აღმოსავლეთის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში 17
თავი IV. 1812 წლის სამამულო ომი 19
1. მზადება ომისათვის 19
2. ძალთა თანაფარდობა. მოწინააღმდეგეთა სამხედრო-
სტრატეგიული გეგმები 20
3. ომის დასაწყისი 20
4. ბოროდინოს ბრძოლა 22
5. მოსკოვის დატოვება 25
6. ტარუტინოს მანევრი 26
7. რუსეთის არმიის კონტრშეტევა 27
8. რუსეთის არმიის ლაშქრობა ევროპაში 29
თავი V. რუსეთის საშინაო პოლიტიკა 1815-1825 წლებში 31
1. ომის შედეგები 31
2. მმართველობა 31
3. გლეხთა საკითხი 31
4. სამხედრო დასახლებები 32
5. ცვლილებები საშინაო პოლიტიკაში 33
თავი VI. რუსეთის საგარეო პოლიტიკა 1815-1825 წლებში 35
1. ვენის კონგრესი 35
2. საღვთო კავშირი 36
3. რუსეთი და ევროპის რევოლუციები 37
4. აღმოსავლეთის საკითხი 38
თავი VII. პოლიტიკური მოძრაობის დასაწყისი რუსეთში. დეკაბრისტები 39
1. დეკაბრისტთა იდეური წყაროები 39

2. დეკაბრისტთა პირველი ორგანიზაციები 39
3. კეთილდღეობის კავშირი 40
4. დეკაბრისტთა ორგანიზაციები 1821-1825 წლებში 40
5. პავლე პესტელისა და ნიკიტა მურავიოვის კონსტიტუციების
პროექტები 41
6. გაერთიანების ცდა 44
7. აჯანყების გეგმა 45
8. აჯანყება 45
9. დეკაბრისტთა დასჯა 47
10. დეკაბრისტთა მოძრაობის მნიშვნელობა 48
თავი VIII. რუსეთის საშინაო პოლიტიკა 1825-1855 წლებში 49
1. ნიკოლოზ I 49
2. 1826 წლის 6 დეკემბრის კომიტეტი 51
3. სოციალური მოძრაობა 1826-1831 წლებში 51
4. ადმინისტრაციული მმართველობის ცენტრალიზაცია 51
5. კანონთა კოდიფიკაცია 52
6. განათლება და ცენზურა 52
7. სოციალური პოლიტიკა 53
8. გლეხთა საკითხი 53
9. პოლიტიკური რეჟიმის გამკაცრება 54
თავი IX. რუსეთის საგარეო პოლიტიკა 1825-1856 წლებში 56
1. საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები 56
2. ნიკოლოზ I – დიპლომატი 57
3. აღმოსავლეთის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში 1825-1853 წლებში 57
4. რუსეთი და საერთაშორისო ურთიერთობები მახლობელ აღმოსავლეთში
XIX საუკუნის 30-40-იან წლებში 59
5. რუსეთი და ევროპა XIX საუკუნის 30-40-იან წლებში 62
6. ყირიმის ომი (1853-1856 წწ.) 63
თავი X. რუსეთი და კავკასია 1801-1864 წლებში 70
1. საქართველოს დაპყრობა რუსეთის მიერ 70
2. კავკასია რუსეთ-ირანი 1804-1813 წლებისა და რუსეთ-თურქეთის
1806-1812 წლების ომების პერიოდში 77
3. კავკასია რუსეთ-ირანის 1826-1828 წლებისა და რუსეთ-თურქეთის
1828-1829 წლების ომების პერიოდში 78
4. ჩრდილო კავკასიის დაპყრობა რუსეთის მიერ (1830-1864 წწ.) 79
**თავი XI. იდეური მიმდინარეობანი რუსეთში XIX საუკუნის
მეორე მეოთხედში** 83
1. რუსეთის საზოგადოება დეკაბრისტების აჯანყების შემდეგ 83
2. „ოფიციალური ხალხურობის“ თეორია 84
3. სლავოფილები და მედასავლეთენი 84
4. რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობა 86
5. კირილესა და მეთოდეს საზოგადოება 87
6. ალექსანდრე გერცენის „რუსული სოციალიზმი“ 87

თავი XII. ბატონყმობის გაუქმება ... 88
1. ალექსანდრე II – რეფორმატორი ... 88
2. თავადაზნაურობის პროექტები ბატონყმობის გაუქმების შესახებ ... 89
3. საგლეხო რეფორმის მომზადება ... 89
4. 1861 წლის 19 თებერვლის „დებულება“ ... 90
თავი XIII. 1863-1874 წლების რეფორმები ... 94
1. ადგილობრივი მმართველობის რეფორმა ... 94
2. საქალაქო მმართველობის რეფორმა ... 94
3. სასამართლო რეფორმა ... 96
4. სახალხო განათლების სისტემის რეფორმა ... 97
5. სამხედრო რეფორმა ... 98
თავი XIV. რუსეთის ეკონომიკური და სოციალური განვითარება XIX საუკუნის 60-90-იან წლებში ... 99
1. სოფლის მეურნეობა ... 99
2. მრეწველობა ... 100
3. ვაჭრობა ... 100
4. მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა ... 100
თავი XV. XIX საუკუნის 60-80-იანი წლების პოლიტიკური მოძრაობა. რუსული ნაროდნიკობა ... 101
1. პოლიტიკური მოძრაობა 1861-1864 წლებში ... 101
2. პოლონეთის 1863-1864 წლების აჯანყება ... 102
3. რევოლუციური წრეები და ორგანიზაციები XIX საუკუნის 60-იანი წლების შუახანებსა და 70-იანი წლების დამდეგს ... 103
4. რუსული ნაროდნიკობა XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ... 103
5. მუშათა მოძრაობა XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ... 109
თავი XVI. რუსეთის საშინაო პოლიტიკა XIX საუკუნი 80-იანი წლებსა და 90-იანი წლების პირველ ნახევარში ... 111
1. პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობის ლიკვიდაციის ცდები ... 111
2. ალექსანდრე III ... 112
3. ახალი პოლიტიკური კურსი ... 113
4. ცენზურა და განათლება ... 114
5. აგრარული პოლიტიკა ... 115
6. ცვლილებები ადგილობრივ მმართველობაში ... 115
თავი XVII. რუსეთის საგარეო პოლიტიკა XIX საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებიდან 90-იანი წლების შუა ხანებამდე ... 116
1. რუსეთის პოლიტიკა ევროპაში ... 116
2. რუსეთის პოლიტიკა შორეულ აღმოსავლეთში ... 118
3. რუსეთის საგარეო პოლიტიკა XIX საუკუნის 70-იან წლებში ... 119
4. სამი იმპერატორის კავშირი ... 120
5. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი ... 120
6. რუსეთის საგარეო პოლიტიკა XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ... 126
7. შუა აზია რუსეთის საგარეო პოლიტიკაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში ... 129

თავი XVIII. რუსული კულტურა XIX საუკუნეში 131
1. განათლება 131
2. მეცნიერება. სამეცნიერო ცენტრები 131
3. ლიტერატურა 132
4. მუსიკა 133
5. მხატვრობა 133
6. თეატრი 133
7. არქიტექტურა 134
ბიბლიოგრაფია 135

გამომცემლობის რედაქტორი ნ. იორამაშვილი
კორექტორები: ც. მოლოდინი
ქ. გაჩეჩილაძე
დაკაბადონება თ. მუსერიძე
გარეკანის დიზაინი გამომცემლობა „არგანუჯისა“

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2. 12. 03
საბეჭდი ქაღალდი 60X84 1/16
პირ. ნაბეჭდი თაბახი 21,96
სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 14,09
შეკვეთა № 142 ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
0128, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ., 14.

თბილისის უნივერსიტეტის
სარედაქციო-საგუბლიკაციო კომპიუტერული სამსახური
0128, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ., 1.